




საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

წლიური ანგარიში 2019



წელი ლარის
მიმოქცევაში გაზვიებდან



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

წლიური ანგარიში

2019

ყოველწლიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1739



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს კობა გვენეტაძეს

Global Finance-ის 2019 წლის

საუკეთესო ცენტრალური ბანკირის კილდო გადაეცა

აბრევიატურები	10
შესავალი	11
1 მაკროეკონომიკური გარემო	24
1.1 მსოფლიო ეკონომიკა	24
1.2 საგარეო სექტორი და საგადასახდლო ბალანსი	27
1.3 ეკონომიკური ზრდა	40
1.4 ინფლაცია	43
2 ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა	48
2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	49
2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები	58
2.2.1 რეფინანსირების სესხი	58
2.2.2 ღია ბაზრის ერთვითი ინსტრუმენტი	59
2.2.3 ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები	59
2.2.4 ფასიანი ქაღალდები	59
2.2.5 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები	62
2.3 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა	63
3 ფინანსური სტაბილურობა	66
3.1 ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა	67
3.2 ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება	69
4 საბანკო რეგულაციები	79
4.1 საზედამხებელო ჩარჩოს განვითარება	80
4.2 კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი	91
4.3 კაპიტალის ადეკვატურობა	92
4.4 ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა	97
4.5 საკრედიტო რისკი	100
4.6 საბაზრო რისკი	113
4.6.1 სავალუტო რისკი	113
4.6.2 საპროცენტო რისკი	113
4.7 მომგებიანობის რისკი	115
4.8 ლიკვიდობის რისკი	117
4.8.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა	117
4.8.2 ვალდებულებების სტრუქტურა	120
4.8.3 საცალო დაფინანსება	121
4.8.4 საბითუმო დაფინანსება	121
4.8.5 ლიკვიდობის რისკის რეგულირება	124
4.9 საოპერაციო რისკი	124
4.9.1 საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში	125
4.10 მონაცემთა ხარისხის მართვა და სიზუსტის რისკი	128
4.11 კიბერუსაფრთხოება	128
4.11.1 საბანკო სისტემის სხვა სექტორებზე დამოკიდებულება	129
4.12 მაკროპრუდენციული რისკები	129
4.13 ფინანსური და საზედამხებელო ტექნოლოგიების განვითარება	130
4.13.1 ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა	130
4.13.2 მოდელის რისკი	131
4.13.3 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო	132
4.13.4 ღია ბანკინგი	132
4.14 ინფორმაციის დამუშავება და საზედამხებელო ტექნოლოგიები	134
5 მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური მართვა	136
5.1 მომხმარებელთა უფლებების დაცვა	137
5.2 ფინანსური განათლება	141
6 არასაბანკო რეგულაციები	151
6.1 მნიშვნელოვანი ცვლილებები საზედამხებელო ჩარჩოში	152
6.2 არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები	152
6.2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	152
6.2.2 ვალუტის გადამცვლელი პუნქტები	160
6.2.3 საკრედიტო კავშირები	161

6.2.4 სესხის გამცემი სუბიექტები.....	161
7 ფასიანი ქაღალდების ბაზარი	164
7.1 ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები.....	165
7.2 ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა	168
7.3 საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა.....	173
8 ფულის გათვრების ინსპექტირება და ზედამხედველობა	181
9 საბადახდო სისტემები	186
10 საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	198
11 საკასო-სამშენი საშუალების ორგანიზაცია	201
12 შიდა აუდიტი და რისკების მენეჯმენტი	212
13 საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა	215
14 ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება	220
15 ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება	222
16 კორუფციის მართვა	226
17 სტატისტიკური საქმიანობა	229
18 ფინანსური ანგარიშგება	232

ჩანართები

ჩანართი 1 საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი.....	38
ჩანართი 2 ინფლაციისა და გაცვლით კურსს შორის კავშირი (2018 და 2019 წლების მაგალითები).....	46
ჩანართი 3 რამდენად დროული იყო ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება 2019 წლის შოკის დროს?.....	56
ჩანართი 4 პასუხისმგებელიანი დაკრედიტების რეგულაციის გავლენის შეფასება.....	72
ჩანართი 5 საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით.....	74
ჩანართი 6 ადმინისტრატორთა და აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმები.....	81
ჩანართი 7 ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის ჩარჩო.....	83
ჩანართი 8 ფინანსურ სექტორში კონკურენციის ხელშეწყობის საერთაშორისო პრაქტიკა და ეროვნული ბანკის სტრატეგია.....	85
ჩანართი 9 კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს სამომავლო ცვლილებები.....	95
ჩანართი 10 აუდიტორულ ფირმებთან თანამშრომლობის სახელმძღვანელო.....	99
ჩანართი 11 აპლიკაციების პროგრამირების ინტერფეისი - ღია ბანკინგის ტექნოლოგიური საფუძველი.....	133
ჩანართი 12 საპენსიო რეფორმის მიმოხილვა: საერთაშორისო გამოცდილება.....	174

დიაგრამები

დიაგრამა N 1.1 რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში.....	24
დიაგრამა N 1.2 სფი ინფლაცია მსოფლიოში.....	25
დიაგრამა N 1.3 რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა.....	26
დიაგრამა N 1.4 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან.....	27
დიაგრამა N 1.5 საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება (2017-2019 წ.წ.).....	28
დიაგრამა N 1.6 ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2019 წ.	29
დიაგრამა N 1.7 უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფების ათეული 2018-2019 წწ.	30
დიაგრამა N 1.8 იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2019 წ.	30
დიაგრამა N 1.9 ტურიზმის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები (2016-2019).....	31
დიაგრამა N 1.10 საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით.....	32
დიაგრამა N 1.11 საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ფარდობა მშპ-თან.....	32
დიაგრამა N 1.12 პირადი გზავნილების წლიური ცვლილება.....	33
დიაგრამა N 1.13 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით.....	33
დიაგრამა N 1.14 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პროცენტულად მშპ-თან).....	34
დიაგრამა N 1.15 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის	

შეფასება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით (ARA metrics).....	35
დიაგრამა N 1.16 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2012=100)	37
დიაგრამა N 1.17 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2012=100)	39
დიაგრამა N 1.18 მშპ-ის ზრდა დანახარჯების მიხედვით	42
დიაგრამა N 1.19 ინვესტიციების ფარდობა მშპ-თან	42
დიაგრამა N 1.20 მთლიანი და საბაზო (სურსათისა, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაციები.....	43
დიაგრამა N 1.21 საწვავის, სურსათის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს და კომუნალური გადასახადების წვლილი მთლიან ინფლაციაში	44
დიაგრამა N 1.22 იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია.....	44
დიაგრამა N 1.23 წლიური ინფლაციის მანკვინებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის	46
დიაგრამა N 1.24 ინფლაცია, ლარი/დოლარის და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების გაუფასურება 2019 წლის მაისი 2018 წლის მაისთან და 2019 წლის ნოემბერი 2019 წლის ივნისთან მიმართებით.....	47
დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	50
დიაგრამა N 2.2 მთლიანი ინფლაცია და ინფლაცია სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს გამორიცხვით	51
დიაგრამა N 2.3 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და საპროცენტო განაკვეთი ლარის სესხებზე	51
დიაგრამა N 2.4 რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები	52
დიაგრამა N 2.5 ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი.....	53
დიაგრამა N 2.6 სარეზერვო მოთხოვნები.....	54
დიაგრამა N 2.7 საბანკო სექტორის დოლარიზაციის მანკვინებლები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით).....	55
დიაგრამა N 2.8 სახაზინო ფასიანი ქაღალდების, სადეპოზიტო სერტიფიკატებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ფასიანი ქაღალდების დინამიკა	56
დიაგრამა N 2.9 სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა 2014-2019 წლებში	60
დიაგრამა N 2.10 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2015-2019 წლებში.....	61
დიაგრამა N 2.11 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2015-2019 წლებში.....	62
დიაგრამა N 2.12 ოფიციალური სარეზერვო აქტივები 1997-2019 (მლნ აშშ დოლარი, წლის ბოლო მანკვინებელი).....	64
დიაგრამა N 3.1 სესხებისა და ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპის შედარება	68
დიაგრამა N 3.2 საბანკო სესხების წლიური ზრდის ტემპი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)	73
დიაგრამა N 3.3 თვის განმავლობაში გაცემული სესხების რაოდენობა და საკრედიტო დეფოლტები	73
დიაგრამა N 4.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად.....	93
დიაგრამა N 4.2 პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	94
დიაგრამა N 4.3 მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით	101
დიაგრამა N 4.4 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით.....	102
დიაგრამა N 4.5 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო კორპორატიულ პორტფელში.....	102
დიაგრამა N 4.6 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში.....	103
დიაგრამა N 4.7 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო საკრედიტო პორტფელში.....	103
დიაგრამა N 4.8 პროციკლური სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში	105
დიაგრამა N 4.9 საცალო პროდუქტების ნაშთების განაწილება 2018 და 2019 წლის ბოლო მდგომარეობით.....	106
დიაგრამა N 4.10 სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2019 წლის ბოლო მდგომარეობით	

(ბანკთაშორისი სესხების გარდა).....	106
დიაგრამა N 4.11 საცალო პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ქრილში (ბანკთაშორისი სესხების გარდა).....	107
დიაგრამა N 4.12 საცალო პორტფელის განაწილება, რისკის ხარჯი და ხარისხი პროდუქტების მიხედვით.....	108
დიაგრამა N 4.13 საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა).....	109
დიაგრამა N 4.14 90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხები	109
დიაგრამა N 4.15 რესტრუქტურირებული სესხების წილი მთლიან სასესხო პორტფელში	110
დიაგრამა N 4.16 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა.....	110
დიაგრამა N 4.17 ცვლად განაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან)	111
დიაგრამა N 4.18 სესხების ჩამოწერა და ამოღება.....	111
დიაგრამა N 4.19 პრობლემური აქტივები	112
დიაგრამა N 4.20 დასაკუთრებული აქტივები	112
დიაგრამა N 4.21 კომერციული ბანკების საბალანსო და კრებისითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან	113
დიაგრამა N 4.22 საპროცენტო ხასიათის აქტივებით ვალდებულებების გადაფარვა	114
დიაგრამა N 4.23 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე.....	115
დიაგრამა N 4.24 მოგების დეკომპოზიცია	116
დიაგრამა N 4.25 ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა.....	116
დიაგრამა N 4.26 ლიკვიდური აქტივების დონე	117
დიაგრამა N 4.27 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა	118
დიაგრამა N 4.28 სადეპოზიტო სერტიფიკატები და მათი წილი არასაბანკო დეპოზიტებში.....	118
დიაგრამა N 4.29 ლიკვიდობის გეპი - აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან	119
დიაგრამა N 4.30 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა.....	119
დიაგრამა N 4.31 ვალდებულებების სტრუქტურა	120
დიაგრამა N 4.32 არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა.....	120
დიაგრამა N 4.33 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი	121
დიაგრამა N 4.34 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2019 წლის დეკემბერი)	122
დიაგრამა N 4.35 არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ქრილში (2019 წლის დეკემბერი).....	122
დიაგრამა N 4.36 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით.....	123
დიაგრამა N 4.37 წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი.....	124
დიაგრამა N 4.38 2019 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის.....	125
დიაგრამა N 4.39 ბოლო ხუთი წლის საოპერაციო დანაკარგები დინამიკა თვეების მიხედვით	126
დიაგრამა N 4.40 ბოლო ხუთი წლის (2015-2019 წწ.) მთლიანი საოპერაციო დანაკარგის პროპორციული განაწილება	126
დიაგრამა N 4.41 2019 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა თვეების მიხედვით.....	127
დიაგრამა N 4.42 2019 წლის მთლიანი დანაკარგის პროცენტული განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით.....	128
დიაგრამა N 5.1 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების სტატისტიკა.....	140
დიაგრამა N 5.2 პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით	140
დიაგრამა N 5.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების სტატისტიკა	141
დიაგრამა N 6.1 მთლიანი სესხების მოცულობა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა	153
დიაგრამა N 6.2 მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა	153
დიაგრამა N 6.3 საკრედიტო პორტფელის ხარისხი	154
დიაგრამა N 6.4 საკრედიტო პორტფელის რეზერვი პროდუქტების მიხედვით	154
დიაგრამა N 6.5 საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია	155
დიაგრამა N 6.6 დაფინანსების წყარო	155
დიაგრამა N 6.7 აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის დინამიკა.....	156
დიაგრამა N 6.8 არარეზიდენტების სახსრები	156
დიაგრამა N 6.9 ნასესხები სახსრების სტრუქტურა.....	157

დიაგრამა N 6.10 ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა.....	157
დიაგრამა N 6.11 საზღვარგარეთ კაპიტალი.....	158
დიაგრამა N 6.12 ლიკვიდური სახსრები.....	158
დიაგრამა N 6.13 სახსრების ღირებულება.....	159
დიაგრამა N 6.14 სახსრების ღირებულების კომპოზიცია.....	160
დიაგრამა N 6.15 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა.....	161
დიაგრამა N 6.16 სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობა, მთლიანი აქტივები და საკრედიტო პორტფელი.....	162
დიაგრამა N 6.17 სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო.....	162
დიაგრამა N 6.18 არარეზიდენტების წილი მოზიდულ სახსრებში.....	163
დიაგრამა N 6.19 საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა.....	163
დიაგრამა N 7.1 კომერციული ობლიგაციების ნაშთები პერიოდის ბოლოს (2014-2019).....	165
დიაგრამა N 7.2 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების მიხედვით (2014-2019).....	166
დიაგრამა N 7.3 სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით.....	166
დიაგრამა N 7.4 სახაზინო და კორპორაციული სავალდებულებების ფასიანი ქაღალდები შერჩეულ ევროპის ქვეყნებში მშპ-თან მიმართებით.....	167
დიაგრამა N 7.5 საქართველოში გამოშვებული სავალდებულებების ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა.....	167
დიაგრამა N 7.6 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაწილება მფლობელობის მიხედვით.....	168
დიაგრამა N 7.7 საბროკერო კომპანიების ჯამური აქტივების დინამიკა წლების მიხედვით (2010-2019).....	168
დიაგრამა N 7.8 ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2010-2019 წწ.....	170
დიაგრამა N 7.9 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით (2010–2019 წ).....	171
დიაგრამა N 7.10 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2010-2019 წ).....	171
დიაგრამა N 7.11 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2010-2019 წ).....	172
დიაგრამა N 7.12 ასაკზე დამოკიდებულების კოეფიციენტის (old-age dependency ratio) მიმდინარე და სამომავლო მაჩვენებლები.....	174
დიაგრამა N 7.13 საპენსიო ფონდის აქტივების შეფარდება მშპ-თან (პროცენტი).....	175
დიაგრამა N 7.14 საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - საქართველო.....	176
დიაგრამა N 7.15 საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - ევროზონა.....	176
დიაგრამა N 7.16 წმინდა ჩანაცვლების კოეფიციენტები მოცემული ქვეყნებისათვის.....	177
დიაგრამა N 7.17 საპენსიო დანახარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში.....	178
დიაგრამა N 7.18 საპენსიო უზრუნველყოფაზე გაწეული საჯარო დანახარჯების არსებული და მოსალოდნელი დონეები მოცემულ ქვეყნებში 2013, 2040 და 2060 წლებისათვის (მშპ-ის კ.კ.).....	178
დიაგრამა N 8.1 ჯარიმების მოცულობა, 2019 წ.	182
დიაგრამა N 9.1 RTGS ოპერაციების დინამიკა (2002-2019 წწ.).....	187
დიაგრამა N 9.2 RTGS ოპერაციები (2019 წ.).....	187
დიაგრამა N 9.3 RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2011-2019 წწ.).....	188
დიაგრამა N 9.4 RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2011-2019 წწ.).....	188
დიაგრამა N 9.5 RTGS ოპერაციების თანხა ანგარიშსწორების მიხედვით (2011-2019 წწ.).....	189
დიაგრამა N 9.6 საცალო გადახდების რაოდენობა თანხების მიხედვით (2011-2019 წწ.).....	189
დიაგრამა N 9.7 საცალო გადახდების განაწილება თანხების მიხედვით (2011-2019 წწ.).....	190
დიაგრამა N 9.8 გადახდის ინიცირების საშუალებების გამოყენება 2012-2019 წლებში.....	191
დიაგრამა N 9.9 უნაღდო გადახდების განაწილება საგადახდო დავალების ინიცირების საშუალებების მიხედვით (2019 წელი).....	191
დიაგრამა N 9.10 გამოშვებული ბარათები საგადახდო სისტემების მიხედვით (დეკემბერი, 2019).....	193
დიაგრამა N 9.11 ქართული ბარათებით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	

განხორციელებული ოპერაციების თანხობრივი მაჩვენებლები, ათასი ლარი	193
დიაგრამა N 9.12 საქართველოში განლაგებული პოს-ტერმინალებისა და ბანკომატების დინამიკა წლების მიხედვით (დეკემბერი), ერთეული.....	194
დიაგრამა N 9.13 ელექტრონული ფულით გადახდები (გარდა სატრანსპორტო ბარათებით გადახდებისა) (2019 წ.)	195
დიაგრამა N 9.14 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ელექტრონულ საფულეებში არსებული ფულადი სახსრები ვალუტების მიხედვით	196
დიაგრამა N 11.1 მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით	201
დიაგრამა N 11.2 ნაღდი ფული მიმოქცევაში (2015-2019 წლები)	201
დიაგრამა N 11.3 მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2015-2019 წლები).....	202
დიაგრამა N 11.4 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი).....	203
დიაგრამა N 11.5 2019 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი)	204
დიაგრამა N 11.6 2015-2019 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა	205
დიაგრამა N 11.7 2015-2019 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი მონეტების რაოდენობა	206
დიაგრამა N 11.8 2015-2019 წლებში რეალიზებული ფასეულობა	206
დიაგრამა N 16.1 ეროვნულ ბანკში მიმდინარე პროექტები კატეგორიების მიხედვით.....	226
დიაგრამა N 16.2 ეროვნულ ბანკში მიმდინარე პროექტები ფაზების მიხედვით.....	227

ცხრილები

ცხრილი N 1.1 საგადახდელო ბალანსი 2015-2019 წლებში (მლნ აშშ დოლარი).....	36
ცხრილი N 1.2 ეფექტური გაცვლითი კურსების წლიური ცვლილება 2019 წელს	37
ცხრილი N 1.3 რეიტინგის სკალა.....	38
ცხრილი N 1.4 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგობრივ ჭრილში	40
ცხრილი N 1.5 ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (კპ)	45
ცხრილი N 4.1 სისტემური ბუფერების დაწესების ვადები	92
ცხრილი N 4.2 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები კორონავირუსთან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების გატარებამდე	94
ცხრილი N 4.3 SMA მეთოდით საოპერაციო რისკების კაპიტალის გამოთვლა	97
ცხრილი N 4.4 საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2017 წლის ბოლოს არსებული კურსით)	101
ცხრილი N 4.5 საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება	104
ცხრილი N 4.6 საცალო პროდუქტების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2019 წლის ბოლოს არსებული კურსით)	105
ცხრილი N 4.7 საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით	107
ცხრილი N 4.8 პორტფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით	108
ცხრილი N 4.9 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	123
ცხრილი N 6.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის მაჩვენებლები	159
ცხრილი N 7.1 საბროკერო კომპანიების კლიენტების გადანაწილება	169
ცხრილი N 7.2 საბროკერო კომპანიების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება (ლარი).....	169
ცხრილი N 7.3 საბროკერო კომპანიების ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (2019 წ.).....	169
ცხრილი N 7.4 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით (2018-2019 წ.).....	170
ცხრილი N 7.5 სავალდებულო საპენსიო სისტემები აღმოსავლეთ ევროპაში	174
ცხრილი N 11.1 2019 წელს შემოტანილი საექვო ფულის ნიშნების ექსპერტიზის შედეგები.....	205

აბრევიატურები

- API** (Application Programming Interface) - გამოყენებითი პროგრამირების ზედაპირი
- ARA** (Assessing Reserve Adequacy) - რეზერვების ადეკვატურობის შეფასება
- BI** (Business Intelligence) - მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის თანამედროვე პლატფორმა
- BIS** (Bank of International Settlements) - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი
- BISIP** (BIS Investment Pool) - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო პროგრამა
- CDC** (Creative Development Center) - კრეატიული განვითარების ცენტრი
- CEF** (Center of Excellence in Finance) - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრი
- CIF** (Cost, Insurance and Freight) - ხარჯები, დაზღვევა და ფრახტი
- CYFI** (Child and Youth Finance International) - ბავშვთა და ახალგაზრდობის ფინანსების საერთაშორისო მოძრაობა
- EBRD** (European Bank for Reconstruction and Development) - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
- EDA** (Export Development Authority) - ექსპორტის განვითარების ფონდი
- EFF** (Expanded Fund Facility) - გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი
- EFSE DF** (Development Facility of the European Fund for Southeast Europe) - „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამა
- ESRB** (European Systemic Risk Board) - ევროპის სისტემური რისკის კომიტეტი
- FA** (Financial Account) - ფინანსური ანგარიში
- FOB** (Free On Board) - თავისუფლდება ვალდებულებებისაგან, საქონლის საწყალოსნო ტრანსპორტზე დატვირთვიდან
- GITI** (Georgian IT Innovations) - საქართველოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციები
- GIZ** (German Agency for International Cooperation) - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
- GSSS** (Georgian Securities Settlement System) - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა
- IFC** (International Finance Corporation) - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
- IOPS** (International Organization of Pension Supervisors) - საპენსიო ფონდების ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაცია
- IORWG** (International Operational Risk Working Group) - საოპერაციო რისკების საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი
- IMF** (International Monetary Fund) - საერთაშორისო სავალუტო ფონდი
- ISSET** (International School of Economics at TSU) - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
- IT** (Informational Technologies) - ინფორმაციული ტექნოლოგიები
- LTV** (Loan-to-Value) - სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტი
- OECD** (Organization for Economic Co-operation and Development) - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
- OECD/INFE** - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი
- PCPP** (Private Computing on Public Platforms) - მშვიდობის კორპუსის პარტნიორობის პროგრამა
- PTI** (payment to income ratio) - სესხის მომსახურების კოეფიციენტი
- RDFG** (Rural Development for Future Georgia) - სამხარეთო განვითარება მომავალი საქართველოსთვის
- RTGS** (Real Time Gross Settlement) - დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა
- S&P** (Standard&Poor's) - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია
- SBN** (Sustainable Banking Network) - მდგრადი საბანკო ქსელი
- SBFIC** (Savings Banks Foundation For International Cooperation) - გერმანული შემნახველი ბანკების ფონდი
- SDR** (Special Drawing Right) - ნასესხობის სპეციალური უფლება
- SDMX** (Statistical Data and Metadata eXchange) - სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების გაცვლა
- SMA** (Standardised Measurement Approach) - სტანდარტიზებული გაზომვის მიდგომა
- SME** (Small and Medium-sized Enterprises) - მცირე და საშუალო მენარმეობა
- TIBER-EU** - ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების ჩარჩო
- TIBR** (Tbilisi Interbank Rate) - თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთი
- USAID** (United States Agency for International Development) - შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის

საქართველოს ეროვნული ბანკის 2019 წლის წლიური ანგარიში მომზადებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად და მოიცავს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და სახედასხედველო პოლიტიკის მიმოხილვასა და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

ფასების სტაბილურობა, თავის მხრივ, ნიშნავს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელთან ახლოს შენარჩუნებას. საშუალოვადიან პერიოდზე ფოკუსირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მიმდინარე ან მოკლევადიან პერიოდში ინფლაცია შეიძლება გადახრილი იყოს სამიზნე მაჩვენებლისგან (როგორც ზრდის, ისე კლების მიმართულებით), თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, ის, საშუალოვადიან პერიოდში, სამიზნე მაჩვენებელს დაუბრუნდება, რითაც ფასების სტაბილურობა მიიღწევა. ამასთან ერთად, ამ მიდგომით, გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები ყველაზე დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება, ხოლო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე მაღალი და სტაბილურია.

ზემოაღნიშნული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი იძლევა, რომელიც თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკად არის აღიარებული. ამასთანავე, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და გადაცემის მექანიზმის განვითარებასა და სრულყოფასთან ერთად, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში უფრო ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯით იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

ინფლაციის თარგეთირებაზე ეროვნული ბანკი 2009 წლიდან გადავიდა. მას შემდეგ (2009-2019

წლებში) საქართველოში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 3.6 პროცენტს შეადგენს. თავდაპირველად, ინფლაციის თარგეთირებაზე გადასვლისას, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 6 პროცენტი იყო; მომდევნო წლებში ის ეტაპობრივად კლებულობდა, ხოლო 2018 წლიდან კი 3 პროცენტამდე შემცირდა, რაც წლიური ინფლაციის გრძელვადიან მიზნობრივ დონეს წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში, ისევე, როგორც ღია ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში, გარდაუვალია ეგზოგენური (მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელი) შოკები, რომელთა გავლენითაც ინფლაცია შესაძლებელია მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებით გადაიხაროს. მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია, სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები, ძირითადად, მოთხოვნის შოკებზე რეაგირებენ, რადგან მიწოდების შოკებზე რეაგირება ეკონომიკისთვის დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური ზრდის მერყეობასა და, შედეგად, გრძელვადიან პერიოდში დასაქმების შემცირებას გამოიწვევს. ამასთანავე, როგორც კვლევები აჩვენებს, მონეტარული პოლიტიკის ცვლილების გადაცემას ეკონომიკაზე გარკვეული დრო სჭირდება. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრის დაშვება იმ შემთხვევაში, თუ საშუალოვადიან პერიოდში პროგნოზირებული ინფლაცია მის მიზნობრივ მაჩვენებელს უბრუნდება. ხოლო, თუ აღნიშნული ტიპის შოკი გავლენას მოახდენს ინფლაციის მოლოდინებსა და ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელზე, ეროვნული ბანკი შესაბამისად შეცვლის პოლიტიკას.

2019 წლის ბაფხულში რუსეთის ფედერაციამ აკრძალა რუსეთ-საქართველოს შორის ავია მიმოსვლა, რამაც საგრძნობი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შეცვალა ის დადებითი მაკროეკონომიკური ტენდენციები, რაც წლის პირველ ნახევარში ფიქსირდებოდა. პირველ რიგში, ცხადი იყო, რომ ეს აკრძალვა დააზარალებდა ტურისტულ ინდუსტრიას, რომელიც ბოლო წლებში სწრაფად იზრდებოდა და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო რუსეთიდან მოგზაურებზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა დამატებითი რისკები, რომ, შესაძლოა, დამატებითი სანქციები გავრცელებულიყო ექსპორტსა და ფულად გზავნილებზე, რაც გაურკვევლობას კიდევ უფრო ზრდიდა. საგარეო მოთხოვნის მოსალოდნელი კლებისა და გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, გაუარესდა ეკონომიკური აგენტების მოლოდინებიც. შე-

დეგად, აღნიშნულმა მოვლენებმა 2019 წლის მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი გავლენა შეიტანა.

2018 წლის განმავლობაში ინფლაცია დაბალ ნიშნულზე იყო და საშუალოდ 2.6 პროცენტი შეადგინა. 2018 წლის მსგავსად, 2019 წლის დასაწყისიც დაბალი ინფლაციით ხასიათდებოდა, თუმცა მარტიდან ინფლაციამ მიზნობრივ მაჩვენებელს გადააჭარბა. წლის დასაწყისში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრაზე ძირითადად ეგზოგენური (მონეტარული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი) ფაქტორები ახდენდა გავლენას, როგორც იყო აქციზის გადასახადის ზრდის ეფექტი სიგარეტისა და თამბაქოს ფასებზე. ასევე აღსანიშნავია სურსათის ზოგიერთ კატეგორიაზე ფასების ზრდაც. სურსათის ფასები, როგორც წესი, მოსავლიანობისა და მიწოდების სხვა ფაქტორის ზეგავლენით, მაღალი მერყეობით ხასიათდება. ფასების ეს ცვალებადობა კი, სამომხმარებლო კალთაში მაღალი წონის (27.3 პროცენტი) გამო, მთლიანი ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ ამავდროულად პერიოდში საბაზო ინფლაცია დაბალ დონეზე ნარჩუნდებოდა.

როგორც აღინიშნა, წლის დასაწყისში ინფლაციაზე მოქმედი ფაქტორები და დაბალი საბაზო ინფლაცია მაჩვენებლის ზრდის დროებით ხასიათზე მიუთითებდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ერთობლივი მოთხოვნა კვლავ ჩამორჩებოდა პოტენციურ დონეს და, შესაბამისად, მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური წნეხი სუსტი იყო. შედეგად, პროგნოზირებული ინფლაციის რისკების შენელებასთან ერთად, 2019 წლის პირველ კვარტალში ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკის ნორმალიზაციის 2018 წლის ივლისში დაწყებული პროცესი განაგრძო. კერძოდ, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, პოლიტიკის განაკვეთი იანვარსა და მარტში 0.25-0.25 პპ-ით 6.5 პროცენტამდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსალოდნელი იყო, რომ ინფლაცია, ერთჯერადი (ეგზოგენური) ფაქტორების ამოწურვის შემდგომ, 2020 წლის დასაწყისიდან შემცირებას დაიწყებდა და მიზნობრივ დონეს დაუახლოვდებოდა. ამასთანავე, ლარიზაციის წახალისებისა და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით, წლის პირველ ნახევარში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, უცხოური ვალუტით მოზიდულ მოკლევადიან (ერთ წლამდე ნარჩენი ვადიანობის) სახსრებზე მინიმალური სარეზერვო ნორმა 25-დან 30 პროცენტამდე, 1-დან 2

წლამდე ნარჩენი ვადიანობისთვის კი 10-დან 15 პროცენტამდე გაიზარდა. ცვლილებები კომერციული ბანკების უცხოური ვალუტის საკონტრაქტებზე, სადეპოზიტო და სარეზერვო ანგარიშებზე დასარიცხ განაკვეთებსაც შეეხო.

2019 წლის მეორე ნახევარში, ზაფხულში განვითარებული მოვლენების ფონზე, მაკროეკონომიკური გარემო სრულიად შეიცვალა. რუსეთიდან ფრენების აკრძალვის ფონზე, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი საგრძნობლად გაუფასურდა. ამავდროს, გაურკვევლობა შესაძლო სანქციებსა და ეკონომიკაზე მათი ზეგავლენის შესახებ გაზრდილი იყო. კერძოდ, ექსპორტზე ან ფულად გზავნილებზე შესაძლოა დაწესებულიყო დამატებითი სანქციები, რაც ერთობლივ მოთხოვნას შეამცირებდა და, შედეგად, ამ არხით, ფასებზე შემცირების მიმართულებით იმოქმედებდა. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ივლისის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა კომიტეტის გადაწყვეტილების პრეს რელიზში ხაზგასმით აღინიშნა, რომ გაცვლითი კურსიდან მომდინარე ინფლაციური წნეხის შენარჩუნების შემთხვევაში, მონეტარული პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებები გატარდებოდა. შემდგომ პერიოდში ნათელი გახდა, რომ დამატებითი სანქციების შემოღების საშიშროება არ არსებობდა. ამასთანავე, აგვისტოს განმავლობაში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურებულ დონეზე შენარჩუნდა. შედეგად, წლის მეორე ნახევარში ფასებზე ზეწოლა უკვე ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მოდიოდა. კერძოდ, ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან ინფლაციაზე გადაცემა გაძლიერდა როგორც იმპორტირებული საქონლის ფასების, ასევე დოლარიზებული სესხების არხებით. ლარის ნომინალური ეფექტური კურსის გაუფასურება ინფლაციურ მოლოდინებსაც ზრდიდა, რაც საბაზო ინფლაციის მატებაშიც გამოიხატა, რომელიც წლის პირველ ნახევარში დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდებოდა. საბოლოოდ, მთლიანმა ინფლაციამ წლის ბოლოს 7.0 პროცენტი შეადგინა, საშუალოდ, წლის განმავლობაში კი 4.9 პროცენტი იყო. საბაზო ინფლაციამ წლის ბოლოს 3.7 პროცენტი შეადგინა. თუმცა, ის წლის განმავლობაში მთლიან ინფლაციაზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო და საშუალოდ 2.0 პროცენტს შეადგენდა.

აღწერილი მოვლენების ფონზე, გამოიკვეთა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების საჭიროება და სექტემბრის დასაწყისში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა პოლიტიკის განაკვეთი 0.5 პპ-ით გაზარდა. გარდა ამისა, ეკონ-

ომიკური აქტივობა მოსალოდნელზე სწრაფად გაუმჯობესდა, რაც მოთხოვნის მხრიდან ინფლაციის შემცირების შესაძლებლობას ასუსტებდა. გააქტიურებული ერთობლივი მოთხოვნისა და გაუფასურებულ დონეზე შენარჩუნებული ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის პირობებში, ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკის გამკაცრება განაგრძო. აღნიშნული გადაწყვეტილებები გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე ინფლაციური ზეწოლის განეიტრალებას ისახავდა მიზნად. მთლიანობაში, 2019 წლის სექტემბერ-დეკემბერში რეფინანსირების განაკვეთი 6.5-დან 9.0 პროცენტამდე გაიზარდა. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ეკონომიკაზე გადაცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხი სწორედ გაცვლით კურსს უკავშირდება. ფინანსურ ბაზრებზე ლარის საპროცენტო განაკვეთების ზრდისა და, შედეგად, ლარის აქტივებზე მოთხოვნის მატება დადებითად აისახა სავალუტო ბაზარზეც, შეამცირა რა ზეწოლა გაცვლით კურსზე. აღსანიშნავია, რომ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად, წლის ბოლოს ფასების ზრდის ტემპი შენედა და თვის ინფლაციის შემცირებაში გამოიხატა. ამასთანავე, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ფონზე დაკრედიტების და, შესაბამისად, ეკონომიკის შენელების თავიდან ასაცილებლად, ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტით მოზიდულ მოკლევადიან (ერთ წლამდე ნარჩენი ვადიანობის) სახსრებზე მინიმალური სარეზერვო ნორმა 30-დან 25 პროცენტამდე შეამცირა. ასევე შეიცვალა კომერციული ბანკების უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო, სადებოზიტო და სარეზერვო ანგარიშებზე დარიცხვის წესიც. აღნიშნული ნაბიჯი, თავის მხრივ, დადებითად აისახა მთლიანი დაკრედიტებისა და, შედეგად, ეკონომიკური აქტივობის ზრდაზე, თუმცა, როგორც ქვევით არის ახსნილი, ლარიზაციის ტრენდი შეანელა.

დედოლარიზაციის 2017 წელს გააქტიურებული ტენდენცია 2019 წლის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა, რაც შესამჩნევი იყო როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების, ასევე დეპოზიტების სტატისტიკაში. თუმცა, წლის მეორე ნახევარში, ნომინალური ეფექტური კურსის გაუფასურებისა და გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, მთლიანი დეპოზიტების დედოლარიზაციის ტემპი შენედა და დეკემბერში, წინა თვეებთან შედარებით, დეპოზიტების დოლარიზაცია მცირედით გაიზარდა კიდევ. მთლიანობაში, წლის განმავლობაში დეპოზიტების დოლარიზაცია 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 64.1 პროცენტს გაუტოლდა. შემცირებული სარეზერვო მოთხოვნების

ფონზე, უცხოური ვალუტით დაკრედიტება დაჩქარდა და, შედეგად, წლის ბოლოსკენ სესხების დოლარიზაცია გაიზარდა. მთლიანობაში, 2019 წლის განმავლობაში სესხების დოლარიზაცია, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 3.3 პპ-ით შემცირდა და დეკემბერში 55.1 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელს, ის 2019 წლის განმავლობაში 49.4 პროცენტიდან 42.8 პროცენტამდე შემცირდა.

საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიზნით, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესებაზე. 2019 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის კომუნიკაცია კიდევ უფრო აქტიური გახდა, ვინაიდან განისაზღვრა კომუნიკაციის ახალი არხები და გზები, რომლებიც მონეტარული და საზედამხედველო პოლიტიკის მიმართულებით ეფექტიან კომუნიკაციას უზრუნველყოფდა. ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა იმას, რომ საზოგადოებისთვის გასაგები ყოფილიყო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და მოსალოდნელი შედეგები, ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა და ამ პოლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე. წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე მუშაობას, რომელიც, ძირითადად, საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და ინფლაციური მოლოდინების მართვისკენ იყო მიმართული.

აღსანიშნავია, რომ, გასული წლების მსგავსად, 2019 წელს ეროვნული ბანკი განარძობდა მონეტარული პოლიტიკის ანგარიშისა და მოკლე ვიდეორგოლების გამოქვეყნებას, რომლებშიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ძირითად აქცენტებს ანგარიშში გამოქვეყნებული ანალიზის მნიშვნელოვან ნაწილზე აკეთებს. ასევე, წლის მანძილზე, ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში, ჩანაწერის სახით, თავსდებოდა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის პრეზენტაცია, რომელსაც ანალიტიკოსები, დარგის სპეციალისტები და მედიის წარმომადგენლები ესწრებიან. ეროვნული ბანკი, საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის დროულად მიწოდების მიზნით, ოპერატიულად ავრცელებდა პრესრელიზებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რეგულარულად მართავდა

პრესკონფერენციებს, კონფერენციებს, ბრიფინგებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და შეხვედრებს შესაბამის თემებზე. საზოგადოებასთან ურთიერთობა წარიმართებოდა როგორც მასობრივი ინფორმაციის, ისე კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით. ტარდებოდა პერიოდული შეხვედრები ბექდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებთან. ამ თვალსაზრისით, სხვა წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ აპრობირებული პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობდა ელექტრონული და ბექდვითი გამოცემებისა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების მეშვეობით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაეხადა ინფორმაცია ფულად და სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ, წარმოეჩინა საკუთარი ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით და აეხსნა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მოტივები. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემათა ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე¹.

2019 წელს, მიუხედავად გამოვლენილი შოკისა და გაზრდილი რისკებისა, ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი საგარეო მოთხოვნამ შეიტანა. კერძოდ, ზაფხულში რუსეთის მხრიდან საჰაერო მიმოსვლის აკრძალვის შედეგად, საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლები დაბალი ტემპით გაიზარდა, მაშინ როდესაც ამ აკრძალვამდე, სწრაფი ტემპებით მატულობდა. საქონლის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები და გადმორიცხული ფულადი გზავნილები ზომიერად, იმპორტი კი შედარებით სუსტად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში საქართველოს კონკურენტუნარიანობის მატება საგარეო მოთხოვნის ზრდაზე და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე გავლენას შემცირების მიმართულებით ახდენდა. ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანაში ასევე მნიშვნელოვანი იყო. ყოველივე ამის შედეგად, 2019 წელს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 5.1 პროცენტი შეადგინა, რაც საქართველოსთვის ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 2019 წელს მშპ-ს 2.3 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და მშპ-ს 21.1 პროცენტი შეადგინა. საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლების დაბალი ზრდის (1.4 პროცენტი) ფონზე, მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტი შემცირდა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესებაზე უარყოფითად იმოქმედა. 2019 წელს მიმდინარე

ანგარიშის უფრო მეტად გაუმჯობესება პირველადი შემოსავლის დეფიციტის მატებამ (2.8 პროცენტი) შეაფერხა, რაც, ძირითადად, სანვრისტიციო შემოსავლის გადინებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ კვლავ მაღალი იყო როგორც გაცემული დივიდენდების, ისე რეინვესტირებული შემოსავლების მოცულობა, რაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე ზრდის მიმართულებით მოქმედებდა. როგორც აღვნიშნეთ, 2019 წლის განმავლობაში საქონლის ექსპორტი ზომიერად გაიზარდა. ექსპორტის უფრო მეტად ზრდა, გარკვეულწილად, თურქეთის ეკონომიკაში არსებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიძნელეებმა შეაფერხა, რაც საქართველოდან იმპორტზე მოთხოვნის კლებაში აისახა. წლის მეორე ნახევარში საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპი დაჩქარდა და საბოლოოდ, წლიურად 12.2 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა. რაც შეეხება იმპორტს, ის 2019 წლის პირველ ნახევარში მცირდებოდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში ზომიერი ზრდა აჩვენა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტი წლიურად 1.9 პროცენტით გაიზარდა. შედეგად, წმინდა ექსპორტი გაიზარდა და მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო.

2019 წელს, წინა წლების მსგავსად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყარო კვლავ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო. საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1.3 მლრდ აშშ დოლარი (მშპ-ს 7.1 პროცენტი) შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 0.2 პროცენტით მეტია. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების უდიდესი ნაწილი საფინანსო, ენერჯეტიკისა და სასტუმროები-რესტორნების სექტორებში განხორციელდა. წინა წელთან შედარებით, ინვესტიციები უმეტესად გაზრდილია სასტუმროები-რესტორნების, ენერჯეტიკისა და ჯანმრთელობის დაცვა-სოციალური დახმარების მიმართულების დარგებში.

წლის მეორე ნახევარში გამოკვეთილი საგარეო რისკების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს მაღალი აქტივობით ხასიათდებოდა და, წინასწარი მონაცემებით, 5.1 პროცენტით გაიზარდა. მაღალ ეკონომიკურ აქტივობას, თავის მხრივ, მაღალი საკრედიტო აქტივობა და ფისკალური სტიმული, მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით, განაპირობებდა. ზრდაში უდიდესი წვლილი, 4.2 პროცენტული პუნქტი (პპ), მომსახურებაზე, ხოლო ინდუსტრიულ დარგებზე 1.0 პპ მოდიოდა. სოფლის მეურნეობის წვლილმა უარყოფითი 0.1 პპ შეადგინა. სექტორების ჩრილში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთა-

1 <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=308>

ვარი მამოძრავებელი, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, მშენებლობა იყო. მთავრობის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვნად იყო გააქტიურებული, თუმცა ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური გავლენა სამოქალაქო მშენებლობასაც ჰქონდა. საბოლოოდ, მშენებლობა 4.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მისმა წვლილმა ეკონომიკურ ზრდაში 0.3 პპ შეადგინა. ამავე დროს, სოფლის მეურნეობაში კლება დაფიქსირდა.

2019 წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი სავალუტო პოლიტიკას მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმში ახორციელებდა, რაც ეროვნულ ვალუტაზე ფასწარმოქმნის საბაზრო პრინციპების შენარჩუნებას გულისხმობს. ამავე დროს, სავალუტო პოლიტიკის გატარებისას, ეროვნული ბანკი ითვალისწინებდა საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურ დონეზე შენარჩუნების ამოცანასაც. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების ადეკვატური დონე, განსაკუთრებით მაღალი დოლარიზაციის ქვეყნებში, საგარეო შოკებისადმი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს და ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი შემადგენელია. ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა ითვალისწინებს ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონების საშუალებით მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში: თუ ადგილი აქვს ქარბი კაპიტალის დროებით შემოდინება-გადინებას, რომელიც კურსის მკვეთრ მოკლევადიან რყევას გამოიწვევს; საერთაშორისო რეზერვების შესავსებად; სახელმწიფო საგარეო ოპერაციების დასაბალანსებლად; არაფუნდამენტური, ერთჯერადი ფაქტორების შედეგად გაცვლითი კურსის ქარბი მერყეობით შექმნილი ინფლაციური მოლოდინების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად.

2019 წლიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ახალი ინსტრუმენტი - სავალუტო ოფციონები - აამოქმედა. სავალუტო ოფციონი არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს აძლევს უფლებას (და არა ვალდებულებას) ვალუტის გადაცვლა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს. საქართველოს ეროვნული ბანკი 2019 წლის თებერვალ-აპრილის თვეებში კომერციულ ბანკებს სთავაზობდა ერთი თვის ვადიანობის სავალუტო ოფციონს ლარის ყიდვის უფლებით. ამ ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს უფლება ჰქონდათ ეყიდათ ლარი უცხოური ვალუტით (აშშ დოლარით) ეროვნული ბანკისგან წინასწარ განსაზღვრული

ვადის ამოწურვამდე, ხოლო ეროვნული ბანკი ვალდებული იყო შესაბამისი ოდენობის ლარი მიეწოდებინა. 2019 წლის პირველ ნახევარში სავალუტო ბაზარზე პოზიტიური მოლოდინებით გამოწვეული ლარის კურსის გამყარება აღინიშნებოდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში რუსეთის ტურისტულმა ემბარგომ და მასთან დაკავშირებულმა ნეგატიურმა მოლოდინებმა ლარის კურსზე მნიშვნელოვანი ზეწოლა გამოიწვია. შესაბამისად, თუ წლის დასაწყისიდან 6 თვის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონებისა და სავალუტო ოფციონების საშუალებით 216 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, აგვისტო-ნოემბერში, ინფლაციურ პროცესებზე დამატებით ზეწოლის შემცირების მიზნით, 92.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. საანგარიშო წელს სავალუტო აუქციონებით წმინდა შესყიდვებმა 72.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში კი სავალუტო აუქციონებისა და სავალუტო ოფციონების ინსტრუმენტით 2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა 123.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რომლისთვისაც ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით ეროვნული ბანკი ამ რისკების შემცირების საპასუხო პოლიტიკას შეიმუშავებს, რითაც ხელს უწყობს ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას. 2019 წელს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს ამოქმედების შედეგად, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინანსური სტაბილურობის რისკების შემცირების თვალსაზრისით დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა. კერძოდ, უმჯობესდება მომსახურების და უზრუნველყოფის კოეფიციენტები და, შედეგად, მცირდება მაღალი საკრედიტო ტვირთით გაცემული სესხები, რომლებიც მოსახლეობისთვის ფინანსური პრობლემების მთავარი წყარო იყო. ამასთან, ფიზიკური პირების დაკრედიტებაში იზრდება ლარით გაცემული სესხების წილი, რაც მოსახლეობის მეტ დაცულობას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დამკვიდრებით, ხელი შეეწყო სესხების გადამისამართებას უფრო პროდუქტიულ სექტორებში, როგორებიცაა მცირე და საშუალო მწარმოება (SME) და სხვა ბიზნეს სესხები. რაც შეეხება დაკრედიტების დინამიკას, წლის დასაწყისიდან, ფიზიკური პირების დაკრედიტების რეგულაციის ამოქმედების შედეგად, სესხების ზრდა მოსალოდნელი შენელების ტენდენციით

ხასიათდებოდა. აღსანიშნავია, რომ სესხების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან გრძელვადიან ტრენდს კვლავ აჭარბებდა, რაც გასულ პერიოდებში ჭარბ საკრედიტო ზრდასა და გაცვლითი კურსის ეფექტს ასახავდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის შეფასებით, არსებული ტენდენციით საკრედიტო ზრდა საშუალოვადიან პერიოდში მდგრად დონეს დაუახლოვდება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, ფინანსური სისტემისთვის დოლარიზაციასთან დაკავშირებული რისკები კვლავაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. უცხოური ვალუტის სესხებს, ერთი მხრივ, თან ახლავს გაცვლითი კურსის რისკი, ხოლო მეორე მხრივ, საპროცენტო რისკი, რომელიც განსაკუთრებით საგულისხმოა მსოფლიო ბაზრებზე აშშ დოლარსა და ევროზე საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ზრდის გათვალისწინებით. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები სუვერენული რისკ-პრემიის ფაქტორიც, რომელიც, ფინანსური კრიზისის შემდგომ ისტორიულად დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში, მნიშვნელოვნად შემცირდა. აღნიშნული სავალუტო საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს დამატებითი კაპიტალის ბუფერის დაცვას სთხოვს. ასევე, ეროვნული ბანკი ფინანსურ ინსტიტუტებს მიუთითებს სესხების ფასდადებისას სათანადოდ შეაფასონ და გაითვალისწინონ უცხოური ვალუტის საპროცენტო რისკები.

ქმედითი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულები მაკროპრუდენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგია შეიმუშავა და 2019 წლის 18 სექტემბერს გამოაქვეყნა. სტრატეგია ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის განხორციელების ძირითად პრინციპებს ასახავს და გადაწყვეტილების მიღების პროცესის, კომუნიკაციისა და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. სტრატეგია ევროპის სისტემური რისკის კომიტეტის რეკომენდაციებსა (ESRB/2013/1) და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას იზიარებს და ევროკავშირის დირექტივებთან თავსებადია.

2019 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის ყოველწლიურად გამოცემა განაახლა. ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის განახლებული ვერსია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა.

ანგარიში მომავალზე ორიენტირებულ მაკროფინანსურ ანალიზზეა დაფუძნებული და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ითვალისწინებს. ანგარიშში წარმოდგენილია ფინანსურ სისტემაში არსებული მოწყვლადობისა და რისკების შეფასება საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის ფინანსური სექტორის სტრუქტურული მახასიათებლებისა და საქართველოს ეკონომიკის იმ ასპექტების გათვალისწინებით, რომლებიც ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, ასევე, მოიცავს ადგილობრივი ფინანსური სისტემის მდგრადობის ანალიზს და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ ღონისძიებებს დეტალურად და სიღრმისეულად აღწერს.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩარჩოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სტრეს-ტესტები. საქართველოს ეროვნული ბანკი, სსფ-ს ტექნიკური მისიის მხარდაჭერით, აქტიურად მუშაობს სტრესტესტების მოდელის განვითარებაზე. სტრესტესტების მთავარი მიზანი ბანკების უარყოფითი შოკების მიმართ მდგრადობის შეფასებაა. აღნიშნული ინსტრუმენტი ცენტრალურ ბანკებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ შოკის მიტიგაციის გზები და შეიმუშაონ პოლიტიკა, რომელიც სტრესულ პირობებში ფინანსური შუამავლების შეუფერხებელ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს და ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებას უწყობს ხელს.

ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია მდგრადი საფინანსო სისტემა. 2019 წელს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების კუთხით ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის გამოქვეყნება წარმოადგენდა. საქართველოს მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და IFC-ის მხარდაჭერით შექმნილ მდგრად საბანკო ქსელთან (SBN) თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის აერთიანებს ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას, რომელთა განხორციელებაც ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით მომდევნო სამი-ოთხი წლის განმავლობაში დაგეგმილი. გზამკვლევის მთავარი მიზანია, შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის მოამზადებს. ასევე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა OECD-თან თანამშრომლობით, შეიმუშავა ESG საკითხების გამჟღავნებისა და

ანგარიშგების პრინციპები, რომელთაც გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების გამჟღავნების შაბლონი ახლავს თან. მათი მიზანია ფინანსურ ინსტიტუტებს კორპორაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაში დაეხმაროს და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების თანმიმდევრულ და შესაძარის გამჟღავნებას შეუწყოს ხელი. 2019 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა (IFC) და მდგრად საბანკო ქსელთან (SBN) თანამშრომლობით, მდგრადი დაფინანსების კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციაზე მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, ეროვნულმა ბანკმა 2019 წლის ბოლოს მდგრადი დაფინანსების სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომლის წევრები ფინანსური სექტორის წარმომადგენლები არიან. სამუშაო ჯგუფის მიზანია მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის მიხედვით გათვალისწინებულ ღონისძიებებში დაინტერესებული მხარეების ადრეულ ეტაპზე ჩართვა და, შესაბამისად, სამოქმედო გეგმის წარმატებულად განხორციელების უზრუნველყოფა.

საქართველოს ეროვნული ბანკისთვის 2019 წელი აქტიური იყო საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწისა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიმართულებითაც. ეროვნული ბანკი თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას აგრძელებს, როგორც ეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოციაციის შეთანხმებით არის განსაზღვრული. ეროვნული ბანკი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის არსებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების საზედამხედველო პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის სტანდარტებისა და მოთხოვნების ანალიზსა და დანერგვაზე აქტიურად მუშაობს, რომელიც, თავის მხრივ, ბაზელ III-ის სტანდარტებს ეფუძნება.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა. არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 88.3 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში - 86.6 პროცენტს შეადგენდა.

2019 წლის ბოლოს საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 32 მილიარდ ლარი შეადგინა და გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე მისი წლიური ზრდა 16.3 პროცენტი იყო. წლის განმავლობაში დეპოზიტები 3.2 მლრდ

ლარით (14.0 პროცენტი, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 9.1 პროცენტი) გაიზარდა და დეკემბრისათვის 26 მლრდ ლარი შეადგინა.

მიმდინარე პერიოდში საბანკო სისტემის გამონვევების არასრული სია მოიცავს: არაჰეჯირებული მსესხებლებისათვის უცხოური ვალუტით გაცემული სესხების გამო ვალის გაზრდილ ტვირთს; მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის ქარბვალთანობას; მძაფრ კონკურენციას ბიზნეს და იპოთეკურ დაკრედიტებაში პროდუქტებზე ფასდადების არასრულყოფილი მოდელების ფონზე; კიბერ რისკებსა და თაღლითობებს სისტემის მასშტაბით; ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არარეგულირებადი ფინანსური შუამავლობის პოტენციურ ზრდას; რეგიონში არსებულ საფრთხეებს.

საქართველოს საბანკო სისტემა 2019 წლის ბოლოსათვის კვლავაც ინარჩუნებდა კაპიტალის ადეკვატურ დონეს, ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში. ამასთანავე, ეროვნული ბანკი პოზიტიურად აფასებს კაპიტალის ზრდის რესურსებს, როგორც აქციონერთა სიძლიერის, ისე მომგებიანობის კუთხით.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 32 მილიარდ ლარს მიაღწია. საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. 2019 წლის მანძილზე პროციკლური სექტორების წილი საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელში მცირედით გაიზარდა, ძირითადად უძრავი ქონების მენეჯმენტისა და უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორების ხარჯზე.

საქართველოს საბანკო სისტემის სავალუტო რისკის მიმართ მგრძობელობა მაღალი რჩება. საშუალოვადიან პერიოდში ლარიზაცია მზარდია, თუმცა უცხოური ვალუტის აქტივ-ვალდებულებების წილი კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება. ეროვნული ბანკი ახორციელებს საპროცენტო რისკის ფორმების მონიტორინგს, რომლის შედეგების მიხედვით, საპროცენტო რისკი სისტემის დონეზე დაბალ ნიშნულზეა.

2019 წელს საბანკო სისტემაში წმინდა საპროცენტო მარჟა და არასაპროცენტო შემოსავლები შემცირდა. წმინდა საპროცენტო მარჟის შემცირება, ძირითადად, სესხებზე შემცირებულ საპროცენტო განაკვეთებს უკავშირდება. თუმცა, ზრდისა და მასშტაბის გამო ეფექტიანობის ზრდამ, ასევე, აქტივების ხარისხის გაუმჯობესებამ და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების შემცირებამ, მომგებიანობაზე პოზიტიურად იმოქმედა. გასული წლის მეორე ნახევარი

უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე მასშტაბური ფასდაკლების აქციებით გამოირჩეოდა და საპროცენტო განაკვეთი ისტორიულ მინიმუმზე ჩამოვიდა. კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთები, რისკების გათვალისწინებით, ჩვენი რეგიონის ბაზრებისთვის არაადეკვატურად დაბალია. საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვნად შემცირების ძირითადი მიზეზი საკრედიტო ბაზარზე არსებული გამძაფრებული კონკურენციაა, რამაც შემდგომში, შესაძლოა, ცალკეული ბანკების საბაზრო პოზიციები შეარყიოს ან მათ ზედმეტი რისკების ალებისკენ უბიძგოს.

2019 წლის განმავლობაში გარკვეული მერყეობებით ხასიათებოდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), რაც მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის მიმართულებით თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს და ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას იძლევა. LCR-ის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პრუდენციული ზედამხედველობა და ხელი შეუწყო ვალდებულებების დაგროვებადთან, მათ შორის, გამოუთხოვადი სადეპოზიტო სერტიფიკატების პროდუქტის განვითარებას.

გრძელვადიანი ლიკვიდობის რეგულირების გასაუმჯობესებლად, 2019 წლის სექტემბრიდან წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) დაინერგა, რის შემდეგაც 2020 წლიდან გაუქმდება ლიკვიდობის არსებული მოთხოვნა (მოკლევადიანი ვალდებულებების 30 პროცენტი) და ის მხოლოდ მონიტორინგის მიზნით იქნება გამოყენებული. შედეგად, დღეს ლიკვიდობის რისკის საზედამხედველო ჩარჩო ბაზელის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია.

ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკისთვის, ეროვნული ბანკი პრუდენციულ მიდგომას ინარჩუნებს არაჰეტიკურ მსესხებლებზე გაცემული უცხოური ვალუტის სესხებისთვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნის და ფიზიკური პირების შემთხვევაში, უფრო კონსერვატიული საკრედიტო სტანდარტების სახით. მაღალი დოლარიზაციის თანმდევი რისკების მაკროპრუდენციული ინსტრუმენტებით შერბილებისათვის გასათვალისწინებელია, რომ ბანკების ლიკვიდობის საგანგებო გეგმის, მიტიგაციის სხვა ღონისძიებების ან ეროვნული ბანკის მხრიდან მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა უცხოური ვალუტით შეზღუდულია.

გლობალური ტენდენციებისა და რეგიონის რისკებთან ერთად, ესეც უცხოური ვალუტის მინიმალური რეზერვებისა და ლიკვიდობის მაღალი მოთხოვნების აუცილებლობას ადასტურებს.

საოპერაციო რისკების მართვის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ რისკს კიბერ-რისკი და კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები წარმოადგენს. 2019 წელს კომერციული ბანკებისთვის კიბერ-უსაფრთხოების საზედამხედველო მოთხოვნები დაინერგა, გაგრძელდა მუშაობა ფინანსურ სისტემაში მონაცემთა ხარისხის ამაღლების მიმართულებით და საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კიბერ-რისკის ზედამხედველობის სტრუქტურული ერთეული ჩამოაყალიბა, რომლის უშუალო მიზანს ფინანსური სექტორის კიბერ-რისკის შესწავლა და მიტიგაცია წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სექტორში არსებული მონაცემების და ანგარიშგების ხარისხის ამაღლებას ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს. 2019 წელს აქტიურ ფაზაში შევიდა საერთაშორისო გაფართოებადი ბიზნეს-ანგარიშგების ენის (XBRL) პროექტი, რაც მონაცემთა გაერთიანებისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს წარმოადგენს.

ფინანსურ სექტორში გადაწვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტატისტიკური მოდელების გამოყენება სულ უფრო ფართო ხდება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „მონაცემებზე დაფუძნებული მოდელების რისკების მართვის შესახებ დებულების“ პროექტი შეიმუშავა. დებულების მიზანია მოდელის რისკის მართვის ჩარჩოს ჩამოყალიბებისა და მოდელის რისკის ეფექტურად მართვის ხელშეწყობა. დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინება, მისი დამტკიცების შემდეგ, ყველა ფინანსური ინსტიტუტისთვის იქნება სავალდებულო.

2019 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის აქტიური მონაწილეობით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვის ხელშეწყობაა. ღია ბანკინგი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის და სერვისების ელექტრონულად მყისიერ მიმოცვლას მოიაზრებს. ამასთან, ეროვნული ბანკი განიხილავს და აფასებს ბაზარზე ჯანსაღი სუბიექტების გამოჩენის წამახალი-

სებელ და ხელშემწყობ ფაქტორებს, რა კუთხითაც მსოფლიო ტენდენცია ფინტექ ბაზრისა და ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობაა, რაც, თავის მხრივ, ბაზარზე ჯანსაღ კონკურენციულ სტიმულებს წარმოშობს.

ბოლო ორ წელიწადში არასაბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულმა ძირეულმა ცვლილებებმა ამ სექტორის რისკები მნიშვნელოვნად შეამცირა. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო როგორც რეგულირებად სექტორს, ასევე, ბაზრის იმ სეგმენტს, რომლებიც წლების განმავლობაში საფინანსო საქმიანობას რეგულირების გარეშე ეწეოდნენ. აღნიშნული, ფინანსურ სტაბილურობასთან ერთად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, შეთავაზებული მომსახურების ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2018 წელს დამტკიცებულ იქნა „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი“, რითაც 2019 წლიდან, ზედამხედველობას დაექვემდებარა ყველა სუბიექტი, რომელთა მიმართაც 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება გააჩნდა. ამასთანავე, 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება“, რომლის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება არასაბანკო სექტორის ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციასაც დაეკისრა, რაც ამ სექტორში პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, 2019 წელს შესაბამის ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ სუბიექტებს გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონების, მათ მიერ აღებული ნებისმიერი სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საგნად გამოყენება აეკრძალათ. აღნიშნული მიზნად ისახავდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად დაკრედიტების სტანდარტების გაუმჯობესებას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორი წარმოდგენილი იყო 48 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით, 204 სესხის გამცემი სუბიექტით, 650 ვალუტის გადამცვლელი პუნქტითა და 2 საკრედიტო კავშირის სახით.

არასაბანკო საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივები 2 მლრდ ლარამდეა (სადაც უდიდესი წილი მიკროსაფინანსო სექტორს ეკუთვნის - 1.4 მლრდ ლარი) და მთლიანი საფინანსო სექტორის თითქმის 4 პროცენტს შეადგენს. 2019 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებისა და ფიზიკური პირების დაკრედიტების ახალი სტანდარტების დაწესების მიუხედავად, მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელმა ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა და წლიურმა ზრდის ტემპმა 3 პროცენტი შეადგინა.

ბოლო წლებში შესამჩნევია სავალლო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა. ბოლო 5 წლის განმავლობაში, ადგილობრივი სახაზინო და კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზომა დაახლოებით 14-ჯერ გაიზარდა, რაც, შესაბამისად, წლიურ 31 და 69 პროცენტთან ზრდას წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ კაპიტალის ბაზრის ზრდის ტენდენციას ასევე საპენსიო რეფორმაც დაეხმარება, რაც, თავის მხრივ, უპრეცედენტო მასშტაბის გრძელვადიანი დაფინანსების ინსტრუმენტს წარმოადგენს. საქართველოს კაპიტალის ბაზრის სამომავლო წარმატებაში ასევე დიდ როლს ითამაშებს მიმდინარე რეფორმა, რომლის ფარგლებშიც ეტაპობრივად განახლდება შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა და რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ. 2019 წელს დასრულდა საკანონმდებლო ჩარჩოს პროექტები, რომლებიც საინვესტიციო ფონდებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი პრინციპების ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას უზრუნველყოფენ.

2018 წელს განხორციელებული საპენსიო რეფორმის შედეგად, საქართველოს ეროვნულ ბანკს კიდევ ერთი ფუნქცია - საპენსიო სააგენტოს ზედამხედველობა - დაემატა. საპენსიო სააგენტომ საპენსიო სქემის მონაწილეთა თანხების შეგროვება და ადმინისტრირება 2019 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობას საინვესტიციო საბჭო უზრუნველყოფს, რომლის ხუთკაციანი შემადგენლობა საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 11 მაისს დაამტკიცა. კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, საინვესტიციო საბჭო პასუხისმგებელია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის მოცულობამ 507 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა წლის განმავლობაში აკუმულირდებოდა კომერციულ ბანკებსა

და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. 2019 წლის განმავლობაში მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულმა სარგებელმა ჯამურად 17 მილიონი ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 7.5 პროცენტი წლიური ამონაგების ტოლფასია.

2019 წლის განმავლობაში, საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს წევრებსა და ბაზრის მონაწილეებთან აქტიურად განიხილებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი ჩარხო, რომელიც საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. მარეგულირებელი ჩარხისა და საზედამხედველო მიდგომების შემდგომი დახვეწის და საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, 2019 წლის დეკემბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი საპენსიო ფონდების ზედამხედველების საერთაშორისო ორგანიზაციის მმართველი წევრი (Governing Member of The International Organization of Pension Supervisors, IOPS) გახდა. IOPS-ის წევრობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც ეროვნულ ბანკს სხვა წევრი ქვეყნების მიერ საპენსიო ფონდების რეგულირების სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას მისცემს.

საპენსიო და, ზოგადად, გრძელვადიანი დანაზოგების აკუმულირებას მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. გრძელვადიანი და განჭვრეტადი დანაზოგები ხელს უწყობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ზრდას, ასევე, კაპიტალური ბაზრების განვითარებას. ამ მხრივ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში საპენსიო სააგენტო მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს, როგორც ინსტიტუციური მოთამაშე, და საქართველოში ფინანსური სექტორის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

წინა წლების მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემად რჩება. აღნიშნული მიმართულებით, წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულ ბანკში აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი და აქტივობა. მათ შორის, მიმდინარეობდა მუშაობა მოქმედი საკანონმდებლო ჩარხის დახვეწისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. აღნიშნული, ასევე, მოიცავდა ინდუსტრიასთან კონსულტაციებსა და სამუშაო შეხვედრებს. ასევე ტრენინგებს ფინანსური სექტორის წარმომადგენლებისა და პრაქტიკოსი მოსამართლეებისთვის. 2019 წე-

ლი ფინანსური განათლების მიმართულებითაც ღონისძიებების მრავალფეროვნებითა და სიმრავლით გამოირჩეოდა: ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლებისა და ჩართულობის ფართომასშტაბიანი განმეორებითი კვლევა; სკოლებში დაიწყო განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება, სადაც ფინანსური განათლების საკითხები პირველად არის ინტეგრირებული საგანში „მოქალაქეობა“; აღნიშნული საგნის პედაგოგთა შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მომზადდა მასწავლებლის გაამკვლევი, ტრენინგ-მოდული და დაიგეგმა ტრენინგები; მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსური განათლების პროგრამის მასშტაბის ზრდის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ტრენინგების ციკლი საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის დაინტერესებული ორგანიზაციების ტრენინგებისთვის, რომლებმაც, თავის მხრივ, პროგრამა თავიანთი ბენეფიციარი მეწარმეებისთვის გახადეს ხელმისაწვდომი; ტრადიციულად, პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით აღნიშნა ყოველწლიური ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები - ფულის გლობალური კვირეული, მსოფლიო დაზოგვის დღე და ინოვაციების ბანაკი; ასევე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უმასპინძლა მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციას და სამუშაო შეხვედრებს, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელისა (OECD/INFE) და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროს ტექნიკური დახმარების ხუთწლიანი პროექტის ფარგლებში განხორციელდა და რომლის მიზანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ფინანსური განათლების ხელშეწყობა იყო.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. 2019 წლის 1 იანვრიდან „საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო ჩარხო“ ამოქმედდა, რომლის მიზანს ეფექტიანი, რისკზე ორიენტირებული საზედამხედველო პროცესის ორგანიზება, ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიდგომის გამჭვირვალობის გაზრდა და საზედამხედველო ქმედებების მიმართ სწორი მოლოდინების შექმნა წარმოადგენს. საზედამხედველო ჩარხის მიხედვით, საზედამხედველო ყურადღების დონეები და რისკის შესაბამისი, ეფექტიანი საზედამხედველო ღონისძიებები განისაზღვრა.

2019 წლის განმავლობაში განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებები მოიცავდა როგორც კომპლექსურ, ისე თემატურ, სპეციალურ და საკონტროლო ტიპის ადგილზე შემოწმებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გამოვლენილი დარღვევების გამოსწორებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დისტანციური (ე.წ. „follow-up“) ტიპის შემოწმებები დანერგა და მოცემულმა საზედამხედველო ღონისძიების გამოყენებამ საქართველოს ეროვნულ ბანკის საზედამხედველო რესურსების კიდევ უფრო ეფექტიან გადანაწილებას და ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ეტაპობრივ ამბავებს შეუწყო ხელი.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ საგადახდო სისტემები დინამურად ვითარდება და უფრო უსაფრთხო და ეფექტური ხდება. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ეროვნული საგადახდო სისტემა იხვეწება და იზრდება მასში მონაწილე სუბიექტების რაოდენობაც. საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფასა და საგადახდო ინფრასტრუქტურის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმისთვის, რომ ბაზარმა თანამედროვე ტენდენციებს ფეხი აუწყოს და ინოვაციური პროდუქტების დანერგვას მხარი დაუჭიროს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი საგადახდო მომსახურების შესახებ მეორე დირექტივის (PSD2 - Directive (EU) 2015/2366 on payment services) დანერგვაზე მუშაობს. 2019 წელს, პოლონეთისა და ლიეტუვის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებსა და ფინანსური ბაზრის ზედამხედველებთან თანამშრომლობით, საქართველოს საგადახდო კანონმდებლობის აღნიშნულ დირექტივასთან შესაბამისობის ანალიზი მიმდინარეობდა. მომზადდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომლებიც საგადახდო მომსახურების გაწევისას პროვაიდერების, მომხმარებლებისა და მომსახურებაში ჩართული სხვა მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს. აღნიშნული ცვლილებები მომხმარებელთა უფლებების დაცვას შეუწყობს ხელს, გაზრდის

გამჭვირვალობას და ამბავებს საგადახდო მომსახურებისა და საგადახდო სისტემების სანდოობას და საიმედოობას. ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოებაზე მუშაობა 2020 წელსაც გაგრძელდება.

გასული წლის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციული სისტემა სტატისტიკის პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწის, გაფართოების და შემდგომი განვითარების მიმართულებით. შემუშავდა და რეალურ გარემოში გაეშვა მონაცემთა რამდენიმე ოჯახი, რისი აუცილებლობაც სისტემის გაფართოებამ და მასში განსხვავებული ტიპის მონაცემთა ოჯახების დამატებამ განაპირობა. აღნიშნული სისტემა ფინანსური ინსტიტუტებიდან ინფორმაციის მოპოვების, ხარისხის კონტროლისა და დამუშავების სტატისტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფას წარმოადგენს, რომლის მონაცემებზეც BI²-ის ინტერაქტიული რეპორტები აიწყო. აღნიშნული, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ცხრილების ავტომატურად განახლებადი, ინტერაქტიული და ანალიტიკური ინფორმაციით ეტაპობრივად ჩანაცვლების საშუალებას იძლევა.

ქვეყნის ეკონომიკისათვის ნაღდი ფულის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი ფულის ნიშნების დამზადების, შემოტანის, შენახვისა და ემისიის მიმართულებით აქტიურად მუშაობდა. მიმდინარეობდა მუშაობა მიმოქცევაში არსებული ბანკნოტებისა და მონეტების ხარისხის ამბავების, საემისიო ლარის ბანკნოტების/მონეტებისა და მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნების დადგენილი წესით დამუშავების, ექსპერტიზის საქმიანობის გაუმჯობესების, მიმოქცევისთვის უვარგისი ლარის ბანკნოტების დანერგვაზე და სამართლებრივი ბაზის დასახვეწად.

ამასთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარობის მიზნით, საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვების მიმართულებით მუშაობას განაგრძობდა. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკოლექციო დანიშნულების 5 სახეობის მონეტა გამოუშვა, რასაც საზოგადოებისაგან დადებითი გამოხმაურება ჰქონდა. კერძოდ, მონეტები მიედღვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) 100-ე წლისთავის აღსანიშნავად.

2 მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის პლატფორმა

მენტის) 100 წლის საიუბილეო თარიღს, ქართული საფოსტო მარკის გამოშვებიდან 100 წელს, 2019 წლის შემოდგომაზე იაპონიაში გამართულ რაგბის რიგით მე-9 მსოფლიო თასს, საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს, ევროპის საბჭოს დაარსებიდან 70 წლის და საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებიდან 20 წლის გასვლას.

2019 წლის მაისში, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელშეწყობითა და თანაორგანიზებით, საქართველომ, რეგიონის მასშტაბით პირველად, ორგანიზაცია "Currency Research"-ის მიერ გამართულ სემინარს "The Europe Cash Circle Seminar" (ICCOS EUROPE) უმასპინძლა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში თბილისს ორმოცამდე ქვეყნიდან ცენტრალური ბანკების, ფულის ნიშნების დამამზადებელი საწარმოებისა და ნაღდი ფულის მართვის სფეროში სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესტუმრნენ.

2019 წელს აქტიურად გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარებისა და სრულყოფა-განახლების პროცესი. საქართველოს ეროვნული ბანკის ავტორობით, შემუშავდა და ძალაში შევიდა მნიშვნელოვანი კანონების პროექტები. კერძოდ, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა სარეზოლუციო მანდატი, შეიქმნა სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივი მექანიზმი, შესაბამისი ინსტრუმენტები და კრიზისული სიტუაციების მართვის ზომები, რაც ეროვნულ ბანკს, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შესაძლებლობას მისცემს კრიზისულ სიტუაციებში უზრუნველყოს ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება, რომლის ფარგლებშიც მას კომერციული ბანკის კრიტიკული ფუნქციების შენარჩუნება და დეპოზიტართა ინტერესების უკეთ დაცვა შეეძლება.

2019 წლის განმავლობაში სტაბილური მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს შენარჩუნების ძალისხმევა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებულ შეფასებაშიც აისახა. კერძოდ, საერთაშორისო სარე-

იტინგო კომპანიამ "Standard&Poor's"-მა (S&P) საქართველოს სუვერენული რეიტინგი "BB" დონემდე ასწია სტაბილური პერსპექტივით. ასევე, მეორე დიდმა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Fitch Ratings“-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“-დან „BB“-მდე გაზარდა. ამას წინ უძღოდა 2017 წელს სარეიტინგო კომპანია Moody's-ის მიერ საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის Ba2-მდე ზრდა. საერთაშორისო რეიტინგების გაუმჯობესება კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნესგარემოზე. რეიტინგის გაუმჯობესება განპირობებულია იმ წარმატებებით, რომლებსაც საქართველომ ბოლო პერიოდში მიაღწია. კერძოდ, საგარეო რისკების ზრდის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდა ძლიერი იყო; გრძელდებოდა მცურავი გაცვლითი კურსის მხარდაჭერა, რამაც, თავის მხრივ, ბოლო წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებმა დადებითად შეაფასეს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო რეზერვების დაგროვებისაკენ მიმართული ღონისძიებები; ეს ქვეყნის საგარეო ბუფერებს აძლიერებს და საერთაშორისო ინვესტორებისთვის პოზიტიურ სიგნალებს აგზავნის.




მსოფლიოს წამყვანმა ფინანსურმა გამოცემამ, Global Finance-მა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე 2019 წლის ცენტრალური ბანკების საუკეთესო მმართველთა შორის დაასახელა. საერთაშორისო ავტორიტეტული გამოცემა - Global Finance - ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, ცენტრალური ბანკების მმართველთა შეფასებას ატარებს და წლიურ ანგარიშსაც (Central Banker Report Cards) აქვეყნებს, სადაც საუკეთესო ცენტრალურ ბანკირებს ავლენს. Global Finance-ის მიერ დაჯილდოება ფართოდ არის აღიარებული საერთაშორისო ფინანსურ საზოგადოებაში და დაჯილდოებული პირებისა და ბანკების მაღალ რეპუტაციასა და წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს. 2019 წლის Central Banker Report Cards-ში 98 ცენტრალური ბანკირი შეფასდა (94 ქვეყნის და 4 რეგიონული ცენტრალური ბანკის მმართველები) და მისი სრული ვერსია ოქტომბერში გამოქვეყნდა.



1



მაკროეკონომიკური გარემო




1. მაკროეკონომიკური გარემო

1.1 მსოფლიო ეკონომიკა

2019 წელს, მსოფლიო ეკონომიკა დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა და სსფ-ს აპრილის³ შეფასებით, გლობალური ეკონომიკური ზრდა 2.9 პროცენტით განისაზღვრა, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტითაა (პ.პ) შემცირებული და 2008-2009 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ ყველაზე დაბალი

რისთვის. მოსალოდნელზე მეტად შემცირდა ეკონომიკური აქტივობა მზარდ და განვითარებად ეკონომიკებშიც, სადაც გლობალურად გაუარესებული ვაჭრობის ფონზე საგრძნობლად შემცირდა კაპიტალის ნაკადები და ექსპორტის მოცულობა და გაუარესდა საწარმოო სექტორიც. მაღალი ფინანსური წნეხიდან გამომდინარე, ცენტრალურმა ბანკებმა მონეტარული პოლიტიკის შერბილება დაიწყეს. სსფ-ს აპრილის შეფასებით ამ ქვეყნების რეალური მშპ-ს ზრდა 2019 წელს 3.7 პროცენტი იყო, რაც წინა პროგნოზთან⁴ შედარებით 0.2 პ.პ-ით დაბალი მაჩვენებელია.

დიაგრამა N 1.1 რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

მაჩვენებელია. ზრდის ტემპის შემცირება შეიმჩნეოდა როგორც განვითარებულ, ისე მზარდ და განვითარებად ეკონომიკებში. აღნიშნული, ძირითადად, განპირობებულია სამრეწველო წარმოების გაუარესებით, გლობალურად შესუსტებული ვაჭრობით და ბიზნესგანწყობის შემცირებით, რის შედეგადაც საგრძნობლად დაეცა ინვესტიციების და ექსპორტის მოცულობა. გაუარესდა გლობალური დაფინანსების პირობებიც. ევროზონასა და დიდ ბრიტანეთში რეალური ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად შემცირდა. ჩავარდნა იყო გერმანული სამრეწველო პროდუქციის სექტორში, შემცირდა საგარეო ვაჭრობა და ინვესტიციების მოცულობა, რაშიც დიდი წვლილი ე.წ „ბრეგზითის“ ირგვლივ არსებულმა გაურკვევლობამაც შეიტანა. შიდა მოთხოვნის წახალისების მიზნით, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა (ეცბ) განაახლა რაოდენობრივი შერბილება და ხელმისაწვდომი გახდა იაფი კრედიტები საბანკო სექტორში.

2019 წელს აშშ-ს ეკონომიკური ზრდა გაუარესდა. აღნიშნული ექსპორტის და ინვესტიციების მოცულობის შემცირებითაა განპირობებული. სხვა ქვეყნების მსგავსად, საწარმოო სექტორი გაუარესდა აშშ-შიც. თუმცა, გაუმჯობესდა შრომითი პირობები, საგრძნობლად გაიზარდა ხელფასები და შემცირდა უმუშევრობის დონე. სსფ-ს აპრილის შეფასებით⁵, აშშ-ს რეალური ეკონომიკური ზრდა 2019 წელს 2.3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაცია 1.8 პროცენტი იყო. შიდა მოთხოვნის წახალისების მიზნით, წლის განმავლობაში გაიზარდა ფისკალური დანახარტები და რამდენჯერმე (3-ჯერ) შემცირდა ფედერალური ფონდების განაკვეთი.

3 International Monetary Fund. 2020. World Economic Outlook: The Great Lockdown. Washington, DC, April.

4 International Monetary Fund. 2019. World Economic Outlook: Global Manufacturing Downturn, Rising Trade Barriers. Washington, DC, October.


5 International Monetary Fund. 2020. World Economic Outlook: The Great Lockdown. Washington, DC, April.

ზრდის ტემპების შემცირება საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებშიც შეიმჩნეოდა, სადაც, ნეგატიური გლობალური გარემოს ფონზე, სამომხმარებლო და ბიზნესგანწყობა გაუარესდა. სავაჭრო ბარიერების ფონზე შემცირდა ასევე ექსპორტი და ინვესტიციების მოცულობა. 2019 წელს, ევროზონის ქვეყნებში ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი შეფერხება შეიმჩნეოდა. გერმანიაში გაუარესდა ინდუსტრიული წარმოება, ასევე შემცირდა საცალო გაყიდვები, გაუარესდა ბიზნესგანწყობა და დაეცა ექსპორტის მოცულობა. თუმცა, მთავრობის მიერ გაზრდილმა ფისკალური დანახარებებმა პოზიტიური მოლოდინები გააჩინა. სსფ-ს აპრილის შეფასებით, გერმანიის რეალური ეკონომიკური ზრდა 2019 წლისთვის 0.6 პროცენტი იყო. დაბალი ეკონომიკური აქტივობა ფიქსირდებოდა იტალიაშიც, სადაც რეალური ეკონომიკა 0.3 პროცენტით გაიზარდა. გლობალური წნეხის ფონზე, საფრანგეთის ეკონომიკა შედარებით

სავალუტო კრიზისის შემდეგ, 2019 წელი მძიმე აღმოჩნდა თურქეთის ეკონომიკისთვის, სადაც, ინვესტიციების და ექსპორტის მოცულობის შემცირებასთან ერთად, ასევე გაუარესდა საგადასახდელო ბალანსი, სამრეწველო პროდუქციის წარმოება და კერძო მოხმარება. აღნიშნულს Moody's მიერ თურქეთის საკრედიტო რეიტინგის B1 დონემდე შემცირება დაემატა. სსფ-ს შეფასებით⁷, 2019 წელს თურქეთის რეალური ეკონომიკური ზრდა 0.9%, ხოლო ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 15.2 პროცენტი იყო.

2019 წელს ზრდის ტემპების შენელება შეიმჩნეოდა რუსეთშიც, რაც გაზრდილმა ინფლაციამ და შემცირებულმა კერძო მოხმარებამ განაპირობა. ასევე გაუარესდა საგარეო ბალანსი და საწარმოო სექტორი. 2018 წელთან შედარებით ნავთობის ფასები 12 პროცენტით შემცირდა. საპასუხოდ, რუსეთ-ოპეკის შეთანხმების საფუძველზე, წლის განმავლობაში ნავთობის გა-

დიაგრამა N 1.2 სფი ინფლაცია მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

უკეთესი აქტივობით გამოირჩა. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია გაზრდილი სამომხმარებლო დანახარებებით და ინვესტიციებით, შემცირდა უმუშევრობის დონეც. სსფ-ს შეფასებით⁶, 2019 წელს საფრანგეთის ეკონომიკა 1.3 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება ესპანეთს, გაზრდილი სამომხმარებლო დანახარებების და სოლიდური წარმოების ფონზე, 2019 წელს 2-პროცენტისანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.

6 International Monetary Fund. 2020. World Economic Outlook: The Great Lockdown. Washington, DC, April.

მოშვება შეიკვეცა, რამაც ფასების მცირედით დასტაბილურება გამოიწვია. საბოლოო ჯამში, ნავთობის ექსპორტიდან შემოსავლები 7.8 მილიარდი დოლარით შემცირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 6 პროცენტით ნაკლებია. თუმცა, რუსეთშიც შიდა მოთხოვნის წახალისების მიზნით, ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა შეარბილა, ასევე გაიზარდა მთავრობის ფისკალური დანახარებები. რუსეთის რეალური ეკონომიკური ზრდა 2019

7 International Monetary Fund. 2020. World Economic Outlook: The Great Lockdown. Washington, DC, April.


წელს 1.3 პროცენტი⁸, ხოლო წლიური ინფლაცია 4.5 პროცენტი იყო.

უკრაინის ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესი 2019 წელსაც გაგრძელდა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი გაზრდილმა ერთობლივმა მოთხოვნამ და გაუმჯობესებულმა შრომითმა პირობებმა შეიტანა. ასევე გაიზარდა სამომხმარებლო და ბიზნესგანწყობა, გაუმჯობესდა

დებიტი სტიმული მისცა. სსფ-ს შეფასებით, რეალური ეკონომიკური ზრდა აზერბაიჯანში 2.3 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 2019 წელს 2.6 პროცენტი შეადგინა.

საბოლოო ჯამში, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, 0.6 პრო-

დიაგრამა N 1.3 რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

სავაჭრო ბალანსი. სსფ-ს შეფასებით, უკრაინის ეკონომიკური ზრდა 2019 წელს 3.2 პროცენტი იყო. რაც შეეხება ინფლაციას, წლიურმა მაჩვენებელმა 2019 წელს 7.9 პროცენტი შეადგინა.

2019 წელი პოზიტიური აღმოჩნდა სომხეთისთვის, სადაც გაიზარდა სამშენებლო და საწარმოო სექტორის აქტივობა, გაუმჯობესდა ბიზნეს გარემო. გაზრდილი ხელფასების ფონზე მაღალი იყო სამომხმარებლო დანახარტები. სტაბილურად მაღალი იყო ფულადი გზავნილები. სომხეთის ეკონომიკური ზრდა 2019 წელს 7.6 პროცენტი⁹ იყო, ხოლო წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 1.4 პროცენტი შეადგინა.

დადებითად შეიძლება შეფასდეს 2019 წელი აზერბაიჯანისთვისაც, სადაც მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა როგორც სანავთობო, ასევე არასანავთობო სექტორი. ამასთანავე, ფისკალური დანახარტების ზრდამ ეკონომიკას და-

ცენტული პუნქტით შემცირდა და 1.8 პროცენტი იყო, მაშინ როცა საქართველოში 5.1 პროცენტის ზრდა დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა 1.3).

გლობალურად შესუსტებული ეკონომიკური ზრდის ფონზე, 2019 წელს ცენტრალურმა ბანკებმა სხვადასხვა ქვეყნებში, საქართველოს სავაჭრო პარტნიორების ჩათვლით, შეარბილეს მონეტარული პოლიტიკა, რაც ძირითადად შიდა მოთხოვნის წახალისებისკენ მიმართული ნაბიჯი იყო. ფედერალურმა სარეზერვო სისტემამაც 2019 წელს რამდენჯერმე შეამცირა ფედერალური ფონდების განაკვეთი და 1.5-1.75 პროცენტამდე ჩამოწია. რაც შეეხება ევროპის ცენტრალურ ბანკს, მან რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი უცვლელად, 0 პროცენტის დონეზე, დატოვა, თუმცა 2019 წლის ნოემბრიდან განაახლა რაოდენობრივი შერბილება, რაც მონეტარული პოლიტიკის შერბილების ტოლფასია.

8 International Monetary Fund. 2020. World Economic Outlook: The Great Lockdown. Washington, DC, April.
9 იგივე.

1.2 საგარეო სექტორი და საბადასახდელო ბალანსი


2019 წელს საგარეო მოთხოვნამ ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ბაფხულში რუსეთიდან საჰაერო მიმოსვლის აკრძალვამ უარყოფითად იმოქმედა ტურისტულ შემოსავლებზე, ჯამურად წლის განმავლობაში მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესება დაფიქსირდა, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, კონკურენტული გაცვლითი კურსის შენარჩუნება უწყობდა ხელს. 2019 წელს საბადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 5.1 პროცენტი შეადგინა, რაც საქართველოსათვის ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა N 1.4).

გასულ წელს ლარის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსები გაუფასურდა, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა ბაფხულში განვითარებულმა მოვლენებმა მოხდინა. სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ცვლილება მნიშვნელოვანია საქართველოს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. სავაჭრო პარტნიორთა ვალუტების რეალური გამყარება აისახება ჩვენი ეკონომიკის საგარეო მოთხოვნის ზრდაზე და, შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე შემცირების მიმართულებით ახდენს გავლენას. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პირველ ნახევარში ნავთობის ფასების ზრდის ტენდენციები გამოიკვეთა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს სავაჭრო პარტნიორ

- ნავთობის ექსპორტიორ - ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობის გაზრდასა და, შესაბამისად, ქართულ ექსპორტზე მოთხოვნის მატებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქეთის ეკონომიკაში არსებულმა სიძნელებებმა საქართველოს საექსპორტო შემოსავლებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტთან შედარებით, საქონლის ექსპორტის უფრო სწრაფი ტემპებით ზრდის ფონზე, საქონლით ვაჭრობის დეფიციტი შემცირდა. წინა წლების მაღალი ზრდისგან განსხვავებით, 2019 წელს მომსახურების ექსპორტის, კერძოდ, ტურიზმის დაბალი ზრდა დაფიქსირდა, რამაც, თავის მხრივ, მცირე დადებითი ზეგავლენა მოახდინა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესებაზე. ამავდროულად, ევროკავშირის ქვეყნებსა და რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის შედარებითმა გაჯანსაღებამ ქვეყანაში ფულადი გზავნილების შემოდინების დინამიკაზე დადებითად იმოქმედა და, თავის მხრივ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას შეუწყო ხელი.


2019 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი - მშპ-ს 5.1 პროცენტი - წინა წლის მაჩვენებელზე მშპ-ს 1.7 პროცენტით ნაკლებია. აბსოლუტურ გამოხატულებაში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 292.2 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 901 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქონლით ვაჭრობის ბალანსი 2019 წელს მშპ-ს 2.3 პროცენტით (378 მლნ აშშ დოლარი) გაუმჯობესდა და მშპ-ს 21.1 პროცენტი შეადგინა. საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავ-

დიაგრამა N 1.4 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 1.5 საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება (2017-2019 წელი)¹²



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლების დაბალი ზრდის (1.4 პროცენტი) ფონზე, მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტი შემცირდა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესებაზე უარყოფითად იმოქმედა. 2019 წელს მიმდინარე ანგარიშის უფრო მეტად გაუმჯობესება შეაფერხა პირველადი¹⁰,¹¹ შემოსავლის დეფიციტის მატებამ (99 მლნ აშშ დოლარით), რაც, ძირითადად, საინვესტიციო შემოსავლის მუხლში გადინებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ კვლავ მაღალია როგორც გაცემული დივიდენდების, ასევე რეინვესტირებული შემოსავლების მოცულობა, რაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.

საქონლით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის კვლავ ყველაზე დეფიციტური კომპონენტია. თუმცა, 2019 წელს საქონლით ვაჭრობის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2.3 პროცენტით გაუმჯობესდა და მშპ-ს 21.1 პროცენტი შეადგინა. როგორც აღვნიშნეთ, 2019 წლის განმავლობაში საქონლის ექსპორტი ზომიერად გაიზარდა. ექსპორტის უფრო მეტად ზრდა, გარკვეულწილად, თურქეთის ეკონომიკაში არ-

სებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიძნელეებმა შეაფერხა, რაც საქართველოდან იმპორტზე მოთხოვნის კლებაში აისახა. წლის მეორე ნახევარში საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპი შედარებით დაჩქარდა და, საბოლოოდ, წლიურად 12.2 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა. რაც შეეხება იმპორტს, ის 2019 წლის პირველ ნახევარში მცირდებოდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში ზრდა დაიწყო. მთლიანობაში, საქონლის იმპორტი წლიურად 1.9 პროცენტით გაიზარდა. შედეგად, წმინდა ექსპორტმა მოიმატა და მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი (იხ. დიაგრამა N 1.5).

საინტერესოა ასევე გაზრდილი ექსპორტის გეოგრაფიის გაფართოება. კერძოდ, 2019 წელს ექსპორტი გაიზარდა როგორც ევროკავშირის (13.0 პროცენტი), ასევე რეგიონის ქვეყნებში. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის ზრდის კუთხით გამოირჩეოდნენ: ბულგარეთი (9.8 პროცენტი) და რუმინეთი (207.7 პროცენტი), ხოლო ნიდერლანდებსა (-38.8 პროცენტი) და ეს-

10 პირველადი შემოსავალი მიმდინარე ანგარიშის მუხლია, სადაც აღირიცხება რეზიდენტებისა და არარეზიდენტების შემოსავლები, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო პროცესებთან და ქონებასთან (მაგ. როგორცაა შრომის ანაზღაურება, საინვესტიციო შემოსავალი და ა.შ.).

11 მეორადი შემოსავალი მიმდინარე ანგარიშის მუხლია, სადაც აღირიცხება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის მიმდინარე ტრანსფერები (გარდა კაპიტალური ტრანსფერებისა), როგორცაა პირადი ტრანსფერები, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ჩარიცხული დახმარებები და გრანტები, სოციალური დახმარებები და ა.შ.


12 საგადასახდლო ბალანსის საქონლის ექსპორტი და საქონლის იმპორტი. საგარეო ვაჭრობა და საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობა განსხვავებული ცნებებია, რომლებიც განსხვავებულ კონცეფციებს ეყრდნობა. თუ საგარეო ვაჭრობისათვის განმსაზღვრელია საზღვრის გადაკვეთის პრინციპი, საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობისათვის განმსაზღვრელი პრინციპია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების უფლების ცვლილება. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ექსპორტი მოცემულია FOB ფასებში, ხოლო იმპორტი CIF ფასებში მაშინ, როცა საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობაში როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი, FOB ფასებშია მოცემული.

პანეთში (-25.8 პროცენტი) კლება დაფიქსირდა. რეგიონის ქვეყნებში ექსპორტის მატება, ძირითადად, განპირობებული იყო სომხეთში (47.9 პროცენტი), უკრაინასა (39.8 პროცენტი) და ყირგიზეთში (153.3 პროცენტი) ექსპორტის ზრდით, ხოლო თურქეთში ექსპორტი საგრძნობლად შემცირდა (-13.3 პროცენტი). ექსპორტის მატების თვალსაზრისითა და მთლიან ექსპორტში მაღალი წილით გამოირჩეოდა რუსეთი (ზრდა 13.9 პროცენტი). დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ექსპორტის მატება არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (43 პროცენტი), ჩინეთსა (14.9 პროცენტი) და თურქმენეთში (51.6 პროცენტი).

2019 წლის მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ევროკავშირის ეკონომიკაა, რომელზეც მთლიანი ექ-

ადგინა. გარდა ამისა, კვლავ აქტიური იყო სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტი. მისი მოცულობა, მთლიან ექსპორტში 17.3 პროცენტისა წილით, წინა წელთან შედარებით 29.2 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ადგილობრივი საქონლის ჯგუფიდან წამყვან პოზიციებს ინარჩუნებდა ყურძნის ნატურალური ღვინოებისა (13.2 პროცენტი) და მინერალური წყლების (21.2 პროცენტი) ექსპორტი. მოიმატა ასევე მინერალური და ქიმიური სასუქებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტის მოცულობებმა, რომელთა უმეტეს ნაწილს რეექსპორტი შეადგენდა. სპირისპიროდ, ექსპორტი შემცირებულია თხილისა და კაკლის ჯგუფში. ასევე, არსებითად შემცირებულია სიგარეტების ექსპორტი, რომელთა უმეტესი ნაწილი რეექსპორტზე გადიოდა. მთლიანობაში, 2019 წელს, ექსპორტის

დიაგრამა N 1.6 ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2019 წ.



წყარო: საქსტატი


სპორტის 21.9 პროცენტი მოდის. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია: აზერბაიჯანი (13.2 პროცენტი), რუსეთი (13.2 პროცენტი), სომხეთი (10.9 პროცენტი) და უკრაინა (6.5 პროცენტი). გარდა ამისა, მთლიან ექსპორტში 6.0 პროცენტისა წილით აღსანიშნავია ჩინეთში ექსპორტი, რომლის უდიდესი ნაწილი (76 პროცენტი) კვლავ სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტს უკავშირდება.

2019 წელს საქონლის ექსპორტში მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს, რომელიც წინა წელთან შედარებით 68.2 პროცენტით გაიზარდა და 2019 წლის მთლიანი ექსპორტის 18.2 პროცენტი შე-

12.4 პროცენტისა ზრდა დაფიქსირდა, ხოლო რეექსპორტის გარეშე ზრდა 7.4 პროცენტი იყო.

2019 წელს სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემცირება დაფიქსირდა. ხოლო შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი კვლავ გაიზარდა, ძირითადად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტის გამო და წლიურად 3.1 პროცენტით გაიზარდა. 2019 წელს უმსხვილესი საიმპორტო საქონელი, მთლიანი იმპორტის 8.4 პროცენტისა წილით, კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო. წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი იყო ასევე ნავთობის ფასების ცვლილების ეფექტი. კერძოდ, 2019 წლის განმავლობაში ნავთობისა

დიაგრამა N 1.7 უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფების ათეული 2018-2019 წწ.




წყარო: საქსტატი

და ნავთობპროდუქტების იმპორტზე დანახარჯები 12.4 პროცენტით შემცირდა, აქედან ფასების შემცირების ეფექტი 5.2 პროცენტული პუნქტია, ხოლო ნავთობპროდუქტების რეალური მოხმარება 7.2 პროცენტით შემცირდა. გასულ წელთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილები-სა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატე-

იმპორტის 3.6 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ რექსპორტის გარეშე იმპორტი წინა წელთან შედარებით 3.7 პროცენტით შემცირდა.

იმპორტის რეგიონული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2019 წელს იმპორტი შემცირდა ევროკავშირიდან (-7.4 პროცენტი), ხოლო დანარჩენი

დიაგრამა N 1.8 იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2019 წ.



წყარო: საქსტატი


ბის იმპორტმა საქონლის მთლიანი იმპორტის ზრდაში გაზრდილი წვლილი (2.7 პპ) შეიტანა. აღსანიშნავია ასევე ნავთობის აირების იმპორტის წლიური 13 პროცენტიანი ზრდა (მთლიანი

ქვეყნებიდან (1.7 პროცენტი) ზრდა ფიქსირდებოდა. 2019 წელს რეგისტრირებული საქონლის იმპორტის კლებამ წლიურად 0.8 პროცენტი

შეადგინა. კლების მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი. ევროკავშირის ქვეყნებიდან მთლიანი იმპორტის შემცირებაში დიდი წვლილი შეიტანა იმპორტის

ოქტომბრიდან მცირე ტემპებით ზრდა დაიწყო. ეს ევროკავშირისა და დანარჩენი ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობის მატების გავლენით მოხდა. საერთაშორისო მოგზაურ-

დიაგრამა N 1.9 ტურიზმის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები (2016-2019)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

კლებამ საფრანგეთიდან (-1.1 კპ) და ბულგარეთიდან (-0.6 კპ). იმპორტი ასევე შემცირებულია თურქმენეთიდან და ყაზახეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების კლების გამო.


წინა წლების მსგავსად, იმპორტიორ ქვეყნებს შორის, ევროკავშირის შემდეგ, კვლავ თურქეთი ლიდერობს. 2019 წელს თურქეთიდან იმპორტი წლიურად 9.5 პროცენტით გაიზარდა. რუსეთიდან იმპორტმა 4.5 პროცენტით მოიმატა და მთლიანი იმპორტის 11.0 პროცენტი შეადგინა. ასევე გაზრდილია იმპორტი ჩინეთიდანაც (იხ. დიაგრამა N 1.8).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2019 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე მომსახურებით ვაჭრობის ბალანსმა ზრდის მიმართულებით იმოქმედა. მომსახურების პროფიციტის ფარდობამ მშპ-თან 12.2 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე მთლიანი შიდა პროდუქტის 0.5 პროცენტით ნაკლებია. აბსოლუტურ გამოსახულებაში, მომსახურებით ვაჭრობის დადებითი სალდო 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, 75 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია და 2.17 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ივლისის თვიდან რუსეთის მიერ საქართველოსთან ავიამიმოსვლის აკრძალვის მიუხედავად, საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, ივლის-სექტემბრის კლების შემდგომ,

ებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რომელიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, 2019 წელს 3.27 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 1.4 პროცენტით აღემატება (იხ. დიაგრამა N 1.9). აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლები საქონლით ვაჭრობის დეფიციტის დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წლიურად 7.3 პროცენტით გაიზარდა, რაც ძირითადად აზერბაიჯანიდან (7.2 პროცენტი პროცენტი), სომხეთიდან (7.6 პროცენტი) და თურქეთიდან (5.3 პროცენტი) ვიზიტორების რაოდენობის ზრდამ განაპირობა. ივნისის შემდეგ რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა მცირდებოდა, თუმცა წლიურად რუსი ვიზიტორების რაოდენობა 4.8 პროცენტით გაიზარდა. ვიზიტორთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია ასევე ისრაელიდან, გერმანიიდან, ბელარუსიდან, ყაზახეთიდან, აშშ-დან და პოლონეთიდან. მოიმატა ვიზიტორთა რაოდენობამ საუდის არაბეთიდან და ჩინეთიდან, შესაბამისად, 45 და 51 პროცენტით. ბოლო წლებში მაღალი ზრდის შემდეგ, ირანიდან ვიზიტორთა რაოდენობა მნიშვნელოვნად (-51 პროცენტი) შემცირდა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის მატების კვალდაკ-

დიაგრამა N 1.10 საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვალ, გაიზარდა მათი მრავალფეროვნება წარმოშობის ქვეყნების მიხედვითაც, რაშიც დიდი წვლილი საქართველოში მოგზაურობის შესახებ საერთაშორისო ბაზრებზე საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარებამაც შეიტანა. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ზრდის ტენდენცია აქვს ქართველების საზღვარგარეთ მოგზაურობასაც, რაც, ერთი მხრივ, 2017 წელს შენგენის ზონაში ვიზალიბერალიზაციის შემოღებამ, მეორე მხრივ კი, ევროკავშირის ქვეყნებთან და-

ბალბიუჯეტისანი ავიაკომპანიების რეისების დამატებამ გამოიწვია.


აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ზრდის მაღალი ტემპებით საქონლის ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს დაუახლოვდა (იხ. დიაგრამა N 1.11), რაც, თავის მხრივ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებაში არსებით როლს თამაშობს.

დიაგრამა N 1.11 საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ფარდობა მშპ-თან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 1.12 პირადი გზავნილების წლიური ცვლილება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირველადი შემოსავლის ანგარიშის დეფიციტი 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, 19 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა და 704 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პირველადი შემოსავლის ანგარიშის მაღალი დეფიციტის მთავარი მიზეზები საინვესტიციო შემოსავლის უარყოფითი ბალანსი რჩება, რომელიც 2019 წელს 129 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 1.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საინვესტიციო შემოსავლის დეფიციტის მაღალი დონე განპირობებულია პირდაპირი და სხვა უცხოური ინვესტიციების


ნაწილში შემოსავლის ანგარიშის (როგორც გაცემული დივიდენდების, ასევე რეინვესტიციების) ზრდით. წინა პერიოდების მსგავსად, 2019 წელსაც მაღალი იყო როგორც გაცემული დივიდენდების, ასევე რეინვესტირებული შემოსავლების მოცულობა. ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, უარყოფითად მოქმედებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე, თუმცა, მეორე მხრივ, ფინანსური ანგარიშის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებაში აღირიცხება; შედეგად, ამ ოპერაციას ქვეყნიდან კაპიტალის

დიაგრამა N 1.13 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 1.14 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პროცენტულად მშპ-თან)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გადინებაზე გავლენა არ აქვს. რაც შეეხება მუშაკთა შრომის ანაზღაურების ბალანსს, 2019 წელს ეს კომპონენტი 109 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 807 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურების მომატება გარკვეულწილად განპირობებულია ჩვენი რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის გაჭანსაღებით.

2019 წელს ზომიერად (0.7 პროცენტი) გაიზარდა მეორადი შემოსავალი, ძირითადად საზღვარგარეთიდან გზავნილების მატების ხარჯზე. პირადი გზავნილები, რომლებიც როგორც წესი, მეორადი შემოსავლის ყველაზე მსხვილი ნაწილია, წლიურად 6.8 პროცენტით გაიზარდა. 2019 წლის განმავლობაში ფულადი გზავნილების მატებაში დიდი წვლილი იტალიიდან, ისრაელიდან, საბერძნეთიდან და აშშ-დან გაზრდილმა გზავნილებმა შეიტანა. რუსეთიდან და თურქეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა თანდათანობით იკლებდა და წლიურად ფულადი გზავნილების ზრდაში უარყოფითი წვლილი შეიტანა.


2019 წელს, წინა წლების მსგავსად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყარო კვლავ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო (იხ. დიაგრამა N 1.14). საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 0.2 პროცენტით მეტია. უცხოური პირდაპირი

ინვესტიციების უდიდესი ნაწილი საფინანსო, ენერგეტიკისა და სასტუმროები-რესტორნების მიმართულებით განხორციელდა, ხოლო წინა წელთან შედარებით ინვესტიციები უმეტესად გაზრდილია კავშირგაბმულობის, სასტუმროები-რესტორნებისა და ენერგეტიკის დარგებში.

2019 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში, წინა წლისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი იყო პორტფელის ინვესტიციების როლი. შემოდინებების მხრივ, ვალდებულებების ზრდის ძირითადი ნაწილი კერძო (არასაბანკო) სექტორში მოზიდულ პორტფელურ ინვესტიციებზე მოდის. გარდა ამისა, სხვა ინვესტიციების ნაწილში, სახელმწიფო სექტორის მიერ მიღებული საინვესტიციო და ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხები 587 მლნ დოლარის ოდენობით. ამ თანხიდან აღსანიშნავია საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან დაახლოებით 95 მლნ ევროს ოდენობით მიღებული სესხი, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან მიღებული 60 მლნ ევროს ოდენობით სესხი და ევროპის საინვესტიციო ბანკიდან მიღებული სესხი დაახლოებით 100 მლნ ევროს ოდენობით. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაფართოებული მექანიზმის ფარგლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 83 მლნ აშშ დოლარის (60 მლნ SDR¹³) ოდენობით სესხი მიიღო.

13 Special Drawing Right - ნასესხობის სპეციალური უფლება, რაც საერთაშორისო სარეზერვო აქტივს წარმოადგენს.

დიაგრამა N 1.15 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის შეფასება საერთაშორისო საგალუტო ფონდის მეთოდოლოგიით (ARA metrics)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2019 წელს ოფიციალური სარეზერვო აქტივები 217.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 3.48 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით რამდენიმე ფაქტორი მოქმედებდა. საგალუტო ინტერვენციების საშუალებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 123.5 მლნ დოლარი შეადგინა. გარდა ამისა, რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მოქმედებდა კომერციულ ბანკებთან განხორციელებული ოპერაციები, უმეტესად სარეზერვო მოთხოვნების ზრდის გავლენით, ხოლო მთავრობის საგალუტო ოპერაციების გავლენა უარყოფითი იყო. კერძოდ, მთავრობის ვალის უცხოური ვალუტით მომსახურებამ და საქონელსა და მომსახურებაზე მთავრობის საგალუტო დანახარჯებმა ჯამურად დაახლოებით 737 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ნაწილობრივ მთავრობის მიერ

მიღებული სესხებითა და გრანტებით დაფინანსდა.

რეზერვების ადეკვატურობის შეფასების (IMF ARA მეთოდოლოგიით¹⁴) მიხედვით, 2019 წლის ბოლოსათვის საქართველოს საერთაშორისო რეზერვების დონე დაახლოებით 99 პროცენტს შეადგენს, რაც, აღნიშნული მეთოდოლოგიით, საგარეო და ლიკვიდობის შოკებისაგან დასაზღვევად საჭირო დონის (100-დან 150 პროცენტამდე) ქვედა ზღვარზეა. არსებული შეფასებით, შემდგომ წლებში საერთაშორისო რეზერვები ARA მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ადეკვატურობის ფარგლების ქვედა ზღვართან იმოდრავებს. ამასთანავე, 2019 წლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვებით 2020 წლის საპროგნოზო იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტმა 3.5 თვე შეადგინა.

14 დაწვრილებით იხილეთ <https://www.imf.org/external/np/spr/ara/>

ცხრილი N 1.1 საგადახდელ ბალანსი 2015-2019 წლებში (მლნ აშშ დოლარი)¹⁵


	2015	2016	2017	2018	2019
მიმდინარე ანგარიში	-1,767	-1,886	-1,308	-1,193	-901
საქონელი	-3,952	-3,883	-3,809	-4,116	-3,738
ექსპორტი	3,021	2,865	3,570	4,407	4,944
იმპორტი	6,973	6,747	7,379	8,522	8,682
მომსახურება	1,404	1,577	2,024	2,244	2,169
კრედიტი	3,087	3,313	3,990	4,490	4,600
აქედან: საერთაშორისო მოგზაურებიდან შემოსავლები	1,868	2,111	2,704	3,222	3,269
დებეტი	1,683	1,736	1,966	2,246	2,432
პირველადი შემოსავალი (წმინდა)	-339	-701	-796	-685	-704
აქედან: საინვესტიციო შემოსავალი	-827	-1,259	-1,418	-1,382	-1,511
აქედან: შრომის ანაზღაურება	488	558	623	697	807
მეორადი შემოსავალი (წმინდა)	1,120	1,121	1,273	1,364	1,373
აქედან: სახელმწიფო სექტორი	194	234	238	176	135
აქედან: დანარჩენი სექტორები	1,028	999	1,159	1,327	1,402
კაპიტალის ანგარიში	58	56	83	76	47
ფინანსური ანგარიში	-1,781	-1,820	-1,235	-1,155	-904
პირდაპირი ინვესტიციები (წმინდა)	1,420	1,243	1,693	925	986
აქედან: პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	1,735	1,656	1,902	1,219	1,269
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	-154	41	-77	-48	707
ფინანსური წარმოებულები (გარდა რეზერვებისა) და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	-2	-4	0	-1	4
სხვა ინვესტიციები (წმინდა)	417	784	-138	558	-591
აქედან: სახელმწიფო სექტორი	276	276	432	351	342
აქედან: კერძო სექტორი	136	505	-569	205	-937
სარეზერვო აქტივები	99	-245	-242	-278	-202
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-73	10	-11	-39	-50
მნიშვნელოვანი კოეფიციენტები					
სარეზერვო აქტივები მომავალი წლის იმპორტის თვეებში (თვე)	3.6	3.5	3.6	3.5	3.5
ექსპორტი/იმპორტი (საქონელი და მომსახურება)	-71%	-73%	-81%	-83%	-86%
მიმდინარე ანგარიში/მშპ	-11.8%	-12.5%	-8.0%	-6.8%	-5.1%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ	11.6%	10.9%	11.7%	6.9%	7.2%
მოგზაურობიდან შემოსავალი/მშპ	12.5%	13.9%	16.6%	18.3%	18.4%
პირადი გზავნილები/მშპ	8.6%	8.7%	9.5%	9.9%	10.5%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნის საგარეო კონკურენტუნარიანობის შეფასების მნიშვნელოვანი ინდიკატორია რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (იხ. დიაგრამა N1.16). 2019 წელს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 5.3 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 7.9 პროცენტით გაუფასურდა.

15 საგადასახდელ ბალანსის სტატისტიკის სახელმძღვანელოს მე-6 რედაქციის შესაბამისად.

დიაგრამა N 1.16 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 1.2 ეფექტური გაცვლითი კურსების წლიური ცვლილება 2019 წელს

	ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ცვლილება, პროცენტი	რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ცვლილება, პროცენტი	წვლილი რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსში
ეფექტური გაცვლითი კურსი	-7.9	-5.3	-5.3
ევროზონა	-5.9	-0.6	-0.1
თურქეთი	1.0	-3.4	-0.6
უკრაინა	-21.9	-19.7	-1.4
სომხეთი	-9.4	-3.7	-0.2
აშშ	-8.2	-3.9	-0.2
რუსეთი	-14.3	-11.0	-1.5
აზერბაიჯანი	-8.1	-3.9	-0.4
დანარჩენი	-6.3	-3.8	-0.8

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2019 წლის განმავლობაში სტაბილური მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს შენარჩუნების ძალისხმევა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებაშიც აისახა. კერძოდ, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Standard&Poor’s“-მა (S&P) საქართველოს სუვერენული რეიტინგი „BB“ დონემდე აწია სტაბილური პერსპექტივით. ასევე მეორე დიდმა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Fitch Ratings“-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“-დან „BB“-მდე გაზარდა. ამას წინ უძღოდა 2017 წელს სარეიტინგო კომ-

პანია Moody’s-ის მიერ საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის Ba2-მდე ზრდა. საერთაშორისო რეიტინგების გაუმჯობესება კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნესგარემოზე. რეიტინგის გაუმჯობესება გამოწვეულია იმ წარმატებებით, რაც საქართველომ ბოლო პერიოდში მიაღწია. კერძოდ, საგარეო რისკების ზრდის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდა ძლიერი იყო. ნარჩუნდებოდა მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რამაც, თავის მხრივ, ბოლო წლებში მიმდინარე ანგა-

რიშის დეფიციტის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებმა დადებითად შეაფასეს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო რეზერვების დაგროვებისაკენ მიმართული ღონისძიებები, რაც ქვეყნის საგარეო ბუფერებს აძლიერებს და საერთაშორისო ინვესტორებისთვის პოზიტიურ სიგნალებს აგზავნის.

ჩანართი 1 საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ქვეყნების მთავრობების მიერ აღებული ვალდებულების საიმედოობის შეფასებას გულისხმობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკრედიტო სააგენტოები აფასებენ იმას, თუ რამდენად შესწევს უნარი ქვეყანას დააბრუნოს ვალი წინასწარ შეთანხმებული პირობების მიხედვით.

ენტოები აქვეყნებენ ანალიტიკურ ანგარიშებს, სადაც დეტალურად არის ახსნილი ქვეყნის საბოლოო რეიტინგზე დადებითად და უარყოფითად მოქმედი ფაქტორები. საქართველოს შეფასების რეიტინგებს ეს სააგენტოები წელიწადში ორჯერ აახლებენ.

კომპლექსურობიდან და სარეიტინგო სააგენტოების რეპუტაციიდან გამომდინარე, მათ მიერ მინიჭებული რეიტინგი ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის და საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი საუკეთესო განმსაზღვრელია, რომელსაც საერთაშორისო და ადგილობრივი ინვესტორები დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ.

მაღალი საკრედიტო რეიტინგი ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოსთან ერთად ქვეყანას შე-

	ხარისხის აღწერა	Moody's	S&P	Fitch
საინვესტიციო ხარისხი	უმაღლესი საკრედიტო ხარისხი, უდაბლესი რისკი	Aaa	AAA	AAA
	ძალიან მაღალი საკრედიტო ხარისხი, ძალიან დაბალი რისკით	Aa1	AA+	AA+
		Aa2	AA	AA
		Aa3	AA-	AA-
	მაღალი საკრედიტო ხარისხი, დაბალი საკრედიტო რისკით	A1	A+	A+
		A2	A	A
		A3	A-	A-
	კარგი საკრედიტო ხარისხი, ზომიერი რისკით	Baa1	BBB+	BBB+
		Baa2	BBB	BBB
		Baa3	BBB-	BBB-
არასაინვესტიციო ხარისხი	სპეკულაციური, მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკით	Ba1	BB+	BB+
		Ba2 საქართველო	BB საქართველო	BB საქართველო
		Ba3	BB-	BB-
	მაღალი სპეკულაციური, მაღალი საკრედიტო რისკით	B1	B+	B+
		B2	B	B
		B3	B-	B-
	საკრედიტო რისკი დეფოლტის რეალური შესაძლებლობით	Caa1	CCC+	CCC+
		Caa2	CCC	CCC
		Caa3	CCC-	CCC-
	ძალიან მაღალი საკრედიტო რისკი, დეფოლტის მდგომარეობა თითქმის დამდგარია	Ca	CC	CC
დეფოლტი		C	C	C


მსოფლიოს სამი უმსხვილესი საკრედიტო სააგენტოებია Standard&Poors, Moody's და Fitch. მათ მიერ ქვეყნის სუვერენული რეიტინგის შეფასების მეთოდოლოგიები ეკონომიკური, ფინანსური, ინსტიტუციონალური მხარეების და სხვადასხვა რისკის მრავალმხრივ ანალიზს გულისხმობს. შეფასების შემდეგ, სარეიტინგო სააგ-

საძლებლობას აძლევს შედარებით იაფად მოიხილოს საკრედიტო რესურსი; პირიქით, რაც უფრო მაღალია რისკები, ეკონომიკური აგენტები რესურსის გაცემის სანაცვლოდ სარგებლად უფრო მეტ რისკის პრემიას მოითხოვენ, რაც, საბოლოო ჯამში, აძვირებს საკრედიტო რესურსს.

საქართველოს სუვერენული რეიტინგი პირველად 2005 წელს Standard & Poors-მა შეაფასა, ხოლო 2010 წლიდან საქართველოს რეიტინგს სამივე დიდი სარეიტინგო სააგენტო აფასებს. 2010 წლიდან საქართველოს სუვერენული რეიტინგი წლების განმავლობაში უცვლელი იყო. 2017 წელს Moody's-მა საქართველოს სუვერე-

სუსტი მხარეები, რაც ხელს უშლის ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, მოიცავს ეკონომიკის მცირე მოცულობას, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დაბალ დონეს, მიმდინარე ანგარიშის მაღალ დეფიციტს და მაღალ დოლარიზაციას. ეს უკანასკნელი, საბანკო სექტორის დოლარიზა-

დიაგრამა N 1.17 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2012=100)



წყარო: შესაბამისი სარეიტინგო კომპანიები

ნული რეიტინგი ისტორიულად მაღალ დონემდე, BB- მდე გაზარდა. ამას მოჰყვა Fitch-ის ანალოგიური შეფასება, ხოლო მიმდინარე წლის ოქტომბერში სარეიტინგო სააგენტო Standard & Poors-მაც საქართველოს საკრედიტო რეიტინგი BB მდე გაზარდა (დიაგრამა N 1.17). რეიტინგის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ლარის თავისუფლად მცურავი გაცვლითი კურსისა და საერთაშორისო რეზერვების შევსების პოლიტიკა დასახელდა, რაც საგარეო მდგრადობის მნიშვნელოვანად გაუმჯობესებას განაპირობებს.

სარეიტინგო სააგენტოების შეფასებაში საქართველოს ძლიერ მხარეებად ეკონომიკური ზრდის კარგი ტემპი და შედარებითი ინსტიტუციონალური სიძლიერე მოიაზრება. აქ იგულისხმება ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, მონეტარული პოლიტიკის ადეკვატურობა, საბანკო სექტორის სტაბილურობა, ფისკალური მდგრადობა, კორუფციის დაბალი დონე, განვითარებული სახელმწიფო სერვისები და ა.შ.

ციასთან ერთად, გულისხმობს ქვეყნის ვალდებულებებში უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების მაღალ დონეს, რაც ქვეყანას საგალუტო რყევების მიმართ მოწყვლადს ხდის.

აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო რეიტინგის მიღებამდე საქართველოს ორი ბიჯი აკლია. საინვესტიციო რეიტინგის მისანიჭებლად აუცილებელია შევინარჩუნოთ მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რაც გულისხმობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას და დაბალ ინფლაციას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის დაბალი დეფიციტის შენარჩუნება, მიმდინარე ანგარიშს დეფიციტის გაუმჯობესების გაგრძელება და დოლარიზაციის შემცირება. შედეგად, შემცირდება საგარეო მოწყვლადობა და ეკონომიკა მეტად მდგრადი გახდება. საინვესტიციო რეიტინგი აამაღლებს საქართველოს მიმზიდველობას საერთაშორისო ინვესტორებისთვის და გაზრდის ქვეყანაში გრძელვადიანი საინვესტიციო კაპიტალის შემოდინებას.

1.3 ეკონომიკური ზრდა

2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.1 პროცენტით გაიზარდა. არსებული შეფასებით, ზრდაში უდიდესი წვლილი, 4.2 პპ, მომსახურებაზე მოდიოდა, ინდუსტრიული დარგებზე - 1.0 პპ, ხოლო სოფლის მეურნეობის წვლილი უარყოფითი იყო და - 0.1 პპ შეადგინა.

წლის პირველ ნახევარში ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვანწილად ძლიერი საგარეო მოთხოვნა, მათ შორის ტურისტულ მომსახურებაზე, განსაზღვრავდა. ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა გაზრდილი ნაკადი განსაკუთრებით პოზიტიურ გავლენას ახდენდა უძრავი ქონებით ოპერაციებზე, რესტორნები და სასტუმროების, ასევე ტრანსპორტის დარგზე. ზაფხულში რუსეთიდან ავია მიმოსვლის აკრძალვამ ტურისტულ სექტორზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, თუმცა ეს დანაკლისი, სხვა ქვეყნებიდან შემოსულ ვიზიტორთა მატების პარალელურად, ეტაპობრივად ანაზღაურდა. შედეგად, ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული დარგები, არა იმდენად როგორც წინა პერიოდებში, თუმცა მაინც გაიზარდა. წლის შედეგების მიხედვით 6.1 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა უძრავი ქონებით ოპერაციებშიც,

სადაც არარეზიდენტების მონაწილეობა, საგარეოდ, კვლავ მნიშვნელოვანია. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები, სადაც რესტორნებსა და სასტუმროებზე დიდი წილი მოდის, 8.9 პროცენტით გაიზარდა. ხოლო ტრანსპორტის დარგი, სადაც სამოგზაურო ბიუროებისა და ტურისტული აგენტების მონაწილეობა მნიშვნელოვანია, 7.4 პროცენტით გაიზარდა. ჯამურად, ზემოთხსენებული დარგების წვლილმა ეკონომიკურ ზრდაში 1.3 პპ შეადგინა.

ეკონომიკის უმსხვილესი დარგი, ვაჭრობა, 2019 წელს 8.8 პროცენტით გაიზარდა და ეკონომიკურ ზრდაში 1.1 პპ წვლილი შეიტანა. ეკონომიკური ზრდის ერთერთი მთავარი მამოძრავებელი, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, მშენებლობა იყო. მთავრობის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვნად იყო გააქტიურებული, თუმცა ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური გავლენა ჰქონდა სამოქალაქო მშენებლობასაც. საბოლოოდ, მშენებლობა 4.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წვლილმა ეკონომიკურ ზრდაში 0.3 პპ შეადგინა. კლება დაფიქსირდა სოფლის მეურნეობაში (იხ. ცხრილი N 1.4).

ცხრილი N 1.4 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგობრივ კრილში

	2019Q1		2019Q2		2019Q3		2019Q4		2019	
	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	-4.7%	-0.3%	1.6%	0.1%	2.1%	0.2%	-5.1%	-0.3%	-1.1%	-0.1%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	0.0%	0.0%	-5.7%	-0.1%	-2.2%	0.0%	0.4%	0.0%	-2.0%	0.0%
დამამუშავებელი მრეწველობა	-1.7%	-0.1%	-3.4%	-0.3%	4.9%	0.4%	6.3%	0.6%	1.9%	0.2%
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	5.8%	0.2%	9.3%	0.2%	2.6%	0.1%	4.2%	0.1%	5.5%	0.1%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	2.2%	0.0%	1.6%	0.0%	6.8%	0.0%	7.8%	0.0%	4.6%	0.0%
მშენებლობა	-11.0%	-0.7%	5.0%	0.4%	17.1%	1.3%	1.4%	0.1%	4.4%	0.3%

საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	5.2%	0.6%	6.7%	0.8%	9.8%	1.2%	12.4%	1.5%	8.8%	1.1%
ტრანსპორტი და დასაწყობება	9.3%	0.5%	10.5%	0.6%	2.2%	0.1%	8.3%	0.5%	7.4%	0.4%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	11.8%	0.5%	7.6%	0.3%	2.5%	0.1%	15.2%	0.6%	8.9%	0.4%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	13.9%	0.3%	11.2%	0.3%	18.2%	0.4%	17.0%	0.4%	15.2%	0.4%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	3.1%	0.2%	2.5%	0.1%	-2.2%	-0.1%	-10.3%	-0.5%	-2.1%	-0.1%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	7.3%	0.8%	6.6%	0.6%	3.8%	0.4%	7.0%	0.7%	6.1%	0.6%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	24.3%	0.6%	7.5%	0.2%	9.1%	0.2%	17.2%	0.4%	14.4%	0.3%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	18.3%	0.2%	7.1%	0.1%	5.2%	0.1%	10.3%	0.1%	9.4%	0.1%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	-1.1%	-0.1%	-3.1%	-0.2%	-4.0%	-0.2%	-2.6%	-0.2%	-2.7%	-0.2%
განათლება	12.6%	0.5%	5.4%	0.2%	6.3%	0.2%	11.2%	0.4%	8.8%	0.3%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	13.1%	0.5%	7.6%	0.3%	8.1%	0.3%	10.0%	0.3%	9.6%	0.4%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	4.8%	0.1%	5.2%	0.1%	19.9%	0.5%	25.2%	0.7%	14.3%	0.4%
სხვა სახის მომსახურება	1.0%	0.0%	4.4%	0.0%	7.7%	0.1%	5.1%	0.0%	4.6%	0.0%
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება	2.0%	0.0%	3.0%	0.0%	5.0%	0.0%	-5.1%	0.0%	1.1%	0.0%
შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის										
(+) გადასახადები პროდუქციაზე	9.1%	1.2%	7.1%	0.9%	5.0%	0.7%	-2.1%	-0.3%	4.2%	0.6%
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	2.2%	0.0%	9.4%	-0.1%	7.6%	0.0%	3.1%	0.0%	5.8%	0.0%
მშპ-ს ზრდა		5.0%		4.6%		5.8%		5.1%		5.1%

წყარო: საქსტატი


მოთხოვნა

საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი შეფასებით, 2019 წელს, დანახარჯების მიხედვით ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი მოხმარება იყო. მთლიანი შიდა პროდუქტის 5.1 პროცენტის ბრდიდან მოხმარებაზე - 2.8 პპ, წმინდა ექსპორტზე - 1.4 პპ, ხოლო

ში როგორც ტურისტული შემოსავლების, ასევე მომსახურების ექსპორტის კუთხითაც, წლიური ზრდა დაფიქსირდა.

2019 წელს ინვესტიციების ფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან 27 პროცენტი შეადგინა. ბოლო წლების მანძილზე ეს მაჩვენებელი სტაბილურია და, შესაძლებელია, საქართველოს

დიაგრამა N 1.18 მშპ-ის ზრდა დანახარჯების მიხედვით




წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასება

ინვესტიციებზე 1.0 პპ მოდიოდა (იხ. დიაგრამა N 1.18). 2019 წელს ძლიერი იყო საგარეო მოთხოვნა. არსებული შეფასებით, საქონლის ექსპორტი გაიზარდა როგორც ნომინალურ, ისე რეალურ გამოხატულებაში. საბოლოო ჯამ-

ეკონომიკის განვითარებისთვის ადეკვატურ დონედ მივიჩნით. მისი შენარჩუნება კაპიტალის დაგროვების მეშვეობით, ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე, გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს (იხ. დიაგრამა N 1.19).

დიაგრამა N 1.19 ინვესტიციების ფარდობა მშპ-თან




წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

1.4 ინფლაცია

წინა წლის მსგავსად, ინფლაცია 2019 წლის დასაწყისშიც დაბალ დონეზე ნარჩუნდებოდა. თუმცა, მარტიდან ინფლაციამ მიზნობრივ მაჩ-

ინფლაციაზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო და საშუალოდ 2.0 პროცენტს შეადგენდა (იხ. დიაგრამა N 1.20). საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია ფასების დონის გრძელვადიანი ტრენდის შეფასებისთვის.

დიაგრამა N 1.20 მთლიანი და საბაზო (სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაციები



წყარო: საქსტატი

ვენებელს, ძირითადად, სიგარეტსა და სურსათზე ფასის მატების გამო, გადააჭარბა. სიგარეტის გაძვირება აქციზის გადასახადის ზრდას უკავშირდებოდა, ხოლო სურსათის ფასები, მოსავლიანობისა და მიწოდების სხვა ფაქტორის ზეგავლენით, ტრადიციულად, მაღალი მერყეობით ხასიათდება. ფასების ეს ცვალებადობა კი, სამომხმარებლო კალათაში მაღალი წონის (27.3 პროცენტი) გამო, მთლიანი ინფლაციის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს. ამასთან, თუ სიგარეტის წვლილი ინფლაციაში მეტნაკლებად სტაბილური იყო (0.6-1.3 პპ), სურსათის წვლილს მზარდი ტენდენცია (0.8-დან 3.8 პპ-მდე) ჰქონდა და, ძირითადად, სწორედ ის განაპირობებდა ინფლაციის მაჩვენებლის თანდათანობით მატებას. მნიშვნელოვანია, რომ ამავდროულად საბაზო ინფლაცია¹⁶ დაბალ დონეზე ნარჩუნდებოდა. წლის მეორე ნახევარში ფასებზე ზეწოლა უკვე ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან წამოვიდა და, საბოლოოდ, ინფლაციამ ყველაზე მაღალ, 7.0 პროცენტიან, ნიშნულს დეკემბერში მიაღწია. ლარის ნომინალური ეფექტური კურსის გაუფასურება საბაზო ინფლაციის ზრდაზეც აისახა და წლის ბოლოს 3.7 პროცენტი შეადგინა. თუმცა ის წლის განმავლობაში მთლიან

როგორც აღვნიშნეთ, 2019 წლის განმავლობაში ინფლაციაზე მნიშვნელოვან გავლენას, სურსათსა და სიგარეტზე მომატებული ფასები ახდენდა (იხ. დიაგრამა N 1.21). ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 2019 წელს 4.9 პროცენტი შეადგინა. აქედან სურსათზე - 2.3, ხოლო სიგარეტზე 1.0 პპ მოდიოდა.

სურსათის ინფლაციაში საგრძნობი წვლილი ხორცპროდუქტებისა და რძის ნაწარმის გაძვირებაზე მოდიოდა. ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი ინფლაციაში პურის გაზრდილმა ფასმა შეიტანა. პურის ფასმა, ძირითადად, 2018 წლის ბოლოს მოიმატა. 2019 წლის იანვარში პური წლიურად 15 პროცენტით იყო გაძვირებული და მთელი წლის განმავლობაში საშუალოდ 0.5 პპ-იანი გავლენა ჰქონდა წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე. ამის გარდა, ინფლაციაში საკმაოდ მაღალი იყო ხილისა და ბოსტნეულის გაძვირების წვლილი.


წლის განმავლობაში იმპორტირებული და ადგილობრივად წარმოებული საქონლის საშუალო ინფლაცია, შესაბამისად, 4.4 და 5.3 პროცენტს შეადგენდა. შერეული საქონელი საშუალოდ 3.8 პროცენტით გაძვირდა. როგორც ზემოთ აღვნიშნა, სურსათის ინფლაცია მაღალი იყო, რაც, მნიშვნელოვანწილად, ადგილობ-

16 ინფლაცია სურსათის, ენერგომატარებლებისა და თამბაქოს ფასების ცვლილების გარეშე.

რივად წარმოებული საქონლის ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს განაპირობებდა. იმპორტირებული საქონლის ინფლაციაში მნიშვნელოვანი წვლილი სიგარეტზე მოდიოდა, თუმცა,

სა და ფეხსაცმლის“ ჯგუფში შემავალი საქონლის გაიაფება, რაც, ზოგადად, ბოლო წლების ტენდენციას წარმოადგენს. 2010-2018 წლებში ტანსაცმელი და ფეხსაცმელი წლიურად საშუ-

დიაგრამა N 1.21 საწვავის, სურსათის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს და კომუნალური გადასახადების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, იმპორტირებული საქონლის გაძვირებაზე ლარის ნომინალური ეფექტური კურსის გაუფასურებამაც იმოქმედა.

ალოდ 4 პროცენტით იაფდებოდა. 2019 წელს ფასების კლება არქარდა და 7.2 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია ფასების ზრდა ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში, სადაც ფასებმა წლის განმავლობაში საშუალოდ 3.4 პროცენტით მოიმატა (იხ. ცხრილი N 1.5).

ზემოაღნიშნული სასაქონლო ჯგუფების გარდა, გასულ წელსაც შეინიშნებოდა „ტანსაცმელი-

დიაგრამა N 1.22 იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ცხრილი N 1.5 ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პპ)

	2018 წლის დეკემბრის წონები	დეკ19/დეკ18		იან19დეკ19/იან18დეკ18	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	7.0%	7.0%	4.9%	4.9%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	30.8%	12.3%	3.8%	8.1%	2.5%
სურსათი	27.3%	12.8%	3.5%	8.6%	2.3%
პური და პურპროდუქტები	5.5%	6.6%	0.4%	10.9%	0.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.3%	14.8%	0.9%	8.6%	0.5%
თევზი	0.5%	14.2%	0.1%	14.2%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	5.6%	13.5%	0.8%	7.4%	0.4%
ზეთი და ცხიმი	1.8%	4.6%	0.1%	1.4%	0.0%
ხილი, ყურძენი	1.5%	31.9%	0.5%	-3.8%	-0.1%
ბოსტნეული, ბაღრეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.1%	14.1%	0.4%	14.4%	0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.4%	10.7%	0.3%	5.5%	0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	19.2%	0.1%	6.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	3.5%	8.2%	0.3%	4.5%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.6%	15.6%	1.0%	16.3%	1.1%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.7%	-4.2%	-0.2%	-7.2%	-0.3%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.8%	3.7%	0.3%	2.0%	0.2%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	6.4%	3.2%	0.2%	1.4%	0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.0%	3.5%	0.3%	3.4%	0.3%
ტრანსპორტი	12.1%	2.9%	0.4%	2.9%	0.4%
კავშირგაბმულობა	3.6%	-1.4%	-0.1%	-2.2%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	5.7%	6.9%	0.4%	5.3%	0.3%
განათლება	5.0%	3.2%	0.2%	2.6%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	4.0%	7.9%	0.3%	3.8%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	5.8%	0.3%	2.6%	0.1%


წყარო: საქსტატი

2019 წლის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით, ფასები ყველაზე მეტად (საშუალოდ 7.2 პროცენტით) ხანმოკლე მოხმარების საქონელზე იზრდებოდა¹⁷. ამის მთავარი მიზეზი სურსათ-
¹⁷ სამომხმარებლო კალათაში პროდუქტები იყოფა მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით და მომსახურებად. ხანმოკლე მოხმარების საქონლის მაგალითებია სურსათი, სასმელი, საწვავი; საშუალო ხანგრძლივობის - ტანსაცმელი, ფეხსაცმელი; ხანგრძლივი მოხმარების - ელექტროტექნიკა, ავტომობილი, ავეჯი; მომსახურების

თისა და სიგარეტის გაძვირება იყო. საშუალო წლიურმა ინფლაციამ მომსახურების ჯგუფებზე 3.3 პროცენტი შეადგინა. მცირედით (0.2 პროცენტით) გაიზარდა ფასები ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, ხოლო საშუალო ხანგრძლივობის საქონელზე ფასებმა 2.9 პროცენტით დაიკლო.

- ექიმის მომსახურება, კომუნალური, სწავლის გადასახადები და ა.შ.

დიაგრამა N 1.23 წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

ჩანართი 2 ინფლაციასა და გაცვლით კურსს შორის კავშირი (2018 და 2019 წლების მაგალითები)

2019 წლის ბოლოს წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 7.0 პროცენტს მიაღწია. 2019 წლის დასაწყისში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრაზე ძირითადად ერთჯერადი ფაქტორები ახდენდა გავლენას, როგორცაა აქციზის გადასახადის ზრდის ეფექტი სიგარეტისა და თამბაქოს ფასებზე, ასევე, აღსანიშნავია სურსათის ზოგიერთ კატეგორიებზე ფასების ზრდაც. ამასთან, ინფლაცია წლის მეორე ნახევარში, ძირითადად, მაინც გაცვლითი კურსის ჭარბი გაუფასურების შედეგია. გასული წლის მეორე ნახევარში ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან ინფლაციაზე გადაცემა გაძლიერდა როგორც იმპორტირებული საქონლის ფასების, ასევე დოლარიზებული სესხების გავლით. ამასთან, 2019 წელს მოსალოდნელზე უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა ერთობლივი მოთხოვნის გააქტიურების შედეგია, რამაც, ასევე, ხელი შეუწყო გამოშვების გაპ-ის დახურვას წლის ბოლოსათვის. რადგან ერთობლივი მოთხოვნა წლის ბოლოს გაუმჯობესდა, იგი ვეღარ აბალანსებდა ერთჯერადი ფაქტორებისა და გაცვლითი კურსის გაუფასურების გამო ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედ წნეხს. შედეგად, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებიც მიმართული იყო მონეტარული პო-

ლიტიკის გამკაცრებისაკენ, რათა ინფლაცია 3 პროცენტიან მიზნობრივ მაჩვენებელს საშუალოვადიან პერიოდში დაბრუნებოდა.

ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება 2018 წელსაც შეინიშნებოდა, თუმცა აღნიშნულ პერიოდში ამ ფაქტორს ინფლაციის მოსალოდნელ დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია და, შესაბამისად, ეროვნული ბანკის რეაგირებაც ნაკლები იყო. ამდენად, ჩნდება კითხვა, თუ რა არის ის ფაქტორი ან ფაქტორები, რამაც 2018 წელს კურსიდან ინფლაციაზე გადაცემა შეაკავა, მაგრამ ანალოგიური პროცესი არ მოხდა 2019-ში. ამ კითხვაზე ერთ-ერთი პასუხი არის ლარის ეფექტური გაცვლითი კურსი, რომელიც ზომავს ლარის კურსის დინამიკას სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით. როდესაც გაცვლითი კურსი დიდწილად უცვლელია რომელიმე სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ვალუტის მიმართ, დიდია ალბათობა, რომ უცვლელი იქნება, მაგალითად, ამ ქვეყნიდან შემოტანილი იმპორტული საქონლის ფასებიც.

ამდენად, გვაქვს ორი ძირითადი არხი, რომლის გავლითაც გაცვლითი კურსი ინფლაციაზე ახდენს გავლენას: იმპორტული საქონლის ფასები და დოლარიზებული სესხების მომსახურების ტვირთი. აქედან პირველი დამოკიდებულია ლარის ეფექტურ გაცვლით კურსზე, ხოლო მეორე ლარი/აშშ დოლარის გაცვლით კურსზე.


შედეგად, როდესაც ლარი ყველა ვალუტასთან უფასურდება, მაშინ ინფლაცია ამ ორივე მიზნის გამო იზრდება, ხოლო როდესაც ლარი მხოლოდ აშშ დოლართან უფასურდება, მაშინ ინფლაციის ზრდა უფრო ნაკლებია, რადგანაც კურსიდან ინფლაციაზე გადაცემის პირველ ეფექტს აღარ აქვს ადგილი.

თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია ლარი/დოლარის მიმართ გაუფასურების ორი ეპიზოდი გამოვყოთ: (1) 2018 წლის მაისიდან 2019 წლის მაისამდე, როდესაც ლარის გაუფასურებამ 11.9 პროცენტი შეადგინა და (2) 2019 წლის ივნისიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით, როდესაც ლარი დამატებით 8.0 პროცენტით გაუფასურდა. ამავდროულად, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურება პირველ ეპიზოდში 2.4 პროცენტი იყო, მა-

შინ როდესაც მისი დამატებითი გაუფასურება 2019 წლის ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით 8.5 პროცენტი იყო. ამ მონაცემებს აჯამებს დიაგრამა N 1.24.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეპიზოდში ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება უფრო დიდი იყო 2019 წლის ივნისის შემდგომ ეპიზოდთან შედარებით, ინფლაციაზე გადაცემა უფრო გაძლიერდა გაუფასურების მეორე ეპიზოდში. ეს სწორედ ზემოთ აღნიშნულ საკითხს უკავშირდება: როდესაც ლარი უფასურდება ყველა სავაჭრო პარტნიორთან, მაშინ ინფლაციის რეაგირება უფრო მკვეთრია, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი უფასურდება მხოლოდ აშშ დოლართან.

დიაგრამა N 1.24 ინფლაცია, ლარი/დოლარის და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების გაუფასურება 2019 წლის მაისი 2018 წლის მაისთან და 2019 წლის ოქტომბერი 2019 წლის ივნისთან მიმართებით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი



2

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა



2. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა

2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს¹⁸. ფასების სტაბილურობა გულისხმობს საშუალოვადან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონის არსებობას, რაც ოპტიმალურია გრძელვადიან პერიოდში მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში წარმართავს. აღნიშნული რეჟიმი, რომელიც ყველაზე თანამედროვე და ეფექტიან მოდელად ითვლება, გულისხმობს ინფლაციის სამიზნე მანიევრების წინასწარ გამოცხადებას და შემდგომი პოლიტიკის იმგვარად განხორციელებას, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ დონესთან ახლოს იყოს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რომელიც ინფლაციის პროგნოზის შესაბამისად იცვლება. თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე მაღალი იქნება, საქართველოს ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალი იქნება, ეროვნული ბანკის შეარბილებს მონეტარულ პოლიტიკას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას და ასევე, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე დაბალ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს. ამასთანავე, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების და გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან ერთად, მცირდება საზოგადოებრივი დანახარტიც ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს მის მიერ შემუშავებული და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის

ძირითადი მიმართულებების შესაბამისად¹⁹, რომლის მიხედვითაც, 2018 წლიდან მიზნობრივი ინფლაცია 3 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ეკონომიკებთან შედარებით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია შედარებით მაღალი ინფლაცია, რაც ამ ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, პროდუქტიულობის ზრდის უფრო სწრაფ ტემპს უკავშირდება (Balassa, 1964; Samuelson, 1964)^{20,21}.

საქართველოში, ისევე როგორც ღია ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში, გარდაუვალია ეგზოგენური (მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელი) შოკები, რომელთა გავლენითაც ინფლაცია შესაძლებელია მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადაიხაროს. მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები, ძირითადად, მოთხოვნის შოკებზე რეაგირებენ, რადგან მიწოდების შოკებზე რეაგირება ეკონომიკისთვის დიდ დანახარტებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური ზრდის მერყეობას და, შედეგად, გრძელვადიან პერიოდში, დასაქმების შემცირებას გამოიწვევს. ამასთანავე, როგორც Bernanke & Blinder (1992) და Bernanke & Gertler (1995) კვლევები აჩვენებს, მონეტარული პოლიტიკის ცვლილების გადაცემას ეკონომიკაზე გარკვეული დრო სჭირდება²², შესაბამისად, მიზანშეწონილია მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრის დაშვება, თუ, პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მის მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება. იმ შემთხვევაში კი, თუ აღნიშნული ტიპის შოკი გაზრდის ინფლაციის მოლოდინებსა და ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელს, ეროვნული ბანკი შესაბამისად შეცვლის პოლიტიკას.

2019 წლის დასაწყისში, ერთჯერადი ფაქტორების გავლენით, კერძოდ, თამბაქოს ნაწარ-

19 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს 2019-2021 წლების ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, 1-ლი პუნქტი.

20 Balassa, B. (1964), "The Purchasing Power Parity Doctrine: A Reappraisal", *Journal of Political Economy*, 72, 584-96.


21 Samuelson, P (1964), "Theoretical Notes on Trade Problems", *Review of Economics and Statistics*, 23, 1-60.

22 Bernanke & Blinder (1992) „The Federal Funds Rate and the Channels of Monetary Transmission“, *American Economic Review*; vol. 82, issue 4, 901-21.

Bernanke & Gertler (1995) „Inside the Black Box: The Credit Channel of Monetary Policy Transmission“, *the Journal of Economic Perspectives*, Vol. 9, No. 4 (Autumn, 1995), pp. 27-48

18 „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონი, მესამე მუხლის პირველი პუნქტი.

დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მზე აქციების გადასახადის მატებისა და საერთაშორისო ნავთობის ფასების ზრდის შედეგად, ინფლაციის მაჩვენებელმა მიზნობრივ დონეს გადააჭარბა. საბაზო ინფლაცია, რომელიც სურსათს, ენერგომატარებლებსა და თამბაქოს გამორიცხავს, დაბალ დონეზე ნარჩუნდებოდა, რაც მთლიანი ინფლაციის მაჩვენებლის ზრდის დროებით ხასიათზე მიუთითებდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ერთობლივი მოთხოვნა კვლავ ჩამორჩებოდა პოტენციურ დონეს და, შესაბამისად, მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური წნეხი კვლავ სუსტი იყო. შედეგად, მოსალოდნელი ინფლაციის რისკების შენელებასთან ერთად, 2019 წლის პირველ კვარტალში ეროვნულმა ბანკმა განაგრძო პოლიტიკის ნორმალიზაციის პროცესი, რომელიც 2018 წლის ივლისში დაიწყო. ამგვარად, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით პოლიტიკის განაკვეთი იანვარსა და მარტში 0.25-0.25 პპ-ით 6.5 პროცენტამდე შემცირდა. ამასთანავე, მოსალოდნელი იყო, რომ ინფლაცია, ერთჯერადი (ეგზოგენური) ფაქტორების ამოწურვის შემდგომ, 2020 წლის დასაწყისიდან შემცირებას დაიწყებდა და მიზნობრივ დონეს დაუახლოვდებდა. თუმცა, 2019 წლის მეორე ნახევარში, რუსეთიდან ფრენების აკრძალვის ფონზე, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი საგრძნობლად გაუფასურდა. ამასთანავე, გაიზარდა გაურკვეველობა შესაძლო სანქციებსა და ეკონომიკაზე მათ ზეგავლენასთან დაკავშირებით. კერძოდ, შესაძლოა, დამატებითი სანქციები დაწესებულიყო ექსპორტზე ან ფულად გზავნილებზე, რაც ერთობლივ მოთხოვნას შეამცირებდა და, შედეგად, ამ

არხით, ფასებზე შემცირების მიმართულებით იმოქმედებდა. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ივლისის სხდომაზე განაკვეთი უცვლელი დარჩა. თუმცა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილების პრეს რელიზში აღინიშნა, რომ გაცვლითი კურსიდან მომდინარე ინფლაციური წნეხის შენარჩუნების შემთხვევაში, მონეტარული პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებები გატარდებოდა. შემდგომ პერიოდში ნათელი გახდა, რომ დამატებითი სანქციები არ დაწესდებოდა. ამასთანავე, აგვისტოს განმავლობაში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურებულ დონეზე შენარჩუნდა. გაუფასურებამ ინფლაციაზე ზეწოლა გაზარდა და ინფლაციურ მოლოდინებსაც აძლიერებდა. ეს გამოიხატა საბაზო ინფლაციის მატებაშიც, რომელიც წლის პირველ ნახევარში დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდებოდა. შედეგად, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების საჭიროება გამოიკვეთა და სექტემბრის დასაწყისში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა პოლიტიკის განაკვეთი 0.5 პპ-ით გაიზარდა. გარდა ამისა, ეკონომიკური აქტივობა მოსალოდნელზე სწრაფად გაუმჯობესდა, რაც მოთხოვნის მხრიდან ინფლაციის შემცირების შესაძლებლობას ასუსტებდა. აქტიური ერთობლივი მოთხოვნისა და გაუფასურებულ დონეზე შენარჩუნებული ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის პირობებში, ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკის გამკაცრება განაგრძო. აღნიშნული გადაწყვეტილებები გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე ინფლაციური ზეწოლის განეიტრალებას ისახავდა მიზნად. ჯამურად, 2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში

დიაგრამა N 2.2 მთლიანი ინფლაცია და ინფლაცია სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს გამორიცხვით



წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


რეფინანსირების განაკვეთი 6.5-დან 8.5 პროცენტამდე, ხოლო დეკემბერში კი დამატებით 9 პროცენტამდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა N 2.1).

წლის პირველ ნახევარში სიგარეტისა და ნავთობპროდუქტების გაძვირების, შემდგომ კი ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურების გამო, მთლიანი ინფლაცია მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2019 წლის დეკემბერში ინფლაციამ 7.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო წლის განმავლობაში საშუალოდ 4.9 პროცენტი იყო (იხ. დიაგრამა N 2.2). აღსანიშნავია,


რომ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად ფასების ზრდის ტემპი შენეულა და თავის ინფლაციის შემცირებაში გამოიხატა.

წლის მეორე ნახევარში გამოკვეთილი საგარეო რისკების მიუხედავად, ეკონომიკა 2019 წელს მაღალი აქტივობით ხასიათდებოდა და რეალური მშპ-ის ზრდამ 2019 წელს 5.1 პროცენტი შეადგინა. მაღალ ეკონომიკურ აქტივობას, თავის მხრივ, მაღალი საკრედიტო აქტივობა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით განხორციელებული ფისკალური

დიაგრამა N 2.3 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და საპროცენტო განაკვეთი ლარის სესხებზე



დიაგრამა N 2.4 რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სტიმული განაპირობებდა. რაც შეეხება საგარეო სექტორს, 2019 წელს მას საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. კერძოდ, საგარეო შოკის მიუხედავად, ძლიერი საგარეო მოთხოვნა ხელს უწყობდა როგორც საქონლისა და მომსახურების ექსპორტის, ასევე ტურისტული შემოსავლების ზრდას. მნიშვნელოვნად მოიმატა ფულადი გზავნილების მოცულობამაც, რაც, თავის მხრივ, შიდა მოთხოვნის გაუმჯობესებას იწვევდა. ამასთან, იმპორტი პრაქტიკულად არ გაზრდილა. აღნიშნული დინამიკა აისახა 2019 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესებაშიც და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ისტორიულ მინიმუმს, მშპ-ს 5.1 პროცენტს გაუტოლდა.


2019 წლის პირველ ნახევარში ეროვნული ბანკის მიერ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შერბილების გაგრძელებამ როგორც შინამეურნეობებზე, ასევე იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებზე შემცირების მიმართულებით იმოქმედა (იხ. დიაგრამა N 2.3). კერძოდ, საპროცენტო განაკვეთები შემცირდა შინამეურნეობების როგორც იპოთეკურ, ასევე სამომხმარებლო სესხებზე. თუმცა, 2019 წლის მეორე ნახევარში, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ფონზე, საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. მთლიანობაში, საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე წლიურად 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამასთანავე, იურიდიულ პირებზე ლარით გაცემულ სესხებზე

საპროცენტო განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.

როგორც აღვნიშნეთ, ინფლაციის თარგეთირების პირობებში, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის მთავარ ინსტრუმენტს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს. თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთების მართვა ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს გამოყენებით ხდება. საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდობის მართვის ჩარჩო მოიცავს როგორც ლიკვიდობის მიწოდების, ასევე ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტებს, კერძოდ, ღია ბაზრის ოპერაციებს (რეფინანსირების სესხები და სადეპოზიტო სერტიფიკატები), მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებსა და მუდმივმოქმედ ინსტრუმენტებს. საბანკო სისტემისთვის ლარის საკმარისი რესურსის ხელმისაწვდომობა და, ამავდროულად, ეფექტიანი მართვა, მნიშვნელოვანია ლარის დაკრედიტების წახალისებისა და დედოლარიზაციის ხელშეწყობისთვისაც.

ბოლო წლების განმავლობაში საბანკო სისტემა ლიკვიდობის დეფიციტის პირობებში ოპერირებს, რის გამოც ბაზრიდან საშუალოგადიანი ლიკვიდობის სტერილიზაციის (ლიკვიდობის ამოღება) საჭიროება აღარ არის. მიუხედავად ამისა, ეროვნული ბანკი წლის განმავლობაში აგრძელებდა 3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვებას, რომლის მიზანსაც შემოსავლიანობის მრუდის მოკლევადიანი ნაწილის ფორმირება წარმოადგენდა. შედეგად, ამ ოპერაციებით ეროვნული ბანკი სადეპოზიტო

დიაგრამა N 2.5 ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სერტიფიკატების ნაშთს მინიმალურ დონეზე, 60-80 მლნ ლარის ფარგლებში, ინარჩუნებდა. 2019 წელს ლიკვიდობის სამართავად და ლიკვიდობის მიწოდების სხვა წყაროებიდან წარმოქმნილი მერყეობის დასაბალანსებლად, ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების სესხებს. წლის მანძილზე რეფინანსირების სესხების მოცულობაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენდა გავლენას (იხ. დიაგრამა N 2.4). კერძოდ, გაიზარდა ნაღდ ფულზე მოთხოვნა, რამაც ლიკვიდურ სახსრებზე ბანკების მოთხოვნა გაზარდა. ამასთანავე, სამთავრობო სექტორის ოპერაციებმა საბანკო სექტორის ლიკვიდობა შეამცირა. გარდა ამისა, წლის განმავლობაში რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნის შემცირებას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის სავალუტო ოპერაციები და, მეორე მხრივ, ეროვნული ბანკის მიერ მეორად ბაზარზე მთავრობის ფასიანი ქაღალდების შექმნა. ეს უკანასკნელი ეროვნულმა ბანკმა 2018 წლიდან საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად დაიწყო და ეს ფინანსური სექტორისთვის ლარის საშუალოვადიანი რესურსის მიწოდების ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღინიშნა, მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე ეფექტური კონტროლის განსახორციელებლად, ეროვნული ბანკი იყენებს როგორც ლიკვიდობის მიწოდების, ასევე ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტებს. მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე აისახოს და, საბოლოოდ, გავლენა

მოახდინოს რეალურ ეკონომიკაზე. ეროვნული ბანკი რეფინანსირების სესხებისა და ღია ბაზრის ინსტრუმენტის მეშვეობით საბანკო სისტემას მოკლევადიან ლიკვიდობას საჭირო ოდენობით აწვდის. საპროცენტო განაკვეთების მერყეობის კიდევ უფრო შემცირებისა და ბანკთაშორისი ბაზრის ეფექტიანობის ზრდის წახალისების მიზნით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2019 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება როგორც პოლიტიკის განაკვეთს +/-0.75 პროცენტული პუნქტი, მანამდე არსებული პოლიტიკის განაკვეთს +/-1 პროცენტული პუნქტის ნაცვლად. ამგვარად, ბანკთაშორისი ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები პოლიტიკის განაკვეთის გარშემო მოძრაობს. ზემოაღნიშნული ინსტრუმენტებით ფინანსური სექტორის ლიკვიდობის ეფექტური მართვის შედეგად, ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობა კიდევ უფრო შემცირდა (იხ. დიაგრამა N 2.5).

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ (EFF) მხარდაჭერილი პროგრამის მეოთხე და მეხუთე მიმოხილვა დაასრულა. ფონდის მისიამ დადებითად შეაფასა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმის შესრულება. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გაცვლითი კურსის მოქნილობის განსაკუთრებულ მნიშვნელობის, ვინაიდან იგი ეკონომიკაზე შოკის გავლენას არბილებს. საქართველოს ხელისუფლე-


ბის თხოვნით, გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის პროგრამა ერთი წლით, 2021 წლის 11 აპრილამდე გახანგრძლივდა.

ლარიზაციის წახალისება ქვეყანაში მაკროეკონომიკური რისკების შემცირებისა და საგარეო მოწყვლადობების მიმართ მდგრადობის გაზრდის წინაპირობაა. შესაბამისად, ლარიზაციის ზრდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია და მისი წამახალისებელი რეფორმები ეტაპობრივად ხორციელდება. ამ კუთხით, ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2019 წელს ამოქმედებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების მეშვეობით, ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს სავალუტო რისკისგან დაუცველ (არაჰეჯირებულ) მსესხებლებზე უცხოური ვალუტით სესხების შემთხვევაში ადეკვატური ბუფერების ფორმირებას. კერძოდ, ძალაში შევიდა სესხის მომსახურებისა (PTI) და სესხის უზრუნველყოფის (LTV) მინიმალური კოეფიციენტები. აღსანიშნავია, რომ სესხის მომსახურების და უზრუნველყოფის კოეფიციენტებზე დაწესებული ზღვრები განსხვავდება ადგილობრივი და უცხოური ვალუტის მიხედვით, რაც ხელს უწყობს ლარიზაციას და ამასთანავე უზრუნველყოფს როგორც მსესხებლების, ისე ბანკების მდგრადობას. ამასთანავე, როგორც ცნობილია, 2017 წლიდან სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ფიზიკური პირებისთვის 100,000 ლარამდე სესხის აღება მხოლოდ ლარით არის შესაძლებელია. 2019 წლის 23 იანვრიდან აღნიშნული ზღვარი 200,000-მდე გაიზარდა. ეს შეზღუდვა ვრცელდება როგორც

ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე.


აღსანიშნავია, რომ ლარიზაციის წახალისების მიზნით, წლის პირველ ნახევარში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, უცხოური ვალუტით მოზიდულ მოკლევადიან (ერთ წლამდე ნარჩენი ვადიანობის) სახსრებზე მინიმალური სარეზერვო ნორმა 25-დან 30 პროცენტამდე, 1-დან 2 წლამდე ნარჩენი ვადიანობისთვის კი 10-დან 15 პროცენტამდე გაიზარდა. ამასთანავე, შემოდგომაზე შემცირდა ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო, სადეპოზიტო და სარეზერვო ანგარიშებზე დასარიცხი განაკვეთები. კერძოდ, აშშ დოლარით განთავსებულ ნაშთებზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთზე, ან მის ქვედა ზღვარზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 200 საბაზისო პუნქტით ნაკლები, მაგრამ არანაკლებ მინუს 1 პროცენტისა. ხოლო ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის საკორესპონდენტო, სადეპოზიტო და სარეზერვო ანგარიშზე ევროთი განთავსებულ ნაშთებზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდა როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის სადეპოზიტო განაკვეთზე 200 საბაზისო პუნქტით ნაკლები, მაგრამ არანაკლებ მინუს 1 პროცენტისა. თუმცა, წლის მეორე ნახევარში, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ფონზე, დაკრედიტების და, შესაბამისად, ეკონომიკის შენელების აცილების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტით მოზიდულ მოკლევადიან

დიაგრამა N 2.6 სარეზერვო მოთხოვნები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 2.7 საბანკო სექტორის დოლარიზაციის მაჩვენებლები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიან (ერთ წლამდე ნარჩენი ვადიანობის) საბანკო სექტორში მინიმალური სარეზერვო ნორმა 30-დან 25 პროცენტამდე შემცირდა. ასევე შეიცვალა კომერციული ბანკების უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო, სადეპოზიტო და სარეზერვო ანგარიშებზე დარიცხვაც. კერძოდ, აშშ დოლარით განთავსებულ ნაშთებზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთზე ან მის ზედა ზღვარზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 50 საბაზისო პუნქტით ნაკლები. ხოლო ევროთი განთავსებულ ნაშთებზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდა როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის სადეპოზიტო განაკვეთზე 20 საბაზისო პუნქტით ნაკლები. აღნიშნული ნაბიჯები, თავის მხრივ, დადებითად აისახა მთლიანი დაკრედიტებისა და, შედეგად, ეკონომიკური აქტივობის ზრდაზე.

დედოლარიზაციის 2017 წელს გააქტიურებული ტენდენცია 2019 წლის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა, რაც შესამჩნევი იყო როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების, ასევე დეპოზიტების სტატისტიკაში. თუმცა, წლის მეორე ნახევარში, ნომინალური ეფექტური კურსის გაუფასურებისა და გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, მთლიანი დეპოზიტების დედოლარიზაციის ტემპი შენედა და დეკემბერში, წინა თვეებთან შედარებით, დეპოზიტების დოლარიზაცია მცირედით გაიზარდა კიდევ. მთლიანობაში, წლის განმავლობაში დეპოზიტების დოლარიზაცია 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა (გაცვლითი კურსის


ეფექტის გამორიცხვით) და 64.1 პროცენტს გაუტოლდა. ამასთანავე, შემცირებული სარეზერვო მოთხოვნების ფონზე, უცხოური ვალუტით დაკრედიტება დაჩქარდა და, შედეგად, წლის ბოლოსკენ სესხების დოლარიზაცია გაიზარდა. მთლიანობაში, 2019 წლის განმავლობაში სესხების დოლარიზაცია, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 3.3 პპ-ით შემცირდა და დეკემბერში 55.1 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელს, ის 2019 წლის განმავლობაში 49.4 პროცენტიდან 42.8 პროცენტამდე შემცირდა.

კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება. 2016 წელს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს მთავრობამ კაპიტალის ბაზრის განვითარების ერთობლივი სტრატეგია შეიმუშავეს, რომლის განხორციელებაზე მუშაობა 2019 წლის განმავლობაშიც მიმდინარეობდა. თავის მხრივ, კაპიტალის ბაზრის განვითარება გაზრდის ლარის გრძელვადიანი რესურსის ხელმისაწვდომობას და, ამასთანავე, ხელს შეუწყობს ლარიზაციას. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის განმავლობაში ბაზარზე გაჩნდა ლარით დენომინირებული ახალი კორპორატიული ფასიანი ქაღალდები, რაც კაპიტალის ბაზრის ეტაპობრივი გააქტიურების სიგნალია (იხ. დიაგრამა N 2.8). გასათვალისწინებელია, რომ 2016 წელს გირაოს ბაზაში შესული ცვლილებების საფუძველზე, აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ბანკთან მონეტარულ ოპერაციებში დაიშვება, რამაც, საინვესტიციო მიზნების

გარდა, მათი ლიკვიდობის სამართავად ფლობის დამატებით სტიმული შექმნა. მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ არარეზიდენტების მოთხოვნა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე წლის მეორე ნახევარში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ამას, მნიშვნელოვანწილად, გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები

განაპირობებდა, რაც უცხოური ვალუტის შემოდინებების ზრდას უწყობს ხელს და, შედეგად, გაცვლით კურსზე გამყარების მიმართულებით მოქმედებს. ეს ფაქტორი, თავის მხრივ, მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ამ არხის განვითარებასა და მთლიანად პროცენტის ეფექტიანობის ზრდაზე მიანიშნებს.

დიაგრამა N 2.8 სახაზინო ფასიანი ქაღალდების, სადეპოზიტო სერტიფიკატებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ფასიანი ქაღალდების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ჩანართი 3 რამდენად დროული იყო ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება 2019 წლის შოკის დროს?

2019 წელს მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე ზაფხულის პერიოდში განვითარებული საგარეო შოკი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. საგარეო შოკი რუსეთიდან ტურისტული შემოსავლების კლების მოლოდინში და, შედეგად, გაცვლითი კურსის გაუფასურებაში გამოიხატა. ლარის ნომინალური ეფექტური კურსის გაუფასურების შედეგად გაზრდილი ინფლაციის და ინფლაციის მოლოდინების საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა წლის მეორე ნახევარში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება დაიწყო. იქიდან გამომდინარე, რომ მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები რეალურ ეკონომიკასა და ინფლაციაზე გარკვეული პერიოდის შემდგომ აისახება, ინფლაციის მარკვენებელი წლის მეორე ნახევარში მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა და მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში დაიწყო შემცირება.

იმის გამო, რომ ინფლაციის მარკვენებელი წლის მეორე ნახევარში მიზნობრივ დონეზე მაღლა ნარჩუნდებოდა, გაჩნდა მოსაზრება, ხომ

არ დააგვიანა ეროვნულმა ბანკმა საჭირო გადაწყვეტილებების მიღება. ამ შეკითხვას რომ გუპასუხოთ, აუცილებელია უფრო დეტალურად გავაანალიზოთ, თუ როგორ განვითარდა საგარეო შოკი, რა გამოწვევების წინაშე იდგა მონეტარული პოლიტიკა და რა არჩევანი ჰქონდა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები მონაცემებზე დაფუძნებული, რაც იმას გულისხმობს, რომ გადაწყვეტილებები იმ მომენტისთვის არსებული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მიიღება. მომავალში შესაძლოა გამოიკვეთოს ახალი გარემოებები, რისი გათვალისწინებითაც წარსულში მიღებული გადაწყვეტილებები ოპტიმალური აღარ იყოს. თუმცა, იმისათვის, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მართებულობა შევაფასოთ, საჭიროა გადაწყვეტილების მიღების დროს არსებული მოცემულობის ანალიზი.

წლის პირველ ნახევარში ინფლაცია გაიზარდა, მიზნობრივ მარკვენებელს გადააჭარბა და ივნისში 4.3 პროცენტი შეადგინა. მიზნობრივზე მაღალი ინფლაცია ძირითადად ერთჯერადი,

ეგზოგენური ფაქტორებით, კერძოდ, სიგარეტზე აქციზის გადასახადის მატებითა და სურსათის გაძვირებით იყო გამოწვეული, რასაც ინფლაციაზე დროებითი გავლენა ჰქონდა. საბაზო ინფლაცია, რომელიც გამოირიცხავს სურსათის, ენერგომატარებლებისა და თამბაქოს ფასებს, 1.4 პროცენტს შეადგენდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ინფლაციის ზრდა დროებითი ხასიათის იყო. ამავე დროს, ერთობლივი მოთხოვნის მხრიდან ინფლაციაზე ზეწოლა კვლავ სუსტი ნარჩუნდებოდა და, შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების საჭიროება არ იკვეთებოდა.

2019 წლის ზაფხულში რუსეთმა საქართველოსთან ავიაშიმოსვლა აკრძალა. საქართველოს ტურისტული ინდუსტრია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსეთიდან შემოსულ ვიზიტორებზე, ხოლო თავის მხრივ, ტურისტული შემოსავლები ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. გარდა ამისა, გამოიკვეთა დამატებითი რისკები, რაც გაურკვევლობას კიდევ უფრო ზრდიდა. კერძოდ, დამატებითი სანქციები შესაძლოა გავრცელებულიყო ექსპორტსა და ფულად გზავნილებზე. რუსეთის მხრიდან დამატებითი სანქციების დაწესება რეალური იყო, ხოლო მათი შესაძლო გავლენა ეკონომიკაზე ძნელად პროგნოზირებადი. ავიაშიმოსვლის აკრძალვისა და მაღალი გაურკვევლობის ფონზე, გაჩნდა მოსალოდნელი სავალუტო შემოდინებების შემცირების რისკი, რამაც, თავის მხრივ, ლარის გაუფასურების მოლოდინები გააჩინა. შედეგად, გაიზარდა მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, ხოლო უცხოური ვალუტის მიწოდება ბაზარზე შემცირდა, რამაც ლარის გაუფასურების პროცესს მისცა ბიძგი.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ივლისის სხდომის წინ ინფლაციის რისკები როგორც ზრდის (გაუფასურებული ნომინალური ეფექტური კურსიდან), ასევე შემცირების (შენელებული მოთხოვნიდან) მიმართულებით იკვეთებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო შოკის ფონზე გაზრდილი იყო ინფლაციაზე გაცვლითი კურსიდან მომდინარე ზეწოლა, საშუალოვადიან პერიოდში აღნიშნულ წნეხს აბალანსებდა შესუსტებული ერთობლივი მოთხოვნა, რომელიც პოტენციურ დონეს ჩამორჩებოდა. ამ ეტაპზე მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება დიდ რისკებს შეიცავდა, ვინაიდან, სანქციების გაფართოების შემთხვევაში საგარეო მოთხოვნა კიდევ უფრო შემცირდებოდა. ამ პირობებში კი პოლიტიკის განაკვეთის ზრდა ისედაც სუსტ მოთხოვნას კიდევ უფრო დაასუსტებდა, რისი შედეგიც ეკონომიკურ ზრდის მნიშვნელოვანი შენელება იქნებოდა. ამდენად, არსებული გაურკვევლობის ფონზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტ-

მა, 2019 წლის 24 ივლისის სხდომაზე, რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად, 6.5 პროცენტზე, დატოვა. თუმცა, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილების პრეს რელიზშიც და კომუნიკაციის სხვა არხებითაც გარკვევით აღინიშნა, რომ გაცვლითი კურსიდან მომდინარე ინფლაციური წნეხის შენარჩუნების შემთხვევაში, მონეტარული პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებები გატარდებოდა.

შემდგომ პერიოდში ნათელი გახდა, რომ სანქციები დამატებით აღარ გაფართოვდებოდა. ამასთანავე, აგვისტოს განმავლობაში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურებულ დონეზე შენარჩუნდა. ამ გაუფასურებამ ინფლაციაზე ზეწოლა გაზარდა და ინფლაციურ მოლოდინებზე გააძლიერა. ამის საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა 4 სექტემბრის სხდომაზე პოლიტიკის გამკაცრება დაიწყო. ჯამურად, სექტემბერ-დეკემბერში პოლიტიკის განაკვეთი, 2.5 პროცენტული პუნქტით, 6.5 პროცენტიდან 9 პროცენტამდე გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთის ზრდა რეალურ ეკონომიკას სხვადასხვა არხებით გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადაეცემა. საქართველოში მონეტარული პოლიტიკის ცვლილების სრულად გადაცემას დაახლოებით 4-6 კვარტალი სჭირდება. გადაცემა შედარებით უფრო სწრაფად ხდება გაცვლითი კურსის არხით. კერძოდ, პოლიტიკის განაკვეთის ზრდა ლარის ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთებზე სწრაფად აისახება. მაღალი საპროცენტო განაკვეთები ლარის ინსტრუმენტებს უფრო მიმზიდველს ხდის, განსაკუთრებით არარეზიდენტი ინვესტორებისათვის. შედეგად, იზრდება ქვეყანაში კაპიტალის შემოდინება, რაც კურსზე გამყარების მიმართულებით მოქმედებს. სწორედ აღნიშნულ პროცესებს ჰქონდა ადგილი გასული წლის ბოლოსთვის, როდესაც გაცვლითი კურსის გაუფასურება ჯერ შეჩერდა, ხოლო შემდეგ გამყარება დაიწყო. ამავე დროს, მიმდინარე წლის დასაწყისში შემცირება დაიწყო ინფლაციის მაჩვენებელმაც.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასულ წელს მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები ყოველთვის იმ მომენტისთვის არსებული ვითარების შესაბამისი იყო. ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკის გამკაცრება დაიწყო მხოლოდ მას მერე, რაც მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ერთობლივი მოთხოვნის შემცირება მნიშვნელოვანი არ იქნებოდა. ასეთი მიდგომა ეროვნული ბანკის პოლიტიკას უფრო პროგნოზირებადს ხდის, ამცირებს საპროცენტო განაკვეთების რისკს და, შესაბამისად, გრძელვადიან განაკვეთებზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს, რაც ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების (გამკაცრება, შერბილება, უცვლელი დატოვება) განხორციელება მონეტარული ოპერაციებით ხდება. მონეტარული ოპერაციების მიზანია, რომ მოკლევადიანი ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთი პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს იყოს. ამ მიზნის მისაღწევად ეროვნული ბანკი რამდენიმე ინსტრუმენტს იყენებს: რეფინანსირების სესხები, ღია ბაზრის ერთვითი ინსტრუმენტი, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ღია ბაზრის ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა.

ბანკთაშორისი სადეპოზიტო/საკრედიტო ბაზარი წარმოადგენს ფულად ბაზარს, სადაც ბანკები მოკლევადიანი ლიკვიდობით ვაჭრობენ. ეს ბაზარი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგანაც მას გადამწყვეტი როლი აქვს მონეტარული გადაცემის მექანიზმის ფუნქციონირებაში. საქართველოს ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთებზე ზეგავლენას ახდენს მონეტარული პოლიტიკის გაცხადებით და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით.

ფულადი ბაზრის TIBR ინდექსი წარმოადგენს ერთდღიან საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკს. იგი ეფუძნება ბანკთაშორის ფულად ბაზარზე განხორციელებულ ფაქტიურ გარიგებებს, რაც იმავდროულად ზრდის ინდექსის მიმართ სანდოობას. ასევე, ინდექსის საიმედოობას განაპირობებს ეროვნული ბანკის ჩართულობა ინფორმაციის შეგროვების და ინდექსის გაანგარიშების პროცესში. ბაზარზე საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ინსტრუმენტების ბენჩმარკად (განსაკუთრებით ცვლადგანაკვეთიანი ლარის ინსტრუმენტებში) გამოყენებისათვის, 2019 წლის 14 მარტიდან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო TIBR ინდექსზე დაფუძნებული ფულადი ბაზრის TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გამოქვეყნება, რომელიც საპროცენტო რისკების მართვის უფრო ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (TIBR) ინდექსის და TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გაანგარიშების მეთოდოლოგია მოიცავს ინდექსების გაანგარიშებისა და გამოქვეყნების წესებს, რომელიც ფულადი ბაზრების მონაწილეებთან მჭიდრო თანამშრომლობით და EBRD-ის დახმარებით შემუშავდა.

აღნიშნული მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს მონაცემების კონტროლისა და მეთოდოლოგიის გადახედვის პროცედურას. TIBR ინდექსები საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველდღიურად, დილის 9 საათზე ქვეყნდება.

2019 წელს ბანკთაშორის ბაზარზე ეროვნული ვალუტით განხორციელებული გარიგებების მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 57.5 პროცენტით გაიზარდა და 28.2 მლრდ ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდის ფონზე, 2019 წელს გაიზარდა ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთებიც, რომლებიც მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთთან ახლოს მოძრაობდა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების ფარგლებში და საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მოკლევადიანი პროგნოზის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავდა რეფინანსირების სესხების ყოველკვირეულ და „ღია ბაზრის ერთვითი ინსტრუმენტების“ ერთვითი მოცულობებს. ეროვნული ბანკი ამ პროცესებს მართავდა ისე, რომ აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის სიახლოვეს შენარჩუნებულიყო.

2.2.1 რეფინანსირების სესხი

საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2019 წლის განმავლობაში ყოველკვირეულად იყენებდა რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს. რეფინანსირების ინსტრუმენტის მიზანია საბანკო სისტემისთვის ადეკვატური ლიკვიდობის მიწოდება. რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სექტორისათვის ხელმისაწვდომი გახდა მოკლევადიან ლიკვიდობაზე საიმედო და დაბალრისკიანი წვდომა, რამაც დადებითად იმოქმედა ფულად ბაზარსა და ფინანსურ სტაბილურობაზე. ვინაიდან ეროვნული ბანკი ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელია, მას რეფინანსირების ინსტრუმენტით ბანკთაშორის ბაზარზე შესაბამის საპროცენტო განაკვეთის მიღწევის საშუალება აქვს. აუქციონის მეშვეობით გაცემული რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის მონატარული პოლიტიკის განაკვეთს ეფუძნებოდა.

2019 წელს მონეტარული ოპერაციების გირაოს ბაზაში შედიოდა საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქარ-

თველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები, იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები და კომერციული ბანკების სასესხო აქტივები. სესხის უზრუნველყოფის თითოეული ასეთი სახეობის აქტივებზე ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული იყო შესაბამისი კრიტერიუმები (მაგ. მინიმალური მოცულობა, ნარჩენი ვადიანობა, ვალუტა და სხვა). 2019 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოებისათვის კომერციული ბანკები გირაოს ყველა ამ სახეობას იყენებდნენ.

2.2.2 ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი

სხვა მონეტარული ინსტრუმენტების მსგავსად, ერთთვიანი ინსტრუმენტის მიზანია ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვა, რაც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაა და შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის რეკომენდაციებთან. ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფის მიერ ყოველთვიურად ხდება საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტის შეფასება, რომლის საფუძველზეც ცხადდება აუქციონი ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის კონკრეტულ მოცულობაზე. აუქციონზე ამ ინსტრუმენტის მინიმალური საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უტოლდება. გირაოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები, იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები და კომერციული ბანკების სასესხო აქტივები.

2.2.3 ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები

ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებისა და ფულადი ბაზრის აქტივობის გაზრდის მიზნით, 2019 წელს ბანკთაშორის ბაზარზე, მსოფლიოში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენებას, რაც ხელს უწყობდა ბანკთაშორისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის სტაბილურ ჩარჩოებში

მოქცევას. საპროცენტო განაკვეთის დერეფანი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთიდან თანაბარმნიშვნელოვანი გადახრები საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვრის ფორმირებისათვის. ზედა საპროცენტო განაკვეთი გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისათვის, ხოლო ქვედა საპროცენტო განაკვეთი გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტისთვის. 2019 წლის 5 სექტემბრამდე საპროცენტო განაკვეთის დერეფანი შეადგენდა 2 პროცენტულ პუნქტს – მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს/მინუს 1.0 პროცენტული პუნქტი. 2019 წლის 5 სექტემბრიდან საპროცენტო განაკვეთის დერეფანი შეიცვალა და შეადგინა 1.5 პროცენტული პუნქტი – მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს/მინუს 0.75 პროცენტული პუნქტი. საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენება ამცირებს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ჭარბ მერყეობას და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის დაახლოებას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან.


საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები საბანკო სექტორისათვის ლიკვიდობის ყველაზე სწრაფ, თუმცა, საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით უფრო მაღალი ფასით მიღების საშუალებას წარმოადგენდა. ერთდღიანი სესხებისათვის მოქმედებდა გირაოს იგივე ბაზა, რაც რეფინანსირების სესხებისათვის.

ერთდღიანი დეპოზიტების ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული ჭარბი ლიკვიდობა ეროვნული ვალუტით დღის ბოლოს განათავსონ საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე, რომელიც შემდგომი სამუშაო დღის დასაწყისშივე უბრუნდებათ საკორესპონდენტო ანგარიშზე. აღნიშნული ინსტრუმენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციისათვის.

2.2.4 ფასიანი ქაღალდები

2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი უშვებდა 3 თვის ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, ხოლო საქართველოს მთავრობა უშვებდა 6 თვის, 1, 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები კომერციული ბანკების მხრიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა და მათ ხელი შეუწყვეს შემოსავლიანობის

დიაგრამა N 2.9 სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა 2014-2019 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას. ეს მრუდი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ.

სადეპოზიტო სერტიფიკატები

2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი უშვებდა 3-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომლებიც საბანკო სექტორმა გამოიყენა როგორც ლიკვიდობის მართვის მიზნით და ეფექტიანი მოკლევადიანი ინსტრუმენტი.

2019 წლის განმავლობაში გამოცხადებული 13 აუქციონიდან, კომერციულმა ბანკებმა ყველა აუქციონზე, სრული ოდენობით შეიძინეს გამოტანილი სადეპოზიტო სერტიფიკატები. მთლიანობაში განთავსდა 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები და დაიფარა ამდენივე, 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები. შესაბამისად, 2019 წლის დასაწყისში მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა წლის ბოლოს უცვლელი დარჩა და 80 მლნ ლარი შეადგინა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებულ 80 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატებს 6 კომერციული ბანკი ფლობდა.

სახელმწიფო ობლიგაციები


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკი ფლობდა 152

მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციებს, რომელიც წლის განმავლობაში ღია ბაზრის ოპერაციებისათვის არ გამოყენებულა.

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების მოცულობის ზრდა. 2019 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახდენდა 6 თვიანი და 1 წლიანი ვადიანობების დისკონტური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ვალდებულებებისა და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი კუპონური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ობლიგაციების ემისიას. ფასიანი ქაღალდების ემისია ხდებოდა ეროვნული ვალუტით, დემატერიალიზებული ფორმით. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება არის 1 000 ლარი. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მეთოდით, „ბლუმბერგის“ სისტემის აუქციონის პლატფორმის გამოყენებით. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს, ხოლო მათი მეშვეობით კი ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

დიაგრამა N 2.10 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2015-2019 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2019 წელს ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების 53 აუქციონი, რომელთა მეშვეობით განთავსდა 2.34 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული 3.81 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელი იყო 14 კომერციული ბანკი და არასაბანკო ინვესტორები. არასაბანკო ინვესტორთა მფლობელობაში იყო 378.3 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები.

აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ეკონომიკის ზომასთან შედარებით, ჯერ კიდევ მცირეა. ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობამ 2018 წლიდან დაიწყო 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი ბენჩმარკ ობლიგაციების გამოშვება. ამან განაპირობა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის გაზრდა, რაც ხელს უწყობს საგარეო ვალის აღებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკების შემცირებას.


სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს, ლარის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მიმზიდველი საპროცენტო განაკვეთების, ფინანსური ბაზრის განვითარების მისაღები დონისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის ერთობლიობის გამო, გაიზარდა არარეზიდენტი ინვესტორების დაინტერესება სახაზინო ქაღალდების ბაზრით. ინვესტორების აქტიურობა გამოიხატება მათ მიერ პირველად და მეორად ბაზარზე ჩართულობაში, რომლის შედეგად მათ მფლობელო-

ბაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი 2019 განმავლობაში 6.3-ჯერ გაიზარდა და 378.3 მლნ ლარი შეადგინა.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა საკუთარი მატერიალური და ინტელექტუალური ინვესტიციებით შექმნილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემისა (GSSS)“ და სხვადასხვა ურთიერთინტეგრირებული სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირების მხარდაჭერასა და უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია ბანკთაშორისი რეპო ბაზარი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით და კომერციული ბანკების თანხმობით შექმნილ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ რეპო გარიგებების ჩარჩო ხელშეკრულებას. რეპო გარიგებების დადებისათვის ბანკები იყენებდნენ „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემას და „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (GSSS) სისტემას“. აღნიშნული სისტემების გამოყენებით, 2019 წელს კომერციულ ბანკებს შორის 1.25 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდებით 113 რეპო გარიგება განხორციელდა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული პრაქტიკა და ინფრასტრუქტურა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის შემდგომი გააქტიურების კარგ საფუძველს იძლევა, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდა უნდა მოჰყვეს.

დიაგრამა N 2.11 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო თბლიგაციების პორტფელის დინამიკა 2015-2019 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის ოპერაციები მეორად ბაზარზე

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად მუშაობს მონეტარული ინსტრუმენტებისა და ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს დახვეწასა და განვითარებაზე. ღია ბაზრის ოპერაციების მეშვეობით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის ერთ ერთი ინსტრუმენტი და ის ლიკვიდობის მართვის ამოცანას ემსახურება.

ეროვნული ბანკი საბანკო სისტემაში ლიკვიდობის დეფიციტის პირობებში ლიკვიდობის მიმწოდებლის როლში გამოდის. შესაბამისად, 2018 წლის მაისიდან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ღია ბაზრის ოპერაციების ფარგლებში ფასიანი ქაღალდების შესყიდვის დაწყების შესახებ. აღნიშნული ოპერაციების მიზანი ლარის ლიკვიდობის ეფექტიანად მართვაა. იგი ასევე ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

2019 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა ჩაატარა 17 აუქციონი, რომელზეც შეიძინა 20 ფასიანი ქაღალდი, საერთო მოცულობით 737 მლნ ლარი. აქედან 2019 წლის განმავლობაში დაიფარა ოთხი ფასიანი ქაღალდი. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით შექმნილი ქაღალდების პორტფელმა - 653.3 მლნ ლარი შეადგინა. 2018 წლის ბოლოს აღნიშნული პორტფელის მოცულობა 200 მლნ ლარი იყო.

2.2.5 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტით საქართველოს ეროვნული ბანკი ქმნის დანარჩენი მონეტარული ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების წინაპირობას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა 5 პროცენტს შეადგენდა, უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის - 25 პროცენტს, უცხოური ვალუტით 1 წლიდან 2 წლამდე ნარჩენი ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის - 15 პროცენტს, ხოლო 2 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის 0 პროცენტი იყო.

2019 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ მინიმალურ რეზერვებს ეროვნული ბანკი შესაბამის პერიოდში არსებულ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს²³ არიცხავს. აშშ დოლარით ფორმირებულ მინიმალურ რეზერვებს ეროვნული ბანკი არიცხავდა აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთის ზედა ზღვრის შესაბამის განაკვეთზე 50 საბაზისო პუნქტით ნაკლებს, ხოლო ევროთი ფორმირებულ მინიმალურ რეზერვებს არიცხავდა ევროპის ცენტრალური ბანკის სადეპოზიტო განაკვეთზე 20 საბაზისო პუნქტით ნაკლებს.

²³ დეტალები შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=558>

საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის განვითარება

საქართველოს ეროვნულ ბანკში ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა 2010 წლიდან მოქმედებდა. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მართვის და ოპერაციების თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური, სწრაფი და დაცული ელექტრონული სისტემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს უზრუნველყოფდა.

2018 წლის 3 დეკემბრიდან ამოქმედდა და 2019 წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების განახლებული სისტემა (Georgian Securities Settlement System – GSSS). ახალი სისტემით ფინანსური ბაზრის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მონაწილეებს მაღალი სტანდარტების სრულფასოვანი მომსახურება მიეწოდება. ამ სისტემით ხორციელდება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორება. ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციები უფრო სწრაფი, იაფი, მოსახერხებელი და სრულად დაცული გახდა. პროექტი ეროვნული ბანკის და კერძო საფინანსო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. GSSS სისტემა თავისი ფუნქციებით ინოვაციურია და ისეთ თანამედროვე მიდგომებს მოიცავს, როგორცაა ლიკვიდობის მართვის ეფექტიანი მექანიზმები, ნაწილობრივი გადახდები, საპირისპირო ტრანზაქციების გაქვითვა (ნეტ ანგარიშსწორების პრინციპით), ავტომატური დაგირავების და დღის შიდა სესხების მოქნილი მექანიზმები. GSSS სისტემაში კომერციულ ბანკებთან ერთად ჩართულები არიან საბროკერო კომპანიები, რაც მათ სრულიად ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. სისტემა ინტეგრირებულია როგორც საფონდო ბირჟის, ასევე ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმებთან, რაც ვაჭრობის და ანგარიშსწორების მთლიანი ციკლის ავტომატიზაციას უზრუნველყოფს. ამის შედეგად გარიგების დადებიდან მის ანგარიშსწორებამდე მხოლოდ რამდენიმე წუთია საჭირო. ახალი სისტემის დანერგვით განახლდა მოქმედი პროცედურები და ანგარიშსწორების წესები, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპებს ეფუძნება. ინვესტორების ფასიანი ქაღალდები უფრო საიმედოდ იქნება დაცული და საჭიროებისამებრ მათი ფულად გადაქცევა (გაყიდვის, დაგირავების ან რეპო ოპერაციების გზით) უფრო ადვილი და მოსახერხებელი ხდება. ეს კი უდავოდ ზრდის

ქართული კაპიტალის ბაზრის მიზიდველობას როგორც ქართველი, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის.

ანგარიშსწორების განახლებული GSSS სისტემით დამატებით შესაძლებელი გახდა სისტემაში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ჩართვა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა მონაწილისათვის მომსახურების გაწევა, ამ სისტემაში საქართველოში ყველა ტიპის ფასიანი ქაღალდის (კერძო კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციების და აქციების ჩათვლით) რეგისტრაცია და ანგარიშსწორება. სრულად ავტომატიზებული ხდება ამ სისტემაში რეგისტრირებული კერძო ფასიანი ქაღალდის გამოშვების, დაფარვის, ყიდვა-გაყიდვის, რეპოს, კუპონისა და დივიდენდის ანგარიშსწორების ოპერაციები, ასევე მათი დაგირავება ეროვნულ ბანკში და/ან ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს შორის.


განახლებული GSSS სისტემა ხელს შეუწყობს უცხოური საფინანსო ინსტიტუტების და ინვესტორების საქართველოს ფინანსურ ბაზრებით დაინტერესებას, ვინაიდან ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა უფრო საიმედო და თანამედროვე გახდა.

სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა

2019 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი სავალუტო პოლიტიკას მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმში ახორციელებდა, რაც ეროვნულ ვალუტაზე ფასწარმოქმნის საბაზრო პრინციპების შენარჩუნებას გულისხმობს. ამავე დროს, სავალუტო პოლიტიკის გატარებისას ეროვნული ბანკი საერთაშორისო რეზერვების ადექვატურ დონეზე შენარჩუნების ამოცანასაც ითვალისწინებდა. საქართველოს მსგავსი, მცირე ზომის, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის მცურავი გაცვლითი კურსის მექანიზმი ოპტიმალურ სავალუტო რეჟიმად ითვლება, რაც ასევე განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიით. აღსანიშნავია, რომ გაცვლითი კურსის ასეთი რეჟიმის უმთავრესი პოზიტიური მახასიათებელია ქვეყნის ეკონომიკაზე სავაჭრო შოკების ნეგატიურ გავლენის შესუსტება და ეკონომიკისთვის ავტომატური სტაბილიზატორის ფუნქციის შესრულება.

ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა ითვალისწინებს ინტერვენციას სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონების საშუალებით მხოლოდ

დიაგრამა N 2.12 ოფიციალური სარეზერვო აქტივები 1997-2019 (მლნ აშშ დოლარი, წლის ბოლო მანკვინებელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გარკვეულ შემთხვევებში: თუ ადგილი აქვს ქარბი კაპიტალის დროებით შემოდინება-გადინებას, რომელიც კურსის მკვეთრ მოკლევადიან რყევას გამოიწვევს; საერთაშორისო რეზერვების შესავსებად; სახელმწიფო საგარეო ოპერაციების დასაბალანსებლად; არაფუნდამენტური, ერთჯერადი ფაქტორების შედეგად გაცვლითი კურსის ქარბი მერყეობით შექმნილი ინფლაციური მოლოდინების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად.

2019 წლიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა ახალი ინსტრუმენტი - სავალუტო ოფციონები. ეს არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს აძლევს უფლებას (და არა ვალდებულებას) განახორციელოს ვალუტის გადაცვლა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში. საქართველოს ეროვნული ბანკი 2019 წლის თებერვალ-აპრილის თვეებში კომერციულ ბანკებს სთავაზობდა ერთ თვის ვადიანობის სავალუტო ოფციონს, ლარის ყიდვის უფლებით. ამ ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს უფლება ჰქონდათ ეყიდათ ლარი უცხოური ვალუტით (აშშ დოლარით ან ევროთი) ეროვნული ბანკისგან წინასწარ განსაზღვრული ვადის ამონურვამდე, ხოლო ეროვნული ბანკი ვალდებული იყო შესაბამისი ოდენობის ლარი მიეწოდებინა.

სავალუტო ოფციონებით მინიჭებული უფლების გამოყენებისას ვალუტის გადაცვლა ხდება

იმავე დღის ოფიციალური გაცვლითი კურსით (strike price), რომელიც, პრაქტიკულად, წინა დღის საბაზრო გაცვლითი კურსია. აღნიშნულის შედეგად საერთაშორისო რეზერვების შევსება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ დღეებში, როდესაც ლარს გამყარების ტენდენცია ქონდა. ამასთან, ტრადიციული ოფციონებისაგან განსხვავებით, აღნიშნული სავალუტო ოფციონის უფლებით სარგებლობა კომერციულ ბანკს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ გაცვლითი კურსი წინა 20 სამუშაო დღის საშუალო ოფიციალურ გაცვლით კურსზე მყარი იყო. ამ შეზღუდვის შედეგად, რეზერვების შევსება არ ხდებოდა გაცვლითი კურსის მოკლევადიანი მერყეობის დროს. სავალუტო ოფციონების ინსტრუმენტის გამოყენებით 2019 წელს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 51.3 მლნ აშშ დოლარი შეიძინა.

2019 წლის პირველ ნახევარში სავალუტო ბაზარზე ლარის კურსის პოზიტიური მოლოდინებით გამოწვეული გამყარება აღინიშნებოდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში ტურისტული ნაკადის შემცირებამ და მასთან დაკავშირებულმა ნეგატიურმა მოლოდინებმა ლარის კურსზე ზეწოლა გამოიწვია. შესაბამისად, თუ წლის დასაწყისიდან 6 თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო აუქციონებზე შესყიდული იქნა 216 მლნ აშშ დოლარი, აგვისტო-ნოემბერში ინფლაციურ პროცესებზე დამატებით ზეწოლის შემცირების მიზნით, ეროვ-

ნულმა ბანკმა 92.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ამდენად, საანგარიშო წელს სავალუტო აუქციონებით წმინდა შესყიდვებმა 72.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სულ სავალუტო აუქციონებისა და სავალუტო ოფციონების ინსტრუმენტით 2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა 123.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2019 წლის ბოლოს ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი წინა წელთან შედარებით აშშ დოლარის მიმართ 7.1 პროცენტით, ხოლო ევროსთან 4.5 პროცენტით გაუფასურდა. ლარი თურქულ ლირასთან 5.0 პროცენტით გამყარდა. ამავე პერიოდში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 7.9 პროცენტით გაუფასურდა. 2019 წელს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 5.3 პროცენტით გაუფასურდა. აღსანიშნავია, რომ რეალური გაცვლითი კურსის გაუფასურება ფიქსირდება ყველა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან მიმართებაში.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 251 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 2.12).

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების დინამიკაზე 2019 წელსაც, ტრადიციულად, რამდენიმე ძირითადი ფაქტორი მოქმედებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციები, საქართველოს მთავრობის ვალის მომსახურება და სავალუტო ხარჯები და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და გრანტები. 2019 წლის განმავლობაში სავალუტო აუქციონებითა და ოფციონებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვები 123 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. 2019 წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და დონორი სახელმწიფოებიდან სხვადასხვა პროგრამების და პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრანტებისა და სესხების ჯამური ოდენობა 433 მლნ, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული სესხის მოცულობა 83 მლნ აშშ დოლარია. მეორე მხრივ, მთავრობის საგარეო ვალის მომსახურებამ 443 მლნ, ხოლო სავალუტო ხარჯებმა 294 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წელს რეზერვების მოცულობის ცვლილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უცხოური ვალუტით მოზიდუ-

ლი სახსრებისათვის სარეზერვო მოთხოვნების ცვლილებებმა, რომელთა შედეგადაც მთლიანი საერთაშორისო რეზერვები დაახლოებით 114 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

2019 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა კვლავინდებურად კონსერვატიული და საკრედიტო რისკების შემცირებაზე ორიენტირებული იყო. საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები განთავსებული იყო აშშ-ს, ევროზონის ქვეყნების, ავსტრალიისა და კანადის სახელმწიფო, სახელმწიფო სააგენტოებისა და სუპრანაციონალური საფინანსო ინსტიტუტების მაღალი ლიკვიდურობის მქონე ფასიან ქაღალდებსა და მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო საბანკო დაწესებულებებში. 2019 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა და შემოსავლებმა 224 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2018 წელს მიღებულ შემოსავლებზე 63 პროცენტით მეტია.


2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა მსოფლიო ბანკთან სუვერენული ინვესტიციების პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობას. ამ პროგრამის წევრი ეროვნული ბანკი 2009 წელს გახდა და ის ითვალისწინებს ტექნიკურ მხარდაჭერას ეროვნულ ბანკში საერთაშორისო რეზერვების მართვის სფეროს შემდგომი განვითარების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და ცოდნის დაგროვების მიზნით და ასევე მოიცავს პორტფელისა და რისკების მართვის, ანგარიშსწორების, ბუღალტრული აღრიცხვის, სამართლებრივ და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში მსოფლიო ბანკის მიერ გამოცდილების გაზიარებას.

2019 წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) თანამშრომლობა, რომლის საინვესტიციო პროგრამაში BIS Investment Pool (BISIP) საქართველოს ეროვნული ბანკი 2014 წლის ბოლოს ჩაერთო. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს სხვადასხვა ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ერთ პორტფელში გაერთიანებული სახსრების მართვას. BISIP-ის პროგრამა ასევე მოიცავს რეზერვების მართვის სფეროში დახმარების გაწევასა და გამოცდილების გაზიარებას.



3

ფინანსური სტაბილურობა



3. ფინანსური სტაბილურობა

3.1 ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა

ფინანსური სტაბილურობის, როგორც მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანია. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ქვეყნაში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის მანდატს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში არ იქნება ეროვნული ბანკის ძირითადი მანდატის, ფასების სტაბილურობის, შესრულებასთან. ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ფინანსურ სისტემას შესწევს უნარი ბაზრის მონაწილეებს შეუფერხებლად მიაწოდოს მომსახურება როგორც კარგ, ასევე სტრესის პირობებში.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით, ეროვნული ბანკი ამ რისკების შემცირებისთვის საპასუხო პოლიტიკას შეიმუშავებს, რითაც ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას უწყობს ხელს. ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, რომელსაც სებ-ის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, მაკროპრუდენციულ პოლიტიკას უწევს კოორდინაციას. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი აფასებს და აანალიზებს სისტემურ რისკებსა და მათი შემცირების გზებს, გასცემს რეკომენდაციებს შესაბამისი მაკროპრუდენციული ზომების გატარების შესახებ და კოორდინაციას უწევს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად კაპიტალის კონტრცეკლური ბუფერი გამოიყენება. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ისეთი ქარბი დაკრედიტება შეზღუდოს, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. ბუფერის კონტრცეკლურობა ხელს უწყობს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად მიზანს - შეამციროს ფინანსური სტაბილურობის სისტემური რისკები. უარყოფითი შოკების დროს კონტრცეკლური ბუფერი ფინანსურ სისტემას უნდა დაეხმაროს იმისათვის, რომ ეკონომიკის დაკრედიტება მკვეთრად არ შეიზღუდოს და ამით, როგორც ფინანსური სექტორის, ისე


მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობა დამატებით არ გაუარესდეს. კაპიტალის კონტრცეკლური ბუფერის დადგენისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორების ანალიზი, როგორებიცაა: სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორები, საკრედიტო ტენდენციები, ფინანსური სექტორის ციკლური პოზიციის მაჩვენებლები, ქვეყნის შიდა და საგარეო მაკროფინანსური გარემოს მახასიათებლები და სხვა.

გარდა კონტრცეკლური ბუფერისა, მაკროპრუდენციული პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს ეროვნული ბანკი ბაზელ III-ის ჩარჩოსთან დაახლოების ფარგლებში დანერგილ კაპიტალის სხვა ბუფერებსაც იყენებს. მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტებია ასევე: სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები, სექტორული რისკის წონები და სხვა ინსტრუმენტები.

ფიზიკური პირების დაკრედიტების რეგულაციის ამოქმედების შედეგად, 2019 წლის დასაწყისიდან სესხების ზრდა მოსალოდნელი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2019 წლის დეკემბერში საკრედიტო პორტფელის წლიურმა ზრდამ გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 16.2 პროცენტი შეადგინა, რაც, მნიშვნელოვანწილად, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ზრდით იყო განპირობებული. აღსანიშნავია, რომ სესხების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან გრძელვადიან ტრენდს კვლავ აჭარბებს, რაც გასულ პერიოდებში ქარბ საკრედიტო ზრდასა და გაცვლითი კურსის ეფექტს ასახავს. საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის შეფასებით, არსებული ტენდენციით საკრედიტო ზრდა საშუალოვადიან პერიოდში მდგრად დონეს დაუახლოვდება. დაკრედიტების ზრდის აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით კომიტეტმა 2019 წლის ნოემბერში, წინა შეხვედრების მსგავსად, კონტრცეკლური ბუფერი უცვლელად, 0 პროცენტზე, დატოვა.

ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის 27 ნოემბრის სხდომის შემდგომ პრეს რელიზში აღინიშნა, რომ წლის დასაწყისიდან ამოქმედებული ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო ფინანსური სტაბილურობის რისკებს ამცირებს. ქარბი საკრედიტო ზრდის შენელების გარდა, მოლოდინების შესაბამის

დიაგრამა N 3.1 სესხებისა და ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპის შედარება



❖ სესხები მოიცავს ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებსა და ასევე, კომპანიების მიერ ადგილობრივად გამოშვებულ ობლიგაციებს.

❖❖ სესხების მშპ-თან ფარდობის გაპი წარმოადგენს სესხების მშპ-თან ფარდობის სხვაობას მისი გრძელვადიანი ტრენდიდან. ტრენდის შესაფასებლად, ბაზელის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოყენებულია HP ფილტრი.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

სად, ასევე დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა დაკრედიტების სტანდარტში. კერძოდ, მომსახურების და უზრუნველყოფის კოეფიციენტები უმჯობესდება და, შედეგად, მცირდება მაღალი საკრედიტო ტვირთით გაცემული სესხები, რომლებიც მოსახლეობისთვის ფინანსური პრობლემების მთავარი წყარო იყო. რაც შეეხება, ფიზიკური პირების დაკრედიტებას, სამომხმარებლო სესხების გაცემა შემცირდა, ხოლო იპოთეკური სესხების წლიური ზრდა 15 პროცენტის ფარგლებშია. აღნიშნულ ზრდაში იმატებს ლარით გაცემული იპოთეკური სესხების წილი, რაც მოსახლეობის მეტ დაცულობას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დამკვიდრებამ ხელი შეუწყო სესხების გადამისამართებას უფრო პროდუქტიულ სექტორებში, როგორებიცაა მცირე და საშუალო მეწარმეობა (SME) და სხვა ბიზნეს სესხები. შესაბამისად, ბიზნეს სესხების გაცემის ტემპი გაიზარდა და, კურსის ეფექტის გამორიცხვით, 20 პროცენტს გადააჭარბა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაკროპრუდენციული პოლიტიკის გამკაცრება არაპოპულარულია, რადგან, როგორც წესი, იგი მოკლევადიან პერიოდში სოციალურ ან ეკონომიკურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მისი სარგებელი (მაღალი და სტაბილური ზრდა, მაღალი და-

საქმება და დაბალი ფისკალური ხარჯები) კი, რომელიც, შესაძლოა, გაცილებით დიდი იყოს, მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში ვლინდება, რის გამოც, გამკაცრების აუცილებლობა რთულად აღსაქმელია.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, ფინანსური სისტემისთვის დოლარიზაციასთან დაკავშირებული რისკები კვლავაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ბანკები ინარჩუნებენ დახურულ სავალუტო პოზიციას, რაც ზღუდავს გაცვლითი კურსის მერყეობების პირდაპირ გავლენას. თუმცა, საბანკო სისტემა მაინც მოწყვლადია გაცვლითი კურსის გაუფასურების მიმართ, რადგან გაცვლითი კურსის ეფექტი საკრედიტო რისკზე აისახება (უცხოური ვალუტით მსესხებელთა უმრავლესობა არაჰეჯირებულია). უცხოური ვალუტის სესხებს, ერთი მხრივ, თან ახლავს გაცვლითი კურსის რისკი, ხოლო მეორე მხრივ, საპროცენტო რისკი, რომელიც განსაკუთრებით საგულისხმოა მსოფლიო ბაზრებზე აშშ დოლარსა და ევროზე საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ზრდის გათვალისწინებით. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღები სუვერენული რისკპრემიის ფაქტორიც, რომელიც, ფინანსური კრიზისის შემდგომ ისტორიულად დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში, მნიშვნელოვნად შემცირდა.

აღნიშნული სავალუტო საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის, ეროვნული ბანკი ბანკებს დამატებითი კაპიტალის ბუფერის დაცვას სთხოვს. ასევე, ეროვნული ბანკი ფინანსურ ინსტიტუტებს მიუთითებს, სესხების ფასდადებისას, უცხოური ვალუტის საპროცენტო რისკები სათანადოდ შეაფასონ და გაითვალისწინონ.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული გამოწვევებისა, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის შეფასებით, საქართველოს ფინანსური სისტემა პოტენციური შოკების მიმართ მდგრადია. საბანკო სექტორი მაკროეკონომიკის მდგრადი და ლიკვიდურია და მომგებიანობის მაღალ მაჩვენებელს ინარჩუნებს, ხოლო უმოქმედო სესხების წილი მთლიან დაკრედიტებაში კვლავაც დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება.

3.2 ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს ბანკითარება

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება ფინანსური სტაბილურობის მანდატის ნაწილია, ფინანსური სტაბილურობა კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის საკითხების და მაკროპრუდენციული პოლიტიკის აქტუალობა მსოფლიოში განსაკუთრებით ბოლო წლებში გაიზარდა. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით, საჭიროა ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური და სიღრმისეული ანალიზი. ფინანსური სტაბილურობის ანალიზი არ გულისხმობს მხოლოდ საბანკო სექტორის რისკების შეფასებას, ის ყურადღებას აქცევს ქვეყნის საგარეო ფაქტორებსაც, რომლებიც, როგორც ბოლო წლებში დაგვანახა, მნიშვნელოვანი რისკების წყარო აღმოჩნდა. ფინანსური სტაბილურობა, ასევე, ითვალისწინებს მაკრო-ფინანსურ გარემოს, შინამეურნეობებს, კომპანიებს და არასაბანკო ინსტიტუტებს.

ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბებას და განვითარებას ეროვნული ბანკი სხვა ცენტრალური ბანკების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით ახორციელებს, რისთვისაც ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, პირველ ეტაპს საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური ინდიკატორების შემუშავება და განვითარება წარმოადგენდა. აღნიშნული ინდიკატორები გამოიყენება ციკლური მაკროპრუდენციული პოლიტიკის შესამუშავებლად.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩარჩოს

მნიშვნელოვანი ნაწილია მაკროფინანსური მოდელირება. ეროვნული ბანკი, სსფ-ს ტექნიკური მისიის მხარდაჭერით, აქტიურად მუშაობს მაკროფინანსური მოდელის განვითარებაზე. მისი მიზანია ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის რისკების ანალიზი; მაკროფინანსური სცენარების გენერირება და ანალიზი; მაკროეკონომიკური სტრესტესტების ჩატარება, რაც შესაბამისი მაკროპრუდენციული პოლიტიკის შემუშავების ძირითადი ქვაკუთხედეა. 2018 წელს, სსფ-ის ტექნიკური მისიის ფარგლებში, ფინანსური სექტორის უკეთ აღწერის მიზნით, აღნიშნული მოდელი გაფართოვდა. მოდელს დაემატა მაკრო-ფინანსური კავშირების აღწერის მექანიზმი, რომელშიც ფინანსური სექტორის ქცევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, დაიხვეწა მაკროპრუდენციული პოლიტიკის მოდელირების მექანიზმი. მოდელის შემდგომი განვითარებისა და ანგარიშგების სრულყოფის მიზნით, 2020 წელს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, იგეგმება მაკროპრუდენციული მოდელის შემდგომი სრულყოფა. კერძოდ, დაგეგმილია მოდელის პარამეტრების რეკალიბრაცია და სხვა ცვლილებები მის სტრუქტურაში, რათა შესაძლებელი გახდეს სცენარების გენერირება შედარებით დიდი ზომის შოკების პირობებში. ამასთან, გათვალისწინებულია მოდელის შედეგების ანგარიშგების შემდგომი სრულყოფა.

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გამჭვირვალობის ზრდა და კომუნიკაციის გაუმჯობესებაა. ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მუდმივად ახლდება. განთავსებულია ინფორმაცია ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის ამოცანებისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტების შესახებ; ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომების კალენდარი, კომიტეტის განცხადებები და გადაწყვეტილებები; *ფასს 9*-სთან²⁴ დაკავშირებული საკითხები, მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შესახებ ინფორმაცია და სხვა.

ეროვნული ბანკი ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური ანგარიშგების *ფასს 9* სტანდარტზე ეფექტურ გადასვლას უწყობს ხელს. ფინანსური კომპანიების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმოების, ასევე ურთიერთშედარებით

24 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (*ფასს 9*).

ბის უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული ბანკი ფასს ო-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს რისკ-სცენარების დამუშავებას ახორციელებს და მაკროეკონომიკური ტენდენციების რაოდენობრივ შეფასებას²⁵ რეგულარულად აქვეყნებს, რომელიც შემდგომ, რეკომენდირებულია, ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას იქნეს გამოყენებული. ფასს ო-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური საპროგნოზო სცენარები მაკრო-ფინანსურ მოდელს ეფუძნება და, ასევე, დამატებით ანალიზსა და ექსპერტულ შეფასებებს ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სცენარები თავისი შინაარსით კონტრაციკლურია, რაც შესაძლო ფინანსური ციკლების შერბილებას უწყობს ხელს.

ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია მდგრადი ფინანსური სისტემა, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების მართვას და, ამასთანავე, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლის სექტემბრიდან მდგრადი საბანკო ქსელის (Sustainable Banking Network, SBN) წევრია და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებაზე აქტიურად მუშაობს.

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის გამოქვეყნება. საქართველოს მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი²⁶ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და IFC-ის მხარდაჭერით შექმნილ მდგრად საბანკო ქსელთან (SBN) თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. გზამკვლევი SBN-ის წევრი 36 ქვეყნის გამოცდილებას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ემყარება და ასევე შესაბამისობაშია ევროკავშირის კომისიის სამოქმედო გეგმასთან. გზამკვლევის წარდგენა ვაშინგტონში, 2019 წლის 10 აპრილს მდგრადი საბანკო ქსელის (SBN) საერთაშორისო შეხვედრაზე მოხდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ცენტრალური ბანკების პრეზიდენტები და ვიცე-პრეზიდენტები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ბაზრების წარმომადგენლები. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის აერთიანებს ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას, რომელთა განხორციელებაც ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით მომდევნო სამი-ოთხი წლის განმავლობაში

არის დაგეგმილი. გზამკვლევის მთავარი მიზანია შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის მოამზადებს. შემუშავებული სამოქმედო გეგმა რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს. კერძოდ, მდგრად დაფინანსებაზე ცნობიერების ამაღლება და კვალიფიკაციის ზრდა; რისკების მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური, გარემოსდაცვითი და მმართველობითი საკითხების გათვალისწინება; გამჭვირვალობის ზრდა და საბაზრო დისციპლინა, რაც, თავის მხრივ, კაპიტალის მდგრადი სექტორებისკენ წარმართვას შეუწყობს ხელს.

მდგრადი დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (Environmental, Social, and Governance; ESG) საკითხების კორპორატიულ მართვის კოდექსში ინტეგრირება წარმოადგენს. ეს საკითხები კომერციული ბანკებისათვის განკუთვნილ კორპორაციული მართვის კოდექსში უკვე ასახულია; ასევე მიმდინარეობს მუშაობა ESG თემების კაპიტალის ბაზრის კორპორაციული მართვის კოდექსში ინტეგრირებისათვის. თითოეული მათგანი როგორც ESG საკითხების გამჟღავნებას, ასევე მასთან დაკავშირებული რისკების მენეჯმენტს გულისხმობს. ასევე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა OECD-თან თანამშრომლობით, შეიმუშავა ESG საკითხების გამჟღავნებისა და ანგარიშგების პრინციპები, რომელსაც გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების გამჟღავნების შაბლონი ახლავს თან. მათი მიზანია ფინანსურ ინსტიტუტებს დაეხმაროს კორპორაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაში და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების თანმიმდევრულ და შესაძარის გამჟღავნებას.

2019 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა (IFC) და მდგრად საბანკო ქსელთან (SBN) თანამშრომლობით, მდგრადი დაფინანსების კონფერენციას უმასპინძლა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ IFC-ის ექსპერტები, SBN-ის წევრი ქვეყნებისა და რეგიონის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ შესაბამისი სამინისტროებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საფინანსო ორგანიზაციების პრეზიდენტები/აღმასრულებელი დირექტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები. აღნიშნული კონფერენცია მდგრადი

25 იხილეთ: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=694>
26 იხილეთ: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=723>

დაფინანსების მიმართულებით მეორე ღონისძიებაა, რომელსაც ეროვნულმა ბანკმა IFC-თან თანამშრომლობით უმასპინძლა. აღნიშნულ კონფერენციაზე მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, ეროვნულმა ბანკმა 2019 წლის ბოლოს მდგრადი დაფინანსების სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომლის წევრები ფინანსური სექტორის წარმომადგენლები არიან. სამუშაო ჯგუფის მიზანია, მდგრადი დაფინანსების გზამკვლევაში გათვალისწინებულ ღონისძიებებში დაინტერესებული მხარეების ადრეულ ეტაპზე ჩართვა და, შესაბამისად, სამოქმედო გეგმის წარმატებულად განხორციელების უზრუნველყოფა.

საქართველოს პროგრესი მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების მიმართულებით ამ და სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯების შედეგია, რაც SBN-ის მდგრადი დაფინანსების შეფასების ექვსსაფეხურიან სისტემაში ორი საფეხურით დაწინაურებაში აისახა²⁷. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა “საწყისიდან” “განვითარების” საფეხურზე გადაინაცვლა. საქართველო ერთ-ერთია იმ შვიდი ქვეყნიდან, რომლებმაც 2019 წელს მსგავსი მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა შეძლეს.

ქმედითი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მაკროპრუდენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2019 წლის 18 სექტემბერს მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგია გამოაქვეყნა²⁸. სტრატეგია ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის განხორციელების ძირითად პრინციპებს ასახავს და გადაწყვეტილების მიღების პროცესის, კომუნიკაციისა და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. სტრატეგია ევროპის სისტემური რისკის კომიტეტის რეკომენდაციებსა (ESRB/2013/1²⁹) და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას იზიარებს და ევროკავშირის დირექტივებთან თავსებადია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სტრატეგიაში ESRB/2013/1-ის რეკომენდაციებისა და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით მაკროპრუდენციული პოლიტიკის ხუთი შუალედური მიზანი განსაზღვრა:

- ქარბი საკრედიტო ზრდისა და ლევერიჯის შემცირება და თავიდან აცილება.
- ბაზრის არალიკვიდურობისა და ვადიანობის ქარბი შეუსაბამობის შემცირება და თავიდან აცილება.

27 იხილეთ: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3772>

28 იხილეთ: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=738>

29 იხილეთ: https://www.esrb.europa.eu/pub/pdf/recommendations/2013/ESRB_2013_1.en.pdf

- პირდაპირი და არაპირდაპირი პოზიციის კონცენტრაციის შეზღუდვა.
- არასწორი სტიმულების (misaligned incentives) სისტემური ზემოქმედების შეზღუდვა მორალური რისკის (moral hazard) შემცირების მიზნით.
- ფინანსური სისტემის დოლარიზაციის შემცირება.

აღნიშნული შუალედური მიზნები შესაბამის ინდიკატორებთან და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო მაკროპრუდენციულ ინსტრუმენტებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, სტრატეგია მაკროპრუდენციული პოლიტიკის უმთავრესი მიზნის - საქართველოში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას ემსახურება.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2019 წელს განაახლა ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის³⁰ გამოცემა, რომელიც ყოველწლიურად გამოქვეყნდება. ფინანსური სტაბილურობის განახლებული ვერსია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა. ამ მიზნით სსფ-ის მისია საქართველოს 2018 წლის ოქტომბერში და 2019 წლის აპრილში ეწვია. ანგარიში მომავალზე ორიენტირებულ მაკროფინანსურ ანალიზზე დაფუძნებული და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ითვალისწინებს. ანგარიშში წარმოდგენილია ფინანსურ სისტემაში არსებული მოწყვლადობისა და რისკების შეფასება, სადაც ძირითადი აქცენტი საშუალო და გრძელვადიან პერიოდზეა გაკეთებული, ფინანსური სექტორის სტრუქტურულ მახასიათებლებსა და საქართველოს ეკონომიკის იმ ასპექტებზე, რომლებიც ფინანსური სტაბილურობისთვის არის მნიშვნელოვანი. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში ასევე მოიცავს ადგილობრივი ფინანსური სისტემის მდგრადობის ანალიზს. გარდა ამისა, ანგარიშში ვრცლად არის წარმოდგენილი ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებები. კერძოდ, დეტალურადაა მიმოხილული მთლიან საბანკო სისტემაზე ორიენტირებული მაკროპრუდენციული ღონისძიებები და ცალკეული ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის ზრდისკენ მიმართული მიკროპრუდენციული ზომები.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩარჩოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სტრეს-ტესტები. საქართველოს ეროვნული ბანკი, სსფ-ს ტექნიკური მისიის მხარდაჭერით, აქტიურად მუშაობს სტრესტესტების მოდელის განვითარებაზე. სტრესტესტების მთავარი მიზანი

30 იხილეთ: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/finstability_2019_geo_publish.pdf

ბანკების უარყოფითი შოკების მიმართ მდგრადობის შეფასებაა. აღნიშნული ინსტრუმენტი ცენტრალურ ბანკებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ შოკის მიტიგაციის გზები და შეიმუშაონ პოლიტიკა, რომელიც სტრესულ პირობებში ფინანსური შუამავლების შეუფერხებელ ფუნქციონირებას ისახავს მიზნად, რაც სტრესის ხანგრძლივობის შემცირებასა და ეკონომიკის სწრაფ აღდგენას უწყობს ხელს. 2019 წელს, ტექნიკური მისიის ფარგლებში, რისკების უკეთ ანალიზისთვის და სატელიტური მოდელების განვითარებისთვის, აღნიშნული სტრესტესტების მოდელი გაფართოვდა. კერძოდ, განახლდა სატელიტური მოდელები და ისინი დაიყოფილად ადგილობრივი და უცხოური ვალუტების მიხედვით, რაც საკრედიტო რისკის უკეთ შეფასების საშუალებას იძლევა. ასევე, მოდელში სრულყოფილად იქნა გათვალისწინებული დოლარიზაციის არხი, გაუმჯობესდა საპროცენტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია და შეიცვალა ჩარჩოს სტრუქტურა, რომელიც, თავის მხრივ, საბალანსო და გარესაბალანსო კომპონენტების დეტალური მონიტორინგის საშუალებას იძლევა. მოდელის შემდგომი განვითარებისა და ანგარიშგების სრულყოფის მიზნით, 2020 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით ასევე იგეგმება სტრესტესტების მოდელის კიდევ უფრო გაუმჯობესება, რათა მოხდეს ყველა შესაძლო რისკის გათვალისწინება.


ჩანართი 4 პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციის გავლენის შეფასება

2019 წლის იანვარში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულება მიიღო, რომლის მიზანი საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება იყო. აღნიშნული დებულება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება და ქვეყნის მახასიათებლებს ითვალისწინებს. რეგულაციის თანახმად, ფინანსურმა ინსტიტუტმა სესხი არ უნდა გასცეს მსესხებლის გადახდისუნარიანობის სათანადოდ შესწავლის გარეშე. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა სესხის მომსახურებისა (PTI) და უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტებზე ზღვრები დააწესა. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული კოეფიციენტები მოთხოვნის მხარეზე მოქმედებს, ისინი როგორც მსესხებლების ქარბი ვალის ტვირთისგან დაცულობას, ასევე ბანკების მდგრადობას უზრუნველყოფს.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ამოქმედების შედეგად, საცალო სესხები ბიზნეს სესხებით ჩანაცვლდა, რამაც ეკონომიკურ ზრდას შეუწყობ ხელი. 2019 წლის დეკემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპმა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 16.2 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლების ტენდენციის შესაბამისია (ბოლო 3 წლის საშუალო ზრდა 17.5 პროცენტი იყო). თუმცა, სესხების ზრდის სტრუქტურა შეიცვალა. წინა წელთან შედარებით, ფიზიკური პირების დაკრედიტების ზრდის ტემპი 8 პპ-ით, 9.6 პროცენტამდე, შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დაკრედიტების ზრდის ტემპი 7.8 პპ-ით, 24.3 პროცენტამდე, გაიზარდა (დიაგრამა N 3.2). სესხების აღნიშნულმა გადამისამართებამ ეკონომიკის ზრდას შეუწყობ ხელი, რადგან სამომხმარებლო სესხებთან შედარებით, ბიზნეს სესხები მეტ დამატებით ღირებულებას ქმნის. ეროვნული ბანკის შეფასებით, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების ამოქმედებამ 2019 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი დაახლოებით 0.6 პპ-ით გაზარდა.


პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ამოქმედების შედეგად, დაკრედიტების სტანდარტი და პორტფელის ხარისხი გაუმჯობესდა. 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირდა რისკიანი იპოთეკური სესხების წილი, რომელთა სესხის მომსახურების კოეფიციენტი 50 პროცენტზე მეტია. ასევე, გაუმჯობესდა პორტფელის ხარისხი და უმოქმედო სესხების წილი დაახლოებით 1 პპ-ით შემცირდა. პორტფელის ხარისხი გაუმჯობესებულია როგორც იპოთეკურ, ისე სამომხმარებლო და ბიზნეს სესხებში. ასევე, საცალო დაკრედიტებაში თვეების მიხედვით გაცემული სესხების რაოდენობას თუ შევხედავთ (დიაგრამა N 3.3), შეიძლება ითქვას, რომ 2019 წელს ახალ მოთხოვნებზე გადაწყობის შემდეგ, მომხმარებლების სესხებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა. კლება, ძირითადად, მოხდა მაღალპროცენტიანი, ე.წ. „სწრაფი“ და „ონლაინ“ სესხების ხარჯზე, რომელთა დეფოლტების დონე ცალკეულ შემთხვევებში 10 პროცენტს აღემატებოდა, რაც მოსახლეობის ფინანსური მოწყვლადობის მატერიალურ საფრთხეს წარმოადგენდა. შეზღუდვების ფონზე, დეფოლტების დონეს შემცირების ტენდენცია აქვს და უკვე არსებული მაჩვენებელიც კი მისაღებ ფარგლებშია. გარდა ამისა, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ამოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ლარიზაცია, რასაც 200000 ლარამდე უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემის აკრძალვამაც შეუწყობ ხელი. მთლიან პორტფელში ლარიზაცია, კურსის ეფ-

3.2 საბანკო სესხების წლიური ზრდის ტემპი(კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

3.3 თვის განმავლობაში გაცემული სესხების რაოდენობა და საკრედიტო დეფოლტები³¹



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ექტის გამორიცხვით, 2.5 პპ-ით, ხოლო იპოთეკურ სესხებში 14 პპ-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ რეგულაციამ ხელი შეუწყო საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ხოლო საკრედიტო პორტფელის ვადიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია. პორტფელის საშუალო ვადიანობა წინა წლების ტენდენციის შესაბამისად განაგრძობს ზრდას.

³¹ გრაფიკზე მოცემულია ბანკებისა და არასაბანკო ინსტიტუტების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების რაოდენობა თვეების მიხედვით და ამ სესხების

შინამეურნეობის ქარბვალთანობის კუთხით ჯამში გასულ წელს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გარდა იმისა, რომ აღნიშნული რეგულაციის შედეგად დაიკლო ახალი სესხე-

რა ნაწილზე დაფიქსირდა დეფოლტი (30-დღეზე მეტი ვადაგადაცილება). ცხადია, სესხის დეფოლტის დადგომას გარკვეული დაკვირვების ვადა სჭირდება, თუმცა ცალკეული შეფასებებით, მსგავსი სესხების დეფოლტების მნიშვნელოვანი ნაწილი მისი გაცემიდან პირველ 6 თვეში ხდება. ამიტომ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, გრაფიკზე მოცემული 2019 წლის აგვისტომდე მაჩვენებელი მატერიალურად აღარ შეიცვლება.

ბის დეფოლტების დონემ, მატერიალურად შემცირდა წინა წლებში დაგროვილი ვადაგადაცილების მქონე მსესხებლების რაოდენობაც. კერძოდ, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 472,013 პირს უფიქსირდებოდა სესხზე 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება, როდესაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 785,267 პირს ჰქონდა პრობლემა. აქ ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა 2018 წლის ბოლოს განხორციელებული სესხების პატიების პროგრამა, რომელიც 615,164 მსესხებელს შეეხო³². ასევე აღსანიშნავია, რომ იმ კლიენტების რაოდენობა, რომელთაც ვადაგადაცილება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უფიქსირდებოდა და არ უფიქსირდებოდათ 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით, მხოლოდ 111,014-ს შეადგენს და უმეტესად წინა წლებში გაცემული სესხებიდან მოდის, რაც მნიშვნელოვანი შემცირებაა და რაც 2018 წლიდან ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ე.წ. პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების ეტაპობრივად შემოღების შედეგია.

რომ შევაჯამოთ, აღნიშნულმა რეგულაციამ შეამცირა შინამეურნეობების ვალის ტვირთის ჭარბი ზრდა, უკეთესად დაიცვა მსესხებლები ფინანსური მოწყვლადობის რისკებისგან და გააუმჯობესა ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხი, იმ პირობებში, რომ მატერიალურად არ შეცვლილა მოსახლეობის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და აგრეგირებულად მას ნეგატიურად არ უმოქმედია მიმდინარე საკრედიტო და ეკონომიკურ აქტივობაზე. ამავდროს, საშუალოგადაიან პერიოდში რეგულაცია ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

ჩანართი 5 საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მისი მანდატის ფარგლებში, ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორზე COVID-19-ის ზეგავლენის შერ-32 ვინაიდან მსესხებელი ორგანიზაციების ნაწილმა პროგრამაში ჩართვა არ მოისურვა, პატიების პროგრამა სესხების მხოლოდ ნაწილს შეეხო, რის გამოც მსესხებლების გარკვეული რაოდენობა, რომელთაც გააჩნდათ ისეთი პარალელური სესხები, რომლებიც გაცემული იყო იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც პროგრამაში ჩართვა არ ისურვეს, კვლავ ვადაგადაცილებულ ნუსხაში დარჩა. ასე მაგალითად, მსესხებელი, რომელსაც ჰქონდა ორი სესხი - ერთი ორგანიზაციიდან, რომელმაც ისურვა პროგრამაში ჩართვა და მეორე კი ორგანიზაციიდან, რომელმაც პროგრამაში ჩართვა არ ისურვა - ვადაგადაცილებულთა სიაში დარჩა მიუხედავად იმისა, რომ მისი სესხი პირველ ორგანიზაციასთან ჩამოიწერა, ვინაიდან მეორე ორგანიზაცია პროგრამაში არ ჩართულ და სესხის ჩამოწერა არ ისურვა.

ბილების მიზნით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარა. საგანგებო ნაბიჯები სხვადასხვა მიმართულებით გადაიდგა: ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებისთვის ლიკვიდური ფულადი რესურსების შეუფერხებელი მიწოდება, დროებითი საზედამხებველო გეგმის შემუშავება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ს) პროგრამის გაფართოება და სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმის ამოქმედება.

ლიკვიდური სახსრების მიწოდება

საქართველოს ეროვნული ბანკის, ისევე როგორც სხვა ცენტრალური ბანკების, მნიშვნელოვან ფუნქციას ფინანსური სისტემის საჭირო ლიკვიდობით უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სტრესულ ვითარებაში ლიკვიდობის მიწოდების საჭიროება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგანაც ასეთ დროს ლიკვიდობაზე მოთხოვნის ზრდა დამახასიათებელია ფინანსური ბაზრებისთვის როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ეკონომიკებში. ამ პირობებში დამატებითი ლიკვიდობის მიწოდება ცენტრალური ბანკების აუცილებელი ფუნქციაა, რასაც მსოფლიოს ბევრი ცენტრალური ბანკი აქტიურად მიმართავს.

ცენტრალური ბანკის მხრიდან ფინანსური სისტემისთვის საკმარისი ლიკვიდობის მიწოდება აუცილებელია იმისათვის, რომ ფინანსურ სისტემაში ლიკვიდობის სიმცირე ეკონომიკის დაკრედიტების შეფერხების დამატებითი წყარო არ გახდეს და ფინანსებზე წვდომა არ გაუარესდეს. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის მხრიდან ლიკვიდობის მიწოდება მხოლოდ შესაბამისი გირაოს საფუძველზე ხდება.

სვოპ ოპერაციები

დღეის მდგომარეობით, საფინანსო სისტემას უცხოური ვალუტის ჭარბი ლიკვიდობა აქვს, მაგრამ, ამავდროს, გაზრდილია მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ქმედითი მონეტარული ინსტრუმენტები, რათა ფინანსურ სექტორს ეროვნული ვალუტის ლიკვიდობა შეუზღუდავად მიაწოდოს.

კორონავირუსის პანდემიისა და არსებული ლოჯისტიკური შეზღუდვების ფონზე, კერძო პირებისა და კომპანიების მხრიდან მოთხოვნა ნაღდ ფულზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე, პანდემიაზე რეაგირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტმა კომერციული ბანკებში არსებული ანგარიშებიდან თანხების ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშზე მობილიზება მოახდინა. ამის გარ-

და, ეროვნული ბანკი სავალუტო ინტერვენციების გზით მიმოქცევიდან ლარს იღებს. ასევე, კომერციულმა ბანკებმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმეტესობამ მსესხებლებს სამთვლიანი საშეღავათო პერიოდი შესთავაზა, რამაც მათი შემოდინების ნაკადები შეამცირა, რაც ასევე ზრდის მოთხოვნას ლიკვიდურ სახსრებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფინანსო სისტემის მოთხოვნა ეროვნული ვალუტით ლიკვიდობაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა და განჩნდა ამ მოთხოვნის ცენტრალური ბანკის მიერ ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტებით დაბალანსების საჭიროება.

ეროვნული ბანკი ასევე ითვალისწინებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როლს საქართველოს რეგიონებში ბიზნესისა და მოსახლეობის ფინანსური სერვისების მიწოდების კუთხით. შესაბამისად, ეროვნული ბანკი ლიკვიდობის მხარდაჭერას სტანდარტულ რეფინანსირების სესხებთან ერთად, დამატებით „სვოპ“ ოპერაციებითაც უზრუნველყოფს, რომლებიც, ბანკების გარდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვისაც იქნება ხელმისაწვდომი. კერძოდ, ლიკვიდობის მხარდაჭერის მიზნით, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს 200-200 მლნ (ჯამში 400 მლნ) აშშ დოლარის ლიმიტის სვოპ ოპერაციებით აპრილი-მაისის პერიოდში ლარის ლიკვიდობას მიაწვდის. სვოპის მთლიანი თანხა სქემის მონაწილეთა შორის ფინანსური ინსტიტუტის საბაზრო წილის პროპორციულად განაწილდება. ამასთან, ზედმეტი კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად, ერთ ორგანიზაციაზე დაწესდება მთლიანი მოცულობის 25%-მდე ლიმიტი, რაც მცირე ზომის ფინანსური ინსტიტუტებისათვის რესურსების ხელმისაწვდომობას გაზრდის. სვოპ ოპერაციების ვადა განსაზღვრულია 1 თვით, შემდეგი 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური განახლების უფლებით.

ამასთან ერთად, ლიკვიდობის რისკის შესამცირებლად, ეროვნული ბანკი აამოქმედებს მუდმივმოქმედი სვოპის ინსტრუმენტს, რაც ბანკებს, საჭიროების შემთხვევაში, საშუალებას მისცემს დამატებით მიიღონ ლარის ლიკვიდობა საჭარბო საპროცენტო განაკვეთით. საყურადღებოა, რომ ლიკვიდობის მიწოდებით ცენტრალური ბანკი ფულად ნაკადებში შესაძლო დროებითი კლების დაბალანსებას ემსახურება, რაც გადახდისუნარო ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსების წყაროს არ წარმოადგენს.

შედეგად, სვოპ ინსტრუმენტი კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს, ლარის ლიკვიდობაზე გაზ-

რდილი მოთხოვნა დამატებითი რისკების აღების გარეშე დააკმაყოფილონ.

გარდა ამისა, აპრილში, ეროვნულმა ბანკმა 200 მლნ აშშ დოლარის ლიმიტის სვოპ ხელშეკრულება გააფორმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ოდენობის ლარის ლიკვიდობას მიაწვდის. როგორც ცნობილია, EBRD საქართველოში მრავალ მნიშვნელოვან პროექტს აფინანსებს. დაფინანსება ხორციელდება როგორც უცხოური ვალუტით, ასევე, ზოგ შემთხვევაში, ეროვნული ვალუტით. რადგანაც EBRD-ის რესურსი უცხოური ვალუტით აქვს, საქართველოში სხვადასხვა პროექტის ლარით დაფინანსებისთვის ორგანიზაცია სავალუტო რისკს ბაზრის სხვა მონაწილეებთან აზღვევს. ამ შემთხვევაშიც, გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, სავალუტო რისკების დაზღვევის ფასი საგრძნობლად გაიზარდა. ეროვნულ ბანკთან სვოპ ოპერაცია EBRD-ის საშუალებას მისცემს გააგრძელოს საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პროექტების ლარით დაფინანსება, რაც პოტენციურ ბენეფიციარებს სავალუტო რისკს თავიდან ააცილებს.

ეროვნული ბანკი დღევანდელ ვითარებაშიც და პანდემიის დასრულების შემდეგ, როდესაც ეკონომიკური ცხოვრება ჩვეულ რიტმში ჩადგება, ტრადიციულად უზრუნველყოფს საფინანსო სისტემაში და მთლიანად ეკონომიკაში ლიკვიდობის ადეკვატური დონის არსებობას. შესაბამისად, მონეტარული ინსტრუმენტებისა და უცხოური ვალუტით დაგროვილი ბუფერების გამოყენების შედეგად, ლიკვიდობა საფინანსო სისტემისათვის ეკონომიკის დაკრედიტების შემზღვეველი ფაქტორი არ იქნება, მათ შორის, არც პანდემიის გახანგრძლივების შემთხვევაში.

საზედამხედველო ღონისძიებები

კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა დროებითი საზედამხედველო გეგმა და გაატარა სხვა ფულად-საკრედიტო ღონისძიებები რომლებიც სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის,³³ ევროპის ცენტრალური ბანკის და სხვა წამყვანი ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციებთან.

33 IMF policy paper, (March 16, 2020) <https://www.imf.org/en/Publications/Policy-Papers/Issues/2020/03/16/Policy-Steps-to-Address-the-Corona-Crisis-49262>

კაპიტალთან დაკავშირებული ღონისძიებები

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბანკო სისტემისთვის დროებით გადაავადა მარტში დაგეგმილი პირველადი კაპიტალის მოთხოვნების ზრდა (საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისა და წმინდა GRAPE ბუფერისთვის), რაც აბსოლუტურ მაჩვენებელში პირველადი კაპიტალის მოთხოვნების 274 მილიონით გაზრდას განაპირობებდა.

ამასთანავე, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საზედამხედველო გეგმის თანახმად, კომერციულ ბანკებს შემოსუბუქდა კაპიტალის მოთხოვნები, რაც გულისხმობს კაპიტალის კონსერვაციის ბუფერისა (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5%-ის ოდენობით) და პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის (არაპჭვირებული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3) გაუქმებას. აღნიშნულმა საბანკო სექტორს 1.6 მილიარდი ლარის ოდენობის კაპიტალი გამოუთავისუფლა. ეროვნული ბანკის მიერ კაპიტალის მოთხოვნების შემსუბუქების მიზანი გამოთავისუფლებული რესურსების მიერ მოსალოდნელი ზარალების განეიტრალება და, შესაბამისად, ეკონომიკის დაკრედიტების გაგრძელებაა. ბანკებს აეკრძალათ ამ კაპიტალის გამოყენება დივიდენდის, აქციების გამოსყიდვის, წილობრივი ინვესტიციების, მენეჯმენტის ბონუსების ზრდის ან სხვა ისეთი გადახდების განსახორციელებლად, რაც ბანკის კაპიტალს შეამცირებს.

ზემოთ აღნიშნული კაპიტალის ღონისძიებები ეყრდნობა ევროპის ცენტრალური ბანკისა³⁴ და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ საზედამხედველო გეგმებს, რომლებიც COVID-19-ისგან მიღებული ზარალების შემსუბუქებისაკენაა მიმართული. ამ დოკუმენტებში ისინი თავიანთ კონტროლ ქვეშ არსებულ იურისდიქციებს მოუწოდებენ, შეამსუბუქონ კაპიტალის კონტრაციული ბუფერები (ქვეყნების უმეტესობამ, რომელთაც ჰქონდათ დაწესებული, უკვე შეამცირა³⁵ ეს ბუფერი) და ბანკებს საშუალება მისცენ, კონსერვაციის ბუფერები გამოიყენონ.

მსხვილი რისკების დებულების ამოქმედების გადავადება

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, 2020 წლის ივნისში ასამოქმედებელი „რისკის პო-

34 European Central Bank, Press release, (March 12, 2020) <https://www.bankingsupervision.europa.eu/press/pr/date/2020/html/ssm.pr200312~43351ac3ac.en.html>

35 PWC - "Supervisory measures in reaction to the Corona crisis – Minimum capital ratios", (April 17, 2020) <https://blogs.pwc.de/regulatory/aktuelles/supervisory-measures-in-reaction-to-the-corona-crisis-minimum-capital-ratios/4481/>

ზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება“ 2021 წლამდე გადავადდა. აღნიშნული ბანკებს საშუალებას მისცემს, დაკრედიტება აქამდე არსებული წესების ფარგლებში განაგრძონ. შესაბამისად, ბანკებს აქვთ შესაძლებლობა, ძალაში დატოვონ საზედამხედველო კაპიტალზე გაანგარიშებული ლიმიტები, ნაცვლად ახალ დებულებაში განსაზღვრული პირველადი კაპიტალისა, რაც ლიმიტთან ახლოს მყოფ მსესხებელთა ჯგუფების დაკრედიტების ზრდის შეზღუდვას გამოიწვევდა.

დარეზერვების პოლიტიკის დროებითი ცვლილება

COVID-19-ის მძიმე ეკონომიკურმა გავლენამ კომერციული ბანკების მიერ სესხების გადახდაზე 3 თვიანი საშეღავათო პერიოდის დაწესება განაპირობა, რაც მსესხებლების გადახდელუნარიანობაზე ნეგატიურად აისახა. ვინაიდან კორონავირუსის პანდემიას უარყოფითი გავლენა მსესხებლების დიდ ნაწილს შეეხო, ბანკებმა მსესხებლების უმეტესობისთვის დროებითი საშეღავათო პერიოდების მიცემა დაიწყეს. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ მიხედვით, ასეთი სესხი, რესტრუქტურისაციის შემთხვევაში, როგორც წესი, ნეგატიურად კლასიფიცირდება და სარეზერვო ხარჯს იწვევს. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა ასეთი სესხები ავტომატურად არ დაკლასიფიცირებულიყო ნეგატიურ სესხებად და შემდგომში, გადახდების უპრობლემოდ გაგრძელების შემთხვევაში, ამ სესხებს სტანდარტული კატეგორია შეუნარჩუნდებოდა. ეს ნაბიჯი ბანკებისათვის საზედამხედველო ტვირთს მნიშვნელოვნად ამცირებს.

აღნიშნული ინიციატივა ეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების სფეროში მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებულ რეკომენდაციებსა და ცვლილებებს. ევროპის ცენტრალური ბანკი³⁶, ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების კომისია³⁷, ინგლისის ბანკი³⁸ და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების

36 European Central Bank, Press release (March 20, 2020) <https://www.bankingsupervision.europa.eu/press/pr/date/2020/html/ssm.pr200320~4cddbcbf466.en.html>

37 European Securities and Markets Authority, Public Statement (March 25, 2020) https://www.esma.europa.eu/sites/default/files/library/esma32-63-951_statement_on_ifrs_9_implications_of_covid-19_related_support_measures.pdf

38 Bank of England, Public Letter to Commercial Banks, (March 26, 2020) <https://www.bankofengland.co.uk/-/media/boe/files/prudential-regulation/letter/2020/covid-19-ifrs-9-capital-requirements-and-loan-covenants.pdf?la=en&hash=77F4E1D06F713D2104067EC6642FE95EF2935EBD>

სტანდარტების ორგანიზაცია³⁹ თავიანთ დოკუმენტებში განსაზღვრავენ, რომ ბანკებმა არ უნდა გამოიყენონ მექანიკური მიდგომა ისეთ სესხებთან მიმართებით, რომლებზეც ვრცელდება საშელავათო პერიოდი და მომხმარებლის ინდივიდუალური მდგომარეობის შესწავლის გარეშე არ უნდა ჩათვალოს ასეთი სესხები უმოქმედოდ.

საზედამხედველო რეფორმებსა და სანქციებზე მორატორიუმი

ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დაწესებაზე დროებითი მორატორიუმი გამოცხადდა, რათა ბანკებს არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ რესურსების მაქსიმალური მობილიზების საშუალება ჰქონდეთ.

რაც შეეხება სანქციებს, იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ლიმიტების დარღვევა მიმდინარე შოკის გავლენიდან გამომდინარე ფაქტორებიდან მოხდება (მაგ. კურსის გაუფასურება, რეზერვები/ზარალები), სე-ი საჯარიმო სანქციებს არ გამოიყენებს. აღნიშნული ეხება მხოლოდ ეკონომიკური ლიმიტების (კოფიციენტების) დარღვევას და არ ეხება სხვა ტიპის საკანონმდებლო დარღვევებს.

საერთაშორისო სავალუთო ფონდის პროგრამა

2020 წლის 1-13 აპრილის პერიოდში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა საერთაშორისო სავალუთო ფონდის მისიასთან განხილვები გამართა. შედეგად, საქართველოში მიმდინარე პროგრამის მეექვსე მიმოხილვის წარმატებით დასრულებაზე და პანდემიასთან გასამკლავებლად პროგრამის საერთო თანხის გაზრდაზე მისიის დონეზე მიღწეულ იქნა შეთანხმება.

სავალუთო ფონდის პროგრამის ფარგლებში დაფინანსების გაზრდა ქვეყანას მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარებაში დაეხმარება და, ამავდროულად, სხვა საერთაშორისო დონორებიდან დახმარების მობილიზებას დააჩქარებს.

სსფ-ს მისიასთან მიღწეული შეთანხმება პროგრამის ფარგლებში დაფინანსების დამატებით დაახლოებით 375 მლნ დოლარით გაზრდას ითვალისწინებს, რაც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებებსა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ საჭიროებებს მოხმარდება.

39 IFRS – “Accounting for expected credit losses applying IFRS 9 Financial Instruments in the light of current uncertainty resulting from the covid-19 pandemic.” (March 27, 2020) <https://cdn.ifrs.org/-/media/feature/supporting-implementation/ifrs-9/ifrs-9-ecl-and-coronavirus.pdf?la=en>

სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს დასტურის შემდეგ, რომელიც მაისის დასაწყისშია მოსალოდნელი, 200 მილიონი აშშ დოლარი დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს ბიუჯეტისთვის. თანხის დარჩენილი ნაწილი კი პროგრამის დარჩენილ პერიოდზე გადანაწილდება.

პანდემიის ფონზე გაზრდილი ფინანსური საჭიროების დაფინანსებასთან ერთად, სსფ-ს მიერ გამოყოფილი თანხები საერთაშორისო რეზერვებზეც პოზიტიურად აისახება. ხაზგასასმელია, რომ გასული წლების განმავლობაში საერთაშორისო რეზერვების დაგროვების მიმართულებით გაწეული ძალისხმევის სარგებელი სწორედ არსებულ სიტუაციებში ჩანს. ამ განსაკუთრებული ვითარების ფონზე, ინტერვენციების საშუალებით მოხდება სწორედ აღნიშნული რეზერვების გამოყენება სავალუთო ბაზრისთვის მისაწოდებლად. შოკებთან გასამკლავებლად გაცვლითი კურსის მოქნილობა კვლავ აქტუალური იქნება. თუმცა, ამავდროულად, ფასების სტაბილურობის მანდატის ფარგლებში - ლარის გადაჭარბებული მერყეობების შესარბილებლად და სავალუთო ბაზრისთვის უცხოური ვალუტის ლიკვიდობის მისაწოდებლად - სავალუთო ინტერვენციები იქნება გამოყენებული.

უცხოური ვალუტის ბაზრისთვის, უკვე არსებულ სავალუთო აუქციონებთან ერთად ეროვნული ბანკი წესებზე დაფუძნებულ ინტერვენციებს გამოიყენებს. პლატფორმაზე ეროვნული ბანკის აღნიშნული ინტერვენციები წესებს დაეფუძნება და მისი მიზანი ბაზარზე ჭარბი მერყეობის შემცირება იქნება. როდესაც კურსის მერყეობა წინასწარ დადგენილ ნიშნულს გადასცდება, ეროვნული ბანკი აღნიშნულ პლატფორმაზე ვაჭრობებში ჩაერთვება და მონაწილეობას მიიღებს განსაზღვრული ოდენობით. მცირე ოდენობებით ხშირი ინტერვენციებით ეროვნული ბანკი უფრო ეფექტურად შეძლებს სავალუთო ბაზარზე ჭარბი მერყეობის შემცირებას, რაც მნიშვნელოვანია ძირითადი ამოცანის - ფასების სტაბილურობისთვის.

ჭარბი მერყეობის შემცირება განსაკუთრებით აქტუალური ბოლო პერიოდში გახდა, როდესაც ბაზარზე გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მერყეობა. მიუხედავად სავალუთო ბაზარზე უფრო აქტიური მონაწილეობისა, ეროვნული ბანკი ინარჩუნებს მცურავი გაცვლითი კურსის პოლიტიკას და გაცვლითი კურსის მოქნილობა შოკებთან გასამკლავებლად კვლავ მნიშვნელოვან ბერკეტად რჩება.

სავალუთო ბაზრისთვის უცხოური ვალუტის ლიკვიდობის მისაწოდებლად BMatch პლატ-


ფორმაზე განხორციელებულ ინტერვენციებთან ერთად, ეროვნული ბანკი საჭიროებისამებრ მიმართავს სავალუტო აუქციონებით ინტერვენციის მექანიზმსაც. როგორც ცნობილია, საერთაშორისო დონორებიდან მიღებული დახმარების დიდი ნაწილი ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვში აისახება და სავალუტო ბაზარზე არ ხვდება. ამის გამო, ყალიბდება კერძო სექტორის უარყოფითი საგარეო სალდო, მაშინ როცა სახელმწიფო სალდო დადებითია. ასეთ პირობებში ეროვნული ბანკი ამ განსხვავებების ნაწილობრივ დასაბალანსებლად სავალუტო აუქციონებს განახორციელებს. რეზერვების

გამოყენების საშუალებას ეროვნულ ბანკს გასული წლების განმავლობაში საერთაშორისო რეზერვების დაგროვების მიმართულებით გაწეული ძალისხმევა აძლევს. ამასთანავე, რეზერვების დანაკლისს, გარკვეულწილად, დონორთა დაფინანსებით მიღებული რესურსები დააბალანსებს. მთლიანობაში, მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოსთვის რეზერვების დონე 2019 წლის ბოლოს არსებული ნიშნულის ფარგლებში - საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეზერვების ადეკვატურობის (ARA metric) ფარგლების ქვედა ზღვართან ახლოს იქნება.



4

საბანკო ზედამხედველობა



4. საბანკო ზედამხედველობა

4.1 საზედამხედველო ჩარჩოს ბანკითარება

2019 წელი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის აქტიური იყო საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწისა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიმართულებით.

წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებები „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და გამომდინარე კანონებში, რის შედეგადაც ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების რეზოლუციის ფუნქცია დაემატა, ამასთან, განისაზღვრა კომერციული ბანკების გაჭანსალებისა და რეზოლუციის ჩარჩოს პირველადი საფუძვლები. ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, დაიხვეწა ეროვნული ბანკის საზედამხედველო ზომებისა და ადრეული ინტერვენციის ჩარჩო.

ბანკების რეზოლუციისა და გაჭანსალების ჩარჩო თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაზე, კერძოდ, ფინანსური სტაბილურობის საბჭოს (FSB) „ფინანსური ინსტიტუტების ეფექტური სარეზოლუციო რეჟიმების ძირითად ელემენტებსა“⁴⁰ და ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2014 წლის 15 მაისის ბანკების გაჭანსალებისა და რეზოლუციის 2014/59/EU დირექტივაზე⁴¹ დაყრდნობით შემუშავდა. აღნიშნული ჩარჩო ეროვნულ ბანკს შესაძლებლობას მისცემს კომერციული ბანკის პრობლემებზე ადრეული რეაგირების ზომები მიიღოს, ხოლო ასეთი რეაგირების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში და, მაგალითად, კომერციული ბანკისათვის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლების დადგომის შემთხვევაში, რეზოლუცია რეგულატორის მიერ კომერციული ბანკის იმგვარად რესტრუქტურირებას გულისხმობს, რომ ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ შეექმნას.

რეზოლუცია ბანკის ლიკვიდაციის ერთგვარ ალტერნატივად განიხილება და გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ლიკვიდაციას მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი ექნება ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე. რეზოლუციის

შედეგად, შესაძლებელი ხდება ბანკის კრიტიკული ფუნქციების შენარჩუნება და ფინანსური სირთულეების სექტორის სხვა მონაწილეებზე გადადების თავიდან აცილება. რეზოლუციის მთავარი პრინციპის მიხედვით, აქციონერებმა და კრედიტორებმა არ უნდა იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე ისინი ლიკვიდაციის შემთხვევაში იზარალებდნენ. ამასთან, რეზოლუცია ლიკვიდაციაზე უკეთ უზრუნველყოფს დეპოზიტორთა და კრედიტორთა დაცვას, რამდენადაც რეზოლუციის დროს დაზღვეული დეპოზიტები გარანტირებულად არის დაცული, კრედიტორების დანაკარგები კი მინიმუმამდეა დაყვანილი. რეზოლუციის ჩარჩო შემდეგ სარეზოლუციო ინსტრუმენტებს განსაზღვრავს: კომერციული ბანკის შერწყმა, კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისება ან დროებითი ბანკისთვის გადაცემა, კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია ახალი აქციების გამოშვების ან ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით (ე.წ. Bail-in).

იმ შემთხვევაში, თუ რეზოლუციის პროცესის დაფინანსება აუცილებელია ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და დაფინანსების სხვა წყაროდან მოძიება შეუძლებელია, შესაძლოა, გაიცეს დროებითი სახელმწიფო დაფინანსება. დროებითი სახელმწიფო დაფინანსების მიზნებისათვის, ეროვნულ ბანკში იხსნება ანგარიში - სარეზოლუციო ფონდი, რომელშიც ფინანსთა სამინისტროს მიერ ირიცხება რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკზე გასაცემი სესხები, გარანტიები, გრანტები და სხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები. ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული თანხების ანაზღაურების მიზნით, ეროვნული ბანკი საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს განუსაზღვრავს შესაბამისი შენატანების განხორციელების ვალდებულებას სარეზოლუციო ფონდში გადარიცხვის გზით. შენატანის ოდენობა თითოეული კომერციული ბანკისთვის უნდა განისაზღვროს ობიექტური (რისკის პროფილის ელემენტები) და პროპორციული (ვალდებულებების მიხედვით) კრიტერიუმების საფუძველზე.

რეზოლუციის ჩარჩო და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების მიხედვით და მათთან

40 FSB "Key Attributes of Effective Resolution Regimes for Financial Institutions";

41 Bank Recovery and Resolution Directive – BRRD;

აქტიური კონსულტაციების პარალელურად შემუშავდა. საკანონმდებლო პაკეტზე მუშაობის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები.

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა ბოლო ინსტანციის სესხის ჩარჩოში ცვლილებებიც წარადგინა. ცვლილებების შედეგად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, გასცეს ბოლო ინსტანციის სესხი იმ კომერციულ ბანკზეც, რომლის გადახდისუნარიანობა საეჭვოა. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, სესხის უზრუნველყოფად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია განისაზღვრა.

ეროვნული ბანკი აგრძელებს ზედამხედველობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოციაციის შეთანხმებით. ეროვნული ბანკი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის არსებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების საზედამხედველო პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (CRD IV Package)⁴² სტანდარტებისა და მოთხოვნების ანალიზსა და დანერგვაზე აქტიურად მუშაობს, რომელიც, თავის მხრივ, ბაზელ III-ის სტანდარტებს ეფუძნება. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ბაზელ III-თან სრული შესაბამისობის მისაღწევად, ეროვნული ბანკი აგრძელებს დამატებითი პირველადი და მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებისთვის მოთხოვნების განსაზღვრაზე მუშაობას. აღნიშნული გულისხმობს დამატებითი პირველადი კაპიტალისა და მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებზე ჩამოწერის ან ძირითად პირველად კაპიტალად გარდაქმნის მოთხოვნის შემუშავებას კაპიტალის ადეკვატურობის წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლის დარღვევის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევებში.

2019 წელს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა და დაამტკიცა „წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი შესახებ დებულება“, რომელიც ბაზელ III-ის სტანდარტებთანაა შესაბამისო-

42 ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაცია და 2013/36/EU დირექტივა კაპიტალის მოთხოვნების შესახებ.

ბაში. აღნიშნული კოეფიციენტი ძალაში 2019 წლის სექტემბრიდან შევიდა და მისი დანერგვა გრძელვადიანი ლიკვიდობის რეგულირების გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

2019 წელს, ბაზელ III-სა და ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა და დაამტკიცა „კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება“, რომელიც თავდაპირველი ვერსიით 2020 წლის ივნისიდან უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა კორონავირუსთან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში 2021 წლამდე გადაიდო.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ადმინისტრატორთა და აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმების ჩარჩოს, ასევე ლიცენზირების მოთხოვნების დახვეწაზე, რაც საკრედიტო საქმიანობის შესახებ ევროკავშირის დირექტივის სტანდარტებსა და მოთხოვნებს დაეფუძნება.

ჩანართი 6 ადმინისტრატორთა და აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმები

კომერციული ბანკის ადმინისტრატორებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების შესაფერისობის მოთხოვნების გაუმჯობესების საჭიროება, გლობალურად, ფინანსური კრიზისების პერიოდში ბანკის ეფექტური მართვის დროს გამოვლენილ სისუსტეებს უკავშირდება.

ევროკავშირის მასშტაბით ეს საკითხი რეგულირდება შესაბამისი დირექტივითა (2013/36/EU) და ევროპის საბანკო უწყებისა (EBA) და ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის უწყების (ESMA⁴³) ერთობლივი სახელმძღვანელოებით, რომლებიც დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნების შინაარსს აზუსტებენ.

ადმინისტრატორთა შესაფერისობა

კომერციული ბანკის ადმინისტრატორებისათვის (როგორც აღმასრულებელი ასევე არა-აღმასრულებელი) დირექტივით განსაზღვრული კრიტერიუმები ეფუძნება ოთხ ძირითად მოთხოვნას, რომელთა შეფასებისას გამოიყ-

ენება პროპორციულობის პრინციპი, ბანკის ზომის, შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის, რისკის პროფილისა და კომპლექსურობის მიხედვით:

1. კარგი რეპუტაცია, სანდოობა და საქმიანობაში კეთილსინდისიერი დამოკიდებულება - რომელთა შეფასების დროსაც გათვალისწინებულია პირის ნასამართლეობა, შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებები და წარსულ საქმიანობაში გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული პრობლემები.

2. ცოდნა, უნარები და გამოცდილება - რაც გულისხმობს საბანკო და საფინანსო სფეროში რელევანტურ განათლებასა და გამოცდილებას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებთან პროპორციულ მენეჯერულ გამოცდილებასა და შესაბამისი უნარების ქონას.

3. გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლობა - რაც გულისხმობს დამოუკიდებელი და ობიექტური განსჯის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების, მმართველი ორგანოების სხვა წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სათანადოდ შეფასების უნარსა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოთხოვნას.

4. უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო საკმარისი დრო - აღნიშნული მოიაზრებს როგორც სხვა საფინანსო და არასფინანსო ინსტიტუტებში პოზიციების დაკავებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, ასევე პირის სხვა პროფესიულ საქმიანობასთან და სხვა აქტივობებთან (მათ შორის, სხვა ბიზნეს და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობები) დაკავშირებით საკმარისი დროის არსებობის შეფასებას.

ადმინისტრატორთა შესაფერისობა გულისხმობს როგორც კონკრეტული ადმინისტრატორის ინდივიდუალურ, ასევე მმართველი ორგანოების (დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო) ჯამურ შესაფერისობას, რამაც უნდა უზრუნველყოს ბანკის მმართველი ორგანოების მიერ ბანკის საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული არსებითი რისკების სათანადოდ აღქმა.

მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა შესაფერისობა

კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენა გულისხმობს ბანკის წილის შეძენას იმ ოდენობით, რომ ამ კომერციული ბანკის კაპი-

ტალში შემძენის პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა 10, 20, 30 ან 50 პროცენტს გადააჭარბებს ან ეს კომერციული ბანკი გახდება შემძენის შვილობილი საწარმო (შვილობილი ორგანიზაცია) ან/და შემძენი შეიძენს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას კომერციულ ბანკზე, მიუხედავად კაპიტალში ან/და ხმის უფლების მქონე აქციებში წილის ოდენობისა. ამასთან, შემძენი შესაძლოა იყოს როგორც ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი.

კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა შესაფერისობის შეფასება დირექტივით განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და შეფასების პროცესში პროპორციულობის პრინციპის გამოყენებას ეფუძნება:

1. კარგი რეპუტაცია - რომლის შეფასების დროსაც გათვალისწინებულია პირის ნასამართლეობა, შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებები და წარსულ საქმიანობაში გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული პრობლემები.

2. სამომავლო სავარაუდო ადმინისტრატორების რეპუტაცია და პროფესიული გამოცდილება - აღნიშნული გულისხმობს იმ პოტენციური ადმინისტრატორების შესაფერისობას ადმინისტრატორებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რომლებიც წილის შეძენის შემდეგ შეიძლება ხელმძღვანელობდნენ საქმიანობას.

3. სათანადო ფინანსური სიმყარე - რაც გულისხმობს შემძენის შესაძლებლობას, დააფინანსოს მნიშვნელოვანი წილის შეძენა და სამომავლო განჭვრეტადი პერიოდისათვის შეინარჩუნოს საკუთარი და ბანკის მყარი ფინანსური სტრუქტურა. პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, შესაძენი წილის მოცულობიდან გამომდინარე, ეს მოთხოვნა რიგ შემთხვევებში შესაძლოა იყოს უფრო მკაცრი, ან და პირიქით.

4. მნიშვნელოვანი წილის შესყიდვის ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, სამიზნე კომერციული ბანკის შესაბამისობა პრუდენციული ზედამხედველობის მოთხოვნებთან - მნიშვნელოვანი წილის შეძენის ტრანზაქციის განხორციელებამ ხელი არ უნდა შეუშალოს სამიზნე კომერციული ბანკის პრუდენციული ზედამხედველობის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ შესაძე-

ნი წილის მოცულობა, შემდგენის რეპუტაცია, მისი ფინანსური სიმყარე და ჯგუფის სტრუქტურა, არამედ ასევე შემდგენის მიერ წარმოდგენილ ბიზნეს გეგმასა და სტრატეგიაში გაცხადებული მიზნები შესაძენ კომერციულ ბანკთან მიმართებით.

5. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გამორიცხვა - რაც გულისხმობს, რომ შემდგენს არ უნდა ჰქონდეს კავშირი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით საეჭვო ტრანზაქციებთან და მას დროის ნებისმიერ მომენტში უნდა შეეძლოს საკუთარი სახსრების წარმომავლობის სანდოობის დადასტურება.

ეროვნული ბანკის სტრატეგია

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მართალია ითვალისწინებს კომერციული ბანკის ადმინისტრატორთა და მნიშვნელოვანი წილის შემდგენთა შესაფერისობის კრიტერიუმებს, თუმცა არსებული მოთხოვნები სრულად არ არის შესაბამისობაში ზემოაღნიშნული დირექტივითა და სახელმძღვანელოებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ამჟამად სებ შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწაზე მუშაობს. კერძოდ, განახლდება ადმინისტრატორთა შესაფერისობის შეფასების წესი, ხოლო მნიშვნელოვანი წილის შედგენის საკითხები დაკონკრეტდება შესაფერისობის შეფასების ახალი წესით, რომელიც დეტალურად გაითვალისწინებს ევროპის საბანკო უწყებისა (EBA) და ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის უწყების (ESMA) მიერ 2016 წელს შემუშავებული ერთობლივი სახელმძღვანელოთი განსაზღვრულ მნიშვნელოვან საკითხებს.

ეროვნული ბანკი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან ერთად, საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში აგრძელებს ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის ჩარჩოს დანერგვაზე მუშაობას, რათა კანონმდებლობა კონკრეტულად განსაზღვრულ ვადებში დაუახლოვოს შეთანხმებაში გაწერილ აქტებსა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს. აღნიშნული საზედამხედველო ჩარჩო მოიაზრებს მოთხოვნებს ფინანსურ კონგლომერატში შემავალ სუბიექტთა დამატებით პრუდენციულ ზედამხედველობაში კაპიტალის ადეკვატურობის, რისკის კონცენტრაციის, ჯგუფის შიდა ტრანზაქციებისა

და შიდა კონტროლის მექანიზმებისა და რისკის მართვის პროცესების მიმართ.

ჩანართი 7 ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის ჩარჩო

2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივა ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ ერთ-ერთია ასოციაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დირექტივათა შორის. დირექტივის მიზანი ფინანსური კონგლომერატების ეფექტური ზედამხედველობისა და, საბოლოოდ, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა და მომხმარებელთა უფლებების დაცვაა.

დირექტივა საბანკო და სადაზღვევო საქმიანობების ერთი ჯგუფის ქვეშ გაერთიანების გაზრდილი ტენდენციის საპასუხოდ შემუშავდა. შესაბამისად, დამატებითი ზედამხედველობის ძირითადი მიზნები იმ მარეგულირებელი ხარვეზების ამოვსებაა, რაც, შესაძლოა, სექტორული ზედამხედველობის ფრაგმენტაციას გააჩნდეს; ასევე, იმ პოტენციურ თუ არსებულ რისკებზე ფოკუსირება, რომლებიც არარეგულირებული საწარმოებიდან მომდინარეობს და, შესაძლოა, გარკვეული გავლენა ჰქონდეს ფინანსური კონგლომერატის შემადგენლობაში შემავალი საწარმოების რისკის პროფილზე. თუმცა, ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობა სექტორულ კანონმდებლობას არ ანაცვლებს და მის დამატებას წარმოადგენს. ამასთან, ფინანსურ კონგლომერატში შემავალ ნებისმიერ არარეგულირებად საწარმოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ფლობა ან შეგროვება არ გულისხმობს საზედამხედველო ორგანოთა მხრიდან აღნიშნულ საწარმოთა მიმართ ინდივიდუალურ დონეზე ზედამხედველობის განხორციელებას.

დირექტივის თანახმად, ფინანსური კონგლომერატი ისეთი საწარმოებისგან შემდგარი ჯგუფია, რომლებიც ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სექტორში (საბანკო, სადაზღვევო, საინვესტიციო) ოპერირებს. ამასთან, დირექტივით განსაზღვრულია ლიმიტები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც საწარმო უნდა იდენტიფიცირდეს, როგორც ფინანსური კონგლომერატი და მასზე უნდა გავრცელდეს ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფერო. კერძოდ:

- ჯგუფის ძირითად საქმიანობას უნდა წარმოადგენდეს ფინანსურ სექტორში საქმიანობა (ჯგუფის ფინანსურ სექტორში შემავალი საწარმოების მთლიანი აქტივების ჯამი უნდა აღემატებოდეს ჯგუფის მთლიანი აქტივების 40 პროცენტს);
- ჯგუფის საწარმოების კონსოლიდირებული საქმიანობები, როგორც სადაზღვევო, ისე საბანკო ან საბროკერო სექტორებში შემავალი საწარმოების შემთხვევებში, მიჩნეული უნდა იქნეს მნიშვნელოვნად, რაც იმ შემთხვევაში იქნება სახეზე, თუ:
 - o თითოეულ ფინანსურ სექტორში შემავალი საწარმოების აქტივების ჯამი ჯგუფის მთლიან ფინანსურ სექტორებში შემავალი საწარმოების აქტივების ჯამის 10 პროცენტს აღემატება და, ამასთან,
 - o თითოეულ ფინანსურ სექტორში შემავალი საწარმოების კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მოთხოვნა ჯგუფის ფინანსურ სექტორებში შემავალი საწარმოების კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარუის მოთხოვნის 10 პროცენტს აღემატება.
 - o ჯგუფის უმცირესი ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივები გადააჭარბებს 6 მილიარდ ევროს ეკვივალენტს ლარში.

ფინანსური კონგლომერატის დამატებითი ზედამხედველობის ადეკვატურად და ეფექტიანად განხორციელების მიზნებისათვის, საზედამხედველო ორგანოთაგან, შესაბამისი კრიტერიუმებისა და პროცედურული წესების დაცვით, განისაზღვრება დამატებითი ზედამხედველობის კოორდინაციასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანო - კოორდინატორი, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად, კოორდინაციას უწევს მთლიან საზედამხედველო პროცესს, აგროვებს საზედამხედველო ხასიათის ინფორმაციას და უზრუნველყოფს მის მიწოდებას შესაბამისი საზედამხედველო ორგანოებისთვის. ამასთან, ის აფასებს კონგლომერატის ფინანსურ მდგომარეობას, კოორდინაციას უწევს შესაბამის საზედამხედველო ქმედებების განხორციელებას როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის ციკლის, ისე კრიზისული სიტუაციების პერიოდებისთვის.

დამატებითი ზედამხედველობის შესახებ დირექტივა აწესებს რიგ სტანდარტებსა და მოთხოვნებს, რაც, შესაძლოა, დაუწესდეს ფინანსური კონგლომერატის წევრ საწარმოს დამატებითი ზედამხედველობის ფარგლებში, კერძოდ:

- კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს: მნიშვნელოვანია, ფინანსური კონგლომერატის მიერ უზრუნველყოფილი იყოს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა კონგლომერატის დონეზე (აღნიშნული მოთხოვნის მოცულობას კოორდინატორი/შესაბამისი საზედამხედველო ორგანოები განსაზღვრავენ);
- რისკის კონცენტრაციის (რისკის პოზიციების) და ჯგუფის შიდა ტრანზაქციების მოთხოვნებს, რომლებთან დაკავშირებითაც ფინანსური კონგლომერატი ვალდებულია კოორდინატორს ყოველწლიურად მიაწოდოს შესაბამისი ანგარიშგება ფინანსური კონგლომერატის დონეზე (დირექტივის მიხედვით, შიდაჯგუფური ტრანზაქციის მნიშვნელოვნად მიიჩნევა, თუ მისი ოდენობა გადააჭარბებს ფინანსური კონგლომერატის დონეზე კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა მთლიანი ოდენობის 5 პროცენტს);
- შიდა კონტროლის მექანიზმებისა და რისკების მართვის პროცესების მოთხოვნებს: ფინანსურ კონგლომერატში შემავალ რეგულირებულ საწარმოებს უნდა გააჩნდეთ რისკების მართვის ადეკვატური პროცესები და შიდა კონტროლის მექანიზმი ფინანსური კონგლომერატის დონეზე.
- ასევე, კოორდინატორი დადგენილი წესით პერიოდულად ატარებს ფინანსური კონგლომერატის შესაბამის სტრეს ტესტებს.

ამასთან ერთად, დირექტივა განსაზღვრავს საზედამხედველო ორგანოთა შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნებსა და სტანდარტებს, ასევე, დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი საზედამხედველო ზომების გამოყენების უფლებამოსილებას.

ეროვნული ბანკის სტრატეგია

აღსანიშნავია, რომ ეროვნულმა ბანკმა, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან ერთად, აღნიშნული დირექტივის განხორციელებისათვის უკვე მიმუშავა კანონპროექტი, რომელიც, უმეტესწილად, უცვლელად იმეორებს დირექტივით დადგენილ სტანდარტებსა და მოთხოვნებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე, ქართულ რეალობაში არც ერთი ჯგუფი არ ექცევა დირექტივის საფუძველზე შემუშავებული კანონპროექტით დადგენილ ლიმიტებში და, შესაბა-

მისად, კანონპროექტის მოქმედების სფეროში. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ, ეროვნული ბანკი აქტიურად დააკვირდება საქართველოში არსებულ ფინანსურ კონგლომერატთა განვითარებისა და გაზრდის პროცესებს და ჩარჩოთი განსაზღვრულ უფლებამოსილებებს საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს.

კანონმდებლობით⁴⁴ განსაზღვრულია ეროვნული ბანკის მანდატი, განახორციელოს კონკურენციის პოლიტიკა საბანკო სფეროში და განსაზღვროს ამ სფეროში საქმიანობის დასაშვები პარამეტრები, შეფასების კრიტერიუმები და ზემოქმედების ზომები, ასევე, ხელი შეუწყოს კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას⁴⁵. მსოფლიოში გაზრდილი გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი კონკურენციის კუთხით არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობ ელემენტებსა და ახალი მარეგულირებელი მოთხოვნების საჭიროებებს სწავლობს და აანალიზებს.

ჩანართი 8 ფინანსურ სექტორში კონკურენციის ხელშეწყობის საერთაშორისო პრაქტიკა და ეროვნული ბანკის სტრატეგია

ფინანსური სტაბილურობა და კონკურენცია

კონკურენციის ხელშეწყობა თავისუფალი ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია, რასაც მომხმარებელთათვის და, ზოგადად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია. ეფექტური კონკურენცია და თავისუფალი ბაზარი, როგორც წესი, ახალისებს ბაზარზე ფასების კლებას, მომხმარებლისთვის ფართო არჩევანის, უკეთესი ხარისხის პროდუქტის/მომსახურების შეთავაზებას, და ინოვაციებს. ამავე დროს, ფინანსური პროდუქტების გრძელვადიანი ბუნებიდან და ფინანსური სექტორის სპეციფიკური რისკებიდან გამომდინარე, გამძაფრებულ კონკურენციას ფინანსურ სტაბილურობაზე, შესაძლოა, უარყოფითი გავლენაც ჰქონდეს. ფინანსური სექტორი მთელ მსოფლიოში ეკონომიკის ყველაზე უფრო რეგულირებად სექტორად რჩება. მეტიც, რეგულირებას მზარდი ტენდენცია აქვს. თანამედროვე საზოგადოებებში ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია. ეს არაპროპორციულ გავლენას ახდენს ფინანსურ სექტორზე. როგორც წესი, რეგულირებას

44 „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი; 22-ე მუხლი.
45 „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; 47-ე მუხლი.

დაქვემდებარებული ფინანსური ინსტიტუტები და არსებული ტექნოლოგიები გაცილებით უკეთ ერგებიან საზოგადოებრივ გარემოს, ვიდრე ახალი სტარტაპები და პროდუქტები. შესაბამისად, წამყვანი ზედამხედველები იმის ძიებაში არიან, თუ როგორ შეიძლება, ერთი მხრივ, ფინანსური სტაბილურობის რისკებსა და მომხმარებელთა დაცვის და, მეორე მხრივ, ინოვაციასა და კონკურენციას შორის ოპტიმალური ბალანსის მიღწევა. ბაზარზე ჯანსაღი და თავისუფალი კონკურენციის მიღწევა და შენარჩუნება ქვეყნებისთვის პრიორიტეტულ გამოწვევად რჩება.

ამ გამოწვევის ოპტიმალური გადაწყვეტა ფინანსური სექტორისათვის დამახასიათებელი ბევრი სენსიტიური ფაქტორის სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს. ქვემოთ მიმოხილულია სხვადასხვა იურისდიქციაში გამოყენებული რამდენიმე ასეთი მიდგომის მაგალითი.

საბანკო ინდუსტრიაში კონკურენციის ხელშეწყობი პირობების შექმნა და ამ მხრივ ეფექტური პოლიტიკის გატარება, როგორც წესი, კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოებსა და სექტორის საზოგადოებრივ ორგანოებს შორის აქტიური თანამშრომლობით მიიღწევა. პროცესების ეფექტურად წარმართვისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია კონკურენციის ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანოებს შორის როლებისა და უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნა. მულტი-მანდატის მქონე საზოგადოებრივ ორგანოების შემთხვევაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მანდატთა იერარქიის კანონმდებლობით ცალსახა გამიჯვნა.

ეროვნული ბანკის კონსტიტუციური მანდატის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას.⁴⁶ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ეროვნული ბანკის კონკურენციის ხელშეწყობის თაობაზე მანდატს არ განსაზღვრავს, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ ამოცანის შესასრულებლად ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური

46 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 68 (იხ. ბმული) https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/muxli_68.pdf

რისკის კონტროლსა და პოტენციური რისკების შემცირებას.⁴⁷ „კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საბანკო საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონკურენციის პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული ბანკი, რომელიც განსაზღვრავს ამ სფეროში საბანკო საქმიანობის დასაშვებ პარამეტრებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ზემოქმედების ზომებს.⁴⁸

მიზნების იერარქია, PRA-ს მიდგომა

ვინაიდან რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, კონკურენციისა და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის მანდატებს შორის გარკვეული ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვას, მნიშვნელოვანია მანდატებს შორის იერარქიის სიცხადე. ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ ინგლისის ბანკის პრუდენციული რეგულირების ორგანოს (PRA) მიხედვით, ადეკვატური პრუდენციული რეგულირების პირობებში, ფაქტობრივად, მინიმუმამდე დადის მანდატებს შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი და რომელიმე ერთი მიზნის საბიანოდ კომპრომისის საჭიროება. შესაბამისად, მანდატებს შორის ბალანსის დაცვის მიზნით, პირველადი მანდატის განხორციელებისას აუცილებელია ადეკვატურად იქნეს გათვალისწინებული მეორადი მანდატის - ეფექტური კონკურენციის ხელშეწყობა - ელემენტები.⁴⁹

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებში აზრთა სხვადასხვაობაა კონკურენციისა და პრუდენციულ რეგულირების მიზნებს შორის უპირატესობაზე, კონსენსუსია მოსაზრებაზე, რომ კონკურენციის გაძლიერება შესუსტებული და არაეფექტიანი პრუდენციული რეგულირების პირობებში ბაზარს ფინანსური სტაბილურობის რისკებს უქმნის, რაზეც 1970-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, სკანდინავიის ქვეყნებსა და სხვა ინდუსტრიულ სახელმწიფოებში განვითარებული ფინანსური კრიზისის ფაქტები და მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზი მიუთითებს⁵⁰. ბოლო პერიოდის ნაშრომებში განვითარებულია მოსაზრება,

47 https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update_kanonebi/organuli_kanoni.pdf

48 https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update_anonebi/kombank_13_01.pdf

49 PRA Annual Report 2019; <https://www.bankofengland.co.uk/-/media/boe/files/annual-report/2019/pr-2019.pdf?la=en&hash=F97D30F644D9EA6D61B5D96E6D56E400B8DED13F#page=54>

50 <https://www.bankingsupervision.europa.eu/press/speeches/date/2016/html/se160704.en.html> დეტალებისთვის იხილეთ Demircuc-Kunt, A., and Detriagiache, E., "Financial Liberalization and Financial Fragility," in Boris Pleskovic and Joseph E. Stiglitz (eds.), Annual World Bank Conference on Development Economics, 1997. Washington, DC: World Bank, 1998.).

რომ გაზრდილი კონკურენციული წნეხის ნეგატიური ეფექტების თავიდან აცილება სწორედ ადეკვატური და გამკაცრებული პრუდენციული რეგულირების შედეგად არის შესაძლებელი.⁵¹

საქართველოს კონსტიტუციაში ეროვნულ ბანკზე არსებული ჩანაწერი, ასევე, კანონის დათქმა, რომ ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელებისას⁵², არ ვრცელდება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, ადასტურებს ფინანსური სტაბილურობის მიზნის უპირატესობას კონკურენციის ხელშეწყობის მიზნის მიმართ. თუმცა, ეროვნული ბანკი ასევე აღიარებს თავისუფალი და ეფექტური კონკურენციის ხელშეწყობის კრიტიკულ მნიშვნელობას, რა მიზნითაც უკვე მიღებული აქვს მნიშვნელოვანი ზომები და გეგმავს რიგ ღონისძიებებს, რომლებიც უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

ინგლისის პრუდენციული რეგულირების ორგანოს (PRA) კონკურენციის ხელშეწყობის მანდატი 2014 წელს მეორად მანდატად⁵³ განესაზღვრა. ამის შემდგომ საბანკო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით PRA-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. PRA, ფინანსური ქცევის მარეგულირებელი ორგანოს (FCA)⁵⁴-თან ერთად, საბანკო ლიცენზიით დაინტერესებულ პირებს უწევს სხვადასხვა სახის დახმარებას, მათ შორის, დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის, ლიცენზირების საკითხებზე პერიოდული ტრენინგების გამართვისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.

ფინანსურ ბაზარზე შესვლის ხელშეწყობა

რეგულირების კომპლექსურობა ბევრი ახალი კომპანიისათვის ფინანსურ ბაზარზე შესვლის ბარიერს წარმოადგენს, რის გამოც ბევრი ზედამხედველი თავისი ჩარჩოს გამჭვირვალობის მაქსიმალურად გაზრდას ცდილობს.

ხშირად, ბაზარზე შესული ახალი ბანკებისთვის გათვალისწინებულია რიგი შეღავათები კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდობის მოთხოვნებზე. ბანკებს პილარ 2-ის ფარგლებში

51 <https://www.bankingsupervision.europa.eu/press/speeches/date/2016/html/se160704.en.html> (დეტალებისთვის იხილეთ: Matutes, C., and Vives, X., "Competition for Deposits, Fragility and Insurance," Journal of Financial Economics 5 (2), 1996; Vives, X., "Strategic Complementarity, Fragility, and Regulation," Review of Financial Studies, 27 (12), 2014; Repullo, R., "Capital Requirements, Market Power, and Risk-Taking in Banking," Journal of Financial Intermediation, 13 (2), 2004.).

52 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4742061?publication=0>

53 ე.წ. secondary competition objective.

54 <https://www.fca.org.uk/>

სტრეს-ტესტების ფარგლებში დაწესებული კაპიტალის მოთხოვნის ნაცვლად განესაზღვრებათ ე.წ. “დახურვის ხარჯების”⁵⁵ ოდენობის კაპიტალის მოთხოვნა”, რაც მნიშვნელოვანი ლიცენზირებული ბანკებისთვის დამატებითი წნეხის მოხსნის შედეგად, ბაზარზე სწრაფი მომძლავრებისთვის სასურველ პირობებს ქმნის. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ბაზარზე შესვლის წინაპირობების შემსუბუქება შეიძლება არასამართლიანი იყოს უკვე არსებული მონაწილეების მიმართ, წარმოქმნას არატანსადი სტრატეგიული ქცევის ინიციატივა, და გახდეს ფინანსური რისკების აკუმულირების წყარო. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი ბარიერები სწორედ რისკის შესაზღუდად არსებობს. შესაბამისად, როგორც წესი, ეს პროცესი მიბმულია გარკვეულ დამატებით კრიტერიუმებზე. დღესდღეობით ფართოდ გავრცელებულია ინოვაციურობის კრიტერიუმი, რაც ახალი პროდუქტებისა და ინოვაციური ტექნოლოგიური ბიზნეს მოდელების სუბიექტების ბაზარზე შემოსვლის წასახალისებლად რიგი მიდგომების აქტიურ გამოყენებას გულისხმობს. აღნიშნული მიდგომის მაგალითებია ციფრული ბანკის ლიცენზირების ჩარჩო და საზედამხედველო ლაბორატორია.

ციფრული ბანკი

ციფრულ ბანკად განიხილება ბანკის ბიზნეს მოდელი, რომელიც საბანკო სერვისების მიწოდებას ძირითადად ელექტრონული არხებით ახორციელებს და ადგილობრივ ბაზარზე მატერიალურად ახალ და ინოვაციურ ფინანსურ ტექნოლოგიებს იყენებს. საბოლოო ჯამში, ციფრული ბანკის მოდელი ფინანსური ჩართულობის გაზრდას ემსახურება და ინტეგრირებულია მომხმარებლის გარშემო განვითარებად ციფრულ ეკოსისტემაში. წამყვანი ზედამხედველები, რომლებიც აღიარებენ მსგავსი ბიზნეს მოდელის განვითარების მნიშვნელობას, მის წასახალისებლად და მდგრად ბიზნეს მოდელად გადასაქცევად სპეციალურ ლიცენზირების ჩარჩოს ქმნიან (მაგ. დიდი ბრიტანეთი, ჰონგ-კონგი, სინგაპური, ისრაელი).

რეგულირების ლაბორატორია

რეგულირების ლაბორატორია, რომელსაც ხშირად „სენდბოქსსაც“ უწოდებენ საშუალებას იძლევა რეგულირების ადაპტირება და განვითარება ინოვაციების განვითარების პარალელურად მოხდეს. რეგულირების ლაბორატორია ფინანსურ ინოვაციურებს ახალი ტექნოლოგიური სერვისების და მოდელების რეალურ გა-

55 ე.წ. wind-down costs.

რემოში გამოცდის საშუალებას აძლევს. შესაბამისი შეზღუდვები და ზედამხედველობის მექანიზმები ტესტირების გარემოს და რისკებს კონტროლირებადს ხდის. რეგულირების ლაბორატორია განსაკუთრებით საინტერესოა ფინტექ სტარტაპებისათვის და სხვა ტექნოლოგიური ფირმებისათვის, რომლებიც ფინანსური სერვისების სექტორში შესვლას ცდილობენ.

პროპორციულობის პრინციპი

პროპორციულობის პრინციპი ბაზრის არსებული მონაწილეებისთვის არის მნიშვნელოვანი და ის, ამავე დროს, ეფექტური კონკურენციის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის⁵⁶ მიხედვით, აუცილებელია საზედამხედველო ორგანო მოთხოვნების დაწესებისას მხედველობაში იღებდეს პროპორციულობის პრინციპს, რაც გამოიხატება რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებში, მათ შორის, ბანკის ზომის და რისკის პროფილის, საქმიანობის მასშტაბების კომპლექსურობისა, თუ სხვა ინდიკატორების გათვალისწინებაში.

პროპორციულობის მნიშვნელობაზე მიუთითებს ევროპის ცენტრალური ბანკიც (ECB), რომლის მიხედვითაც პრუდენციული და მარეგულირებელი ტვირთი უნდა შეესაბამებოდეს ბანკების რისკიანობას (ნაკლებად რისკიან ბანკებს - შედარებით მსუბუქი პრუდენციული მოთხოვნები უწესდებოდეს), რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ბაზარზე კონკურენციის ადეკვატური სტიმულების შექმნისთვის, თუმცა, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია ფინანსური სტაბილურობისა და თითოეული ბანკის მდგრადი და ტანსადი ფუნქციონირების ინტერესები.⁵⁷

აღნიშვნის ღირსია შვეიცარიის საზედამხედველო ორგანოს არასისტემური მნიშვნელობის ბანკებისთვის საპილოტე პროპორციული რეჟიმის შექმნის ინიციატივა⁵⁸, რომელიც 2020 წლიდან ამოქმედდა და რომელიც შედარებით მცირე ბანკებს რიგ მოთხოვნებს უუქმებს (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შესახებ მოთხოვნა, წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) მოთხოვნა) ან უმსუბუქებს (კაპიტალის დაგეგმვის მოთხოვნებს, კორპორაციული მართვის მოთხოვნებს, საოპერაციო რისკის მართვის მოთხოვნებს). თუმცა, იმისათვის, რომ ზემოაღნიშნულ შემსუბუქებულ

56 <https://www.bis.org/fsi/publ/insights1.pdf>

57 <https://www.bankingsupervision.europa.eu/press/speeches/date/2017/html/ssm.sp170622.en.html>

58 <https://www.imf.org/~media/Files/Publications/CR/2019/1CHEEA2019004.ashx>

რეჟიმს ფინანსურ სექტორზე უარყოფითი გავლენა არ მოჰყვება, ბანკებს უწესდებათ ლევერჯის კოეფიციენტის მოთხოვნისა (8 პროცენტი) და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR, 120 პროცენტი) დაცვის ვალდებულება.

ღია ბანკინგი

ინგლისის კონკურენციისა და ბაზრების ორგანო (CMA)⁵⁹ ფინანსური ქცევის მარეგულირებელ ორგანოსთან (FCA) ერთად 2016 წლიდან მუშაობს ღია ბანკინგის (Open Banking) მოდელის დანერგვაზე, რაც 2015 წელს საგადახდო მომსახურებების დირექტივით (PSD 2)⁶⁰ განისაზღვრა და ბანკებისთვის ხელმისაწვდომი იმ მონაცემების ყველა ფინანსური ინსტიტუტისთვის და ფინტექ-სუბიექტებისთვის გახსნას გულისხმობს, რაც ხელს უწყობს ინოვაციური ფინტექ-სუბიექტების განვითარებას და, შესაბამისად, თავისუფალ კონკურენციას. არსებული მონაცემებით, ღია ბანკინგის მოდელში FCA-ის 202 რეგულირებული სუბიექტია ჩართული.⁶¹

ღია ბანკინგი ფინტექ კომპანიებს ფინანსურ სექტორში შესვლის ბარიერებს უმარტივებს. ფინტექ-სუბიექტების როლზე თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობის პროცესში არაერთი წამყვანი საზედამხედველო ორგანო წერს. მათ შორისაა ნიდერლანდების მომხმარებლებისა და ბაზრების ორგანო (ACM), რომელიც ფინტექ-სფეროს და ინოვაციურ ფინანსურ სუბიექტებს თავისუფალი კონკურენციის ძლიერ „გამწვევ“ ძალად მოიხსენიებს და მათთან დაკავშირებულ რისკებზეც წერს.⁶²

აღსანიშნავია, რომ ღია ბანკინგი ხელს უწყობს ძირითადი საბანკო სერვისის “თეთრი იარაღის” მქონე ბანკის მოდელად ჩამოყალიბებასა და მის გამიჯვნას ციფრული ეკოსისტემის სხვა სერვისებისაგან. მსგავსი მიდგომები გავრცელებულია ისეთ სექტორებში, სადაც, მასშტაბის ეკონომიიდან გამომდინარე, კონცენტრაციის პრობლემებია. მაგალითად, ტელეკომუნიკაციების სექტორში მსგავსი მიდგომა მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის ჩარჩოს სახელითაა ცნობილი (ე.წ. MVNO).⁶³

59 <https://www.bankingsupervision.europa.eu/press/speeches/date/2017/html/ssm.sp170622.en.html>

60 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32015L2366>

61 <https://www.openbanking.org.uk/customers/regulated-providers/>

62 https://www.acm.nl/sites/default/files/old_publication/publicaties/15926_fintech-call-for-input-final-version-EN.pdf

63 საქართველოში აღნიშნული ჩარჩოს ამოქმედება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივით მიმდინარეობს: <http://gncc.ge/ge/regulation/sakonsultacio-dokumentebi/erovnul-roumingze-da-mobilur-virtualur-qselis-operatorze-vvdomis-pirobebis-rekomendaciebi.page>

საქმიანობის გამიჯვნის მოთხოვნა

ფინანსური სტაბილურობისა და კონკურენციის ხელშეწყობის მიზნებისთვის, 2019 წლიდან ინგლისის დიდ ბანკებს⁶⁴ საცალო და საინვესტიციო ბანკინგის გამიჯვნა მოსთხოვეს.⁶⁵ აღნიშნული საყურადღებო არა მარტო ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის, არამედ მნიშვნელოვანი შიდა ინფორმაციების არასათანადო გადადინების თავიდან აცილებისა და სხვადასხვა მიმართულებას შორის ე.წ. ინფორმაციული მიჯნის⁶⁶ შენარჩუნების მიზნითაც.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიდგომა აშშ-ში, ე.წ. გლასს-სტიაგალის აქტის სახით 1933-1999 წლებში არსებობდა. 2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ იყო აღნიშნული აქტის აღდგენის მცდელობა ე.წ. დოდ-ფრანკის რეფორმის ფარგლებში, თუმცა უშედეგოდ.

საქმიანობის გამიჯვნის და შემოსაზღვრის ერთ-ერთი მაგალითია ისრაელიც, სადაც სპეციალური კომიტეტის რეკომენდაციით, რომლის შემადგენლობაშიც ისრაელის ფინანსთა სამინისტრო, ისრაელის ცენტრალური ბანკი და ისრაელის იუსტიციის სამინისტრო შედის, ფინტექ ბაზრის თავისუფალი განვითარებისა და კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, ორ უდიდეს ბანკს საკრედიტო ბარათების გამოშვება აეკრძალა, ხოლო სამ უდიდეს ბანკს 3 წლის განმავლობაში აფილირებული P2P (Peer to Peer) პლატფორმების დაარსება შეეზღუდა.⁶⁷

კონცენტრაციის კონტროლი

აღსანიშნავია, რომ როგორც ბანკების ორგანული ზრდა, ასევე, სხვებთან შედარებით, კონკრეტული ბანკის მეტი მომგებიანობა კონკურენციის პირობებში ნორმალურია⁶⁸, თუ აღნიშნულს ადგილი აქვს მარეგულირებელი და კონკურენციული მოთხოვნების პროპორციული და დაბალანსებული გადანაწილების პირობებში.

ორგანული ზრდისგან განსხვავებით, მსოფლიოს ყველა მოწინავე სახელმწიფოში კონტროლდება⁶⁹ ბანკების ე.წ. არაორგანული ზრდა - ანუ

64 ბანკები, რომელთა საცალო დეპოზიტები 25 მილიარდ ფუნტ სტერლინგს აჭარბებს.

65 <https://poseidon01.ssrn.com/delivery.php?>

66 ე.წ. Chinese walls.

67 <https://www.maalot.co.il/Publications/SR20190807111349.pdf>

68 <https://www.fca.org.uk/publication/corporate/our-approach-competition-final-report-feedback-statement.pdf>

69 EU - <https://ec.europa.eu/competition/mergers/legislation/legislation.html>; UK - Merger Assessment Guidelines

US - US Horizontal Merger Guidelines (2010) of U.S. Department of Justice and the Federal Trade Commission

კონცენტრაციის ზრდა შერწყმის, აქტივების წილის შექმნით ან მმართველ ორგანოში მონაწილეობის გზით. შერწყმის შეფასების პროცესი ევროპის ქვეყნების და ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსი ძირითადი ელემენტებისგან შედგება, თუმცა არსებობს რიგი განსხვავებები.

კონცენტრაციის კონტროლის ზოგადი პრინციპის თანახმად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, თავსებადია კონკურენტუნარიან გარემოსთან, ხოლო კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, დაუშვებელია.

კონცენტრაციის დონის შეფასების სხვადასხვა მეთოდი არსებობს, თუმცა, მათ შორის საყოველთაოდ მიღებული მხოლოდ ჰერფინდალ-ჰირშმანის ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი (HHI), რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს კონცენტრაციის ინდექსის განსაზღვრისთვის საჭირო კრიტერიუმებს (სისრულე, თანმიმდევრულობა და სიზუსტე)⁷⁰. HHI ინდექსის ზომის მიხედვით, გამოყოფენ არაკონცენტრირებულ, საშუალოდ კონცენტრირებულ და მაღალ კონცენტრირებულ ბაზრებს. შერწყმის შედეგად, აფასებენ კონცენტრაციის ზრდის მარკენებელსაც (ე.წ. დელტა). ქვეყნების მიხედვით, კონცენტრაციას შეიძლება განსაზღვრავდეს HHI-ს შემდეგი მარკენებლები:

სას ფასის კონკურენტული მარკენებლით გაზრდისას (როგორც წესი, აიღება ფასების 5-10 პროცენტიაანი ზრდა) და

2. მიმწოდებლის მხრიდან (supply-side substitutability) - რამდენად შეძლებენ პროდუქტის სხვა მიმწოდებლები ალტერნატიული პროდუქტის სწრაფ მიწოდებას არსებითი დანახარჯების გარეშე, ფასების, მოთხოვნის ან ბაზრის სხვა პირობების ცვლილებისას.

კონცენტრაციის შეფასება მოიცავს არაკოორდინირებული და კოორდინირებული ეფექტების შეფასებას. არაკოორდინირებული ეფექტები გულისხმობს ფასების ზრდის რისკს, ხარისხის გაუარესებისა და პროდუქტების მრავალფეროვნების შემცირების ალბათობას, ინოვაციებში ინვესტირების მოტივაციის შესუსტებას, ბაზარზე შესვლის/არსებული საწარმოების გაფართოების გართულებას, ბაზრის ინოვაციების განვითარების შეფერხების რისკს და სხვა ფაქტორებს. ბაზარზე ფასების ან სხვა პირობების თაობაზე კოორდინაციის შესაძლებლობის გაიოლება კოორდინირებულ ეფექტებს მიეკუთვნება.

კონცენტრაციის შეფასებისას უნდა შეფასდეს ბაზარზე შესვლის/გაფართოების შესაძლებლობები და პერსპექტივები, კონცენტრაციის ზრდასთან დაკავშირებული პოტენციური სარგებელი (რომელიც, ასეთის არსებობის შემ-

ევროკავშირი	ევროკავშირი	აშშ	საქართველო (ევროკავშირი + 250)
<p>ზაზარი არაკონცენტრირებულია, თუ HHI:</p> <p>< 1000-ზე;</p> <p>1000-2000 და HHI delta < 250-ზე;</p> <p>> 2000-ზე და HHI delta < 150-ზე, თუ სახეზე არაა დამატებითი ფაქტორები, მაგ:</p> <ul style="list-style-type: none"> • შერწყმის მხარე ინოვაცორია, რაც ვერ აისახება წილში; • შერწყმის მხარეს შერწყმამდე აქვს 50% ან მეტი საბაზრო წილი. 	<p>< 1000-ზე არაკონცენტრირებულია;</p> <p>> 2000-ზე მაღალკონცენტრირებულია</p>	<p>< 1500-ზე არაკონცენტრირებულია;</p> <p>HHI 1500 – 2000 - საშუალოდ კონცენტრირებული</p> <p>> 2500-ზე მაღალკონცენტრირებულია</p> <p>HHI Delta > 200, საბაზრო მაღალუფლება გაიზრდება</p>	<p>< 1250-ზე;</p> <p>1250-2250 და HHI delta < 250-ზე;</p> <p>> 2250-ზე და HHI delta < 150-ზე, თუ სახეზე არაა დამატებითი ფაქტორები, მაგ:</p> <ul style="list-style-type: none"> • შერწყმის მხარე ინოვაცორია, რაც ვერ აისახება წილში; • შერწყმის მხარეს შერწყმამდე აქვს 50% ან მეტი საბაზრო წილი.

კონცენტრაციის შეფასების პროცესი მოიცავს ჩანაცვლებადობის ორ ეტაპიან შეფასებას:

1. მომხმარებლის მხრიდან (Demand-side substitutability) - რამდენად ექნებათ მომხმარებლებს სხვა მიმწოდებელთან გადასვლის შესაძლებლობა, ფასის ზრდის, ხარისხის ან პროდუქტის ხელმისაწვდომობის შეცვლი-

თხვევაში, მყარად უნდა იქნეს დასაბუთებული) და კონცენტრაციის მონაწილე საწარმოების ფინანსური მდგომარეობა. მაგალითად, თუ რომელიმე მათგანს ფინანსური სირთულეები აქვს, რომლის შედეგადაც ის, დიდი ალბათობით, ბაზარს დატოვებს, ასეთი კონცენტრაცია დაშვებულად მიიჩნევა. თუმცა, ამ დროსაც უნდა არსებობდეს მყარი მტკიცებულებები, რომ საწარმო ბაზარს გარდაუვლად დატოვებს.

70 <https://ojs.journals.cz/index.php/CBUIC/article/download/966/pdf/0>;

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის სააგენტოს დადგენილი აქვს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესები⁷¹ და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“⁷², რომლებიც ევროკავშირის შერწყმის კანონმდებლობის⁷³ მსგავს (ზოგ ნაწილში ანალოგიურ) სტანდარტს აწესებს.

ეროვნული ბანკის სტრატეგია კონკურენციის მიმართულებით

აღსანიშნავია, რომ სეპ-ის კანონმდებლობაში უკვე არსებობს კონკურენციის შემზღვევითი ქმედებებისა და პრაქტიკების აკრძალვის მნიშვნელოვანი მოთხოვნები (იხ. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი). ამასთან, 2018 წელს მიღებული კომერციული ბანკებისთვის ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსით⁷⁴ განისაზღვრა რიგი მოთხოვნები კონკურენციის შემზღვევითი პრაქტიკების მიმართულებით.

რამდენადაც „კონკურენციის შესახებ“ კანონის მოთხოვნები და სტანდარტები სრულად ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული და პარლამენტის მიერ 2019 წლის დეკემბერში დამტკიცებული საკანონმდებლო ცვლილებებით⁷⁵, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა ეროვნული ბანკის მხრიდან საზედამხედველო ზომების ან/და სანქციის (ფულადი ჯარიმის) გამოყენების ერთ-ერთ საფუძვლად განისაზღვრა, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი კომერციული ბანკების, მისი ადმინისტრატორებისა და აქციონერების მხრიდან კონკურენციის მოთხოვნებისა და სტანდარტების დაცვის მნიშვნელობას.

ეროვნულ ბანკს განსაზღვრული აქვს კომერციული ბანკების შერწყმის შესაფასებლად წარმოსადგენი დოკუმენტაცია. თუმცა, ეროვნული ბანკი განიხილავს კონცენტრაციის შეფასების უფრო სიღრმისეული და დეტალური სახელმძღვანელოებისა და სტანდარტების შემუშავებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კა-

71 დეტალებისთვის იხილეთ: <https://matsne.gov.ge/document/view/2523208?publication=0>

72 დეტალებისთვის იხილეთ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226?publication=0>

73 <https://ec.europa.eu/competition/mergers/legislation/legislation.html>

74 https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/sabanko/etikis_principები.pdf

75 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4753713?publication=0>

ნონში საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საკანონმდებლო ცვლილებებს. ცვლილებების თანახმად, კანონის საფუძველზე გამოცემული კონკურენციის სააგენტოს კანონქვემდებარე აქტებით რეგულირებული საკითხები ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (მათ შორის, საბანკო სექტორი) წესრიგდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს კანონქვემდებარე აქტებით. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების ამ სახით დამტკიცების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს ექნება კონცენტრაციის შეფასების საკითხების უფრო დეტალური მოწესრიგებისა და რეგულირების ვალდებულება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს კაპიტალის ბაზრების განვითარების მიმართულებით, რაც ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობის კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევა.

ეროვნული ბანკი ასევე მუშაობს საგადახდო მომსახურებების დირექტივით (PSD2)⁷⁶ განსაზღვრული მოთხოვნების დანერგვაზე, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, ღია ბანკინგის მოდელის დანერგვასაც გულისხმობს. ეს სხვადასხვა ფინანსურ სუბიექტებს და ფინტექ-კომპანიებს შესაძლებლობას მისცემს ჰქონდეთ წვდომა კლიენტების შესახებ არსებულ მონაცემებზე და მომხმარებელთა ფართო წრეს საგადახდო მომსახურება შესთავაზონ.

ამასთან, ეროვნული ბანკი განიხილავს ბაზარზე ჯანსაღი სუბიექტების გამოჩენის წამახალისებელ და ხელშეწყობ ფაქტორებს. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო ტენდენცია ფინტექ ბაზრისა და ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობაა, რაც ბაზარზე, თავის მხრივ, ჯანსაღ კონკურენციულ სტიმულებს წარმოშობს. ამ მხრივ აღსანიშნავია:

- ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ინოვაციების ოფისის⁷⁷ შექმნა, რომელიც ეროვნულ ბანკსა და ფინანსური ტექნოლოგიების ინოვატორთა საზოგადოებას შორის კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნული ოფისი ფინტექ სტარტაპებს და ფინანსური სექტორით დაინტერესებულ ტექნოლოგიურ კომპანიებს ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში საზედამხედველო თემატიკის კითხვებზე პირდაპირი უკუკავშირის მიღების მარტივ გზას სთავაზობს. ფინანსური ინოვაციების ოფისის მისიამ

76 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32015L2366>

77 დეტალებისთვის იხილეთ ბმული: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=742>

ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიან ინოვაციებს ფინანსურ სექტორში და დაეხმაროს ფინტექ ორგანიზაციებს/სტარტაპებს ეროვნული ბანკის რეგულაციების საზედამხედველო მიდგომის გაცნობიერებაში;

- ეროვნული ბანკი რეგულირების ლაბორატორიის (სენდბოქსი)⁷⁸ ჩარჩოს ავითარებს, რომელიც ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს რეალურ რეჟიმში, ზედამხედველის კონტროლირებად გარემოში გამოსცადონ ინოვაციური სერვისები და პროდუქტები. მისი გამოყენების მიზანია სწრაფად განვითარებადი ფინანსური ტექნოლოგიების პირობებში შექმნილი ინოვაციური ფინანსური სერვისების და პროდუქტების ეროვნული ბანკის საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობა, ახალი მარეგულირებელი მოთხოვნების საჭიროების გამოკვეთა, საფინანსო სექტორში ინოვაციური პროდუქტების ბაზარზე გამოცდა და მათი განვითარების ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობა ერთ-ერთ მთავარ ელემენტად მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულმა ბანკმა რეგულირების ლაბორატორიის (სენდბოქსის) ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ დებულების პროექტი საჭაროდ განხილვებისთვის 2020 წლის თებერვალში გამოაქვეყნა.⁷⁹
- ეროვნული ბანკი განიხილავს ციფრული ბანკის ლიცენზირების ჩარჩოს შექმნის საკითხს. არსებული განხილვების მიხედვით, ეროვნული ბანკი ციფრულ ბანკად მიიჩნევს ბიზნეს მოდელს, რომელიც საბანკო სერვისების მიწოდებას ძირითადად ელექტრონული არხებით განახორციელებს და ადგილობრივ ბაზარზე მატერიალურად ახალ და ინოვაციურ ფინანსურ ტექნოლოგიებს გამოიყენებს, რაც ფინანსური ჩართულობის გაზრდას ემსახურება. ციფრული ბანკის სახით ახალი მოთამაშეების შემოსვლა ხელს შეუწყობს მრავალფეროვნების, ციფრული ეკოსისტემებისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების განვითარებას და კონკურენციის გაზრდას ქართულ საფინანსო სექტორში.

ციფრული ეკოსისტემების განვითარების პარალელურად, დღის წესრიგში დგება ისეთი მიდ-

78 დეტალებისთვის იხილეთ ბმული: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.pdf; გვ. 84-85;
79 დეტალებისთვის იხილეთ ბმული: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3860>

გომის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს არ შეუშლის ციფრული ეკოსისტემის სრული პოტენციალის განვითარებას და, მეორე მხრივ, არატანსადი კონკურენციის პრაქტიკას შეზღუდავს. აღსანიშნავია, რომ კვლევების მიხედვით, ბანკები აქტიურად განიხილავენ ციფრული ეკოსისტემების ბაზარზე შესვლასა და, შედეგად, დამატებითი ღირებულების შექმნას.⁸⁰ ამ გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად მუშობს საკითხზე, თუ რამდენად შეიძლება ღია ბანკინგის პრინციპების გაფართოება და ძირითადი საბანკო სერვისების მიწოდებაში საბანკო სერვის პროვაიდერის პრინციპების შემოტანა. აღნიშნული ჯერ კიდევ ახალი მიდგომაა და საზედამხედველო ფუნქციების, მათ შორის საბანკო ჯგუფისა და კონსოლიდირებული ზედამხედველობის პრინციპების, ახლებურად გააზრებას მოითხოვს. რამოდენიმე საწყისი ნაბიჯი უკვე გადაიდგა და ამ მიმართულებას საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სექტორის მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით, თანმიმდევრულად ავითარებს.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტის ყოველწლიურად გამოაქვეყნებას გეგმავს. საზედამხედველო პოლიტიკის პირველი დოკუმენტი 2020-2022 წლებისთვის გამოქვეყნდება. აღნიშნული გულისხმობს ეროვნული ბანკის ხედვის, მიზნების, საზედამხედველო პრინციპებისა და ფასეულობების, სტრატეგიული საზედამხედველო პრიორიტეტებისა და რეფორმების გეგმას შესაბამისი ვადებით. სტრატეგიის მიზანი ფინანსური სექტორისათვის, ინვესტორებისათვის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვის, სარეიტინგო კომპანიებისთვის, მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტებზე, გეგმებზე და სამომავლო ღონისძიებებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობაა.

4.2 კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკის შეფასება საქართველოს ეროვნული ბანკის რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) ნაწილია. ჯგუფის სტრუქტურის შეფასება მოიცავს როგორც ბანკის მფლობელობის სტრუქტურასა და ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკებისა და საბანკო ჯგუფის წევრებთან განხორცი-

80 <https://www.mckinsey.com/business-functions/mckinsey-digital/our-insights/six-digital-growth-strategies-for-banks>

ელეგანტური ტრანზაქციების, ასევე ბანკების ინვესტიციებისა და საინვესტიციო საქმიანობის რისკების შეფასებას. შეფასების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს საქართველოში წარმოდგენილი საერთაშორისო საბანკო ჯგუფების მშობელ ქვეყნებში განვითარებული პროცესების მონიტორინგსა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ინვესტორების შეფასებას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა. არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 88.3 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში - 86.6 პროცენტს შეადგენდა.

2018 წელს ეროვნულმა ბანკმა „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი“ დაამტკიცა, რომლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლა ბანკებმა 2019 წლის განმავლობაში უზრუნველყვეს. ამ მოთხოვნებიდან მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან არსებული კომიტეტების დაკომპლექტება, მათ შორის დამოუკიდებელი წევრებითა და გენდერული ბალანსის გათვალისწინებით. ასევე, შემუშავდა ბანკების მიერ დასაქმებულთა ანაზღაურებასთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, ეროვნული ბანკი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან ერთად აგრძელებს მუშაობას ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაზე, რათა კანონმდებლობა

შეთანხმებაში გაწერილ აქტებსა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს კონკრეტულად განსაზღვრულ ვადებში დაუახლოვოს. აღნიშნული საზედამხედველო ჩარჩო ფინანსურ კონგლომერატში შემავალ სუბიექტთა დამატებით პრუდენციულ ზედამხედველობაში კაპიტალის ადეკვატურობის, რისკის კონცენტრაციის, ჯგუფის შიდა ტრანზაქციების, შიდა კონტროლის მექანიზმებისა და რისკის მართვის პროცესების მიმართ მოთხოვნებს მოიაზრებს.

ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოზე მუშაობას, რომლის დასრულება 2020 წლის ბოლომდეა დაგეგმილი. ზედამხედველობის საბანკო ჯგუფის დონეზე (ე.წ. კონსოლიდირებული ზედამხედველობა) განხორციელების მანდატი ეროვნულ ბანკს 2017 წლის ბოლოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მიენიჭა.

4.3 კაპიტალის ადეკვატურობა

საქართველოს საბანკო სისტემა 2019 წლის ბოლოსათვის ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში კვლავაც ინარჩუნებდა კაპიტალის ადეკვატურ დონეს.

2018 წლის 31 დეკემბერს ამოქმედდა სისტემურობის ბუფერი, რომელიც დაწესდა როგორც საზედამხედველო, ასევე პირველად და ძირითად პირველად კაპიტალზე. 2019 წლის დეკემბერში, სისტემურად მნიშვნელოვან ბანკებს აღნიშნული ბუფერის მოთხოვნები წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად გაეზარდათ (ცხრილი N 4.1)

ცხრილი N 4.1 სისტემური ბუფერების დაწესების ვადები

ბანკი	2017	2018	2019	2020	2021
სს „თიბისი ბანკი“	0.0%	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „საქართველოს ბანკი“	0.0%	1.0%	1.5%	2.0%	2.5%
სს „ლიბერთი ბანკი“	0.0%	0.6%	0.9%	1.2%	1.5%

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში დათვლილი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი


14.62 პროცენტს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 19.45 პროცენტს შეადგენს, რაც კაპიტალის ადეკვატურობის

ჯამურ მოთხოვნებზე (პილარ 1-ის მინიმალურ მოთხოვნებს დამატებული კომბინირებული ბუფერები და პილარ 2-ის მოთხოვნები), შესაბამისად, 2.59 და 2.15 პროცენტული პუნქტით მეტია.

ასევე მაღალია ლევერიჯის კოეფიციენტი⁸¹, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11.68 პროცენტს უტოლდება და ლევერიჯის კოეფიციენტის მინიმალურ მოთხოვნას 6.68 პროცენტული პუნქტით აღემატება.

მნიშვნელოვანია, რომ პილარ 2-ის ფარგლებში დაწესებული კაპიტალის ბუფერები კომერციულმა ბანკებმა საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების იმავე პროპორციით უნდა დააკმაყოფილონ, როგორც ეს მოცემულია მინიმალურ მოთხოვნებში (ძირითადი პირველადი კაპიტალი - 4.5 პროცენტი, პირველადი კაპიტალი - 6 პროცენტი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი - 8 პროცენტი). შესაბამისად, პილარ 2-ის ფარგლებში მოთხოვნილი

დიაგრამა N 4.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამასთანავე, ეროვნული ბანკი პოზიტიურად აფასებს კაპიტალის ზრდის რესურსებს, როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით.

2019 წლის მანძილზე ბანკები პილარ 2-ში შემავალი კაპიტალის ბუფერების კალკულაციებს ახორციელებდნენ. პილარ 2-ის ჩარჩო განსაზღვრავს კაპიტალის ბუფერის მოთხოვნას საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისათვის (როგორც სახელობითი კონცენტრაციის, ასევე სექტორული კონცენტრაციის რისკებისათვის), არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერს, საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრულ წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერს და ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში დაწესებულ წმინდა GRAPE (General Risk Assessment Process) ბუფერის განსაზღვრის წესს.

კაპიტალის 56 პროცენტი დაცული უნდა იყოს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო 75 პროცენტი პირველადი კაპიტალის ელემენტებით. აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, კომერციულ ბანკებს შესაბამისი ვადები მიეცათ. 2019 წელს განსაზღვრული ვადების მიხედვით, ბანკებს მოთხოვნები N 4.2 ცხრილში მოცემული გრაფიკით უნდა დაეკმაყოფილებინათ, თუმცა კორონავირუსთან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა დროებით შეაჩერა ძირითად პირველად კაპიტალსა და პირველად კაპიტალზე პილარ 2-ის მოთხოვნების ზრდა. შესაბამისად კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერები 100 პროცენტით არის დაწესებული საზედამხედველო კაპიტალზე, 20 პროცენტით პირველად კაპიტალზე და 15 პროცენტით ძირითად პირველად კაპიტალზე.

81 კაპიტალის შეფარდება აქტივებთან.


ცხრილი N 4.2 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები კორონავირუსთან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების გატარებამდე

კონცენტრაციის (სახელობითი და სექტორული) ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერის განაკვეთები	ამოქმედებიდან 30/12/2018-მდე	31/12/2018	31/03/2020	31/03/2021	31/03/2022 და შემდგომ
ძირითადი პირველადი კაპიტალი	0%	15%	30%	45%	56%
პირველადი კაპიტალი	0%	20%	40%	60%	75%
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	100%	100%	100%	100%	100%

კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგად, კომერციული ბანკისათვის დაწესებული ახალი ჯამური კაპიტალის დარღვევისას ჩაითვლება, რომ პირველი ირღვევა კაპიტალის კომბინირებული ბუფერები. „კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების თანახმად, აღნიშნული ბუფერების დარღვევისას, კომერციულ ბანკს ეკრძალება კაპიტალის განაწილება, მათ შორის დივიდენდის გაცემა.

მალიზებას გეგმავს, რათა კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოთი განსაზღვრულ პილარ 2-ში საზედამხედველო სტრესტესტების სრული ინტეგრირება მოხდეს. მთლიანი ბანკის დონეზე (Enterprise-level stress) ჩატარებული სტრესტესტი ეკონომიკური ხასიათის სისტემური და სექტორული მნიშვნელობის შოკებისა და იდო-ოსინკრატული მოვლენების ბანკზე გავლენის შეფასებისა და აღნიშნული სცენარისათვის საჭირო კაპიტალის მოცულობის განსაზღვრის

დიაგრამა N 4.2 პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრული წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი 2020 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდება. 2019 წელს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა აღნიშნული ბუფერის კალიბრაციის პროცესს. ამასთან, 2020 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციულ ბანკებთან ერთად, აღნიშნული ბუფერის განსაზღვრისა და დაანგარიშების ჩარჩოს დამატებით ფორ-

შესაძლებლობას იძლევა. საზედამხედველო სტრეს-ტესტების პილარ 2-ში ინტეგრირებასთან ერთად, აუცილებელია ერთსა და იმავე რისკისათვის კაპიტალის ორმაგად მოთხოვნის გამორიცხვა. შესაბამისად, საზედამხედველო სტრეს-ტესტების ფარგლებში დათვლილი კაპიტალის მოთხოვნა განისაზღვრება იმ ოდენობით, რომელიც კონსერვაციისა და კონტრციკ-

ლური ბუფერების ჯამურ მოთხოვნას აჭარბებს.

2018 წელს ამოქმედდა ნეტ GRAPE ბუფერი, რომელიც რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლის ფარგლებში განისაზღვრება და რომლის მიზანია კომერციული ბანკების რისკების შეფასება. GRAPE-ს საფუძველზე ფასდება თითოეული კომერციული ბანკის რისკის პროფილი. 2019 წლის განმავლობაში განახლდა ინდივიდუალური GRAPE ბუფერები, რომლის მოცულობაც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.4-9.7 პროცენტის შუალედში განისაზღვრა.

ამასთან, ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო სტრეს-ტესტების დანერგვაზე მუშაობას და მათი სრულყოფილად დანერგვის პირობებში, მოსალოდნელია, რომ პილარ 2-ის ყველა რისკი და შესაბამისი კაპიტალის მოთხოვნები სცენარებით სრულად იქნება მოცული.

დამატებით, 2020 წელს ეროვნული ბანკი კვლავ გააგრძელებს კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების უფრო მეტად დაახლოებას ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ რეგულაციებთან.

ჩანართი 9 კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს სამომავლო ცვლილებები

სექტორული კონტრციკლური ბუფერი

ბაზელ 3-ის კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში ბანკებს, სხვადასხვა სახის კაპიტალის ბუფერებთან ერთად, უწესდებათ კონტრციკლური ბუფერი, რომელიც ამ ეტაპზე, საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, 0%-ს შეადგენს. აღნიშნული ბუფერი თავისი არსით წარმოადგენს ბანკის დამცავ მექანიზმს ისეთ პერიოდებში, როდესაც ეკონომიკაში გადაჭარბებულ დაკრედიტებას აქვს ადგილი, რამაც შესაძლოა ფინანსურ სფეროში სისტემური რისკები და სხვა გართულებები განაპირობოს. კონტრციკლური ბუფერის მოცულობა დაკრედიტების მაღალი ზრდის შემთხვევაში იზრდება (ამის შესაფასებლად ყველაზე გავრცელებული მექანიზმია სესხების მშპ-თან შეფარდების გეპის (Credit to GDP gap) გამოთვლა) და მცირდება მაშინ, როცა ეკონომიკაში სტაგნაცია ან კრიზისული პერიოდი, რათა ბანკს სტრესულ პირობებში საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელების საშუალება მიეცეს.

აღსანიშნავია, რომ საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა 2017 წლიდან სექტორული კონტრციკლური ბუფერის განვითარება-

ზე დაიწყო მუშაობა. სექტორული კონტრციკლური ბუფერი დღეს არსებული კონტრციკლური ბუფერისა და სხვა მაკროპრუდენციული მექანიზმების ეფექტურ შემავსებელს წარმოადგენს, ხოლო კონტრციკლური ბუფერი მთლიანი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე წესდება. სექტორული კონტრციკლური ბუფერის გამოყენება შესაძლებელია მიზნობრივ არეალში, რაც ამ მექანიზმის მოქნილობაზე მიგვითითებს. ის ზედამხედველს საშუალებას აძლევს, დროებით დააწესოს დამატებითი კაპიტალის მოთხოვნები, რომელიც კონკრეტულ სექტორში/სეგმენტში არსებულ რისკებზე არის მიმართული. შესაბამისად, სექტორული კონტრციკლური ბუფერი დამოკიდებულია სექტორულ საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე და აფასებს იმას, თუ რამდენად მოწყვლადია ბანკი ამ მიზნობრივი სეგმენტის მიმართ. მაგალითისთვის, აღნიშნული ბუფერის დაწესება შესაძლებელია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სასესხო პორტფელზე, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის მანგვნებლებზე დაყრდნობით დაგინახავთ, რომ ამ სეგმენტში რისკები გაზრდილია.

ბაზელის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, სექტორული მექანიზმები ეფექტურია მაშინ, როდესაც სისტემური რისკის წარმოშობის წყარო კონკრეტული საკრედიტო სეგმენტებია. წარსულში მომხდარ ფინანსურ კრიზისებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სისტემური რისკის წარმოქმნა, ძირითადად, სეგმენტებს შორის უთანასწორო ზრდებით არის განპირობებული. დამატებით, კორპორატიული და შინამეურნეობის საკრედიტო ციკლები ხშირ შემთხვევაში სინქრონიზებული არ არის, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საჭიროა მექანიზმი, რომელიც განსხვავებული სექტორების შემთხვევაში კაპიტალის განსხვავებული მოთხოვნების დაწესებას უზრუნველყოფს. თუკი სექტორებს შორის დისბალანსი არსებობს, სექტორული კონტრციკლური ბუფერი არის: (i) უფრო მეტად ეფექტური, რადგანაც ის საწყის სტადიაზე გამოყენებადი ბერკეტია; (ii) უფრო მეტად მოქნილი, რადგანაც ამცირებს დაუგეგმავ გარე ეფექტებს და აქვს უკეთესი ხარჯ-ეფექტურობის მანგვნებელი და (iii) უფრო მარტივად დაწესებადი, ვიდრე სხვა ფართომასშტაბიანი მექანიზმები.

სხვადასხვა ლიტერატურისა და ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ გამოყენებულ უნდა იქნას კომპონენტებად დაშლილი სესხების მშპ-თან ფარდობა. ორმოცამდე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებზე დაკვირვებამ⁸², 1990 დან 2006 წლამ-

82 Büyükkarabacak, B and NT Valev (2010): "The role of household and business credit in banking crises".

დე პერიოდში, გვიჩვენა, რომ შინამეურნეობების დაკრედიტება საბანკო კრიზისების ახსნის მიზნებისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადია. რა თქმა უნდა, ბიზნეს დაკრედიტებაც მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი ეფექტი უფრო სუსტი და არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამას გარდა, სხვა კვლევა⁸³, რომელიც OECD-ს ქვეყნების 1975-2014 მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარდა, ასკვნის, რომ სესხების მშპ-თან ფარდობაზე კომპონენტებად დაშლილი დაკვირვება საბანკო კრიზისებს უფრო ეფექტურად აპროგნოზებს, ვიდრე ერთიანი მაჩვენებელი.

სწორედ ამ მიზეზების გამო, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი თავის დოკუმენტში⁸⁴ აღნიშნავს, რომ საჭიროა ბანკებს დაუწესდეთ სექტორული კონტრაციკლური ბუფერები, რაც უფრო უკეთ აღმოფხვრის სექტორულ დისბალანსებს და უფრო მეტ სიგნალს მიაწვდის ბანკებს სხვადასხვა სექტორულ რისკებთან დაკავშირებით. ამასთან, სექტორული კონტრაციკლურობის ბუფერი კარგი შემავსებელი იქნება სხვა სექტორული მაკროპრუდენციული მექანიზმებისათვის (LTV და PTI) და დღეს არსებული კონტრაციკლური ბუფერისგან განსხვავებით, უფრო მეტად იქნება „მსესხებელზე დაფუძნებული“ მექანიზმი.

2020 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი გეგმავს სექტორული კონტრაციკლური ბუფერის შემოღებას, რომელიც პილარ 1-ის მოთხოვნებში იქნება გათვალისწინებული და კომბინირებული ბუფერის მოთხოვნებს დაემატება. აღნიშნული ბუფერის მახასიათებლები კონტრაციკლური ბუფერის ანალოგიური იქნება და, შესაბამისად, წმინდა სტრეს-ტესტ ბუფერის დაწესებისას სექტორული კონტრაციკლური ბუფერის დაქვითვა მოხდება.

საოპერაციო რისკების კაპიტალის დათვლის სტანდარტიზებული გაზომვის მეთოდი (SMA)

2017 წელს, ბაზელის კომიტეტმა განახლებული ბაზელ III-ის ფარგლებში საოპერაციო რისკებისთვის კაპიტალის დათვლის განახლებული სტანდარტიზებული გაზომვის მეთოდი (SMA⁸⁵) შემოიღო, რომელიც 2022 წლის 1 იანვრიდან დღეს არსებულ სამივე საოპერაციო რისკების დათვლის მეთოდოლოგიას (ძირითადი ინდიკატორის მეთოდი (BIA⁸⁶), სტანდარტიზებული

83 Anundsen, AK, K Gerdrup, F Hansen and K Kragh-Sørensen (2016): "Bubbles and crises: The role of house prices and credit", - Basel 2018 (Towards a sectoral application of the countercyclical capital buffer: A literature review)

84 Basel 2018 - Towards a sectoral application of the countercyclical capital buffer: A literature review

85 Standardized Measurement Approach (SMA)

86 Basic Indicator Approach (BIA)

მეთოდი (SA⁸⁷) და გაზომვის მოწინავე მეთოდი (AMA⁸⁸) სრულად ჩაანაცვლებს.

ბაზელის კომიტეტის მიერ ამ მეთოდის შემოღების მიზეზი ბანკებში AMA-ს ფარგლებში არსებული დათვლის შიდა მეთოდოლოგიების და მოდელების საკმაოდ კომპლექსურობა და ერთმანეთთან არაშესაბამისობაა. შესაბამისად, საოპერაციო რისკებისთვის მოთხოვნილი კაპიტალი, თუნდაც ორი მსგავსი ბანკის შემთხვევაში, საკმაოდ განსხვავებულია. რაც შეეხება ძირითადი ინდიკატორისა და სტანდარტიზებულ მეთოდებს, ისინი სიმარტივით გამოირჩევა და კალკულაციებში ისტორიულ საოპერაციო დანაკარგებს არ მოიცავს, რაც საოპერაციო რისკის სრულყოფილად და საიმედოდ შესაფასებლად არასაკმარისია.

სტანდარტიზებული გაზომვის მეთოდი (SMA) საოპერაციო რისკების დათვლის სტანდარტიზებული მეთოდისა და ბანკის შიდა დანაკარგების მონაცემების კომბინაციას წარმოადგენს, რაც საოპერაციო რისკის შეფასების საკმაოდ ეფექტური მექანიზმია. მოსალოდნელია, რომ ეს მეთოდი ბანკებს შორის კაპიტალის დონეების შესაბამისობას გააუმჯობესებს და გათვლენების კომპლექსურობას შეამცირებს.

SMA ბიზნეს ინდიკატორს (BI) და შიდა საოპერაციო დანაკარგების კომპონენტს (LC) მოიცავს. პირველი კომპონენტი (BI) დღეს არსებული ძირითადი ინდიკატორის მეთოდის მსგავსია, თუმცა გარკვეული უპირატესობები გააჩნია და უფრო მეტად დახვეწილია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი არის სტაბილური და შესაბამისი ბანკებს შორის, რეალურად, ბიზნესის მასშტაბი ერთადერთი ფაქტორი არის, რაც საოპერაციო რისკს განსაზღვრავს. შესაბამისად, ის განსხვავებები, რაც საშუალო და მსხვილი ბანკების რისკის პროფილებს ახასიათებს, სათანადოდ არ არის ასახული, რადგან ეს ინდიკატორი მხოლოდ ფინანსურ ანგარიშზე დაყრდნობით გამოითვლება. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ისეთი კომპონენტის შემოღება, რომელიც ამ მეთოდს უფრო ინფორმატიულს გახდიდა და მომავალი საოპერაციო დანაკარგების განსაზღვრას წარსული დანაკარგების საფუძველზე შეძლებდა. დანაკარგების კომპონენტის (LC) შემოღება არა მარტო აუმჯობესებს SMA-ს, არამედ ბანკებს საოპერაციო რისკების მართვის გააუმჯობესების სტიმულს აძლევს. ბანკებს, რომლებსაც ეფექტური რისკ-მენეჯმენტი და მცირე საოპერაციო დანაკარგები აქვთ, საოპერაციო რისკებისათვის შედარებით

87 Standardized Approach (SA)

88 Advanced Measurement Approach (AMA)

დაბალი კაპიტალის მოცულობა მოეთხოვებათ. SMA-ს მიხედვით საოპერაციო რისკების კაპიტალი ცხრილი N 4.3-ში მოცემული კალკულაციების საშუალებით გამოითვლება.

2020 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად იმუშავებს SMA-ს ქართულ საბანკო

ცხრილი N 4.3 SMA მეთოდით საოპერაციო რისკების კაპიტალის გამოთვლა

მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული ანგარიშგებები მზადდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს⁸⁹) შესაბამისად, რომლებიც პერიოდულ განახლებას ექვემდებარება. საფინანსო სექტორის გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და ევროკავშირის საბჭოს „ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების წლიური ინდივიდუალური და

		ბიზნეს ინდიკატორის კომპონენტი (BIC)		შიდა დანაკარგების მულტიპლიკატორი (ILM)																			
		ბიზნეს ინდიკატორი (BI)	ზღვრული BI კოეფიციენტი (α)	საოპერაციო რისკების კაპიტალში გათვალისწინებული ბანკის შიდა ისტორიული საოპერაციო დანაკარგები																			
საოპერაციო რისკების კაპიტალი	=	<p>საპროცენტო, ლიზინგის და დივიდენდის კომპონენტი (LDC) = Min [Abs (საპროცენტო შემოსავალი - საპროცენტო ხარჯი); 2.25%*სავალო ინსტრუმენტები] + შემოსავლები დივიდენდიდან</p>	<p>(α) გამზავლებული BI-ზე ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად რის შედეგადაც მიიღება BIC</p> <table border="1"> <thead> <tr> <th>BI კალაბი</th> <th>BI დიაპაზონი</th> <th>ზღვრული BI კოეფიციენტი (α)</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>1 მილიარდიამდე</td> <td>0.12</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>1 მილიარდიდან 30 მილიარდამდე</td> <td>0.15</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>30 მილიარდს ზემოთ</td> <td>0.18</td> </tr> </tbody> </table>	BI კალაბი	BI დიაპაზონი	ზღვრული BI კოეფიციენტი (α)	1	1 მილიარდიამდე	0.12	2	1 მილიარდიდან 30 მილიარდამდე	0.15	3	30 მილიარდს ზემოთ	0.18	<p>დანაკარგების კომპონენტი (LC) = 15 x ათი წლის მანძილზე არსებული საოპერაციო დანაკარგების საშუალო მარცვნილები</p> <p>შიდა დანაკარგების მულტიპლიკატორი =</p> $ILM = Ln \left[\exp(1) - 1 + \left(\frac{LC}{BIC} \right)^{0.8} \right]$ <table border="1"> <tbody> <tr> <td>LC < BIC</td> <td>ILM < 1, ნაკლები კაპიტალი არის საჭირო საოპერაციო რისკისთვის</td> </tr> <tr> <td>LC = BIC</td> <td>ILM = 1, საოპერაციო რისკისთვის საჭირო კაპიტალი არის BIC-ის ტოლი</td> </tr> <tr> <td>LC > BIC</td> <td>ILM > 1, მეტი კაპიტალი არის საჭირო საოპერაციო რისკისთვის</td> </tr> </tbody> </table>		LC < BIC	ILM < 1, ნაკლები კაპიტალი არის საჭირო საოპერაციო რისკისთვის	LC = BIC	ILM = 1, საოპერაციო რისკისთვის საჭირო კაპიტალი არის BIC-ის ტოლი	LC > BIC	ILM > 1, მეტი კაპიტალი არის საჭირო საოპერაციო რისკისთვის
		BI კალაბი		BI დიაპაზონი	ზღვრული BI კოეფიციენტი (α)																		
		1		1 მილიარდიამდე	0.12																		
2	1 მილიარდიდან 30 მილიარდამდე	0.15																					
3	30 მილიარდს ზემოთ	0.18																					
LC < BIC	ILM < 1, ნაკლები კაპიტალი არის საჭირო საოპერაციო რისკისთვის																						
LC = BIC	ILM = 1, საოპერაციო რისკისთვის საჭირო კაპიტალი არის BIC-ის ტოლი																						
LC > BIC	ILM > 1, მეტი კაპიტალი არის საჭირო საოპერაციო რისკისთვის																						
<p>Service Component (SC) = Max [სხვა საოპერაციო შემოსავლები; სხვა საოპერაციო ხარჯები] + Max [საკომისიო შემოსავლები; საკომისიო ხარჯები]</p>	X	X																					
<p>ფინანსური კომპონენტი (FC) = Abs (სავალო წიგნის წმინდა მოგება) + Abs (საბანკო წიგნის წმინდა მოგება)</p>																							

სისტემაში ინტეგრაციაზე. იგეგმება ბანკებთან კომუნიკაცია და რაოდენობრივი კვლევის ჩატარება. 2021 წლიდან აღნიშნული სტანდარტიზებული გაზომვის მეთოდი დღეს არსებულ საოპერაციო რისკებისათვის კაპიტალის დათვლის მეთოდოლოგიას სრულად ჩაანაცვლებს.

4.4 ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა

ფინანსური სექტორის გამჭვირვალობის ხელშეწყობა და უზრუნველყოფა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. გამჭვირვალობის მაღალი დონე ხელს უწყობს ინფორმაციის ასიმეტრიულობის შემცირებას, საფინანსო სექტორის მიმართ ნდობის ამაღლებას და მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამის რეფორმებს მუდმივად ატარებს.

კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორების სხვა წარმომადგენლების ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებები საფინანსო სექტორის გამჭვირვალობისთვის ერთ-ერთი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 86/635/EEC დირექტივით გათვალისწინებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან დაახლოების მიზნით, 2018 წლის 26 დეკემბერს დამტკიცდა „კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი“, რომელიც ძალაში 2019 წლის 1 იანვარს შევიდა. აღნიშნული წესით კომერციული ბანკებისა და სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმების ვალდებულებები, აუდიტორული ფირმების შერჩევის მინიმალური მოთხოვნები და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გასამჟღავნებელი ინფორმაციის წესები განისაზღვრა. საქართველოს ეროვნული ბანკი მონიტორინგს უწევს კომერციული ბანკების მიერ აღნიშნული მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვას.

ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად, კომერციული ბანკები კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებებს „კომერ-

89 იგივე IFRS – International Financial Reporting Standards.

ციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის“ მიხედვით აქვეყნებენ. აღნიშნული ანგარიშგებები ბანკის წინაშე არსებული რისკების, საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის შესახებ ინფორმაციას ბაზრის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის. წესის მოთხოვნები საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის პილარ 3-ის დოკუმენტის პრინციპებს შეესაბამება.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში პერიოდულად განხორციელებული გარკვეული ცვლილებების დანერგვის ხელშეწყობა, რომელთა მიზანსაც, ძირითადად, ფინანსური გამჭვირვალობისა და შესაძარისობის გლობალური მასშტაბით გაზრდა წარმოადგენს, ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. შესაბამისად, ეროვნული ბანკი ფასს-ის განახლებებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. 2019 წელს განსაკუთრებით აქტუალური იყო იჯარებთან (ფასს 16) და ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვასთან (ფასს 9) დაკავშირებული სტანდარტები, ვინაიდან აღნიშნული სტანდარტები უახლეს ფასს სტანდარტებს⁹⁰ წარმოადგენს.

ფასს 16 სტანდარტი დამქირავებლის მიერ ქონების ლიზინგით აღებისას (ლიზინგი შესყიდვის უფლებით ან უფლების გარეშე) აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების ბალანსზე აღიარებას გულისხმობს. ფასს 16-ის საზედამხედველო ანგარიშგებებში ასახვის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით, შესაბამისი ანგარიშები შეიმუშავა.

ფასს 9 სტანდარტი სავალდებულო 2018 წლის 1-ლი იანვრიდან გახდა. 2019 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აგრძელებდა ფინანსური ინსტიტუტების მიერ აღნიშნული სტანდარტის გამოყენების მონიტორინგს და მისი შემოღების ეფექტებს ფინანსური ინსტიტუტების ფინანსურ ანგარიშგებებზე ანალიზებდა. როგორც ცნობილია, ფასს 9 გულისხმობს მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარებას მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის, მათ შორის, მაკროეკონომიკურ ფაქტორებთან დაკავშირებული მოლოდინების საფუძველზე. ფინანსური სექტორის წარმომადგენლებისთვის ამ ინფორმაციის მოპოვება დიდ რესურსებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. 90 ფასს 9 2018 წლის, ხოლო ფასს 16 2019 წლის პირველ იანვარს შევიდა ძალაში.

რებული, მაშინ როცა ეროვნულ ბანკს მაკროეკონომიკური კვლევებისა და პროგნოზირების ღრმა გამოცდილება აქვს და, ასევე, ამ კვლევებისა და პროგნოზირებისთვის საჭირო სტატისტიკურ ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი პერიოდულად აქვეყნებს ფასს 9-ის მიზნებისთვის საჭირო მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს საპროგნოზო რისკ სცენარებს. აღნიშნულის მიზანია ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშგების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმოება.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების საზედამხედველო მიზნებისთვის ანგარიშგების სრულად ფასს-ზე გადაყვანის პროექტზე აქტიურად მუშაობს. პროექტის წარმატებით დანერგვისათვის მნიშვნელოვანია სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა. შესაბამისად, ეროვნული ბანკი გეგმავს კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებისაგან შემდგარი ერთობლივი სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტებას. სამუშაო ჯგუფის დახმარებით კომერციული ბანკების ანგარიშგების ფასს-ზე გადასვლის პროექტის ძირითადი სამუშაოები 2020 წელს ჩატარდება. აღნიშნული, პირველ რიგში, გულისხმობს ანგარიშთა გეგმის ფასს სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას.

კომერციული ბანკების ფასს-ზე გადასვლის პროექტი, ასევე, მოიცავს კომერციული ბანკების საზედამხედველო ანგარიშგების ფორმების ევროკავშირში დამკვიდრებულ და ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ანგარიშგების ფორმაზე (FINREP) გადაყვანას. აღნიშნულ ანგარიშგებებზე გადასვლის პარალელურად, ეროვნული ბანკი შეინარჩუნებს მის ხელთ არსებულ გარკვეულ პრუდენციულ ფილტრებს რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პოლიტიკის შეუფერხებლად გაგრძელებისათვის. აღსანიშნავია, რომ FINREP მოიაზრებს კონსოლიდირებულ ანგარიშგებას მაშინ, როდესაც არსებული საზედამხედველო ანგარიშგებები ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე არის დაფუძნებული. შესაბამისად, არსებული პრუდენციული ფილტრების კონსოლიდირებულ მაჩვენებლებზე მორგება ამ პროცესის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და ამ საკითხზე ეროვნული ბანკი საერთაშორისო ექსპერტებთან და კონსულტანტებთან ერთად აქტიურად მუშაობს.

2018 წლის განმავლობაში კომერციულ ბანკებს დაევაღათ FINREP ფორმების საცდელ

რეჟიმში შევსება. 2019 წლიდან კი კომერციული ბანკები ეროვნულ ბანკს ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ დონეებზე შევსებულ FINREP ფორმებს, არსებულ საზედამხედველო ფორმებთან ერთად, პარალელურ რეჟიმში წარუდგენენ. მიმდინარე ეტაპზე ბანკები FINREP ფორმებს ყოველკვარტალურად ავსებენ, თუმცა დაგეგმილია მათი ყოველთვიურ სიხშირეზე გადაყვანა.

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან ანგარიშგებისა და აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული სამსახურის საქმიანობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით ქვეყანაში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სფეროებთან დაკავშირებული კანონმდებლობის რეფორმირების უზრუნველყოფას მოიცავს. ეროვნული ბანკი მონაწილეობს როგორც ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიულ ორგანიზაციებთან გამართულ კონსულტაციებში, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობის შემუშავების პროცესებში.

ფასს-ზე გადასვლის პროცესის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის ზრდისა და აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმებთან თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავს. ამ მიზნით, 2020 წელს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს აუდიტორულ ფირმებთან თანამშრომლობის სახელმძღვანელოს, რომელიც ევროპის საბანკო ორგანოს (EBA⁹¹) შესაბამის დოკუმენტს⁹² დაეფუძნება.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების აუდიტის პროცესის დამოუკიდებელი წარმართვის ხელშეწყობის მიზნით და ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილის მიერ შემოღებული პრაქტიკის გაზიარებით, ეროვნული ბანკი კომერციული ბანკებისთვის აუდიტორული ფირმების სავალდებულო როტაციის მოთხოვნებზე მუშაობს. აღნიშნულ პოლიტიკაზე მუშაობის პროცესში ეროვნული ბანკი აუდიტორული ფირმების, კომერციული ბანკების წარმომადგენლების მოსაზრებებსა და საერთაშორისო გამოცდილებას გაიზიარებს.

91 European Banking Authority.

92 იხ. ჩანართი N10 „აუდიტორულ ფირმებთან თანამშრომლობის სახელმძღვანელო“.

ჩანართი 10 აუდიტორულ ფირმებთან თანამშრომლობის სახელმძღვანელო

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 6 აპრილის „საზოგადოებრივი დაინტერესების პირების სავალდებულო აუდიტის სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ 537/2014 რეგულაციის მიხედვით, საკრედიტო ინსტიტუტების საზედამხედველო ორგანოსა და იმ აუდიტორულ ფირმებს შორის, რომლებიც სავალდებულო აუდიტს ახორციელებენ, ეფექტური კომუნიკაცია უნდა არსებობდეს. ასეთმა კომუნიკაციამ საზედამხედველო პროცესი უნდა გააუმჯობესოს და, შესაბამისად, ფინანსური სექტორის ჯანსაღ ფუნქციონირებასა და მდგრადობას შეუწყოს ხელი.

ზემოაღნიშნული რეგულაციის ჩანაწერების შესრულების მიზნით, EBA-მ ზედამხედველებსა და აუდიტორული ფირმების თანამშრომლობის სახელმძღვანელო შეიმუშავა, რომელიც მხარეებს შორის კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია. სახელმძღვანელო მოიცავს კომუნიკაციის ზოგად ჩარჩოს, პრინციპებსა და ეფექტური კომუნიკაციის ძირითად ელემენტებს. სახელმძღვანელო კომუნიკაციას ორ კატეგორიად ყოფს:

1. კომუნიკაცია, რომელიც ეხება ინდივიდუალურ საკრედიტო ინსტიტუტს და მოიცავს ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული სპეციფიკური ინფორმაციის გაზიარებას;
2. კომუნიკაცია, რომელიც ეხება საკრედიტო ინსტიტუტების სექტორს და მოიცავს სექტორთან დაკავშირებული ისეთი ზოგადი ინფორმაციის გაზიარებას, რომელიც რელევანტურია ერთზე მეტი საკრედიტო ინსტიტუტისთვის.

სახელმძღვანელო ითვალისწინებს პროპორციულობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს საზედამხედველო ორგანოსა და აუდიტორულ ფირმებს შორის კომუნიკაციის სიხშირის საკრედიტო ინსტიტუტის ზომასთან და ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, მისი აქტივობების კომპლექსურობასთან და მოულოდნელად წარმოშობილ იმ გარემოებების მნიშვნელოვნებასთან პროპორციულობას, რომლებიც საზედამხედველო ყურადღებას მოითხოვენ.

კომუნიკაციის ზოგადი ჩარჩო

EBA-ს სახელმძღვანელოს ზოგადი ჩარჩოს მიხედვით:

1. ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბების ვალდებულება ეკისრება როგორც საზედამხედველო ორგანოს, ისე სავალდებულო

აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმებს.

2. კომუნიკაციის ჩამოყალიბებული არხები უნდა იყოს კონსტრუქციული, ღია და მომავალ გაუთვალისწინებელ მოვლენებზე ადაპტირებადი.
3. ეფექტური კომუნიკაციის მიზნით, სახედამხედველო ორგანომ და აუდიტორებმა უნდა განსაზღვრონ ადეკვატური პროცესები და დაიცვან ისინი.
4. სახედამხედველო ორგანომ და აუდიტორულმა ფირმებმა ხელი უნდა შეუწყონ მათი როლისა და პასუხისმგებლობების შესრულებას.
5. თანამშრომლობის მიუხედავად, მხარეებმა უნდა განაგრძონ თავიანთი პასუხისმგებლობების ფარგლებში საქმიანობა და არც ერთმა მხარემ არ უნდა გამოიყენოს მეორე მხარის ნაშრომი საკუთარი საქმიანობის მაგივრად.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პრინციპები ეხება:

- ინფორმაციის გაზიარების არეალს;
- კომუნიკაციის ფორმას;
- კომუნიკაციაში მონაწილე პირებს;
- კომუნიკაციის სიხშირესა და ვადებს.

კომუნიკაციის პრინციპები

პრინციპი 1 - გაზიარებული ინფორმაცია თითოეული მხარის შესასრულებელი სამუშაოს მიზნებისთვის რელევანტური უნდა იყოს.

პრინციპი 2 - სახედამხედველო ორგანომ აუდიტორულ ფირმებს უნდა მოსთხოვოს იმ ინფორმაციის გაზიარება, რომელიც რელევანტურია საკრედიტო ინსტიტუტის ზედამხედველობისთვის.

პრინციპი 3 - სახედამხედველო ორგანომ აუდიტორებს უნდა გაუზიაროს ის ინფორმაცია, რომელიც რელევანტურია საკრედიტო ინსტიტუტების სავალდებულო აუდიტისთვის.

პრინციპი 4 - ეფექტური კომუნიკაცია სახედამხედველო ორგანოსა და აუდიტორულ ფირმებს შორის უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი კომუნიკაციის არხების მეშვეობით.

პრინციპი 5 - კომუნიკაციაში მონაწილე პირებს შორის წარმოდგენილი უნდა იყვნენ კომპეტენტური პირები კომუნიკაციაში მონაწილე ორივე მხარისგან.

პრინციპი 6 - კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ისეთი სიხშირით, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის დროულად გაზიარებისათვის.

პრინციპი 7 - კომუნიკაცია სახედამხედველო ორგანოსა და ყველა აუდიტორს შორის უნდა იყოს ისეთი სიხშირის, რომ უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროული გაცვლა.

ეროვნული ბანკის სტრატეგია

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი EBA-ს სახელმძღვანელოზე დაყრდნობით აუდიტორებთან თანამშრომლობის ჩარჩოს შემუშავებაზე მუშაობს. სახელმძღვანელოს მიზანია აუდიტორებთან ფორმალური კომუნიკაციის სტანდარტების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს სახედამხედველო პროცესის გაუმჯობესებას. 2020 წლის განმავლობაში იგეგმება სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსიის გამოქვეყნება დაინტერესებული პირებისაგან კომენტარების მიღების მიზნით. აღნიშნული კონსულტაციის შემდეგ კი საბოლოო სახელმძღვანელოს გამოცემა მოხდება.

4.5 საკრედიტო რისკი


2019 წლის 31 დეკემბრისთვის, საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 32 მილიარდ ლარს მიაღწია და გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე მისი წლიური ზრდა 16.3 პროცენტი იყო.

2019 წელს საკრედიტო პორტფელის (ბანკთა შორისი სესხების გარდა) შედგენილობა, სეგმენტების ქრილში, მცირედით შეიცვალა, რაც საცალო სეგმენტის წილის შემცირებასა და კორპორატიული სესხების წილის ზრდაში გამოიხატა.

საცალო სეგმენტის შემცირების ძირითადი გამომწვევი მიზეზი 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული რეგულაცია გახდა, რომლის მიხედვითაც, გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე სესხების გაცემა შეიზღუდა. ამან მაღალ რისკიანი საცალო პორტფელის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია.

რაც შეეხება კორპორატიულ სეგმენტს, კომერციული ბანკების გაზრდილმა აქტივობამ ბიზნეს სესხების დაფინანსების მიმართულებით, რასაც თან ახლდა უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, კორპორატიული სესხების მაღალი ზრდა განაპირობა.

დიაგრამა N 4.3 მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 4.4 საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორის სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2018 წლის ბოლოს არსებული კურსით)


	დეკ-18		დეკ-19		ცვლილება %
	მლნ ლარი	წილი %	მლნ ლარი	წილი %	
კორპორატიული სესხები	8,067	30%	10,492	34%	30.1%
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	6,620	25%	7,859	25%	18.7%
საცალო სესხები	11,910	45%	12,541	41%	5.3%
სულ:	26,597	100%	30,892	100%	16.1%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გასული წლის განმავლობაში რამდენიმე სახის, მათ შორის ტექნიკური ხასიათის, სესხის რეკლასიფიკაცია განხორციელდა, რამაც სეგმენტების ზრდის ნომინალური მაჩვენებლები შეცვალა. ეროვნული ბანკის შეფასებით, ფიქსირებული კურსის გათვალისწინებით და ზემოთ მოცემული კორექტირებების გარეშე, საცალო სეგმენტი, მცირე და საშუალო ბიზნესის პორტფელი და კორპორატიული პორტფელი, შესაბამისად, 5.4, 24.6 და 25.1 პროცენტით გაიზარდა. ასევე, 2019 წლის მანძილზე გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ შესყიდული სხვადასხვა კორპორატიული კლიენტების ფასიანი ქაღალდების მოცულობა; ამ შესყიდვების ეფექტის გათვალისწინებით, კორპორატიული სეგმენტის პორტფელის ზრდა 26.1 პროცენტს შეადგენს.


2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, კორპორატიული და მცირე და საშუალო სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კლება დაფიქსირდა, თუმცა საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია, ძირითადად, უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე შეინიშნებოდა. საპროცენტო განაკვეთები მცირდებოდა საცალო სეგმენტისთვისაც, წლის დასაწყისში - ლარით, ხოლო ბოლო კვარტალში უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ხარჯზე, თუმცა სექტემბრის დასაწყისიდან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდამ, ჯამურად, საცალო სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთის შემდგომი შემცირება შეაჩერა.

დიაგრამა N 4.4 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.5 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ პორტფელში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.6 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.7 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. 2019 წლის მანძილზე პროციკლური⁹³ სექტორების (უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა, ხანგრძლივი მოხმარების სამომ-

⁹³ სექტორები, რომლებიც ეკონომიკურ ზრდასთან მაღალი დადებითი კორელაციით ხასიათდება.

ხმარებლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა, ავტომობილების დილერები) წილი საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელში მცირედით გაიზარდა, ძირითადად უძრავი ქონების მენეჯმენტისა და უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორების ხარჯზე (იხ. დიაგრამა N 4.8). ზოგიერთ სექტორში შესაძლო დანაკარგების რე-

ზერვის მაღალი მოცულობა, უმთავრესად, იდიოსინკრატული⁹⁴ შემთხვევებით არის განპირობებული.


ცხრილი N 4.5 საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება

სექტორი ბანკთაშორისი სესხების გარდა (მილიონი ლარი)	წილი მთლიან პორტფელში	სესხის ნაშთი	სესხის რეზერვი	სესხის რეზერვი / პორტფელი
სახელმწიფო ორგანიზაციები	0.2%	77	2	2.1%
საფინანსო ინსტიტუტები	1.9%	604	13	2.1%
ლომბარდული სესხები	1.4%	459	20	4.5%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	3.1%	993	57	5.8%
უძრავი ქონების მენეჯმენტი	5.9%	1,897	74	3.9%
სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	1.6%	497	19	3.8%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	2.9%	920	32	3.4%
სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობა	3.6%	1,150	41	3.6%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	4.4%	1,399	81	5.8%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო პრო- დუქციის წარმოება და ვაჭრობა	0.7%	224	8	3.4%
ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	0.7%	209	8	4.0%
ვაჭრობა (სხვა)	4.2%	1,335	63	4.7%
წარმოება (სხვა)	1.4%	433	20	4.6%
სასტუმროები და ტურიზმი	6.5%	2,089	61	2.9%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	1.4%	449	18	4.0%
მძიმე მრეწველობა	1.7%	529	27	5.2%
ბენზინგასამართ სადგურებსა და ბანზინის იმპორტიორებზე გაცემული სესხები	1.1%	354	19	5.3%
ენერჯეტიკა	4.2%	1,326	41	3.1%
ავტომობილების დილერები	0.6%	193	19	9.7%
ჯანდაცვა	2.0%	633	17	2.7%
ფარმაცევტიკა	0.5%	149	7	4.8%
ტელეკომუნიკაცია	0.9%	279	6	2.2%
სერვისი	4.7%	1,487	65	4.4%
სოფლის მეურნეობის სექტორი	5.7%	1,808	89	4.9%
სხვა (ჭარბის ბიზნესის ჩართვით)	1.4%	443	17	3.8%
საცალო პროდუქტები	37.5%	11,976	522	4.4%
ავტო-სესხები	0.3%	105	3	3.3%
სამომხმარებლო სესხები	13.1%	4,184	211	5.0%
მომენტალური განვადება	0.6%	193	26	13.4%
ოვერდრაფტები	0.2%	57	6	11.0%
საკრედიტო ბარათები	1.4%	458	26	5.8%
სესხები ბინის რემონტისათვის	1.6%	513	17	3.3%
იპოთეკური სესხები	20.3%	6,466	231	3.6%
საკრედიტო პორტფელი (ბანკთაშორისი სესხების გარეშე)	100.0%	31,915	1,346	4.2%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

94 ინდივიდუალური, სექტორისთვის დამახასიათებელ და არა სისტემური ხასიათის ფაქტორი.

დიაგრამა N 4.8 პროციკლური სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2019 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა საცალო პროდუქტების ზრდის ტემპი. მომენტალური განვადების, საკრედიტო ბარათებისა და ოვერდრაფტების შემთხვევაში წლიურად კლება დაფიქსირდა, ხოლო სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპი, საგრძნობლად შემცირებული იყო. საცალო პროდუქტებში ზრდის მთავარ მამოძრავებლად იპოთეკური სესხები გვევლი-

ნება. აღნიშნული ცვლილებები მოსალოდნე-ლი იყო, რადგან 2019 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება“, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა სესხების გაცემა შემოსავლების სა-ფუძვლიანი შესწავლის გარეშე, რაც პრაქტიკა-ში დებულების ამოქმედებამდე იყო დამკვიდ-რებული.

ცხრილი N 4.6 საცალო პროდუქტების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2018 წლის ბოლოს არსებული კურსით)


პროდუქტი	დეკ-18		დეკ-19		ცვლილება, %	ცვლილება, მლნ ლარი	ცვლილება, % ფიქსირებული კურსით და რეკლასიფიკაციით
	მლნ ლარი	წილი, %	მლნ ლარი	წილი, %			
საცალო პროდუქტები	11,010	100%	11,673	100%	6.0%	663	6.0%
ავტო-სესხები	76	1%	102	1%	33.8%	26	33.8%
სამომხმარებლო სესხები	4,062	37%	4,142	35%	2.0%	80	2.0%
მომენტალური განვადება	329	3%	193	2%	-41.4%	-136	-41.4%
ოვერდრაფტები	74	1%	57	0%	-22.8%	-17	-22.8%
საკრედიტო ბარათები	554	5%	458	4%	-17.4%	-97	-17.4%
სესხები ბინის რემონტისათვის	470	4%	500	4%	6.5%	30	6.5%
იპოთეკური სესხები	5,444	49%	6,221	53%	14.3%	777	13.8%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა წელთან შედარებით, შეიცვალა საცალო პროდუქტების პორტფელის სტრუქტურაც. პორ-

ტფელში იპოთეკური სესხების წილი მნიშვნე-ლოვნად გაზრდილია, ხოლო სამომხმარებლო სესხების წილი კი შემცირებული.

დიაგრამა N 4.9 საცალო პროდუქტების ნაშთების განაწილება 2018 და 2019 წლის ბოლო მდგომარეობით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2020 წლის დასაწყისში „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულებაში“ გარკვეული ცვლილებების ამოქმედებაა დაგეგმილი. ამის მიზანი წესებზე დამყარებული მიდგომიდან უფრო მეტად პრინციპებზე დამყარებულ მიდგომაზე გადასვლა, ასევე, ბანკებში რისკების მართვის ფუნქციის როლის გაზრდა და გაუმჯობესებაა. ძირითადი ცვლილებები გულისხმობს შემდეგს: შემოსავლის სავალდებულო შეფასებასთან ერთად, მეტი აქცენტი გაკეთდება სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ შემოსავლის შიდა პოლიტიკა-პროცედურებით დადგენაზე; კომერციული ბანკებისთვის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დაწესდება კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები; გაიზრდება იმ პირთა რაოდენ-


ობა, ვისაც არ შეეხება დებულების მოთხოვნები; შემოსავლის ჯგუფების რაოდენობა ოთხიდან ორამდე შემცირდება და ზოგიერთი ჯგუფისთვის უფრო მეტი სესხით სარგებლობა იქნება შესაძლებელი; რიგ შემთხვევებში, იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადიანობა 15 წლიდან 20 წლამდე გაიზრდება; იპოთეკური სესხის აღებისას, შემოსავლის საზღვარგარეთ მიმღები პირებისთვის სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის კუთხით არსებული მოთხოვნა შემსუბუქდება. აღნიშნული ცვლილებები ფინანსურ ინსტიტუტებს საცალო რისკების მართვის პროცესის დახვეწის და განვითარების შესაძლებლობას მისცემს. მარეგულირებელი ინტენსიურად დააკვირდება პროგრესს ამ მიმართულებით.

დიაგრამა N 4.10 სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2019 წლის ბოლო მდგომარეობით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.11 საცალო პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ქრილში (ბანკთაშორისი სესხების გარდა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის ხარისხი 2019 წლის ბოლოსთვის დამაკმაყოფილებლად გამოიყურება.

ცხრილი N 4.7 საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით

კატეგორია (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	თანხა მლნ ლარი	წილი	რეზერვი
სტანდარტული	29,417	92.2%	2%
ნეგატიური სესხები	2,498	7.8%	29%
საყურადღებო	1,084	3.4%	10%
უმოქმედო სესხები	1,414	4.4%	44%
არასტანდარტული	808	2.5%	30%
საეჭვო	266	0.8%	46%
უიმედო	339	1.1%	74%
სულ:	31,915	100%	4%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პორტფელის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება სეგმენტების მიხედვით. ისტორიულად, კორპორატიული სეგმენტის დანაკარგები მცირე, საშუალო და საცალო პორტფელის დანაკარგებს მნიშვნელოვნად აღემატება, რაც ნათლად ჩანს სეგმენტების მიხედვით ხარისხობრივი პარამეტრების შედარებისას. პორტფელის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმ-

ჯობესება როგორც საკრედიტო პორტფელის ზრდამ, ასევე რეგიონალური გარემოს გაუმჯობესებამ განაპირობა. კორპორატიული პორტფელის შემთხვევაში, ასევე, დაფიქსირდა იდიოსინკრატული შემთხვევებით გამოწვეული გაუმჯობესებები. კერძოდ, გაუმჯობესდა რამდენიმე მსხვილი სესხის მდგომარეობა, რამაც ამ სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შემცირება და, შედეგად, ბანკების მოგების ერთჯერადი ზრდა განაპირობა.

ცხრილი N 4.8 პორტფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით


სეგმენტი	ნეგატიური სესხები	უმოქმედო სესხები	საშუალო რეზერვი
კორპორატიული	9.14%	4.81%	4.04%
მცირე და საშუალო	8.11%	4.93%	4.34%
საცალო	6.53%	3.80%	4.29%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საცალო პორტფელში რეგულაციებში ცვლილებების შედეგად, საცალო პორტფელის ხარისხობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ნეგატიური სესხების წილი შემცირებულია. აღნიშნული გაუმჯობესება დიდწილად მსესხებლების სრულფასოვანი შემოსავლების შესწავლის ვალდებულებისა და სესხის მომსახურების კოეფიციენტის ზღვრების დაწესებით არის განპირობებული. შემცირებულია მაღალრისკიანი პროდუქტების წილი, რომელსაც ბან-


კები ადრე, ძირითადად, შემოსავლების სრულფასოვანი ანალიზის გარეშე გასცემდნენ და, შესაბამისად, გაზრდილია იპოთეკური და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, დაბალრისკიანი სესხების გაცემის მაჩვენებლები. სესხის მომსახურების კოეფიციენტის ზღვრების დაწესებამ სხვადასხვა შემოსავლის მქონე პირებისათვის, დამატებით, მსესხებლების ფინანსური სიტანსაღე გაზარდა. ყოველივე ამის შედეგად, რისკის ხარჯი შემცირებულია.

დიაგრამა N 4.12 საცალო პორტფელის განაწილება, რისკის ხარჯი და ხარისხის პროდუქტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.13 საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიანი საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი გარდა) 1.96 პროცენტს შეადგენს, რაც შესაძარ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. თუმცა აღნიშნული

კოეფიციენტი რეალურად ვერ ითვალისწინებს რესტრუქტურისაც/რეფინანსირებების მიმართ არსებულ განსხვავებულ მიდგომებს სხვადასხვა საზემდამხედველო იურისდიქციებს შორის.


დიაგრამა N 4.14 90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხები*



*2018 წლის ბოლოს არსებული მონაცემები. მონაცემებს შორის შესაძლოა იყოს რამდენიმე თვიანი განსხვავება. გამოყენებულია უახლესი ხელმისაწვდომი თარიღები.


წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.15 რესტრუქტურირებული სესხების წილი მთლიან სასესხო პორტფელში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.16 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 4.17 ცვლადგანაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან)⁹⁵



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2019 წელს წმინდა ჩამოწერილი სესხების მოცულობა 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10.3 პროცენტით გაიზარდა. შემცირება ფიქსირდება როგორც ჩამოწერილ აქტივებში, ასევე ჩამოწერილი აქტივების ამოღებაში, თუმცა ეს უკანასკნელი მეტადაა შემცირებული, ვიდრე აქტივების ჩამოწერა.


დიაგრამა N 4.18 სესხების ჩამოწერა და ამოღება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

95 წმინდა სესხები - სესხის მოცულობა შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოკლების შემდეგ.


დიაგრამა N 4.19 პრობლემური აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, დასაკუთრებული ქონების წილის მოცულობამ მთლიან დაბანდებებში (სესხებს პლიუს დასაკუთრებული ქონება) უმნიშვნელოდ დაიკლო.

დიაგრამა N 4.20 დასაკუთრებული აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი საბაზრო რისკი


4.6 საბაზრო რისკი

4.6.1 სავალუტო რისკი

საქართველოს საბანკო სისტემის მგრძობელობა სავალუტო რისკის მიმართ მაღალი რჩება. საშუალოვადიან პერიოდში ლარიზაცია მზარდია, თუმცა უცხოური ვალუტის აქტივ-ვალდებულებების წილი კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო მუშაობას სავალუტო რისკის მართვის მიმდინარე მიდგომების სრულყოფის მიმართულებით. მუშაობა გრძელდება ღია სავალუტო პოზიციაში უცხოური ვალუტის აქტივების რეზერვის გადაფასების აღრიცხვის მიდგომების დახვეწასთან დაკავშირებით. განსაზღვრულია შესაბამისი გრა-

პოზიცია მოკლევად⁹⁶. შედეგად, ლარის კურსის გაუფასურებისას, რეზერვების გადაფასების გათვალისწინებით, ბანკები ჯამურად ზარალდებიან. დამატებით, რადგან სააქციო კაპიტალი ლარით არის დენომინირებული, ლარის გაუფასურების დროს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გადაფასება მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებს და ამ რისკის მიმართ ბანკებს კიდევ უფრო დაუცველს ხდის. ცალკე საკითხია კურსის მერყეობით გამოწვეული საკრედიტო რისკი, რომელიც ფინანსური სექტორის მთავარ გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო და კორპორატიული პორტფელისათვის, და წლიური ანგარიშის საკრედიტო რისკების ნაწილში ვრცლად არის განხილული.

დიაგრამა N 4.21 კომერციული ბანკების საბალანსო და კრებსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფიკიც. კვლავ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტრუქტურულ პოზიციასთან დაკავშირებული საფრთხეების შეფასებას, ასევე, საბაზრო რისკის შიდა მოდელების დახვეწას. ეს პროცესი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაზრდილი მერყეობის ფონზე.

თუ არსებული მეთოდოლოგიით დაანგარიშებულ სავალუტო პოზიციას განვიხილავთ, სისტემის დონეზე ის საკმაოდ დაბალანსებულია. თუმცა, რადგან აღნიშნული პოზიციის დათვლისას აქტივებში მიმდინარე პერიოდში კვლავ გაითვალისწინება მთლიანი (და არა წმინდა) სესხები და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი შექმნილია ლარით, ბანკების რეალური

4.6.2 საპროცენტო რისკი

წინა წლების მსგავსად, საქართველოში მოქმედ ბანკებს სავაჭროდ განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები თითქმის არ გააჩნდათ. ამიტომ, საზედამხედველო მიზნებისათვის, ბანკების მთლიან ბალანსზე საბანკო წიგნისათვის გათვალისწინებული მიდგომები გამოიყენება. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი ავალდებულებს ბანკებს, რომელთაც სავაჭრო წიგნი⁹⁷ აქვთ, შეიმუშავონ შესაბამი-

⁹⁶ მოკლე სავალუტო პოზიციისას, უცხოური ვალუტის ვალდებულებები აჭარბებს უცხოური ვალუტის აქტივებს. ⁹⁷ სავაჭრო წიგნი მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც კომერციული ბანკი ფლობს: ა) მოკლევადიან პერიოდში გაყიდვის მიზნით; ბ) ფასის

სი პროცედურები და ანგარიშგება ეროვნულ ბანკში წარმოადგინონ. მონიტორინგის შედეგად, პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობის გამოვლენისას სავაჭრო წიგნის რისკის მართვისათვის განკუთვნილი რეგულაცია ამოქმედდება.


გასულ წელს ეროვნულმა ბანკმა საპროცენტო რისკის შესახებ რეგულაციის დანერგვაზე (IRRBB) დაიწყო მუშაობა. მომზადდა საპროცენტო რისკის შესახებ დებულება და ფორმა, რომელთა მიზანია საბანკო წიგნში წარმოშობილი საპროცენტო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაწესებით, კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორის სტაბილურობისა და ჯანსაღად ფუნქციონირების ხელშეწყობა. დებულების ძალაში შესვლა მიმდინარე წელს იგეგმება.

საპროცენტო რისკი საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ ბანკის მგრძობიანობას გამოხატავს. იგი ეხება ბანკის კაპიტალსა და შემოსავლებზე მოქმედ ახლანდელ ან სამო-

ნას. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად იცვლება მომავალი ფულადი ნაკადების წმინდა ახლანდელი ღირებულება და წარჩენი ვადიანობები, რაც ცვლის შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, გარესაბაღანსო მუხლებსა და მათ ეკონომიკურ ღირებულებას (EVE). ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში ასევე ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე (NII) აისახება, რაც საპროცენტო რისკის მიმართ მგრძობიარე შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების შედეგია. ეს რისკი საბანკო სექტორის განუყოფელი ნაწილია და მისმა წარმატებულად მართვამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მომგებიანობასა და კაპიტალზე. ხოლო, გადაჭარბებულმა საპროცენტო რისკმა შესაძლოა მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ბანკის ახლანდელ კაპიტალსა და მომგებიანობას.

EVE საპროცენტო რისკი 6 სცენარის მიხედვით იზომება. ხოლო წმინდა საპროცენტო შემოსავალზე (NII) გავლენა მხოლოდ 2 სცენარს (საპროცენტო განაკვეთების პარალელური ზრდა და შემცირება) ეფუძნება.

დიაგრამა N 4.22 საპროცენტო ხასიათის აქტივებით ვალდებულებების გადაფარვა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაგლო რისკს, რომელიც საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად წარმოიშვება და საბანკო წიგნის პოზიციებზე ახდენს გავლენ-

- მოსალოდნელი ცვლილების გამო გადაფასებით მიღებული მოგების მოლოდინით;
- გ) მისი გამოყენებით არბიტრაჟის გზით შემოსავლების მისაღებად;
- დ) „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის შექმნილი ინსტრუმენტების რისკის პოზიციების დასაზღვევად.

ეროვნული ბანკი ორივე ზემოაღნიშნული საზომის მონიტორინგს ახორციელებს, თუმცა ზედამხედველების მიერ საზედამხედველო ღონისძიებების გატარება ბანკების მიმართ იმ შემთხვევაში განიხილება, როდესაც საპროცენტო რისკი მაღალია და ეკონომიკური ღირებულების შემცირება სხვადასხვა საპროცენტო რისკის შოკის შედეგად ბანკის პირვე-

დიაგრამა N 4.23 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლადი კაპიტალის 15%-ს აღემატება. მიუხედავად ამ სტანდარტისა, ცალკეულ შემთხვევებში, მოსალოდნელი ტენდენციებიდან და რისკებიდან გამომდინარე, როდესაც ზედამხედველი მიიჩნევს, რომ ბანკს საპროცენტო რისკის შესაბამისი კაპიტალი არ გააჩნია, მას შეუძლია გაატაროს საზედამხედველო ღონისძიებები, რომლებიც ბანკის მიერ კაპიტალის ზრდას ან საპროცენტო რისკის პოზიციების შემცირებას გულისხმობს.

დებულების ძალაში შესვლამდე ეროვნული ბანკი აგრძელებს საპროცენტო რისკის ფორმების მონიტორინგს, რომლის შედეგების მიხედვით საპროცენტო რისკი სისტემის დონეზე მნიშვნელოვნად ნაკლებია 15%-იან ლიმიტზე და 10%-ს არ აღემატება. დებულების ძალაში შესვლამდე გაგრძელდება შედეგების მუდმივი მონიტორინგი და ბანკებთან მჭიდრო თანამშრომლობა ანგარიშგების სრულყოფის მიზნით.

საპროცენტო ხასიათის აქტივებით ვალდებულებების გადაფარვის მიმართულებით დადებითი დინამიკა აღინიშნება (დიაგრამა N 4.22). აქტივებისა და ვალდებულებების მოკლევადიანი და საშუალოვადიანი (2 წლამდე) გეპები გაუმჯობესებულია, რაც, ერთი მხრივ, მცურავგანაკვეთიანი სესხების წილის ზრდას და, მეორე მხრივ, ვალდებულებების დაგრძელებადიანებას უკავშირდება.


4.7 მომგებიანობის რისკი

2019 წელს უკუგებამ საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე,⁹⁸ შესაბამისად, 2.2 და 17.7 პროცენტი შეადგინა, რაც ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებზე, რომლებიც 2.5 და 19.4 პროცენტი იყო. მიუხედავად ამისა, საბანკო სისტემის მომგებიანობის მაჩვენებლები ბოლო წლებში სტაბილურობით ხასიათდება და 2019 წელსაც, მთლიანობაში, აქციონერისთვის კაპიტალზე მისაღები უკუგების ფარგლებშია.

2019 წელს საბანკო სისტემაში წმინდა საპროცენტო მარჟა და არასაპროცენტო შემოსავლები შემცირდა. წმინდა საპროცენტო მარჟის შემცირება, ძირითადად, სესხებზე შემცირებულ საპროცენტო განაკვეთებს უკავშირდება. თუმცა მომგებიანობაზე პოზიტიურად იმოქმედა ზრდისა და მასშტაბის გამო ეფექტიანობის ზრდამ, ასევე აქტივების ხარისხის გაუმჯობესებამ და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების შემცირებამ. მთლიანი აქტივების და მთლიანი სესხების, შესაბამისად, 18.9 და 20.1 პროცენტიანი⁹⁹ ზრდის პირობებში, არასაპროცენტო

⁹⁸ ROE - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო სააქციო კაპიტალთან, ხოლო ROA - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო აქტივებთან. ამ გაანგარიშებებში წმინდა მოგება დათვლილია როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავალს გამოკლებული არასაპროცენტო ხარჯები და სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის თანხა, გაუთვალისწინებელი შემოსავლებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ.
⁹⁹ კურსის ეფექტის ჩათვლით.

დიაგრამა N 4.24 მოგების დეკომპოზიცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ხარჯები მხოლოდ 11 პროცენტით გაიზარდა. ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს ხარჯების აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტიც, რომელიც 3.2 პროცენტამდე შემცირდა. სასესხო პორტფელის ზრდის მიუხედავად, საკრედიტო დანაკარგები წინა წელთან შედარებით 2.8 პროცენტით შემცირდა. მომგებიან-

ობის გაუმჯობესებაში ასევე დადებითი როლი ითამაშა ლევერიჯის ზრდამ.


აღსანიშნავია, რომ წლის მეორე ნახევარი უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე მასშტაბური აქციებით გამოირჩეოდა და შესაბამისი სესხების საპროცენტო განაკვეთები ისტორიულ მინიმუმზე ჩამოვიდა, რაც, საკრე-

დიაგრამა N 4.25 ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.26 ლიკვიდური აქტივების დონე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დითო, საპროცენტო და სხვა რისკების გათვალისწინებით, ჩვენი რეგიონის ბაზრებისთვის არაადეკვატურად დაბალია. ამის ძირითადი მიზეზი საკრედიტო ბაზარზე არსებული გამძაფრებული კონკურენციაა, რამაც შემდგომში, შესაძლოა, ცალკეული ბანკების საბაზრო პოზიციები შეარყიოს ან მათ ზედმეტი რისკების აღებისკენ უბიძგოს. აქედან გამომდინარე, რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პრინციპების გათვალისწინებით, 2019 წლის განმავლობაში კვლავ მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდა ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას, ცალკეული ინსტიტუტების ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის ანალიზს; ყურადღება მახვილდებოდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა მასშტაბის ეფექტი, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობის არსებობა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების შეძლებისდაგვარად შეფასება; მეტი აქცენტი კეთდებოდა ბანკში არსებულ მითიგანტებზე¹⁰⁰, მათ შორის, ბანკებში პროდუქტებზე ფასდადების დეტალური მოდელების შემუშავებაზე.

4.8 ლიკვიდობის რისკი

4.8.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა

2019 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მაღალი დონითა და მცირე მერყეობით ხასიათდებოდა. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 20 პროცენტამდე აღ-


წევს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 35 პროცენტის დასაფარად.

2019 წლის განმავლობაში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) გარკვეული მერყეობებით ხასიათებოდა, რაც მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის მიმართულებით თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს და ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას იძლევა. LCR-ის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პრუდენციული ზედამხედველობა და ხელი შეუწყო ვალდებულებების დაგრძელებას, მათ შორის, გამოუთხოვადი სადეპოზიტო სერტიფიკატების პროდუქტის განვითარებას. 2019 წლის ოქტომბერში უცხოური ვალუტის ლიკვიდობის მკვეთრი ზრდა განპირობებულია სებ-ის მიერ ლიკვიდურ აქტივების გაანგარიშებისადმი მიდგომის ცვლილებით¹⁰¹, რაც მე-4 კვარტალში უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის გამო კვლავ ძველ ნიშნულს დაუბრუნდა. 2019 წლის მეორე კვარტლიდან ლარის კოეფიციენტის შემცირება სესხების მაღალ ზრდასაც უკავშირდება, რამაც შესუსტებული მოთხოვნის გამო 2018 წლის ბოლოს დაგროვილი ჭარბი ლიკვიდობა გაიწოვა.

¹⁰⁰ რისკის შემამცირებელ ღონისძიებებზე.


¹⁰¹ 2019 წლის ოქტომბრიდან სებ-ში განთავსებული უცხოური ვალუტის სავალდებულო რეზერვები 75 პროცენტის ნაცვლად ლიკვიდური აქტივების შემადგენლობაში სრული თანხით ჩაირთვება.

დიაგრამა N 4.27 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 4.28 სადეპოზიტო სერტიფიკატები და მათი წილი არასაბანკო დეპოზიტებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2019 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების გეგმის სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებს.

დიაგრამა N 4.29 ლიკვიდობის გეგმა - აქტივების თანაფარდობა გალდებულებებთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.30 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.2 ვალდებულებების სტრუქტურა

ვალდებულებების სტრუქტურაში დეპოზიტების


წილი უმნიშვნელოდ შემცირდა, ხოლო სუბორდინირებული ვალდებულებების და სხვა ვალდებულებების წილი მცირედით გაიზარდა. ამ-

დიაგრამა N 4.31 ვალდებულებების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.32 არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ასთან, ბანკები ვალდებულების სტრუქტურის რისკების შესაბამისი ლიკვიდური აქტივების საკმაოდ კომფორტულ დონეს ინარჩუნებენ.

ბულების პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი არარეზიდენტებისგან მოზიდული დეპოზიტებისთვის¹⁰² დამატებითი ლიკვიდობის მოთხოვნას ინარჩუნებს. აღნიშნული

დიაგრამა N 4.33 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.3 საცალო დაფინანსება

2019 წლის განმავლობაში დეპოზიტები 3.2 მლრდ ლარით (14.0 პროცენტი, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 9.1 პროცენტი) გაიზარდა და დეკემბრისათვის 26.2 მლრდ ლარი შეადგინა. დეპოზიტარების სტრუქტურის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრების ზრდამ, შესაბამისად, 20.5 პროცენტი და 6.3 პროცენტი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, შესაბამისად, 14.4 და 2.7 პროცენტი) შეადგინა. 2019 წლის განმავლობაში დეპოზიტების ლარიზაცია უმნიშვნელოდ შემცირდა და დეკემბრისთვის 35.9 პროცენტი შეადგინა.

არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში 2019 წლის განმავლობაში თითქმის უცვლელი დარჩა და დეკემბრისთვის 16.2 პროცენტი შეადგინა. წარმოშობის ქვეყნების მიხედვით ეს დეპოზიტები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რაც, რისკიანობის კუთხით, დადებითი ფაქტორია. ამასთან, ვადიანი დეპოზიტების წილი კვლავ მაღალია, რაც გადინების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ამ ტიპის დაფინანსებაზე ქარბი დამოკიდე-


მოთხოვნის კალიბრაციისას გათვალისწინებულია ის ფაქტი, რომ არარეზიდენტი კლიენტების ნაწილი რეალურად უცხოური პასპორტის ან რეგისტრაციის მქონე ადგილობრივი პირები არიან. არარეზიდენტების დეპოზიტების მაღალი წილის მქონე ბანკებში დამატებითი ლიკვიდობის საჭიროება ამ ტიპის დეპოზიტების პორტფელის მოზიდვის სტიმულს ამცირებს, რაც, შესაბამისად, ბოლო წლებში არარეზიდენტების დეპოზიტების წილის დასტაბილურებაში გამოიხატა.

4.8.4 საბითუმო დაფინანსება

2019 წლის განმავლობაში სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობის კოეფიციენტი სტაბილურობას ინარჩუნებდა. აღსანიშნავია, რომ ლარის სესხებისა და დეპოზიტებისთვის დათვლილმა იმავე კოეფიციენტმა 2015 წლის შემდეგ უცხოური ვალუტით სესხებისა და დეპოზიტებისთვის დათვლილ მაჩვენებელს გადააჭარბა და მას შემდეგ მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა, რასაც, გარკვეულწილად, სავალუტო რისკებისა და ლარიზაციის ღონისძიებების გამო ლა-

102 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის კალკულაციის მიზნით, არარეზიდენტების დეპოზიტებს უფრო მაღალი გადინების განაკვეთები მიეყენება.

დიაგრამა N 4.34 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2019 წლის დეკემბერი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რის სესხების მაღალი ზრდის ტემპი განაპირობებდა. ეს მოცემულობა, სხვა თანაბარ პირობებში, ფონდირების რისკს უფრო მართვადს ხდის.

საბითუმო დაფინანსების გარე წყაროებიდან მიღებული თანხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია როგორც კრედიტორების ტიპის, ისე დაფარვის ნარჩენი ვადიანობის მიხედვით. აღ-

ნიშნული დაფინანსების 60 პროცენტის ნარჩენი ვადიანობა 2 წელს აჭარბებს, რაც სისტემის ფონდირების რისკებს ამცირებს. ამავე პერიოდში 200 მლნ აშშ დოლარზე მეტი დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების მოზიდვა განხორციელდა, რაც გრძელვადიანი დაფინანსების სტაბილურობის კუთხით კიდევ ერთი პოზიტიური ეფექტია.

დიაგრამა N 4.35 არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ქრილში (2019 წლის დეკემბერი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბითუმო დაფინანსების 58 პროცენტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდის, 11 პროცენტი – მშობელ/დაკავშირებულ კომპანიებზე, ხოლო 32 პროცენტი – სხვა კერძო ინსტიტუტებზე. დაბალ რისკად შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების

მაღალი წილი და დაფარვის გრძელვადიანი გრაფიკი. თავისთავად, რეგულარულად მიმდინარეობდა ეროვნული ბანკის მხრიდან შესაბამისი კოვენანტების¹⁰³ მონიტორინგი და მათი სტრეს-ტესტების უკვე ახალ ჩარჩოში ასახვა.

დიაგრამა N 4.36 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 4.9 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თვე	<1	1-3	3-6	6-12	12-24	24-36	36-60	>60	ჯამი
ჯამი	4.12%	3.34%	5.88%	8.69%	16.67%	13.12%	30.59%	17.58%	100.00%
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	0.86%	1.98%	2.69%	4.71%	12.11%	8.42%	12.33%	14.51%	57.61%
დაკავშირებული/ მშობელი ფინანსური ინსტიტუტები	1.26%	0.52%	0.27%	1.00%	0.73%	2.63%	1.74%	2.64%	10.79%
სხვა კერძო დაფინანსება	2.00%	0.84%	2.92%	2.98%	3.84%	2.07%	16.53%	0.43%	31.60%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

¹⁰³ სასესხო ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვები.


4.8.5 ლიკვიდობის რისკის რეგულირება

2019 წელს გრძელდებოდა ცვლილებების განხორციელება ლიკვიდობის რისკის მონიტორინგის მიმართულებით. გრძელვადიანი ლიკვიდობის რეგულირების გასაუმჯობესებლად 2019 წლის სექტემბრიდან წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) დაინერგა, რის შემდეგაც 2020 წლიდან გაუქმდება ლიკვიდობის არსებული მოთხოვნა (მოკლევადიანი ვალდებულებების 30 პროცენტი) და ის მხოლოდ მონიტორინგის მიზნით იქნება გამოყენებული. შედეგად, ლიკვიდობის რისკის საზე-

4.9 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამომდინარეობს გაუმართავი/არაეფექტური შიდა პროცესებიდან, ადამიანებისგან, სისტემებიდან ან გარეშე მოვლენებიდან. საოპერაციო რისკი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისთვის ერთ-ერთი მზარდი და მნიშვნელოვანი რისკია. განსაკუთრებით აღსანიშნავია საოპერაციო რისკის როლი თანამედროვე ორგანიზაციებში, სადაც ელექტრონულ ინფორმაციულ სისტემებზე დამოკიდებულება პროგრესულად იზრდება. მოცემული პროცე-

დიაგრამა N 4.37 წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დამხედველო ჩარჩო ბაზელის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში იქნება.

სტაბილური დაფინანსების სტრუქტურა კომერციული ბანკის გადახდისუნარიანობის რისკს ამცირებს. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებას ზღუდავს და დაფინანსების რისკის უკეთეს შეფასებას ასტიმულირებს. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც კომერციული ბანკის ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების ფარდობა სტაბილური დაფინანსების საჭიროებასთან და ის, როგორც მინიმუმი, 100 პროცენტი უნდა იყოს. 2019 წლის განმავლობაში ქართული ბანკები ამ კოეფიციენტის სტაბილურად მაღალი დონით ხასიათდებოდნენ.

სი ფინანსური ინსტიტუტების ციფრული ტრანსფორმაციით, ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვითა და უფრო რთული ოპერაციებისა და კომპლექსური ფინანსური მომსახურების დამკვიდრებით არის განპირობებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საოპერაციო რისკების მართვის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ რისკს კიბერ-რისკი და კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები წარმოადგენს.


2019 წელი ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გარდამტეხი იყო. კომერციული ბანკებისთვის კიბერ-უსაფრთხოების საზედამხედველო მოთხოვნები დაინერგა, გაგრძელდა მუშაობა ფინანსურ სისტემაში მო-

ნაცემთა ხარისხის ამაღლების მიმართულებით და საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. ამავდროულად, კიბერ-რისკის მზარდი გლობალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კიბერ-რისკის ზედამხედველობის სტრუქტურული ერთეული ჩამოაყალიბა, რომელიც საოპერაციო რისკების ერთიან საზედამხედველო ჩარჩოში შედის და რომლის უშუალო მიზანს ფინანსური სექტორის კიბერ-რისკის შესწავლა და მიტიგაცია წარმოადგენს.

მაჩვენებელი 2018 წლის მთლიან დანაკარგთან შედარებით 2 პროცენტით ნაკლებია. მთლიანი დანაკარგი იმ სახის დანაკარგს წარმოადგენს, რომელიც საოპერაციო მოვლენასთან დაკავშირებულ თავდაპირველ თანხობრივ მაჩვენებელს უკავშირდება, საოპერაციო დანაკარგის ყოველგვარ ანაზღაურება/დაბრუნებამდე.

2019 წლის მანძილზე საოპერაციო დანაკარგის 22,422 მოვლენა დაფიქსირდა, რაც 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით 4 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების

დიაგრამა N 4.38 2019 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.9.1 საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში


საქართველოს საბანკო სისტემა გამოირჩევა საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შედარებით დაბალი კომპლექსურობით, მაგრამ საბანკო სექტორის მუდმივი განვითარებისა და გარდაქმნის პირობებში, სწრაფი ტემპით ინერგება ახალი საბანკო პროდუქტები და მომსახურებები, რომლებსაც დიაგრამა ასახავს. სისტემებს უფრო მეტად და მეტად ეფუძნება. ზემოაღნიშნული გარემოება ფინანსური სექტორის თანმდევ საოპერაციო რისკს ზრდის.

2019 წელს, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანმა საოპერაციო დანაკარგმა 22.4 მილიონი ლარი შეადგინა. ზემოაღნიშნული

ანგარიშგების ფარგლებში, კომერციული ბანკი ვალდებულია აღრიცხოს ყველა საოპერაციო დანაკარგის მოვლენა, რომლის მთლიანი დანაკარგი 10 ლარს უდრის ან აღემატება. 2019 წლის საშუალო დანაკარგის მოცულობა 1,000 ლარით განისაზღვრა. დიაგრამა N4.38 2019 წლის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ასახავს.


დიაგრამა N4.39 ასახავს მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2015-2019წწ.). ანალოგიურად, დიაგრამა N4.40-ში წარმოდგენილია მთლიანი საოპერაციო რისკის თანხობრივი მაჩვენებლის პროპორციული განაწილება ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2015-2019წწ.).

დიაგრამა N 4.39 ბოლო ხუთი წლის საოპერაციო დანაკარგების დინამიკა თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.40 ბოლო ხუთი წლის (2015-2019წწ.) მთლიანი საოპერაციო დანაკარგის პროპორციული განაწილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფინანსური სისტემის საოპერაციო რისკის განსასაზღვრად, ერთ-ერთ ყველაზე კარგ საბოძს საოპერაციო რისკის დანაკარგის ინდიკატორი წარმოადგენს. მოცემული მაჩვენებელი ფინანს-

სური სისტემის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის მთლიან შემოსავალთან შეფარდებით გამოითვლება. 2019 წელს, წლიური ჯამური მთლიანი დანაკარგების შეფარდება ბაზელ

2-ის მიხედვით დათვლილ მთლიან შემოსავალთან 0.71 პროცენტს შეადგენდა. დიაგრამა N4.41-ში საქართველოს საბანკო სექტორის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა თვეების მიხედვით არის წარმოდგენილი. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები საოპერაციო რისკების დაზღვევას და რისკის შერბილებას/მიტიგაციის სხვა მეთოდებს იყენებენ. შესაბამისად,

ტორის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ბაზელის პრინციპებით განსაზღვრული დანარჩენი ექვსი ბიზნეს ხაზი საქართველოში აქტიურად განვითარებული არ არის¹⁰⁴. საოპერაციო დანაკარგების გლობალურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, საოპერაციო მოვლენები უმეტესწილად საცალო და კომერციულ საბანკო საქმიანობაში ხვდება. თუმცა, იმ ქვეყნებში, სადაც საბანკო მომსახურების უფრო კომპლექ-

დიაგრამა N 4.41 2019 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა თვეების მიხედვით (მთლიანი დანაკარგი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზემოაღნიშნული მთლიანი დანაკარგის მაჩვენებელი ასახავს მოვლენის საწყისი ფინანსური დანაკარგის შეფარდებას მთლიან შემოსავალთან და არა წმინდა დანაკარგს, რომელიც საოპერაციო მოვლენასთან დაკავშირებული თანხის ანაზღაურება/დაბრუნებას ითვალისწინებს.


2019 წელს, საოპერაციო დანაკარგები, ძირითადად, საცალო საბანკო მომსახურებისა და ასევე, გარკვეულწილად, კომერციული საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზებში ფიქსირდებოდა. საცალო საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზი, უშუალოდ საცალო საბანკო მომსახურებასთან ერთად, საგადახდო ბარათებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანაკარგებსაც მოიცავს. ის ფაქტი, რომ საქართველოს საბანკო სექტორში საოპერაციო დანაკარგები უმეტესწილად საცალო და კომერციულ საბანკო საქმიანობის ბიზნეს ხაზებში გვხვდება, განპირობებულია იმით, რომ მოცემული ორი ბიზნეს ხაზი საბანკო სექ-

სური ფინანსური პროდუქტებია დანერგილი, თანხობრივად მაღალი სიდიდის დანაკარგები ასევე ფიქსირდება ისეთ ბიზნეს ხაზებში, როგორცაა ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა, საგადახდო მომსახურება და კორპორატიული ფინანსები.

თუ საოპერაციო დანაკარგებს მოვლენათა კატეგორიების მიხედვით დავყოფთ, დანაკარგების ყველაზე დიდი წილი თანხობრივად (მთლიანი დანაკარგების 55 პროცენტი), პროცესების მართვის კატეგორიაში დაფიქსირდა, ხოლო სიდიდით მეორე კატეგორია (22 პროცენტი

104 ბაზელის ბიზნეს ხაზების დეტალური აღწერა მოყვანილია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ბაზელ II-ის დოკუმენტის მე-8 დანართში (ბმული: <http://www.bis.org/publ/bcbs128.pdf>). ბაზელის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველოში, კორპორატიული ფინანსების, საფინანსო ინსტრუმენტებით ვაჭრობისა და გაყიდვების, გადახდებისა და ანგარიშსწორების, სამეურვეო/სააგენტო მომსახურების, აქტივების მართვისა და საცალო საბროკერო მომსახურების ბიზნეს ხაზები აქტიურად არ არის განვითარებული.

დიაგრამა N 4.42 2019 წლის მთლიანი დანაკარგის პროცენტული განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ხვედრითი წილით) გარე თაღლითობაზე მოდიოდა. მესამე ყველაზე მსხვილ კატეგორიას, მთლიანი დანაკარგის 14 პროცენტის ოდენობით, შიდა თაღლითობა წარმოადგენდა. 2019 წლის საოპერაციო დანაკარგების სტრუქტურა ასახულია დიაგრამა N 4.42-ში.

4.10 მონაცემთა ხარისხის მართვა და სიზუსტის რისკი

საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სექტორში არსებული მონაცემების ხარისხის ამაღლებას ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს. მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რისკების შესახებ მონაცემთა ეფექტიანი აგრეგაციისა და რისკების ანგარიშგების პრინციპების დოკუმენტზე (ბაზელის კომიტეტის სტანდარტი, BCBS 239¹⁰⁵) მუშაობა მიმდინარეობს. 2019 წელს აქტიურ ფაზაში შევიდა საერთაშორისო გაფართოებადი ბიზნეს-ანგარიშგების ენის (XBRL) პროექტი, რაც მონაცემთა გაერთიანებისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ახორციელებს საბანკო სექტორში ფინანსური მონაცემების სიზუსტის, მთლიანობისა და ხარისხის შეფასებას. 2019 წელს, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს შორის არსებული თა-

ნამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს საბანკო სექტორის შემოწმება გაგრძელდა „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. მონაცემთა ხარისხის მართვის ფარგლებში ყურადღება ეთმობა ანგარიშგებასთან დაკავშირებული ბიზნეს პროცესის გამართულობასა და ეფექტიანობას. ანგარიშგების პროცესის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების ინფორმაციული სისტემების ავტომატიზაციის დონის ზრდა, ანგარიშგების წარმოების გაუმჯობესება და ინფორმაციული სისტემების კომპლექსურობის შემცირება.

4.11 კიბერუსაფრთხოება

დღეისათვის, კიბერუსაფრთხოება ფინანსური სექტორისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა და კიბერ-რისკი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის წყაროა. კიბერ-რისკი საოპერაციო რისკის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების გლობალური საფრთხეების შეფასებაში¹⁰⁶ კიბერ-რისკი ყველა-

105 ბაზელის კომიტეტის სტანდარტი <https://www.bis.org/publ/bcbs239.pdf>

106 Clapper, J. R. (February 9, 2016). Worldwide Threat Assessment of the US Intelligence Community: Senate Armed Services Committee. Retrieved from <http://www.dni.gov/files/>

ზე მნიშვნელოვან საფრთხედ არის აღიარებული. კერძოდ, მოცემული რისკის ფარგლებში, მთლიანობის რისკი დასახელებულია როგორც ყველაზე საყურადღებო მიმართულება. მთლიანობის რისკი გულისხმობს იმ სახის რისკს, რომელიც გამომდინარეობს სხვადასხვა სახის მონაცემების, ინფორმაციისა და პროცესების არაავტორიზებული ცვლილებებისგან. მსოფლიოში ბოლო პერიოდში გახშირებული კიბერმოვლენების ფონზე საქართველოს ეროვნული ბანკი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებს კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით. საქართველოს საბანკო სექტორში 2019 წელს კიბერ-უსაფრთხოების საზედამხედველო მოთხოვნები დაინერგა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, კიბერინციდენტებზე რეაგირებას, ინფორმაციული აქტივების აღრიცხვას, ინციდენტებზე რეაგირებას, შეღწევადობის ტესტირების ჩატარებას და საინფორმაციო სისტემების აუდიტის მოთხოვნებსაც მოიცავს. დამატებით, ზემოაღნიშნული მოთხოვნების ფარგლებში, კომერციულ ბანკებს კიბერუსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების დანერგვა და რეგულარული შეფასება ევალებათ. ბანკების შეღწევადობის ტესტირებები კიბერუსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო კომპონენტად განიხილება და საქართველოს ეროვნული ბანკი მათი ჩატარების ხარისხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ასევე მნიშვნელოვანია ბიზნეს უწყვეტობისა და მზადყოფნის გეგმების არსებობა და მათი ეფექტიანობა პოტენციურად მასშტაბური კიბერინციდენტის დადგომისას. საგადახდო ბარათებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის თაღლითობის მოვლენები გლობალურად საყურადღებო საკითხს წარმოადგენს. ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან ერთად კონტროლის სათანადო მექანიზმების შემუშავებაზე ზრუნავს, რაც ბანკებს დაეხმარებათ გააჩნდეთ საგადახდო ბარათებთან დაკავშირებული თაღლითობის მოვლენების აღსაკვეთად საჭირო მართვის სისტემები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ისეთი პრევენციული და პროაქტიული კონტროლების დანერგვა, რომლებიც როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულ უნებართვო ტრანზაქციებს აღკვეთს.

საფრთხეს წარმოადგენს ჰაკერების მიერ კონკრეტული პიროვნებების ან ორგანიზაციების ინტერნეტ ბანკის ან სხვა მსგავსი ანგარიშის გატეხვისა და არაავტორიზებული ტრანზაქციების განხორციელების მცდელობები. ამ სახის უნ-

ებართვო გადარიცხვის განხორციელებას ხშირად წინ უსწრებს ე.წ. ფიშინგის შეტევა, რომლის შედეგად ჰაკერი ბანკის კლიენტის ელექტრონული ბანკის ანგარიშსა და სხვა დაკავშირებულ მონაცემებზე წვდომას მოიპოვებს. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ფიქსირდება არაავტორიზებული ტრანზაქციები, რაც კონკრეტული მომხმარებლების ინტერნეტ ბანკის ან სხვა ანგარიშის ჰაკერულად დაუფლებიდან გამომდინარეობს. მსგავსი სახის მოვლენების აღსაკვეთად, მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ, ბანკებს გააჩნდეთ სათანადო კონტროლის მექანიზმები და მეორე მხრივ, მომხმარებლები იყვნენ კარგად ინფორმირებული იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ფიშინგის ტიპის შეტევებისგან. ამ მიმართულებით, აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება და საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება, რომლის მიზანია ბანკების მომხმარებლების ინფორმირება, თუ როგორ დაიცვან თავი მსგავსი სახის მოვლენებისგან.

4.11.1 საბანკო სისტემის სხვა სექტორებზე დამოკიდებულება

საქართველოს საბანკო სისტემა, მსოფლიოს მრავალ სხვა საბანკო სისტემის მსგავსად, ეკონომიკის სხვა სექტორებზე კრიტიკულად არის დამოკიდებული. მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთობები კრიტიკული სექტორების წარმომადგენლებთან იმისათვის, რომ მათზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე რისკების სათანადო მართვა განხორციელდეს.

მომავალში, საქართველოს ეროვნული ბანკი საოპერაციო რისკების საზედამხედველო ჩარჩოს გაფართოებას გეგმავს. ეს მოიცავს ფინანსური ინსტიტუტებისთვის როგორც საოპერაციო, ასევე კიბერრისკების მოთხოვნების გაფართოებას. დამატებით, სებ-ი საოპერაციო რისკების მიმართულებით განაგრძობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას.

4.12 მაკროპრუდენციული რისკები

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს სისტემური რისკების ისეთ მაჩვენებლებზე დაკვირვებას, რომლებმაც საბანკო სექტორზე შეიძლება მატერიალური გავლენა იქონიოს. აღნიშნული რისკების შესახებ ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშის სხვადასხვა თავშიც არის მოცემული. მიმდინარე პერიოდში საბანკო სისტემის გამოწვევების არასრული სია მოიცავს: უცხოური ვალუტით გაცემული სესხების გამო

არაჰეტირებული მსესხებლებისათვის ვალის გაზრდილ ტვირთს; მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის ქარბვალთანობას; მძაფრ კონკურენციას ბიზნეს და იპოთეკურ დაკრედიტებაში პროდუქტებზე ფასდადების არასრულყოფილი მოდელების ფონზე; კიბერრისკებსა და თაღლითობებს სისტემის მასშტაბით; ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არარეგულირებადი ფინანსური შუამავლობის პოტენციურ ზრდას; რეგიონში არსებულ საფრთხეებს.

უშუალოდ რისკების შეფასებისას, ზოგად მაკროეკონომიკურ პარამეტრებთან ერთად, ასევე ცალკეული სექტორის ტენდენციები გაითვალისწინება. ამ მხრივ გრძელდება გაქირავების მიზნით შექმნილ უძრავ ქონებასა და სასტუმროების მშენებლობის მხარე დინამიკაზე დაკვირვება. ტურისტების შემოდინების შენელების შემთხვევაში, ამ ტიპის მომსახურების ქარბმა მიწოდებამ, შესაძლოა, სასტუმროების დაბალი დატვირთულობა გამოიწვიოს და, ჯამურად, უძრავი ქონების ბაზარზე ნეგატიურად იმოქმედოს, რაც ბანკების უზრუნველყოფილი საკრედიტო პორტფელისთვის მატერიალური რისკის წყაროს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკების მიერ ამ სექტორების დაფინანსება მათი პორტფელის მნიშვნელოვან ნაწილს არ შეადგენს, ნეგატიური სცენარის რეალიზების პირობებში, ეს ფაქტორი ბანკების მომგებიანობაზე ანგარიშგასაწევ უარყოფით გავლენას იქონიებს. მომავალზე ორიენტირებული საზედამხედველო მიდგომის ფარგლებში, სწორედ ასეთ შეფასებებზე დაყრდნობით ხდება სტრესტესტების ძირითადი პარამეტრების პერიოდული გადახედვა, მეთოდოლოგიის დახუსტება და მათი ბანკებთან შეჭერება.

2019 წელს შეჭამდა საზედამხედველო სტრესტესტების წინა რაუნდი, რომლის შედეგების მიხედვით, საბანკო სექტორს ეკონომიკური შოკების გაძლებისა და ბიზნესციკლის დაღმავალ ფაზაში საკრედიტო აქტივობის გაგრძელებისათვის, კაპიტალის საკმარისი ბუფერი აქვს. აქტუალური საკითხების გათვალისწინებით, განახლდა და დაიხვეწა სტრესტესტების მეთოდოლოგია, განისაზღვრა დეტალური მიდგომები, დაინერგა განახლებული უნიფიცირებული ფორმა, რომელიც როგორც შევსების, ისე შედეგების ვალიდაციის ეფექტურობის ზრდას უზრუნველყოფს. ასევე, წახალისებულია ბანკების შიდა მოდელების განვითარება და დახვეწა. ამასთან, სისტემის მდგრადობას ან რომელიმე ბანკის გადახდისუნარიანობას საფრთხე არ ექმნება. მსგავს შედეგს ისიც განაპირობებს, რომ სტრესის დროს გაზრდილ საკრედიტო დანა-

კარგებს მნიშვნელოვანწილად მაღალი საოპერაციო მომგებიანობა აკომპენსირებს. დამატებით, მფლობელობის არსებული სტრუქტურა საჭიროების შემთხვევაში კაპიტალის შევსების მაღალ შესაძლებლობას იძლევა. სცენარების ანალიზი რეგიონის ქვეყნებიდან ეკონომიკური პრობლემების გადმოდების რისკებსაც მოიცავს. თუმცა, ეს რისკები ბანკებზე პირდაპირ არ ვრცელდება. რაც შეეხება არაპირდაპირ გავლენას, იგი მცირეა, რადგან ამ ქვეყნებში ექსპორტიორი კომპანიების დაფინანსება ბანკების საკრედიტო პორტფელის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს.

ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკისთვის ეროვნული ბანკი პრუდენციულ მიდგომას ინარჩუნებს. კერძოდ, არაჰეტირებულ მსესხებლებზე გაცემული უცხოური ვალუტის სესხებისთვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა მოქმედებს, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში, უფრო კონსერვატიული საკრედიტო სტანდარტებია დაწესებული. მაღალი დოლარიზაციის თანმდევი რისკების მაკროპრუდენციული ინსტრუმენტებით შერბილებისათვის გასათვალისწინებელია, რომ ბანკების ლიკვიდობის საგანგებო გეგმის, მიტიგაციის სხვა ღონისძიებების ან ეროვნული ბანკის მხრიდან მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა უცხოური ვალუტით შეზღუდულია. გლობალური ტენდენციებისა და რეგიონის რისკებთან ერთად, ეს ფაქტიც უცხოური ვალუტის მინიმალური რეზერვებისა და ლიკვიდობის მაღალი მოთხოვნების აუცილებლობას ადასტურებს.

4.13 ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება

4.13.1 ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფინანსური ბაზრის განვითარებაზე. ერთი მხრივ, ფინანსურ სექტორში ინოვაციების ტემპი სულ უფრო იზრდება, რასაც, როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე ახალი რისკები მოაქვს. მეორე მხრივ, ფინანსური სექტორი მთელს მსოფლიოში რჩება ყველაზე მეტად რეგულირებად ეკონომიკის სექტორად. უფრო მეტიც, რეგულირებას მხარე ტენდენცია აქვს. შედეგად, თანამედროვე საზედამხედველო ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია, განსაკუთრებით ახალი ფინანსური სტარტაპებისთვის. აღნიშნულის ფონზე, ფინანსური სექტორის მარეგულირებლებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფინტექ იდეების მქონე ინოვაციორების წახალისება და ამ

იდევების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური ინოვაციების ოფისი შექმნა და რეგულირების ლაბორატორიის განვითარება დაიწყო.

ფინანსური ინოვაციების ოფისი¹⁰⁷

ფინანსური ინოვაციების ოფისი წარმოადგენს ფინანსური ინოვაციების მქონე პირებსა და საქართველოს ეროვნული ბანკს შორის ეფექტური კომუნიკაციის პლატფორმას. ოფისი განკუთვნილია მათთვის, ვინც ჩართულია ან აპირებს ჩაერთოს, ფინანსური ტექნოლოგიების ბაზარზე და ვისაც ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარხო პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძლება შეეხოს.

საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიდგომა რისკებისადმი ტექნოლოგიურად ნეიტრალურია, რაც გულისხმობს, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგი და არა ის, თუ რა ტექნოლოგიით მიიღწევა ეს შედეგი. ეროვნულ ბანკის ხედვაა, რომ ყველა ინოვატორს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, აჩვენოს თავისი ღირებულება, მოიპოვოს აღიარება და გააუმჯობესოს საქართველოს ფინანსური ბაზარი. შესაბამისად, ფინანსური ინოვაციების ოფისის როლია დაეხმაროს ინოვატორებს ფინანსური ბაზრის წესებისა და პრინციპების კარგად გათვითცნობიერებაში.

რეგულირების ლაბორატორია

ეროვნული ბანკის მიერ ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერის ფარგლებში, 2019 წელს რეგულირების ლაბორატორიის¹⁰⁸ სტანდარტების და ჩარხის მომზადებაზე მუშაობა დაიწყო. რეგულირების ლაბორატორია ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის რეალურ რეჟიმში გამოცდის და ტესტირების საშუალებას იძლევა. აღნიშნული ჩარხის დამტკიცება 2020 წელს, საჯარო კონსულტაციების შემდეგ იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ პარალელურად, საქართველოს ეროვნული ბანკი ადგილობრივი ფინტექ კომპანიების და მთლიანდ ფინანსური სექტორის ხილვადობის მსოფლიო მასშტაბით ზრდაზე მუშაობს. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი გლობალური ფინანსური ინ-

107 ინფორმაცია ფინანსური ინოვაციების ოფისის შესახებ იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე, ფინანსური სტაბილურობის სექციაში <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=742>

108 იგივე რეგულირების სავარჯიშო მოედანი, Regulatory Sandbox. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3860>

ოვაციების ქსელში (GFIN) ჩაერთო, რომელიც ინოვაციური ზედამხედველების თანამშრომლობის წამყვანი პლატფორმაა.¹⁰⁹ აქ ერთ-ერთი მთავარი ჯგუფი რამდენიმე იურისდიქციაში ფინანსური ტექნოლოგიის ერთობლივ ტესტირებაზე და საერთაშორისო რეგულირების ლაბორატორიის/სენდბოქსის შექმნაზე მუშაობს. გლობალური ფინანსური ინოვაციების ქსელთან თანამშრომლობა ქართული ფინანსური ინსტიტუტებისა და ფინტექ კომპანიებისთვის ტექნოლოგიების საერთაშორისო დონეზე წარმოჩენის დამატებითი და ეფექტური შესაძლებლობაა.

4.13.3 მოდელის რისკი

ფინანსურ სექტორში გადაწვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტატისტიკური მოდელების გამოყენება სულ უფრო ფართო სახეს იძენს. ასეთი მოდელები სესხის გაცემის, ფინანსური აღრიცხვის და რისკების მართვის მხრივ ფართოდ გამოიყენება. განსაკუთრებით იზრდება საცალო სექტორის დაკრედიტებისას მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელების გამოყენება. ბოლო დროს გახშირდა ისეთი მოდელების გამოყენება, რომლებიც მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს ეფუძნება, რაც, ერთი მხრივ, მოდელის ეფექტიანობას ზრდის, მაგრამ, მეორე მხრივ, მის ანალიზს და რისკის შეფასებას ართულებს.

აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „მონაცემებზე დაფუძნებული მოდელების რისკების მართვის შესახებ დებულების“ პროექტი¹¹⁰ შეიმუშავა. დებულების მიზანი მოდელის რისკის მართვის ჩარხის ჩამოყალიბების და მოდელის რისკის ეფექტურად მართვის ხელშეწყობაა. ეს დებულება მოდელის აგების, ვალიდაციისა და გამოყენების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს. მოდელის რისკის მართვასთან დაკავშირებული პრინციპები და სტანდარტები ფინანსურ სექტორში დღეს არსებულ პრაქტიკას, გამოწვევებს და მოწინავე საერთაშორისო საზედამხედველო გამოცდილებას ეფუძნება. აღნიშნული ჩარხო ხელს შეუწყობს ფინანსურ სექტორში მოდელების უფრო ფართოდ და ეფექტურად გამოყენებას.

109 დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-მისამართებზე: <https://www.thegfin.com/>

110 დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-მისამართზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3853>

4.13.3 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2018 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის ფუნქცია საქართველოს ეროვნული ბანკს მიენიჭა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ბიუროსთან 263 სესხის გამცემი ორგანიზაცია (ბაზრის 85%) თანამშრომლობს. დარჩენილი ნაწილის ჩართვა, ტექნიკური მიზეზით, 2019 წელს ვერ მოხერხდა და პროცესი 2020 წელსაც გრძელდება.

ზედამხედველის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში აღრიცხული მონაცემების სისწორეს და მომხმარებლების მიერ გამოხატული პრეტენზიების აღმოფხვრას. ამ მიმართულებით კონტროლი მუდმივად ხორციელდება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებასთან თანამშრომლობით, 2019 წელს 12 ორგანიზაციის, მათ შორის 3 ბანკის, შემოწმება განხორციელდა.

2019 წლის მიწურულს შემუშავდა „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესში“ განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, რომელიც 2020 წლის მარტში ამოქმედდა. აღნიშნული ცვლილებების ძირითადი მიზანი დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების და ფინანსური ინსტიტუტებისთვის საქმიანობის ეფექტურობის ხელშეწყობა, ინფორმაციის გაზრდა და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაა.

2019 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკრედიტო რეესტრის შექმნაზე დაიწყო მუშაობა. საკრედიტო რეესტრის მიზანი საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ხელის შეწყობა და საკრედიტო რისკის მართვის გაუმჯობესებაა. საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების ზედამხედველობის დაწყების შემდეგ, საკრედიტო რეესტრის შექმნა ამ მიმართულებით გადადგმული შემდგომი ნაბიჯია. 2020 წელს იგეგმება საბანკო სექტორთან და მსოფლიო ბანკთან კონსულტაციები, ტექნიკური პროცესის მომზადება და ეროვნულ ბანკში საინფორმაციო სისტემის მოწყობა, რაც საკრედიტო რეესტრის გამართულ ამოქმედებას დაეხმარება.

4.13.4 ღია ბანკინგი

ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარებისათვის ღია ბანკინგს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ღია ბანკინგი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის და სერვისების ელექტრონულად მყისიერ მიმოცვლას მოიაზრებს. ამისათვის ღია აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი, ე.წ. Open API-ი, გამოიყენება. აღსანიშნავია რომ, ინფორმაციის გაცვლა აუცილებლად მომხმარებლის ინიციატივით ხორციელდება. ღია ბანკინგი ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობის ეფექტურად გამოყენებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის, ზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, აუმჯობესებს კონკურენციას და ეხმარება ახალი ფინტექ ბიზნეს მოდელების განვითარებას.

2019 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის აქტიური მონაწილეობით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვის ხელშეწყობაა. სამუშაო ჯგუფმა მუშაობა 2019 წლის ივლისში დაიწყო და მასში საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკის წარმომადგენელია ჩართული. ჯგუფის მუშაობის კოორდინირებას საქართველოს საბანკო ასოციაცია ახორციელებს.

2019 წლის დეკემბერში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ღია ბანკინგის თემაზე ორდღიან სამუშაო შეხვედრას უმასპინძლა, რომელიც ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების ერთობლივი პროექტის ფარგლებში გაიმართა. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან ერთად, შეხვედრას უძღვებოდნენ მოწვეული ექსპერტები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული სხვადასხვა ქვეყნებში ღია ბანკინგის დანერგვის პროცესში. ღონისძიებამ ქართულ ბანკებს საშუალება მისცა, ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს, ევროკავშირის ქვეყნებისა და ავსტრალიის გამოცდილების მაგალითზე, ღია ბანკინგის დანერგვის პროცესს გაეცნობოდნენ.


აღსანიშნავია, რომ საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვის ინიციატივაზე კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში მუშაობა აქტიურად გრძელდება და 2020 წლიდან კომერციული ბანკების მხრიდან Open API სტანდარტების განსაზღვრის და საერთო ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა იგეგმება.

ჩანართი 11 აპლიკაციების პროგრამირების ინტერფეისი - ღია ბანკინგის ტექნოლოგიური საფუძველი.

ღია ბანკინგის პროცესში აქტიურად გამოიყენება აპლიკაციების პროგრამირების ინტერფეისი (API). API წარმოადგენს ტექნოლოგიას, რომელიც სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფას ავტომატური კომუნიკაციის საშუალებას აძლევს. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებლები შესაძლოა ბანკები, საგადახდო მომსახურების მიმწოდებლები და სხვა ფინტექ კომპანიები იყვნენ.

ციის პროტოკოლებს, უსაფრთხოების პროფილებს და მონაცემთა განმარტებებს განსაზღვრავენ და რომელთა გამოყენებითაც ბანკს და მესამე მხარეს ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობა ეძლევათ.

ერთიანი გლობალურად აღიარებული API სტანდარტი არ არსებობს, თუმცა მსოფლიოში მიმდინარეობს ლოკალური და რეგიონული API სტანდარტების განვითარება. API სტანდარტიზაცია მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მესამე მხარეს მონაცემებზე უფრო მარტივად წვდომის შესაძლებლობა მიეცეს.



ინდუსტრიის ძირითადი ფოკუსი მიმართულია ე.წ. ღია API-ისკენ, თუმცა ზოგადად, სამი სახის განსხვავებული API-ი არსებობს:

- ღია API – ინტერფეისი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემებზე წვდომას ღია/საჯარო სტანდარტზე დაყრდნობით.
- შიდა/დახურული API – ინტერფეისი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემებზე წვდომას დახურულ/კერძო სტანდარტზე დაყრდნობით.
- პარტნიორული API – ინტერფეისი, რომელიც შექმნილია ერთი ან ორი სტრატეგიული პარტნიორისთვის და უზრუნველყოფს მათი აპლიკაციების ინტეგრაციას.

API სტანდარტი არის წესების და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც კომუნიკაციის

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სავალდებულოა მომხმარებლის მონაცემების გაზიარება დაცული მეთოდებით, რაც ღია API-ის გამოყენებას გულისხმობს. მაგალითად, ევროპაში 2018 წლის იანვარში ამოქმედდა განახლებული საგადახდო სერვისების რეგულაცია (PSD2), რომელიც, მომხმარებლის თანხმობის საფუძველზე, ბანკებს მომხმარებელთა მონაცემების გაზიარებას ავალდებულებს. ხოლო მესამე მხარეებს, რომელთაც აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა სურთ, შესაბამის საზედამხედველო ორგანოში დარეგისტრირებას ავალდებულებს.

ევროპისგან განსხვავებით, სინგაპურმა და ჰონგ-კონგმა, ინფორმაციის სავალდებულო გაცვლის მოთხოვნების ნაცლად, აირჩიეს ინფორმაციის გაცვლის ნახალისების მიდგომა

და საბანკო სექტორში API-ების განვითარების და ფართოდ დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, რეგულაციის ნაცვლად სახელმძღვანელო სტანდარტები შეიმუშავეს.¹¹¹

ასევე, აღსანიშნავია საბანკო ინდუსტრიის არქიტექტურის საერთაშორისო ქსელის (BIAN) მიერ შემუშავებული API სტანდარტები¹¹². აღნიშნული სტანდარტი ბანკის IT ინფრასტრუქტურის დამოუკიდებელ მოდულებად მოწყობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. სტანდარტის მიხედვით, დამოუკიდებელ ბიზნეს პროცესს დამოუკიდებელი და თვითმყოფადი IT მოდული უნდა ჰქონდეს. გარდა იმისა, რომ აღნიშნული მიდგომა ფინტექ კომპანიების სერვისების ბანკის საინფორმაციო სისტემებში ინტეგრაციას აიოლებს, ის, ინფორმაციული სისტემების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს. დამატებით, ბანკის მოდულარული მოწყობა ასევე მისი გაჭანსაღების და რეზოლუციის გეგმის ეფექტურად განხორციელებას უწყობს ხელს.

ბანკები, ისევე როგორც მესამე მხარეები, როგორც წესი, უპირატესობას მონაცემთა გაზიარების უფრო დაცულ მეთოდს ანიჭებენ, როგორცაა API, რომელიც ტოკენით (ნივთის ფლობის ელექტრონული დადასტურება) დადასტურებულ ავთენტიფიკაციას ეყრდნობა. ზოგ ქვეყანაში კი, ინფორმაციის გაცვლისთვის აღნიშნული მეთოდის გამოყენება კანონმდებლობით არის სავალდებულო.

ღია API-ის შემუშავების და გამოყენების პროცესი ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე ნაბიჯს მოიცავს. თავდაპირველად, ბანკი შეიმუშავებს სტანდარტს და ღია API-ის საჭაროდ აქვეყნებს. შედეგად, ბანკთან დაკავშირების საშუალება, შესაბამისი ავტორიზაციით, ნებისმიერ მესამე მხარეს ეძლევა. ჩვეულებრივ, საწყის სატესტო ეტაპზე ბანკი მესამე მხარის აპლიკაციას სავარჯიშო მოედანში (ე.წ. სენდბოქსი) განათავსებს და გამართულად მუშაობის შემთხვევაში, კომუნიკაცია უკვე რეალურ რეჟიმში გადადის. ღია API-ის საშუალებით კომუნიკაცია შემდეგნაირად ხორციელდება: როდესაც მესამე მხარის აპლიკაციის მომხმარებელი ითხოვს კონკრეტულ მომსახურებას საკუთარი მომსახურე ბანკისგან (მაგ. ანგარიშზე ბალანსის ჩვენება ან ანგარიშიდან გადახდის განხორცი-

111 ხელმისაწვდომია ონლაინ შემდეგ ვებ-მისამართებზე: <https://www.mas.gov.sg/-/media/MAS/Smart-Financial-Centre/API/ABSMASAPIPlaybook.pdf> <https://www.hkma.gov.hk/media/eng/doc/key-information/press-release/2018/20180718e5a2.pdf>

112 ხელმისაწვდომია BIAN-ის ვებ-გვერდზე: <https://www.bian.org/participate/bian-webinars/bian-apis-future-banking-api-standards/>

ელება), აღნიშნული მოთხოვნა აპლიკაციიდან ბანკში API-ის საშუალებით იგზავნება. ბანკში შესული მოთხოვნის საპასუხოდ, სისტემა აპლიკაციას მოთხოვნილ მონაცემებს ან გადახდის შესრულების დასტურს ავტომატურად უგზავნის.

ბანკის ღია API-ის საილუსტრაციო მაგალითებია Barclays-ის და Revolut-ის ღია API-ები.¹¹³ საქართველოში ღია API-ის მაგალითია fintech.ge, თუმცა აღნიშნული მხოლოდ სენდბოქსის რეჟიმში მუშაობს.

4.14 ინფორმაციის დამუშავება და საზედამხედველო ტექნოლოგიები

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საზედამხედველო ანგარიშგებების მიმოცვლის საერთაშორისო სტანდარტ XBRL-ის (Extensible Business Reporting Language - ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა) დანერგვა გადაწყვიტა (იხ. 2017 წლის წლიური ანგარიშგება).

2019 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკი, ასევე კომერციული ბანკების საზედამხედველო მიზნებისთვის, ანგარიშგების სრულად ფასს-ზე გადაყვანის პროექტზე მუშაობას აგრძელებდა. აღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად პირველ ეტაპზე, XBRL სტანდარტით ევროკავშირში დამკვიდრებული ფინანსური ანგარიშგების მიღება დაიწყო (ე.წ. FINREP).

პროექტის წარმატებით დანერგვის მიზნით, ევროკავშირის „ტვინინგ“ მისიის ფარგლებში ეროვნულ ბანკთან ინტენსიურად თანამშრომლობენ ნიდერლანდების ცენტრალური ბანკი და პოლონეთის ეროვნული ბანკი. მათი დახმარებით და რეკომენდაციებით ეროვნულმა ბანკმა პროექტის ფუნქციონალური მოთხოვნები და პარამეტრები შეიმუშავა.

2019 წლის ზაფხულში, თბილისში, საქართველოს ეროვნული ბანკის ეგიდით, სამუშაო შეხვედრა „XBRL Expo 2019“ გაიმართა, რომელშიც კომერციულ ბანკები და XBRL სტანდარტზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი საერთაშორისო კომპანიები მონაწილეობდნენ. შეხვედრა მიზნად საქართველოს კომერციული ბანკებისათვის ახალ სტანდარტზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის გაცნობას, ვენდორებთან კონტაქტების დამყარებას და სასურველი პროდუქტის შერჩევას ისახავდა, რაც კომერციული ბანკების მხრიდან ეროვნულ ბანკში საზედამხედ-

113 დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-მისამართებზე: <https://developer.barclays.com/apis> <https://revolut-engineering.github.io/oba/#get-account-transactions>

ველო ანგარიშგების (FINREP, COREP) ახალი სტანდარტით მიწოდებას უზრუნველყოფს.

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული ბანკი XBRL სტანდარტით შედგენილი ანგარიშგებების პორტალის დანერგვას აპირებს. პორტალის საშუალებით ბანკები შეძლებენ წარმოადგინონ მოთხოვნილი საზედამხედველო ანგარიშგებები და მათი ვალიდაციის შედეგები დროის რეალურ რეჟიმში მიიღონ. მოწოდებული ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში დაგროვდება და საბანკო საზედამხედველო საქმიანობისათვის საჭირო ანალიტიკის ჩასატარებლად იქნება ხელმისაწვდომი.

კომერციულ ბანკებს XBRL სტანდარტით შექმნილი საზედამხედველო ფინანსური ანგარიშგება FINREP-ის მიწოდება 2019 წლის ბოლომ-

დე საცდელ რეჟიმში დაევალებათ. 2020 წლიდან ბანკებიდან რეალური FINREP ანგარიშგების XBRL ფორმატში მიღება იგეგმება.


საზედამხედველო ტექნოლოგიების შემდგომი განვითარებისათვის, ასევე, ამჟამად მოქმედი საზედამხედველო ანალიტიკური საინფორმაციო პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა იგეგმება. აღნიშნული ინსტრუმენტის საშუალებით საბანკო სექტორის ზედამხედველი საზედამხედველო საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციას ამუშავებს.

ეს ცვლილებები გაზრდის საზედამხედველო ინფორმაციის სიზუსტეს, გაამარტივებს რეპორტირების პროცესს და ხელს შეუწყობს ეფექტიანი საზედამხედველო ანალიტიკის განხორციელებას.



5

მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება



5. მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება

5.1 მომხმარებელთა უფლებების დაცვა

საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენს და, გასული წლების მსგავსად, 2019 წელიც ამ მხრივ მნიშვნელოვანი აქტივობებით გამოირჩეოდა.

ბანახლებული ნორმატიული ბაზა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადდა ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების საქართველოს მოქმედ ნორმატიულ ბაზასთან შედარებითი ანალიზი, რის საფუძველზეც შესაბამისი ცვლილებები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2017 წლის 1 ივნისს ამოქმედებულ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ პროექტში აისახა. აღნიშნული ცვლილებების პროექტი, გაცნობის მიზნით, გაეგზავნა საფინანსო სექტორს და მისი დამტკიცება/ამოქმედება 2020 წელს იგეგმება.

ამასთან, გაგრძელდა მუშაობა ამავე წესში შესატან 2018 წელს ინიცირებულ იმ ცვლილებებზე, რომლის მიზანს საფინანსო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვა და ბაზარზე არსებული საფინანსო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საკრედიტო საინფორმაციო ბიურო

2019 წლის განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა მომხმარებელთა მომართვიანობა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთან დაკავშირებით. მომხმარებელთა პრეტენზიების შესწავლის შედეგად, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობაში რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოვლინდა და ბიუროს მხრიდან მათი გადაჭრის გზები დაიგეგმა. აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მომხმარებელთა პრეტენზიების დაფიქსირებისა და მათზე რეაგირების მექანიზმი საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების საქმიანობაში პოტენციური პრობ-

ლემების იდენტიფიცირებისა და პრევენციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

სესხის/კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის პროექტი

„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“ 2018 წელს შესული ცვლილებების შედეგად, ფინანსურ ორგანიზაციებს სესხის ამოღების ეთიკის კოდექსის შემუშავების ვალდებულება დაეკისრა. ამასთან, წლის განმავლობაში აღნიშნული ვალდებულების მეტი დეტალიზაციისა და კონკრეტიზაციის საჭიროება გამოიკვეთა. შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა სესხის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის პროექტი, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება და, ამავდროულად, ადგილობრივი ბაზრის თავისებურებებსაც ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტი საჭაროდ გამოქვეყნდა და ნებისმიერ მსურველს საშუალება ჰქონდა მას გაცნობოდა და საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები მოეწოდებინა. ამავდროულად, დოკუმენტთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობდა კონსულტაციები სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციებთან. აღნიშნული პროექტი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომხმარებელთან ურთიერთობისას სანდოობის, გამჭვირვალობის, ურთიერთპატივისცემის, ზუსტი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებისა და საქმიანი ურთიერთობების საუკეთესო პრაქტიკით მიღებული პრინციპებისა და ნორმების დაცვის ვალდებულება, საკონტაქტო პირისთვის ინფორმაციის მიწოდების სტანდარტი, მათ შორის დაკავშირების დრო და ფორმა, კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაციის ფინანსური ორგანიზაციის მიერ შენახვის ვალდებულება, მომხმარებელთან კომუნიკაციის შეწყვეტის პირობები და ა.შ.

აღნიშნული კოდექსის დამტკიცება და ამოქმედება 2020 წლისთვის იგეგმება.

სამოქალაქო კოდექსი

2019 წელს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები შევიდა. კერძოდ, სესხის ვალუტაზე დადგენილი შეზღუდვა, რომელის მიხედვით 100 000 ლარამდე სესხის გაცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტით იყო დაშვებული, შეიცვალა და ლიმიტის ზედა ზღვარი

200 000 ათასი ლარით განისაზღვრა. ამასთან, გასაცემი თანხის ოდენობაზე ვალუტის შეზღუდვა, სესხის გარდა ნასყიდობით განვადებისა და ლიზინგის ხელშეკრულებებზეც გავრცელდა.

ამავდროულად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვრის 50 პროცენტის ოდენობით შეზღუდვასთან დაკავშირებით, ნასყიდობით განვადების გაფორმებისა და ლიზინგის გაცემის შემთხვევებზეც გავრცელდა. დამატებით, აღნიშნულ პროდუქტებზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები საკომისიოსთან, ფინანსურ ხარჯთან, პირგასამტეხლოსთან და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის დაკისრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიზნებისათვის, 2019 წლის თებერვალში ეროვნულმა ბანკმა შესაბამისი სამართლებრივი აქტით ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესი დაადგინა.

საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების დისტანციური და ადგილზე შემოწმება

მომხმარებლის უფლებების დაცვის პრაქტიკისა და ბაზარზე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე, საფინანსო მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის მიზნით, 2019 წელსაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მის ზედამხედველობას დაქვემდებარებული რამდენიმე სუბიექტი ადგილზე შეამოწმა. ამასთან, ადგილზე შემოწმების გარდა, ზემოაღნიშნული საკითხების შესწავლა და დაკვირვება აქტიურად დისტანციურადც გრძელდებოდა. შესწავლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკმა შესაბამისი საზედამხედველო ქმედებები გაატარა. მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მოთხოვნების გამოვლენილი დარღვევებისთვის, ეროვნულმა ბანკმა ექვსი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სამი კომერციული ბანკი, ჯამურად 79 ათასი ლარით დაატარა.

კონსულტაციები მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე

2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისა და

სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გაწევას განაგრძობდა.

სესხის გამცემი სუბიექტების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების და რეგულირების წესის მიხედვით, 2019 წლის პირველი იანვრიდან 30 აპრილამდე ყველა სუბიექტი, რომლის მიმართაც სასესხო/საკრედიტო ვალდებულება 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს ჰქონდა, ან რომელი სუბიექტიც ახალი ვალდებულებების გაცემას აპირებდა, საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა დარეგისტრირებულიყო. ამავ ბრძანების მოთხოვნების მიხედვით, ნებისმიერი ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია შესაბამისობაში მოვიდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნებთან. სესხის გამცემი სუბიექტების მიერ ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვისა და ბაზრის ინფორმირების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკმა 2019 წელსაც გააგრძელა კონსულტაციები სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციით დაინტერესებულ და დარეგისტრირებულ პირებთან. კონსულტაციის ფარგლებში მონაწილეებს დეტალურად განემართათ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული მოთხოვნები და მნიშვნელოვანი საკითხები. კონსულტაციები მოიცავდა ასევე, სასესხო ხელშეკრულებების, მათ შორის თავსართების (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) ფორმატსა და შინაარსთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს მოქმედ კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის კუთხით.

დამატებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის მხარდაჭერით, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით, მოქმედი მოსამართლეებისთვის და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებისთვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე სამდღიანი ტრენინგი გაიმართა, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტი უძღვებოდა. ექსპერტის მიერ შემუშავებული სასწავლო მოდული ფოკუსირებული იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე, მათ შორის, ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებლებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესზე. მოდული მოიცავდა როგორც საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების, ისე ევროკავ-

შირის კანონმდებლობის გაცნობას. ღონისძიებების ფარგლებში ტრენერების ტრენინგი, ასევე, საერთო სასამართლოების სხვადასხვა ინსტანციის ჯამში 23 მოქმედი მოსამართლის გადამზადება განხორციელდა. სწავლების მონაწილე მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეარჩია. მოქმედი მოსამართლეების გადამზადება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით მოქმედი სამართლებრივი აქტების შესახებ მოსამართლეთა ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს და, ასევე, მათ საფინანსო სექტორის მომხმარებელთა დაცვის მექანიზმების სპეციფიკის უკეთ გაცნობაში დაეხმარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით, დამატებით სასწავლო მოდულის შემუშავებასა და მოსამართლეების გადამზადებას გეგმავს, რაც მოსამართლეთა ცნობიერების ამაღლებას მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

“მისტიური მყიდველის” კვლევა

2019 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გერმანული შემნახველი ბანკების ფონდთან (SBFIC) თანამშრომლობით, „მისტიური მყიდველის“ კვლევა განახორციელა. კვლევა მიზნად ისახავდა კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესით“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების გამოკვეთას. კვლევა ჩატარდა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში და საქართველოში მოქმედი 6 კომერციული ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოიცვა. აღნიშნული კვლევის დეტალური შედეგების გამოქვეყნება 2020 წლისთვის იგეგმება.

მომხმარებლების მომართვიანობა


2019 წელს ეროვნულ ბანკში სულ 6,088 მომართვა დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს დაახლოებით 37 პროცენტით აღემატება. მომართვების უმრავლესობა - 4,270 (70.1 პროცენტი) - ტელეფონით დაფიქსირდა, წერილობით - 440 (7.2 პროცენტი), სოციალური ქსელით - 416 (6.8 პროცენტი), ელექტრონული ფოსტით - 579 (9.51 პროცენტი), ხოლო პირადი ვიზიტით - 383 (6.3 პროცენტი).

შინაარსის მიხედვით ყველაზე მეტი მომართვა რესტრუქტურისა და ციფრული მოთხოვნასთან, ადმინისტრაცია/მომსახურებასთან, ხელშეკრულების პირობებთან და ზოგადი სახის ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა. პროდუქტების მიხედვით კი მომხმარებელი ყველაზე ხშირად სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით მოგვმართავდა. ასევე ხშირი იყო მომართვიანობა პრობლემურ სესხებთან დაკავშირებულ საკითხებზეც.

გარდა ეროვნული ბანკისა, მომხმარებლები ინფორმაციის მიღებისა თუ პრეტენზიის დასაფიქსირებლად საფინანსო ორგანიზაციებსაც (ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) მიმართავდნენ. 2019 წლის განმავლობაში კომერციულ ბანკებში 14,529 მიმართვა დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 128.5 პროცენტით აღემატება. ზოგადად, 2012 წლიდან კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული მიმართვების დინამიკა მუდმივად მზარდია, რაც ცალსახად დადებითი ტენდენციაა და საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მომხმარებლების ცნობადობის ზრდაზე მიუთითებს. გარდა ამისა, 2019 წელს კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების ზრდა ძირითადად 2018 წლის სექტემბრიდან ამოქმედებული სამოქალაქო კოდექსის ცვლილებებითა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მოთხოვნების გაფართოებით არის გამოწვეული. ასევე დაიხვეწა პრეტენზიების აღრიცხვის მეთოდოლოგია. კერძოდ, 2019 წლამდე კომერციული ბანკების მიერ პრეტენზიების ანგარიშგებაში გარკვეული ტიპის ტრანზაქციები არ იისახებოდა, ხოლო 2019 წლიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის საფუძველზე, ანგარიშგებებში გათვალისწინებულია თითქმის ყველა ტიპის ტრანზაქციასთან დაკავშირებული პრეტენზია.

გარდა ამისა, 2019 წელს გახშირდა თაღლითების მიერ ყალბი ვებგვერდების საშუალებით ფინანსური ინსტიტუტების მომხმარებლების პირადი მონაცემების მოპარვის ფაქტები (ე.წ. „ფიშინგი“). საუბარია ისეთი მონაცემების მოპოვებაზე, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მომხმარებლის ფულად სახსრებზე წვდომის და ინტერნეტგადახდების განხორციელება. ასეთ მონაცემებს მიეკუთვნება საგადახდო ბარათის ნომერი და მისი უსაფრთხოების სამნიშნა კოდი, რომელიც დატანილია ბარათის მეორე გვერდზე, ასევე ინტერნეტბანკის, მობილური ბანკის, ელექტრონული საფულის მომხმარებლის სახელი, პაროლი და უსაფრთხოების კოდი. აღნიშნული მონაცემების ხელში ჩაგდება თაღლითები არასანქცირებულ გადარიცხვებს

დიაგრამა N 5.1 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების სტატისტიკა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ახორციელებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკმა გაფრთხილება და სარეკომენდაციო სახის ინფორმაცია გამოაქვეყნა. გარდა ამისა, საბანკო ასოციაციისა და კომერციული ბანკების ჩართულობით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საზოგადოებას ე.წ. ფიშინგის თემაზე საგანმანათლებლო ვიდეორგოლიც შესთავაზა, რომლითაც

მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ფინანსური და პირადი მონაცემების ინტერნეტ-სივრცეში გამოყენებისას მეტი ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ.


საბანკო პროდუქტებიდან ყველაზე ხშირად პრეტენზიები შემდეგ პროდუქტებთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა: 1) მიმდინარე ანგარიშები, 2) სამომხმარებლო სესხები,

დიაგრამა N 5.2 პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების სტატისტიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

3) საკრედიტო ბარათები და 4) მომენტალური განვადება. აღნიშნული განაწილება წლიდან წლამდე პრაქტიკულად არ იცვლება, რაც ბუნებრივია, რადგან პრეტენზიების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ყველაზე გავრცელებულ/ხშირად გამოყენებულ პროდუქტებზე მოდის.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა მომხმარებლების მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების აღრიცხვა 2017 წელს დაიწყეს, ხოლო ეროვნული ბანკი აღნიშნულ ინფორმაციის 2018 წლიდან აქვეყნებს. 2019 წლის განმავლობაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში სულ 1 100 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 24.6 პროცენტით ნაკლებია. აღნიშნული კლება, ძირითადად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებით არის განპირობებული.

2019 წელს პრეტენზიების 66.4 პროცენტი სამომხმარებლო სესხს ეხება, რაც ბუნებრივია, რადგანაც აღნიშნული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითად პროდუქტს წარმოადგენს. რაც ეხება პრეტენზიების ხასიათს, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი აქვს ადმინისტრაცია/ მომსახურებასთან, ჯარიმებსა და ვადაგადაცილების საკომისიოებთან და ტრანზაქციებთან დაკავშირებით დაფიქსირებულ პრეტენზიებს.

5.2 ფინანსური განათლება

2019 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური განათლების ამბლებსკენ მი-

მართული არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. გაიზარდა წინა წლებში დაწყებული პროექტების მასშტაბები და საფუძველი ჩაეყარა ახალ პროექტებს, მათ შორის ფინანსური განათლების ვებ გვერდს, რომელიც ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს და მასალას მოუყრის თავს. შემუშავდა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში განსახორციელებელ პრიორიტეტულ ღონისძიებებსა და პროგრამებს და მათ განსახორციელებლად გადასადგმელ ნაბიჯებს განსაზღვრავს. სამოქმედო გეგმა სტრატეგიის მართვის კომიტეტზე დამტკიცდა და წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები მის ფარგლებში ტარდებოდა. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის მოსწავლე-ახალგაზრდებისა და მენარმეებისთვის, ჩატარდა ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონკურსები, თამაშები. ღონისძიებებში ჩართული იყვნენ ფინანსური განათლების მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები.

მიკრო და მცირე მენარმეების ფინანსური განათლების პროგრამის ფარგლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ტრენინგები საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის დაინტერესებული ორგანიზაციების ტრენინგებისთვის, რომლებმაც, თავის მხრივ, პროგრამა თავიანთი ბენეფიციარი 1200-მდე მენარ-

მისთვის გახადეს ხელმისაწვდომი. ამასთან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უშუალოდ აგრო სფეროში დასაქმებული მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის განკუთვნილ ბროშურასა და ტრენინგ-მოდულზეც დაიწყო მუშაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავაც აქტიურად მუშაობდა სკოლებში ფინანსური განათლების დანერგვის მიმართულებით. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობის შედეგად, 2019-2020 სასწავლო წლიდან, საქართველოს ყველა სკოლაში ფინანსური განათლების საკითხების სწავლება დაიწყო, რომელიც საგანში „მოქალაქეობა“ არის ინტეგრირებული. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი მე-7 - მე-9 კლასელთათვის განკუთვნილი პროექტის „სკოლა-ბანკის“ დანერგვის მასშტაბის ზრდის მიზნით განაგრძობდა პედაგოგთა ტრენინგებს.

ტრადიციულად, სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციების, მათ შორის საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობით, ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები - გლობალური ფულის კვირეული, მსოფლიო დაზოგვის დღე და ინოვაციების ბანაკი აღინიშნა.

გაგრძელდა თანამშრომლობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელსა (OECD/INFE) და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსთან. ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლებისა და ჩართულობის განმეორებითი კვლევა, რომლის საბოლოო შედეგები 2020 წლისთვის გახდება ცნობილი. ამასთან, აღსანიშნავია ამავე პროექტის ფარგლებში თბილისში გამართული მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია და სამუშაო შეხვედრები, რომლებსაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უმასპინძლა და რომლის მიზანსაც აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ფინანსური განათლების მიმართულებით არსებული გამოცდილებების, მიღწევებისა და გამოწვევების განხილვა წარმოადგენდა.

ფინანსური განათლების დონის ამაღლების გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი მიწვეული იყო ამსტერდამში, ბავშვთა ფინანსური და სოციალურ განათლებაზე მომუშავე ორგანიზაციის Aflatoun International-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა უცხოელ კოლეგებს საქართველოში პროექტის „სკოლა-

ბანკი“ დანერგვის გამოცდილება გაუზიარა. გარდა ამისა, საქართველოში „სკოლა-ბანკის“ დანერგვასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკისა და Child and Youth Finance International-ის მიერ სიტუაციური ანალიზი მომზადდა, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით კი ფინანსური სისტემის ზედამხედველებს, განათლების სამინისტროებსა და კომერციულ ბანკებს, ადგილობრივ ბაზარზე პროექტის წარმატებით დანერგვაში დაეხმარება.

საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო დელეგაციას უმასპინძლა. შეხვედრას ორგანიზაციის “გერმანული შემნახველი ბანკების ფონდი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის” (SBFIC) ადგილობრივი და საერთაშორისო წარმომადგენლები, ასევე, ტაილანდის ფინანსთა სამინისტროს, ტაილანდის სახელმწიფო შემნახველი ბანკისა და ბუტანის ცენტრალური ბანკის მაღალი რანგის მენეჯერები ესწრებოდნენ. შეხვედრის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა უცხოელ კოლეგებს გაუზიარეს ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ, მათ შორის, მიმოიხილეს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში ფინანსური განათლების საკითხების ინტეგრირების ეტაპები.

ფინანსური განათლების პროექტები

ფინანსური განათლების პროგრამა მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის

2018 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა “ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის” განვითარების პროგრამასთან (EFSE DF) და ექსპორტის განვითარების ასოციაციასთან (EDA) თანამშრომლობით, მიკრო და მცირე მეწარმეთა ფინანსური განათლების პროგრამა შეიმუშავა. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს მიკრო და მცირე საწარმოების მფლობელებსა და მომავალ მეწარმეებს შეიძინონ და განავითარონ ის ცოდნა და უნარები, რაც მათ საკუთარი ბიზნესის საქმიანობებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარებათ. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა მეწარმეთა სახელმძღვანელო ტრენინგ-მოდული, სესხის კალკულატორი, ფინანსური უწყისები, რომლებიც ეროვნული ბანკის ვებგვერდზე უფასოდაა ხელმისაწვდომი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2019 წელს მენარმეების ფინანსური წიგნიერების დონის ამაღლებისა და ქვეყანაში მენარმეთა ხელშეწყობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა დაინტერესებულ ტრენერთა და მენარმეთა გადამზადებას. წლის დასაწყისში, საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, სადაც მათ მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო წარედგინათ. შეხვედრის მონაწილეებმა, პროგრამის მასშტაბების ზრდის მიზნით, სამომავლო თანამშრომლობის გზებსა და მენარმეთა ფინანსური განათლების პროცესში ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როლის შესახებ იმსჯელეს. შეხვედრაზე მონაწილეები მიკრო და მცირე მენარმეების ტრენინგმოდულის მიხედვით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლების გადამზადებაზე შეთანხმდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, მიღებულ ცოდნას თავიანთ მენარმე მომხმარებლებში გაავრცელებენ.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები წლის განმავლობაში ეფექტურად ხორციელდებოდა: გაიმართა ტრენერთა 3 ტრენინგი და ჯამში 46 ტრენერი გადამზადდა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებიდან. ტრენერთა ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ბიზნეს აქსელერატორ „სპარკის“, „კრეატიული განვითარების ცენტრის“ (CDC), ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, ბაზისბანკის, ვითიბი ბანკის, თიბისი ბანკის, კრედო ბანკის, ლიბერთი ბანკის, საქართველოს ბანკის, ტერა ბანკის, ფინკა ბანკი საქართველოს, მისო „ემბისის“, მისო „კრისტალისა“ და მისო „ქართული კრედიტის“ წარმომადგენლებმა.

გადამზადებულ ტრენერებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ჩაატარონ ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობასა და ფინანსური გადაწყვეტილებების შესახებ ტრენინგი ნებისმიერ სფეროში დასაქმებული მიკრო და მცირე მენარმეებისთვის; ბენეფიციარებთან ერთად განიხილონ საკვანძო საკითხები რეალურ მაგალითებსა და პრაქტიკულ რჩევებზე დაყრდნობით; და დაეხმარონ მენარმეებს საკუთარი ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში ძირითადი ინდიკატორების გამოთვლისა და დამხმარე ინსტრუმენტების - კალკულატორებისა და ფინანსური უწყისების - გამოყენების გზით.

პროექტი „სკოლა-ბანკი“

მოსწავლე ახალგაზრდობის ფინანსური განათლების ამაღლების ღონისძიებათა ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი 2019 წელსაც განაგრძობდა საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგთა ტრენინგებს. ტრენინგები „სკოლა-ბანკის“ პროგრამის ნაწილია, რომელიც ეროვნული ბანკისა და ახალგაზრდა თაობის ფინანსური განათლების მიმართულებით მომუშავე წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია Child and Youth Finance International-ის (CYFI) ერთობლივი პროექტია და VII-IX კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ 15 გაკვეთილიან მოდულს მოიცავს. ტრენინგის მიზანს პედაგოგებისთვის იმ ცოდნისა და სასწავლო მასალების გადაცემა წარმოადგენდა, რაც მათ თავიანთ სკოლებში „სკოლა-ბანკის“ თავისუფალი გაკვეთილების ფორმატით წარმართვაში დაეხმარება.

„სკოლა-ბანკი“, რომელიც ამ ეტაპზე 10-მდე ქვეყანაში ინერგება, მიზნად ისახავს ახალგაზრდობის ფინანსური განათლებისა და ჩართულობის ამაღლებას, რაც, ერთი მხრივ, მათთვის სასკოლო გაკვეთილების ფორმატში ფინანსური საკითხების შესახებ ცოდნის გადაცემას, მეორე მხრივ კი - ფინანსური ორგანიზაციების მიერ ახალგაზრდობის საჭიროებებზე მორგებული ფინანსური პროდუქტების განვითარებას გულისხმობს.

პროექტი 2017 წლიდან პერიოდულად ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით, ასევე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისა და საქართველოს ბანკის ჩართულობით. ტრენინგის გავლა შეუძლია ნებისმიერ პედაგოგს, მიუხედავად იმისა, ფლობდა თუ არა მანამდე სპეციფიკურ ფინანსურ ცოდნას. მონაწილისათვის საკმარისია ჰქონდეს თემის მიმართ ინტერესი, ასევე, სურვილი, ახალგაზრდა თაობას გადასცეს ის ცოდნა და დაეხმაროს იმ უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში, რაც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად დასჭირდება.

„სკოლა-ბანკის“ კონცეფცია CYFI-მ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ჯერ კიდევ 2005 წელს გამოცემული რეკომენდაციის საფუძველზე განავითარა, რომლის მიხედვითაც OECD ყველა

ქვეყანას ურჩევს, ფინანსური განათლება სასკოლო განათლების ნაწილი მაქსიმალურად ადრეული ასაკიდან გახდეს.

“სკოლა-ბანკის” პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პედაგოგებს 2019 წლის 28-29 სექტემბერს თბილისში, ეროვნული ბანკის შენობაში, ხოლო 5-6 ოქტომბერს ქუთაისში, ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ ბაზაზე უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ტრენინგის ორგანიზებაში ეროვნულ ბანკს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი დაეხმარა. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს 23 საჯარო და 9 კერძო სკოლის, ასევე ქუთაისისა და დედოფლისწყაროს მონაწვლე-ახალგაზრდობის სასახლეების მასწავლებლებმა.

შედეგად, სკოლა-ბანკის გაკვეთილები 2019 წელს დამატებით ორასამდე ბავშვისთვის გახდა ხელმისაწვდომი და მათი რაოდენობა მომდევნო წლებშიც გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში „სკოლა-ბანკის“ დანერგვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და Child and Youth Finance International-მა ერთობლივი პუბლიკაცია გამოაქვეყნეს, რომელიც „სკოლა-ბანკის“ ქართული მოდელის სიტუაციურ ანალიზს წარმოადგენს. აღნიშნულის შესახებ ვრცლად იხილეთ ქვეთავში „ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა“.

სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებულთა ბანაკი ფინანსური განათლების თემაზე

საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართულობითა და გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის (SBFIC) მხარდაჭერით, კომპანია “კინგსი - საქართველო”, 2019 წლის ზაფხულში ანაკლიაში ამავე წლის გაზაფხულის ოლიმპიადის გამარჯვებულთა ბანაკს უმასპინძლა, რომელიც ფინანსურ განათლებას მიეძღვნა.

ბანაკის მონაწილეებმა ფინანსური განათლების მნიშვნელობასა და მათთვის საინტერესო საკითხებზე იმსჯელეს. ასევე, 8 მონაწილისაგან შემდგარმა 8 გუნდმა სცენარისტისა და სატელევიზიო შოუ „წიგნების თაროს“ წამყვანის ალექსანდრე ლორთქიფანიძის დახმარებით ფულის, დაზოგვის, პირადი ფინანსების მართვის, გონივრული ხარჯვის, სესხებისა და ბანკების მნიშვნელობის შესახებ საკუთარი ხედვითა და საბავშვო ენით გადმოცემული საინტერესო და სახალისო ვიდეორგოლები წარმოადგინეს. კომპეტენტური ჟიურის მიერ გამოვლენილი საუკეთესო სიუჟეტის სამი ვიდეორგოლი მოგვი-

ანებით პროფესიონალურ ფორმატში ჩაიწერა და სოციალური ქსელით გავრცელდა. გარდა ამისა, ბანაკის მონაწილეებმა რეკლამის გაფლენის, დაზოგვისა და გადაწყვეტილებების მიღების თემაზე სატელევიზიო გადაცემა “მარტივი ლოგიკის” წამყვანის, ირაკლი კაკაბაძის ინტერაქტიულ სემინარში მიიღეს მონაწილეობა და “მარტივი ლოგიკის” თამაშის ფორმატში ერთმანეთს ფინანსური ტერმინების ცოდნაში გაეჭიბრნენ.

ფინანსური განათლების ტრენინგები მოზარდებისთვის

მოსწავლე ახალგაზრდობის ფინანსური განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო 13-17 წლის მოზარდების ტრენინგი, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2019 წლის თებერვალში, ქ. გორში, არასამთავრობო ორგანიზაცია საზოგადოება „ბილიკის“ ბენეფიციარებისთვის ჩაატარა.

ტრენინგები პროექტის „ახალგაზრდობის დასაქმებისა და ბიზნეს უნარების განვითარება“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც “მშვიდობის კორპუსის პარტნიორობის პროგრამის” (PCPP) მხარდაჭერით ხორციელდებოდა. პროექტი 13-კვირიანი სასწავლო მოდულისგან შედგებოდა, რომლის ფარგლებშიც მოზარდებმა კარიერის დაგეგმვისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები შეიძინეს. ორი ტრენინგი კი კონკრეტულად ფინანსური წიგნიერების საკითხებს დაეთმო.

ტრენინგებზე ეროვნული ბანკის სპეციალისტებმა „ბილიკის“ ბენეფიციარებთან ერთად ახალგაზრდობისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხები განიხილეს, როგორცაა - ფულის მართვა, გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, დაზოგვა, ფინანსური პროდუქტები და ფინანსური უსაფრთხოება, ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, გონივრული სესხება, მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები.

მოსწავლე ახალგაზრდობის ფინანსური განათლების ამაღლებას ემსახურებოდა 2019 წლის ივნისში სოფელ წეროვანში მოზარდებისათვის ჩატარებული ტრენინგი ფინანსური წიგნიერების თემაზე. მონაწილეებმა სახალისო ჯგუფური თამაშების გზით მიიღეს სასარგებლო ინფორმაცია პირადი ფინანსების მართვის, დაზოგვის, გონივრული სესხების, მომხმარებელთა უფლებებისა და ფინანსური თაღლითობისგან თავის დაცვის გზების შესახებ. შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციის Save the Children in Georgia პროექტის „ევროკავშირი ახალგაზრდე-

ბისტვის: უკეთესი უნარები უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში შედგა.

საქართველოს პირველი ცენტრალური ბანკის დაარსებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ბაქსვუდის სამეცნიერო საზაფხულო სკოლა 2019-ის მოსწავლეებმა ეროვნულ ბანკში ფინანსური განათლების თემაზე საინტერესო ლექცია მოისმინეს, “ფინანსური ფეხბურთი” ითამაშეს, ხოლო გამარჯვებულმა გუნდებმა ფინანსური განათლების თემაზე სპეციალური საგანმანათლებლო მასალა მიიღეს.

ფინანსური განათლების ტრენინგი რეგიონული სამეწარმეო პროექტის “გახდი ახალგაზრდა მეწარმე” მონაწილეებისთვის

2019 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ასოციაციას “სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG)” შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა. შეთანხმება მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ფინანსური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. მემორანდუმს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ და ასოციაციის თავმჯდომარემ ივანე გრიგოლაშვილმა მოაწერეს ხელი.

პირველი პროექტი, რომელიც მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება, ასოციაციისა და USAID-ის ერთობლივი რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტია, რომელიც საქართველოს რეგიონებში (სოფლად) მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერებას ისახავს მიზნად. პროექტი ითვალისწინებს 18-29 წლის ასაკის 500-მდე ახალგაზრდის ჩართვას სამეწარმეო ტრენინგში საქართველოს 9 მუნიციპალიტეტიდან (ზუგდიდი, ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ნინოწმინდა, მარნეული, ბოლნისი, კასპი და გორი). პროექტი 3-ეტაპიანია: I და II ეტაპები - 2019 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩატარდა, III ეტაპი კი - 2020 წლის გაზაფხულზე განხორციელდება. პირველი ეტაპის მიმდინარეობისას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური განათლების საკითხებზე ტრენინგი აგვისტოში, პროექტის ფარგლებში შერჩეული საუკეთესო სამეწარმეო იდეის მქონე 18 - 29 წლის ახალგაზრდებისთვის ჩატარა.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ფინანსური ორგანიზაციებისა და მათი პროდუქტების შესახებ, განიხილეს დაფინანსების ძიების პროცესში სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი საკითხები და გაერკვნენ საკუთარ უფლებებსა და პასუხისმგებლობებში.

ვიდეორგოლი ინტერნეტთაღლითობის შესახებ

მოსახლეობის ინტერნეტთაღლითობისგან დაცვის მიზნით, აგვისტოში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საბანკო ასოციაციისა და კომერციული ბანკების ჩართულობით, საზოგადოებას ე.წ. ფიშინგის თემაზე საგანმანათლებლო ვიდეორგოლი შესთავაზა.

ვიდეორგოლში მარტივი ენითაა ახსნილი ინტერნეტთაღლითობის მიერ მომხმარებელთა თანხების მითვისების ფართოდ გავრცელებული სქემები, ასევე, რჩევები, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილება.

ამ ვიდეორგოლით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კიდევ ერთხელ შეახსენა მოსახლეობას, მეტი ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ ფინანსური და პირადი მონაცემების ინტერნეტ-სივრცეში გამოყენებისას.

ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები

2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი, ტრადიციულად, აქტიურად იყო ჩართული ფინანსური საკითხების გარშემო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართულ ყოველწლიურ ღონისძიებებში.

ფულის გლობალური კვირეული

ეროვნული ბანკის ორგანიზებით, 2019 წელს “ფულის გლობალური კვირეული” საქართველოში უკვე მეექვსედ აღინიშნა. “ფულის გლობალური კვირეული” ეროვნული ბანკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა და კერძო და სამოქალაქო სექტორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა.

“ფულის გლობალური კვირეული” მსოფლიოს 160-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად მარტში აღინიშნება და მისი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო ცნობიერების ამაღლებას. 2019 წლის კვირეულის გზავნილი იყო: “ისწავლე. დაზოგე. გამოიმუშავე.”

კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლის მოსწავლეებისთვის ქართული ფულის თემაზე შემოქმედებითი კონკურსი ჩატარა, სახელწოდებით “საქართველოს ეროვნული ბანკი 100”. კონკურსში საქართველოს 9 რეგიონის სკოლის მოსწავლეები ჩაერთნენ. კონკურსის ფარგლებში, მოსწავლეებს 100 ლარის ნომინალის

ბანკნოტის ან მონეტის საკუთარი, ორიგინალური დიზაინით შექმნა ევალეობდათ. გამარჯვებული ნამუშევრები ეროვნული ბანკის შენობაში გამოიფინა, ხოლო 20 გამარჯვებულ ნორჩ ხელოვანს ეროვნულმა ბანკმა ყვარლის ფულის მუზეუმში, საგანმანათლებლო-გასართობ ექსკურსიაზე უმასპინძლა. ბავშვებმა ფულის მუზეუმში საკუთარი ნამუშევრების შესახებ ისაუბრეს. ასევე, მოისმინეს ინტერაქტიული ლექცია ეროვნული ბანკისა და ქართული ფულის ისტორიის შესახებ. გამარჯვებულებმა ეროვნული ბანკისგან სპეციალური სერტიფიკატები, ბრენდირებული ნივთები და საგანმანათლებლო მასალები მიიღეს.

კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო გადახდების სისტემა Visa-ს ორგანიზებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში “ფინანსური ფეხბურთის” სპეციალური კუთხე მოეწყო, სადაც მოზარდებს შესაძლებლობა ჰქონდათ მთელი დღის განმავლობაში ეთამაშათ, შეემოწმებინათ და გაეღრმავებინათ საკუთარი ფინანსური ცოდნა. “ფინანსური ფეხბურთი” სწრაფი და დინამიური თამაშია, რომლის ფარგლებშიც მოთამაშებმა პირადი ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ შეკითხვებს უნდა უპასუხონ, რათა მოედანზე წინ წაიწიონ და კარში ბურთი გაიტანონ. “ფინანსური ფეხბურთის” ქართულენოვანი თამაში და თანმდევი სასწავლო მოდულები Visa-მ და ეროვნულმა ბანკმა 2018 წელს განავითარეს. ღონისძიების ფარგლებში ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა სასახლის მოსწავლეებისთვის ეროვნული ბანკისა და ქართული ფულის ისტორიის შესახებ ინტერაქტიული ლექცია ჩაატარეს. ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

კვირეულის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციამ “ჯუნიორ ენიველმენტ საქართველო” ეროვნული ბანკის ჩართულობით, საქართველოს უნივერსიტეტში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და აბიტურიენტებისთვის თემაზე “როგორ ვმართოთ ფული და დავიწყოთ ინვესტირება” სემინარი გამართა. გარდა ამისა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის “სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპა-სა და ევრაზიაში” ფარგლებში “მეწარმეობის” პროგრამის სწავლებაში ჩართული მინიკომპანიების გამოფენა-გაყიდვა გამართა, სადაც პროგრამაში მონაწილე 25 საუკეთესო მინიკომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი. დღის ბოლოს, ჟიურიმ სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო გუნდები გამოავლინა.

კვირეული სხვა არაერთი საინტერესო ღონისძიებით იყო დატვირთული, მათ შორის აღსანიშნავია წნორში, ფინანსური განათლების თემაზე, ეროვნული ბანკის წარმომადგენლების მიერ მოსწავლეებისთვის ჩატარებული ინტერაქტიული სემინარი. მონაწილეები სახალისო ჯგუფურ თამაშებში ჩაერთნენ და პირადი ფინანსების მართვის, დაზოგვის, სესხების, მომხმარებელთა უფლებებისა და ფინანსური თაღლითობისგან თავის დაცვის გზების შესახებ იმსჯელეს. შეხვედრა “ცოდნის კაფესა” და არასამთავრობო ორგანიზაციის „Save the Children“ პროექტის “ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის: უკეთესი უნარები უკეთესი მომავლისათვის” ფარგლებში შედგა. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა “ბაქსვუდის” სკოლის მოსწავლეებს საკასო ცენტრში უმასპინძლა. მოსწავლეებმა საკასო ცენტრი დაათვალიერეს და ფინანსური განათლების მნიშვნელობისა და პირადი ფინანსების მართვის შესახებ საინტერესო დისკუსიაში ჩაერთვნენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის კოორდინირებით, კვირეულისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში სხვა ორგანიზაციები და საფინანსო სექტორის წარმომადგენლებიც აქტიურად ჩაერთვნენ. მათ შორის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური განათლების ცენტრმა ახალგაზრდებისთვის საბანკო პროდუქტების შესახებ ტრენინგი ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა ფინანსური პროდუქტების, შემოსავლის რაციონალურად მართვისა და დაზოგვის შესახებ იმსჯელეს. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ კი საერთაშორისო ორგანიზაცია “Aflatoun International“-ის ინიციატივით ჩამოყალიბებული და ფინანსური განათლებისადმი მიძღვნილი ყოველწლიური, საერთაშორისო თარიღი ე.წ. “აფლატუნის დღე” (Aflatoun Day) აღნიშნა.

საქართველოს ბანკმა მოსწავლეებს სათავო ოფისში უმასპინძლა. სტუმრებმა საბანკო პროდუქტების, ბანკის საქმიანობის, პირადი ფინანსების მართვის, დაზოგვისა და ფულის შესახებ საინტერესო ლექცია მოისმინეს და ბანკის შენობაც დაათვალიერეს. ფინკა ბანკი საქართველომ მოსწავლეებისთვის დაზოგვის შესახებ ბროშურა შეიმუშავა და მათ 6 ქალაქში - ზუგდიდი, ქუთაისი, თელავი, თბილისი, სამტრედიი, გორი - ბანკის ფილიალებში უმასპინძლა, სადაც ახალგაზრდები ბანკის ფუნქციებსა და მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ “კრისტალი” ახალგაზრდებისთვის ფინანსური განათლების, დაზოგვისა და ინვესტირების თემაზე სემინარი ჩაატარა; ასევე, მათ ორგანიზაციის სათავო ოფისში უმ-

ასპინძლა, სადაც ახალგაზრდები ორგანიზაციის ფუნქციონირების სპეციფიკას გაეცნენ, დაგროვებისა და სესხების შესახებ ისაუბრეს და “ფინანსური ფეხბურთი” ითამაშეს. კრედო ბანკმა 9-14 წლის მოსწავლეებისთვის ფილიალებში დაზოგვის შესახებ 2-დღიან ტრენინგებს უმასპინძლა. ლიბერთი ბანკმა ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და კახეთის მასშტაბით V-VI კლასის მოსწავლეებისთვის შეხვედრები ჩაატარა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ემ-ბი-სი საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარე ბერშუეთის საჯარო სკოლაში ფინანსური წიგნიერების თემაზე 5-დღიანი საგანმანათლებლო ღონისძიება განახორციელა. ბაზისბანკმა კი თბილისისა და რეგიონების სერვისცენტრების მეშვეობით ფინანსური განათლების ბროშურები გაავრცელა. ამასთან, თბილისი ბანკმა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის - ლადო აფხაზავას სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრას უმასპინძლა, სადაც მათ, სხვა საკითხებთან ერთად, პირადი ფინანსების მართვის და სწორი გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობაზე იმსჯელეს.

მსოფლიო დაზოგვის დღე

ყოველწლიურად, 31 ოქტომბერს, მსოფლიო დაზოგვის დღის აღნიშვნა საქართველოში ტრადიციად იქცა და 2019 წელს ეს თარიღი უკვე მერვედ აღინიშნა. მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები საქართველოს ეროვნული ბანკისა და გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობისთვის (SBFIC) ორგანიზებით დაიგეგმა. ამ თარიღისადმი მიძღვნილ აქტივობებს კვირეულის სახე ჰქონდა და თბილისსა და რეგიონებში 28 ოქტომბრიდან 3 ნოემბერის ჩათვლით მიმდინარეობდა.

დაზოგვის დღისადმი მიძღვნილი კამპანია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით განახორციელა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ეროვნული ბანკის თანამშრომლები, როგორც ფინანსური განათლების გამავრცელებელი დესპანები თბილისსა და რეგიონებში, სხვადასხვა კერძო და საჯარო სკოლებს ესტუმრნენ. თანამშრომლებთან ერთად, დაზოგვის კვირეულში მონაწილეობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმაც მიიღო. კობა გვენეტაძე თბილისის N11 საჯარო სკოლას ესტუმრა. მან პატარებს ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციები გააცნო და სწორად დაზოგვის მნიშვნელობასა და ფულის ისტორიაზე ისაუბრა. ეროვნული ბანკის დესპანებმა გაკვეთილები IV-VI კლასე-

ბის 450-მდე მოსწავლეს ჩაუტარეს. ღონისძიებაში ეროვნულ ბანკთან ერთად 7 ქართული კომერციული ბანკიც მონაწილეობდა: ფინკა ბანკი საქართველო, თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, ლიბერთი ბანკი, კრედო ბანკი, ბაზისბანკი და ტერა ბანკი. კვირეულის ფარგლებში ღონისძიებაში მონაწილე კომერციულმა ბანკებმა საკუთარ ფილიალებში, ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში, ასევე, ელექტრონული მედიის საშუალებით მსოფლიო დაზოგვის დღისა და დაზოგვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით გაავრცელეს ინფორმაცია. გარდა ამისა, ბანკებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვა არაერთი საინტერესო აქტივობა განახორციელეს, რაც სკოლებსა და ბანკის ფილიალებში ექსკურსიებს, ინტერაქტიულ პრეზენტაციებსა და ლექციებს, ტრენინგებს, ხატვის კონკურსსა და დემონსტრაციების წამახალისებელ კამპანიას მოიცავდა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებისა, გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს 6 ქალაქის 20 სკოლაში მოსწავლეები “დაზოგვის სამაგიდე თამაშში” ჩაერთვნენ, რომლის მიზანი უფროსკლასელებში ფინანსური განათლების დონის ზრდა და დაზოგვის კულტურის ამაღლებაა.

პროექტი „ინოვაციების ბანაკი“, ფინანსური წიგნიერების თემაზე

17 ნოემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ეროვნული ბანკისა და “ჯუნორ ენივემენტ საქართველოს” მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ ინოვაციების ბანაკს უმასპინძლა, რომელიც ფინანსური წიგნიერების თემას მიეძღვნა. ღონისძიება 2019 წელს უკვე მესამედ ჩატარდა. პროექტში მონაწილეობა მიიღო 15-დან 18 წლამდე ასაკის 110-ზე მეტმა ახალგაზრდამ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

ინოვაციების ბანაკი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID Georgia) პროექტის “სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში” ფარგლებში ხორციელდება და 2019 წელს საქართველოს სხვადასხვა კომერციული ბანკის - საქართველოს ბანკი, ლიბერთი ბანკი, ფინკა ბანკი საქართველო, თიბისი ბანკი - თანადაფინანსებითა და ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია “კრისტალთან” პარტნიორობით განხორციელდა.

ინოვაციების ბანაკი ფინანსური განათლების თემაზე წარმოადგენდა იდეების ინტენსიური გენერირების 12-საათიან ღონისძიებას, სადაც მოსწავლეები ფინანსური განათლებისა და ფი-

ნანსური ჩართულობის სფეროში არსებული საგანმანათლებლო გამოწვევის გარშემო გუნდურად მუშაობდნენ. ახალგაზრდების ამოცანა აღნიშნული გამოწვევის საპასუხო ეფექტური და ინოვაციური იდეების გენერირება და მათი წარმოდგენა იყო.

ლონისძიების ფარგლებში ახალგაზრდებმა ფინანსური განათლების არსისა და მნიშვნელობის შესახებ იმსჯელეს, ასევე, სიტუაციურ დავალებზე გუნდურად იმუშავეს. გუნდების მიერ წარდგენილი პრეზენტაციების საფუძველზე კომპეტენტურმა ჟიურიმ გამარჯვებული გუნდი გამოავლინა. გამარჯვებულებსა და ლონისძიების სხვა მონაწილეებს პროექტის სკონსორებისგან სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ.

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტის საქმიანობა

2017 წელს შეიქმნა ფინანსური განათლების სტრატეგიის მართვის კომიტეტი, რომელიც პერიოდულად იკრიბება და ფინანსური განათლების ცალკეული პროგრამებისა და სტრატეგიის დახვეწა-დანერგვის კუთხით რეკომენდაციებს შეიმუშავებს. 2019 წელს ეროვნულ ბანკში სტრატეგიის მართვის კომიტეტის ორი სხდომა გაიმართა, რომლებსაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე უძღვებოდა.

კომიტეტის რიგით მე-4 სხდომა 31 მაისს გაიმართა და მასზე ფინანსური განათლების წლის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები და 2019 წლის ძირითადი ამოცანები განიხილებოდა. აღნიშნულ სხდომაზე კომიტეტმა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, რომელიც იმ პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფებსა და ძირითად აქტივობებს განსაზღვრავს, რომელთა განხორციელებაც უახლოესი წლების განმავლობაში იგეგმება.

კომიტეტის მე-4 სხდომაზე, ასევე, დამტკიცდა სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტები, რომლებიც 2017-2018 წლებში სტრატეგიის მართვის კომიტეტის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განვითარდა, კერძოდ: “ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო”, “ფინანსური განათლების პროექტებისა და სასწავლო მასალების სერტიფიცირების მაღალი დონის პრინციპები” და “ფინანსური განათლების ძირითადი კომპეტენციების ჩარჩო.” კომიტეტის

სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები და მოწვეული სტუმრები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, “შემნახველი ბანკების ფონდიდან საერთაშორისო თანამშრომლობისთვის” (SBFIC), Finance in Motion-ის საქართველოს წარმომადგენლობითი ოფისიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან. ამას გარდა, შეხვედრას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისა და “ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს” (Junior Achievement Georgia) წარმომადგენლებიც, რომლებმაც კომიტეტს ორი პროექტი წარუდგინეს, რომელთა მთავარი მიზანიც ახალგაზრდებში ფინანსური და სამეწარმეო განათლების ხელშეწყობაა.

19 დეკემბერს ეროვნულ ბანკში კომიტეტის მე-5 სხდომა გაიმართა, რომელზეც მონაწილეებმა ფინანსური განათლების მიმართულებით 2019 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები შეაჯამეს და არსებულ გამოწვევებსა და იმ შესაძლებლობებზე გაამახვილეს ყურადღება, რომელიც კომიტეტის საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის. მე-5 სხდომაზე კომიტეტს წარედგინა ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერ შეიმუშავებული ფინანსური განათლების პროგრამებისა და სასწავლო მასალების სერტიფიცირების პროცესის შესახებ.

შეხვედრაზე კომიტეტის წევრებმა განიხილეს სტრატეგიით განსაზღვრული აქტივობების შესრულება და, ამასთან, 2018-2021 წლების განახლებული სამოქმედო გეგმაც დაამტკიცეს. კომიტეტის მე-5 სხდომას ესწრებოდნენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, „შემნახველი ბანკების ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობისთვის“ (SBFIC), Finance in Motion-ის საქართველოს წარმომადგენლობითი ოფისის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, „თბილისი ბანკის“, „საქართველოს ბანკის“, „ფინკა ბანკი საქართველოს“, „ლიბერთი ბანკისა“ და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს კომიტეტს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურიც შეუერთდა. ამას გარდა, შეხვედრას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის „დემოკრატიის ლაბორატორია“ წარმომადგენლები, რომლებმაც კომიტეტს თემზე “ფინანსური წიგნიერება” პროექტის პრეზენტაცია წარუდგინეს.

თანამშრომლობა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან: ფინანსური განათლების თემების ინტეგრაცია ეროვნულ სასწავლო გეგმაში

განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელშიც საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით ფინანსური განათლების საკითხების ინტეგრირება განხორციელდა საგანში „მოქალაქეობა“, 2018 წელს დამტკიცდა. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება 2019 წლის შემოდგომიდან, მე-7 კლასებში დაიწყო, უშუალოდ ფინანსური განათლების საკითხების სწავლება კი, სასწავლო პროგრამის მიხედვით, 2020 წლის გაზაფხულიდან დაიწყება.

მასწავლებელთა შესაძლებლობების ზრდის მიზნით, 2019 წლის მაისში ეროვნულმა ბანკმა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენცია-გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის ერთ-ერთი სასემინარო ჯგუფი ფინანსურ წიგნიერებას ეთმობოდა, სადაც ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა სამოქალაქო განათლების 50-მდე პედაგოგს მიაწოდეს ინფორმაცია ფინანსური განათლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით და დეტალურად განიხილეს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩართული ფინანსური განათლების ძირითადი საკითხები.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის აქტიური ჩართულობით გერმანული შემნახველი ბანკების ფონდმა საერთაშორისო თანამშრომლობისთვის (SBFIC) 2019 წელს მასწავლებლის გზამკვლევი შეიმუშავა, ხოლო სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან პარტნიორობით ტრენინგ-მოდული შემუშავდა. 2020 წლის თებერვლიდან დაგეგმილია ტრენინგთა და საგნის „მოქალაქეობა“ პედაგოგთა ტრენინგები. ტრენინგი ხელს შეუწყობს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას ეკონომიკურ-ფინანსური განათლების მიმართულებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, დაგეგმონ და განახორციელონ ინტერაქტიული გაკვეთილები.

თანამშრომლობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელსა (OECD/INFE) და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსთან

2018 წელს საქართველო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანი-

ზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელისა (OECD/INFE) და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროს ტექნიკური დახმარების ხუთწლიან პროექტში ჩაერთო. პროექტში საქართველოს გარდა აღმოსავლეთ ევროპის 6 სახელმწიფო - ბულგარეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, რუმინეთი, ხორვატია - მონაწილეობს და ის ფინანსური განათლების ამალგების მიზნით ცენტრალური ბანკებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლებისა და ჩართულობის განმეორებითი კვლევა ჩატარდა. კვლევის მიზანს მოსახლეობის ფინანსური ცოდნის, ქცევისა და დამოკიდებულების შეფასების გზით ქვეყნის მასშტაბით ფინანსური განათლების ქულის გამოყვანა, ფინანსური პროდუქტების ცოდნისა და გამოყენების ხარისხის განსაზღვრა და ფულის მართვისადმი რესპონდენტთა მიდგომების შესწავლა წარმოადგენს. კვლევა პროექტის მონაწილე დანარჩენი ქვეყნების მოსახლეობისთვისაც ჩატარდა. კვლევის საბოლოო ანგარიშში კი, რომლის დასრულება 2020 წლისთვის იგეგმება, პროექტში ჩართული ქვეყნების ფინანსური განათლების დონის შედარებითი ანალიზი იქნება წარმოდგენილი.

პროექტი მასში ჩართული სახელმწიფოების ყოველწლიურ შეკრებასა და ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებასაც ითვალისწინებს. აღნიშნული ინიციატივა პირველად საქართველოში განხორციელდა. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკისა და OECD/INFE-ის ორგანიზებით, ასევე, ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროს მატერიული მხარდაჭერითა და მასთან არსებული პლატფორმის, “Money Wise”, ტექნიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, 2019 წლის 7-8 ნოემბერს, ეროვნულმა ბანკმა მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრებს უმასპინძლა. სამუშაო შეხვედრებს ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის მაღალი დონის წარმომადგენლები, მათ შორის, პრაქტიკოსი სპეციალისტები და ექსპერტები, რომელთა უშუალო პასუხისმგებლობაა შესაბამისი ქვეყნებში ფინანსური განათლების ეროვნული ინიციატივების შემუშავება და დანერგვა. შეხვედრებზე განხილული იყო ფინანსური წიგნიერების გამოწვევებზე საპასუხო პრაქტიკული მაგალითები და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელების სხვადასხვა შესაძლებლობები ისეთი სამიზნე ჯგუფებისთვის, როგორებიცაა ახალგაზრდა თაობა - მოსწავლეები და სტუ-

დენტები, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის წარმომადგენლები.

„სკოლა-ბანკის“ პროექტის სიტუაციური ანალიზი ქართული მოდელის მაგალითზე

2019 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და Child and Youth Finance International-მა (CYFI) პროექტის „სკოლა-ბანკი“ ქართული მოდელის დანერგვის შესახებ სიტუაციური ანალიზი გამოაქვეყნეს. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების სიტუაციური ანალიზი, პირველად სწორედ საქართველოს მაგალითზე მომზადდა¹¹⁴. პუბლიკაციის მიზანია საერთაშორისო მასშტაბით დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით კი ფინანსური სისტემის ზედამხედველებს, განათლების სამინისტროებსა და კომერციულ ბანკებს, საქართველოში „სკოლა-ბანკის“ მოდელის დანერგვასთან დაკავშირებული გამოცდილება გააცნოს. ნაშრომი მარტივი ენითაა შედგენილი და მოიცავს ყველა იმ პრაქტიკულ ინფორმაციას, რაც დაინტერესებულ მხარეებს სხვა ქვეყნებიდან „სკოლა-ბანკის“ ადგილობრივ ბაზარზე წარმატებით დანერგვაში დაეხმარება. ამასთან, ის აღწერს პროექტის საპილოტე პროგრამის შედეგებს, რომლის შეფასებაც ISET-ის კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელდა.

მიზნინარე პროექტი

2019 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მუშაობა დაიწყო ორ მნიშვნელოვან პროექტზე, რომელიც დასრულებული სახით მოსახლეობისთვის 2020 წლიდან გახდება ხელმისაწვდომი.

ერთ-ერთი მათგანია ფერმერებისთვის განკუთვნილი პრაქტიკული სახელმძღვანელო - „მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები“. მასალა ეროვნულმა ბანკმა, „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ (სიდა)

114 https://issuu.com/childfinanceinternational/docs/national_schoolbank_project_georgia


ჩართულობით განავითარა. სახელმძღვანელო მომზადდა სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლების დასახმარებლად, რათა მათ სხვადასხვა საფინანსო პროდუქტისა და დაფინანსების წყაროს შესახებ მიიღონ ინფორმაცია. აღნიშნული ფერმერებს დაეხმარება, მათი ბიზნესის საჭიროებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეარჩიონ ყველაზე შესაფერისი საფინანსო პროდუქტი და მიიღონ სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები. სახელმძღვანელოსთან ერთად, ასევე, ტრენერის გზამკვლევი და პრეზენტაცია ტრენინგ-მოდულისთვის შემუშავდა. პროგრამის ოფიციალურად წარდგენა 2020 წლის პირველ ნახევარშია დაგეგმილი. პროექტის ფარგლებში ჩატარდება როგორც ტრენერთა ტრენინგი, ისე საპილოტე ტრენინგი უშუალო ბენეფიციარებისათვის, ანუ აგრომეწარმეებისთვის. ამასთან, დაიბეჭდება და გამოქვეყნდება ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო.

მეორე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელზეც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მუშაობა 2019 წელს დაიწყო, არის ფინანსური განათლების ვებგვერდი. პროექტის მიზანი ფინანსური განათლების ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და მისი მომხმარებლისათვის მეგობრული, მარტივად გასაგები ენით მიწოდებაა. ვებგვერდზე მოცემული იქნება ინფორმაცია პირადი ფინანსების მართვის, დაზოგვის, სესხების, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მომენტების, ფინანსური უსაფრთხოების, მომხმარებლის უფლებების, ინვესტირების, დაზღვევისა და მეწარმეებისთვის საინტერესო საკითხების შესახებ. ასევე, ვებგვერდზე მოცემული იქნება სხვადასხვა ფინანსური კალკულატორი, ტესტი, ბლოგი, მულტიმედია მასალა და სხვა. 2019 წლის განმავლობაში შემუშავდა ვებგვერდის ბრენდი და კონცეფცია, დაიწყო ტექნიკური სამუშაოები და ვებგვერდისთვის განკუთვნილი შინაარსობრივი მასალის შექმნა. ვებგვერდი 2020 წელს ამუშავდება და წარედგინება ფართო საზოგადოებას.



6

არასაბანკო ზედამხედველობა



6. არასაბანკო გადახედველობა

6.1 მნიშვნელოვანი ცვლილებები საზედამხედველო ჩარჩოში

ბოლო ორ წელიწადში არასაბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულმა ძირეულმა ცვლილებებმა ამ სექტორის რისკები მნიშვნელოვნად შეამცირა.

საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო როგორც რეგულირებად სექტორს, ისე ბაზრის იმ სეგმენტებს, რომლებიც წლების განმავლობაში რეგულირების გარეშე ეწეოდნენ საფინანსო საქმიანობას. აღნიშნული, ფინანსურ სტაბილურობასთან ერთად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, შეთავაზებული მომსახურების ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ეროვნული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2018 წელს დამტკიცდა „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი“, რომლის საფუძველზეც, 2019 წლიდან, ზედამხედველობას დაექვემდებარა ყველა სუბიექტი, რომელთა მიმართაც 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება გააჩნდა. სესხის გამცემ სუბიექტებს, როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს, სხვა სარეგისტრაციო მოთხოვნებთან ერთად, განესაზღვრათ ადმინისტრატორთა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა შესაფერისობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების ვალდებულება. საფინანსო სექტორის არსებითი რყევების თავიდან ასაცილებლად და სესხის გამცემი სუბიექტების რეგულირებად სფეროში დაბრკოლებების გარეშე შემოსაყვანად, ეროვნული ბანკი მათთან ინტენსიურ კომუნიკაციას და კონსულტაციას აწარმოებდა.

2019 წელს, შესაბამის ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ სუბიექტებს გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონების, მის მიერ აღებული ნებისმიერი სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საგნად გამოყენება აეკრძალათ. აღნიშნული მიზნად ისახავდა დაკრედიტების სტანდარტების გაუმჯობესებას მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან დაგირავებული ქონების გადაგირავება აღნიშ-

ნული ქონების დაკარგვის რისკს არსებითად ზრდიდა და სესხის გადახდის შემდეგ ქონების დაბრუნების პროცესს აჭიანურებდა.

2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება“, რომლის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება არასაბანკო სექტორის ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციასაც დაეკისრა, რაც ხელს შეუწყობს ამ სექტორში პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტის დამკვიდრებას.

ბოლო პერიოდში არასაბანკო სექტორის რეგულირების კუთხით განხორციელებულმა ცვლილებებმა საზედამხედველო ჩარჩოს ეტაპობრივი განვითარების აუცილებლობა წარმოშვა. გაუმჯობესდა ანგარიშგების სტანდარტები, დისტანციური ზედამხედველობისა და ადგილზე ინსპექტირების პროცესები, რაც მოსალოდნელი რისკების ინდიკატორების იდენტიფიცირების და შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

6.2 არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორი 48 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით, ვალუტის 847 გადამცვლელი პუნქტით (650 სათავო ოფისი და 197 ფილიალი), სესხის გამცემი 378 სუბიექტითა (204 სათავო ოფისი და 174 ფილიალი) და 2 საკრედიტო კავშირით იყო წარმოდგენილი.


მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებით გამოწვეული აქტივების კლების ეფექტი კაპიტალსა და ლიკვიდობაზე, ახალი რეგულაციებით დაწესებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად სახსრების შემოღებამ, ფაქტობრივად დააკომპენსირა.

არასაბანკო საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივები 2 მლრ ლარამდეა (სადაც უდიდესი წილი - 1,4 მლრდ ლარი - მიკროსაფინანსო სექტორს ეკუთვნის) და მთლიანი საფინანსო სექტორის თითქმის 4 პროცენტს შეადგენს.

6.2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

2019 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებისა და ფიზიკური პირების დაკრედიტების ახალი სტანდარტების დაწესების მიუხედავად, მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელმა ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა და ზრდის წლიურმა ტემპმა 3 პროცენტი, ხოლო მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა - 1,13 მლრდ ლარი შეადგინა, რომლის 97 პროცენტი ფიზიკურ პირებზეა გაცემული.

დიაგრამა N 6.1 მთლიანი სესხების მოცულობა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელის ძირითად მიმართულებას ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხები (სამომხმარებლო სესხები, ონლაინ სესხები, ლომბარდი, განვადება და სხვა) წარმოადგენს, რომელიც სექტორის მთლიანი საკრედიტო

პორტფელის 69 პროცენტს შეადგენს, თანხით - 780 მილიონი ლარი.


მთლიანი საკრედიტო პორტფელის მხოლოდ 28 პროცენტი მოდის სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობა-მომსახურებაზე გაცემულ სესხებზე, თანხით 314 მილიონი ლარი. თუმცა, მნიშვნე-

დიაგრამა N 6.2 მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.3 საკრედიტო პორტფელის ხარისხი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლოვანია, რომ აღნიშნული მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით გაზრდილია.

სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობა-მომსახურების სექტორზე გაცემული სესხების თითქმის 90 პროცენტი მხოლოდ 4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე მოდის. 2019 წელს, მიკრო-


საფინანსო სექტორის მთლიან საკრედიტო პორტფელში ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხების წილის შემცირება მიკროსაფინანსო ბაზრიდან რამდენიმე ონლაინ გამსესხებელის გასვლით და, ასევე, მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ონლაინ სესხების ნაშთების შემცირებითა და თა-

დიაგრამა N 6.4 საკრედიტო პორტფელის რეზერვი პროდუქტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.5 საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვიანთი საკრედიტო პორტფელის საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლებზე გასხვისებით იყო განპირობებული.

ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა საკრედიტო პორტფელის ხარისხზე პოზიტიურად იმოქმედა. კერძოდ, მთლიან პორტფელში შემცირდა


უმოქმედო სესხების წილი (9.2 პროცენტიდან 8.3 პროცენტამდე) და ვადაგადაცილებული პორტფელის წილი (13 პროცენტიდან 10 პროცენტამდე). ასევე, გაუმჯობესდა პორტფელის სტრუქტურა უზრუნველყოფის მიმართულებით. კერძოდ, საბლანკო სესხების წილი 18-დან 11 პროცენტამდე შემცირდა.

დიაგრამა N 6.6 დაფინანსების წყარო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.7 აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის დინამიკა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პროდუქტების მიხედვით, რეზერვის ყველაზე მაღალი, 29 პროცენტის მარკენებელი ონლაინ სესხებში დაფიქსირდა, თუმცა აღნიშნული პორტფელის მოცულობის სიმცირის გათვალისწინებით, ეს მთლიანი საკრედიტო პორტფელის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს.


2017 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში შეტანილმა ცვლილებამ ფიზიკურ პირზე 100 000 ლარამდე სესხის უცხოური ვალუტით გაცემის აკრძალვის თაობაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მარკენებლის კლების ტენდენცია განაპირობა.

დიაგრამა N 6.8 არარეზიდენტების სახსრები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.9 ნასესხები სახსრების სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გასულ წელთან შედარებით, აქტივების დაფინანსების სტრუქტურაში ნასესხები სახსრების წილი 63 პროცენტიდან 58 პროცენტამდე შემცირდა (თანხობრივად 109 მლნ ლარით), რაც გარკვეულწილად ახალი რეგულაციების საფუძველზე, დამატებითი კაპიტალიზაციის მოთხოვნით და დამფუძნებლებისგან ნასესხები სახსრების კაპიტალში (არანაკლებ 1 000 000

ლარისა 2019 წლის 1 ივლისამდე) გადატანით იყო განპირობებული.


წინა წელთან შედარებით, ნასესხები სახსრების სტრუქტურაში არარეზიდენტების წილი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 43 პროცენტით განისაზღვრა.

დიაგრამა N 6.10 ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.11 საზედამხედველო კაპიტალი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2019 წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვალდებულებების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა. ბანკებიდან მიღებული ნასესხები სახსრების შემცირება საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულმა სახსრებმა დააკომპენსირა.


ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები 19 პროცენტით შემცირდა (თანხობრივად 67 მილიონი ლარი) და მოზიდული სახსრების 24 პროცენტი შეადგინა. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა.

დიაგრამა N 6.12 ლიკვიდური სახსრები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.13 სახსრების ღირებულება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

„ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ საფუძველზე, მიკროსაფინანსო სექტორისთვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობისა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების მოთხოვნა დაწესდა, რომელთა დაცვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეტაპობრივად, 2019 წლის 30 ივნისისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოეთხოვათ. შედეგად, 2019 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საწესდებო კაპიტალი (39 პროცენტით თანხით 61 მილიონი ლარი), ასევე სუბორდინირებული სესხები (15 პროცენტით, თანხით 6 მლნ ლარი).

წლის განმავლობაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობისა და ნასესხები სახსრების არსებითი კლების ფონზე, სისტემა ლიკვიდურობას ინარჩუნებს, რაც მნიშვნელოვანწილად ლიკვიდობასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციებით იყო განპირობებული, რომელიც 2018 წლიდან ეტაპობრივად შევიდა ძალაში.

2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით, არსებითად არის შემცირებული წმინდა მოგება დაზღვევებამდე, რომელმაც 52 მლნ ლარი შეადგინა. კლების ძირითად მიზეზს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემცირებასთან ერთად,

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზღვრის შემოღებასთან დაკავშირებული რეგულაციები წარმოადგენდა, რამაც სექტორის მომგებიანობის პარამეტრები არსებითად შეამცირა.


ცხრილი N 6.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომგებიანობის მაჩვენებლები

	2018	2019
მარუა	19%	16%
სპრედი	25%	17%

სისტემის წმინდა მოგებამ 112 ათასი ლარი შეადგინა. ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, რენტაბელობის დაბალი მაჩვენებელი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ერთ-ერთი კომპანიის დიდი მოცულობის ზარალს. ამ ორგანიზაციის მაჩვენებლების გარეშე, 2019 წლის ბოლოს სექტორი მომგებიანი იყო, თანხით 42 მლნ ლარი.

საპროცენტო შემოსავლების კლების პარალელურად, მიკროსაფინანსო სექტორში სახსრების ღირებულების შემცირებაც დაფიქსირდა, რაც 2019 წლის განმავლობაში, დაფინანსების სტრუქტურის ცვლილებამ, კერძოდ კი ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული ძვირი რესურსის გასტუმრებამ განაპირობა.

დიაგრამა N 6.14 სახსრების ღირებულების კომპოზიცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლიკვიდაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული რეგულაციის ამოქმედების შემდეგ, 27 ორგანიზაციაში დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი და აქედან 13-ში უკვე დასრულებულია. აღსანიშნავია, რომ ექვს შემთხვევაში ორგანიზაციებმა შეიცვალეს საქმიანობის ფორმა და სესხის გამცემ სუბიექტებად დარეგისტრირდნენ.

2019 წლის განმავლობაში ლიკვიდაციის პროცესი 19 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში დაიწყო, ხოლო 12-ში დასრულდა.

მიკროსაფინანსო სექტორიდან გასული ორგანიზაციების უმეტესობამ, რეგულირების ტვირთის (regulatory burden) შეფასების შემდეგ, მიკროსაფინანსო სექტორიდან სესხის გამცემაში სუბიექტების სექტორში გადასაცვლების გადაწყვეტილება მიიღო, სადაც მათზე უფრო მსუბუქი რეგულაციები ვრცელდება. სანაცვლოდ, სესხის გამცემ სუბიექტებს შეზღუდული აქვთ საქმიანობის სფეროც, მათ შორის ხელმისაწ-

ვდომობა ფიზიკური პირების რესურსებზე და დაბალი გავლენა აქვთ ფინანსური სტაბილურობის რისკებზე.


2019 წელს წინა წლებში დაწყებული 5 საკრედიტო კავშირის ლიკვიდაციის პროცესი დასრულდა.

6.2.2 ვალუტის გადამცვლელი პუნქტები

2019 წელსაც გაგრძელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობის კლების ტენდენცია, რაც, მნიშვნელოვანწილად, აღნიშნული სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით, სარეგისტრაციო/საბედამხედველო მოთხოვნების გამკაცრებას უკავშირდება.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობამ 650 შეადგინა, რომლებიც ფილიალებთან ერთად 847 ლოკაციაზე არიან განთავსებულნი.

დიაგრამა N 6.15 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

6.2.3 საკრედიტო კავშირები

2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბაზარზე ფუნქციონირებას განაგრძობდა 2 საკრედიტო კავშირი, რომელთა აქტივების ჯამური ოდენობა 1.5 მილიონ ლარს შეადგენდა.

„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის 23 დეკემბერს შესული ცვლილებების მიხედვით, საკრედიტო კავშირის საქმიანობის ერთ-ერთ პრინციპად ერთი და იმავე თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანება განისაზღვრა. ამასთან, დადგინდა საკრედიტო კავშირის წევრთა რაოდენობის ლიმიტი, რომელიც 200-ს არ უნდა აღემატებოდეს. ცვლილებების ძირითადი მიზანია, რომ საკრედიტო კავშირში წევრთა გაერთიანება მოხდეს რეალური საერთო მიზნების და საჭიროებებიდან გამომდინარე და არა მხოლოდ საკრედიტო კავშირის წევრებისაგან დეპოზიტების მოსაზიდად.

ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა, გარკვეულწილად, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სექტორში განვითარებულ მოვლენებზე იქონია გავლენა. კერძოდ, ლიცენზირებული რვა საკრედიტო კავშირიდან ხუთს, საკუთარი წერილობითი განცხადების საფუძველზე, საქმიანობის ლიცენზია გაუქმდა და მათი ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო. ხოლო ერთ შემთხვევაში, საკრედიტო კავშირის ლიცენზიის გაუქმება და ლიკვიდაციის დაწყება ეროვნული ბანკის საზედამხედველო ქმედებებს უკავშირდებოდა.

6.2.4 სესხის გამცემი სუბიექტები

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 2017 წლის 23

დეკემბრის ცვლილების შედეგად, საქართველოს ეროვნულ ბანკს მიეცა უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს სესხის გამცემი სუბიექტის საქმიანობას, რაც სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციას და რეგისტრაციის გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, წერილობითი მითითებების გაცემას, მოთხოვნების, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას ითვალისწინებს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის N217/04 ბრძანებით დამტკიცდა „სესხის გამცემი სუბიექტების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი“. სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციაზე განაცხადების მიღება 2018 წლის 20 დეკემბრიდან დაიწყო, ხოლო რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირებისთვის განაცხადის ეროვნულ ბანკში შემოტანის ბოლო ვადად 2019 წლის 30 აპრილი განისაზღვრა.


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობამ 204 შეადგინა, რომლებიც ფილიალურად ერთად 378 ლოკაციაზე არიან განთავსებულნი.

სექტორის მთლიანი აქტივები, თანხით 488 მლნ ლარი, არსებითად ფინანსდება დამფუძნებლის სახსრებითა და საფინანსო სექტორიდან მოზიდული რესურსით.

სესხის გამცემი სუბიექტების ნასესხები სახსრები ძირითადად რეზიდენტებისგან მოზიდული რესურსითაა წარმოდგენილი.

სესხის გამცემი სუბიექტების საკრედიტო პორტფელის 68 პროცენტი (თანხობრივად 182 მლნ ლარი) ლომბარდული სესხებია, ხოლო სოფ-


დიაგრამა N 6.16 სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობა, მთლიანი აქტივები და საკრედიტო პორტფელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლის მეურნეობის, ვაჭრობა-მომსახურებისა და ბიზნესის მიმართულებით გაცემული სესხები მთლიანი საკრედიტო პორტფელის მხოლოდ 9 პროცენტს შეადგენს, თანხით 36 მლნ ლარი.

დიაგრამა N 6.17 სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.18 არარეზიდენტების წილი მობილულ სახსრებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 6.19 საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



7

ფასიანი ქალაქდების ბაზარი



7. ფასიანი ქაღალდების ბაზარი

7.1 ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები


ბოლო წლებში შესამჩნევია სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა. ბოლო 5 წლის განმავლობაში, ადგილობრივი სახაზინო და კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზომა დაახლოებით 14-ჯერ გაიზარდა, რაც, შესაბამისად, წლიურ 31 და 69 პროცენტთან ზრდას წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ კაპიტალის ბაზრის ზრდის ტენდენციას ასევე საპენსიო რეფორმაც დაეხმარება, რაც, თავის მხრივ, უპრეცედენტო მასშტაბის გრძელვადიანი დაფინანსების ინ-

ლირებელი პრინციპების ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას უზრუნველყოფენ.

ობლიგაციების ბაზარი

2019 წლის განმავლობაში კომერციული ობლიგაციების ადგილობრივი ბაზარი 25 პროცენტით გაიზარდა და მისმა ზომამ მთლიანი შიდა პროდუქტის 4.02 პროცენტი შეადგინა (კორპორაციული ობლიგაციების ზრდა: 21 პროცენტი; ზომა მშპ-სთან მიმართებით: 1.55 პროცენტი). გამოშვებული კომერციული ობლიგაციების 63 პროცენტს ფინანსური ინსტიტუტების (მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჩათვლით) ლარით

დიაგრამა N 7.1 კომერციული ობლიგაციების ნაშთები პერიოდის ბოლოს (2014-2019)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; Bloomberg.

სტრუქტურულ წარმოადგენს. საქართველოს კაპიტალის ბაზრის სამომავლო წარმატებაში ასევე დიდ როლს ითამაშებს მიმდინარე რეფორმა, რომლის ფარგლებშიც ეტაპობრივად განახლდება შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა და რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ. 2019 წელს დასრულდა საკანონმდებლო ჩარჩოს პროექტები, რომლებიც საინვესტიციო ფონდებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარგუ-

დენომინირებული ობლიგაციები შეადგენს (იხ. დიაგრამა N 7.1).

2019 წლის განმავლობაში BB/BB-რეიტინგის მქონე კომპანიების ობლიგაციების ნაშთები წინა წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. ჯამში, ემიტენტი კომპანიებიდან, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების საშუალოდ 60 პროცენტს აქვს საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო კომპანიების მიერ მინიჭებული რეიტინგი (Fitch, Scope)¹¹⁵.

დიაგრამა N 7.2 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების მიხედვით (2014-2019)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ადგილობრივი ვალუტის ობლიგაციების ბაზრის განვითარებაში სასაზირო ობლიგაციების როლი საკმაოდ დიდია. აღსანიშნავია, რომ ამ სეგმენტშიც 2019 წელს მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქ-

სირდა და მისმა მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 7.8 პროცენტს მიაღწია (იხ. დიაგრამა N 7.3 და 7.4).


დიაგრამა N 7.3 სასაზირო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქსტატი

115 არსებული ემიტენტების ქრილში, შეიცვალა 2 ემიტენტის საკრედიტო რეიტინგი (2019 წელს ერთ-ერთს გაუუქმდა საკრედიტო რეიტინგი, ხოლო მეორეს მიენიჭა); დამატებით, 2019 წელს 1 ბიჭით შემცირდა ერთ-ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებული ობლიგაციების რეიტინგი, თუმცა თავად ემიტენტის რეიტინგი უცვლელად დარჩა.

დიაგრამა N 7.4 სახაზინო და კორპორატიული საგალო ფასიანი ქაღალდები შერჩეულ ევროპის ქვეყნებში მშპ-სთან მიმართებით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; შესაბამისი ქვეყნების საზედამხებელო ორგანოები და საფონდო ბირჟები.

2019 წელს ადგილობრივი ბაზრის ლიკვიდურობის მარკენებლების გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა აღნიშნული მარკენებელი ობლიგაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისთვის განსხვავებულია. კორპორატიული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მარკენებელი ლარით დენომინირებულს

მნიშვნელოვნად აჭარბებს. რაც შეეხება სახაზინო ობლიგაციებს, 2019 წელს მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული ძირითადად, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს უკავშირდება, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მომატებულ საპროცენტო განაკვეთებთან ერთად, გაზრდილია არარეზიდენტი ინვესტორების წილი (იხ. დიაგრამა N7.5 და 7.6).


დიაგრამა N 7.5 საქართველოში გამოშვებული საგალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა¹¹⁶



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა

116 გრაფიკზე მეორადი ბაზრის აქტივობა გამოსახულია წლის განმავლობაში მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობის ფასიანი ქაღალდების საშუალო წლიურ ნაშთებთან შეფარდებით.

დიაგრამა N 7.6 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაწილება მფლობელობის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა

7.2 ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა


2019 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობდა 2 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 10 საბროკერო კომპანია (მათგან ერთი კომერციული ბანკი) და 4

ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი. 10 საბროკერო კომპანიიდან 4 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო.

საბროკერო კომპანიები

სასესხო ფასიანი ქაღალდების ბაზრის გააქტიურებამ გავლენა იქონია ბაზრის შუამავლების

დიაგრამა N 7.7 საბროკერო კომპანიების ჯამური აქტივების დინამიკა წლების მიხედვით (2010-2019)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აქტივობის ზრდაზეც. 2019 წლის 31 დეკემბრის-თვის მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობამ 146.7 მილიონი ლარი შეადგინა.

2019 მდგომარეობით, საბროკერო კომპანიების კლიენტების ჯამური რაოდენობა 6012-ს შეადგენდა, რომლებშიც ძირითადი წილი (82 პროცენტი) რეზიდენტ ფიზიკური პირებზე მოდიოდა.

ცხრილი N 7.1 საბროკერო კომპანიების კლიენტების გადანაწილება

	რეზიდენტი	არარეზიდენტი
ფიზიკური პირი	4,909.00	793.00
იურიდიული პირი	173.00	137.00
ჯამი	5,082.00	930.00

საბროკერო კომპანიების ჩანაწერებში დაფიქსირებული კლიენტების კუთვნილი ფასიანი ქაღალდების ჯამური ოდენობა 2019 წლის ბოლოს 2.32 მლრდ ცალ ფასიან ქაღალდს შეადგენდა,

რომელთა ჯამური ღირებულება 4.39 მლრდ ლარი იყო. აღნიშნულში ძირითადი წილი (51 პროცენტი) იურიდიული პირების მიერ შექმნილ ადგილობრივ ფასიან ქაღალდებზე მოდიოდა.

ცხრილი N 7.2 საბროკერო კომპანიების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება (ლარი)

	რეზიდენტი	არარეზიდენტი
ფიზიკური პირების ადგილობრივი ქაღალდები	228,254,743.12	203,334,919.86
იურიდიული პირების ადგილობრივი ქაღალდები	1,762,203,633.35	411,837,499.20
ფიზიკური პირების უცხოური ქაღალდები	462,929,330.96	365,304,253.49
იურიდიული პირების უცხოური ქაღალდები	163,740,179.21	640,913,629.92
ჯამი	2,617,127,886.65	1,621,390,302.47

საბროკერო კომპანიების მიერ საქართველოს საფონდო ბირჟაზე დადებული საბირჟო და არასაბირჟო გარიგებათა ღირებულებამ 113.77 მლნ ლარი შეადგინა (1534.71 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესი-

ებზე 0.06 მლნ ლარის გარიგება (1.65 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი), ხოლო ბირჟის გარეთ 113.71 მლნ ლარის გარიგება (1533.06 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი) დაიდო.

ცხრილი N 7.3 საბროკერო კომპანიების ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (2019 წ)

საბროკერო კომპანიის დასახელება	გარიგებების რაოდენობა (ცალი)	ფასიანი ქაღალდების რაოდენობა (ცალი)	ღირებულება (ლარი)
შპს „თიბისი“ კაპიტალი	20	50 432	17 279 568
სს „გალტ ენდ თაგარტი“	166	726 386 906	77 673 405
სს “კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“	67	1 685 813	1 793 091
სს “ჰერითიჯ სიქიურითიზ“	62	806 596 748	17 027 789
სულ	315	1 534 719 899	113 773 853

საფონდო ბირჟა


2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული იყო 35 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი. საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულებამ 109.19 მლნ ლარი შეადგინა (815.96 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიაზე დაიდო 0.05 მლნ

ლარის გარიგება, ხოლო ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების ღირებულებამ 109.14 მლნ ლარი შეადგინა. დაფიქსირებულ გარიგებებში, გარდა საბროკერო კომპანიების მიერ განხორციელებული ტრანზაქციებისა, შესულია 2019 წლის განმავლობაში რეგისტრატორების მიერ განხორციელებული 5 გარიგება 100,824 ცალ ფასიან ქაღალდზე. გარიგებების საერთო ღირებულებამ 9.2 მლნ ლარი შეადგინა.

ცხრილი N 7.4 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მარგენებლების მიხედვით (2018-2019 წ)


წელი	გარიგების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების ღირებულება (ლარი)	
	2019	2018	2019	2018	2019	2018
საბირჟო	56	133	1 185 044	2 851 935	45 717	1 425 925
დაფიქსირებული	224	215	814 772 528	60 375 060	109 141 165	1 197 286 628
სულ	280	348	815 957 572	63 226 995	109 186 882	945 623 382

დიაგრამა N 7.8 ვაჭრობის ძირითადი მარგენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2010-2019 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 7.9 საჯარო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით (2010–2019 წ)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცენტრალური დეპოზიტარი

2019 წელს ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული იყო 721.6 მლნ ფასიანი ქაღალდი და 0.96 მლნ ლარი. აქედან, ფულადი დეპონირების ტრანზაქციების 57 პროცენტი და საერთო თანხის 90 პროცენტი განხორციელდა სს „საქართველოს ბანკის“ მონაწილეობით. წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით,

ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებულ ფასიან ქაღალდებზე ტრანზაქციების რაოდენობა შემცირებულია 18.6 პროცენტით, ხოლო რაოდენობა გაზრდილია 719.3 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდით. აღნიშნული ზრდის გამომწვევი იყო ერთჯერადი დეპონირების ოპერაცია ერთ-ერთი ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე, რომლის წილიც დეპონირებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის 99 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა N 7.10 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2010-2019 წ)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო წელს ცენტრალურ დეპოზიტარში ფულადი სახსრების ბრუნვა 0.11 მლნ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება ფულადი სახსრების ტრანზაქციების რაოდენობას, აღნიშნული მაჩვენებელიც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 59 პროცენტით შემცირდა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის მოცულობამ 507 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა წლის განმავლობაში აკუმულირდებოდა კომერციულ ბანკებსა და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. 2019 წლის

დიაგრამა N 7.11 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2010-2019 წ)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

7.3 საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა

2018 წელს განხორციელებული საპენსიო რეფორმის შედეგად, საპენსიო სააგენტომ საპენსიო სქემის მონაწილეთა თანხების შეგროვება და ადმინისტრირება 2019 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო.

საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობას საინვესტიციო საბჭო უზრუნველყოფს, რომლის ხუთკაციანი შემადგენლობა საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 11 მაისს დაამტკიცა. კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, საინვესტიციო საბჭო პასუხისმგებელია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, როგორცაა საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა (საინვესტიციო სტრატეგიისა და რისკების ჩარჩოს ჩათვლით), მთავარი საინვესტიციო ოფიცრის დანიშვნა, სპეციალიზებული დეპოზიტარის და აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევა და საინვესტიციო საქმიანობის საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

განმავლობაში მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხვებზე სარგებელზე ჯამურად 17 მილიონი ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 7.5 პროცენტი წლიური ამონაგების ტოლფასია.

საპენსიო სააგენტომ საინვესტიციო საქმიანობა 2020 წლის თებერვლიდან დაიწყო, 2020 წლის 22 იანვარს დამტკიცებული დროებითი საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში. 2019 წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა საპენსიო სააგენტოს სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სპეციალიზებული დეპოზიტარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საპენსიო სქემის გამართულად ფუნქციონირებაში. “დაგროვებითი პენსიის შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალიზებულ დეპოზიტარს, როგორც დამოუკიდებელ მხარეს, ევალება, რომ უზრუნველყოს საპენსიო სქემის აქტივების (ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები) მიღება, შენახვა, აღრიცხვა და მათზე საკუთრების უფლების დადასტურება, საპენსიო

სააგენტოს მიერ მიცემულ ინსტრუქციების შესრულება, საინვესტიციო პოლიტიკითა და კანონით დადგენილი მოთხოვნების მონიტორინგი, და სხვა.

სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობა საქართველოში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტებისთვის შედარებით ახალი ტიპის სერვისის წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით და ბაზრის მონაწილეებისათვის სპეციალიზებული დეპოზიტარის როლისა და ფუნქციის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით სამუშაო შეხვედრები გაიმართა. განხილვებში აქტიურად მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო კომპანიის "State Street"-ის წარმომადგენლები.

2019 წლის განმავლობაში, საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს წევრებსა და ბაზრის მონაწილეებთან აქტიურად განიხილებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. მარეგულირებელი ჩარჩოსა და სახედასხედელო მიდგომების შემდგომი დახვეწის და საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, 2019 წლის დეკემბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი საპენსიო ფონდების ზედამხედველების საერთაშორისო ორგანიზაციის მმართველი წევრი (Governing Member of The International Organization of Pension Supervisors, IOPS) გახდა. IOPS-ის წევრობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რაც ეროვნულ ბანკს შესაძლებლობას მისცემს სხვა წევრი ქვეყნების მიერ საპენსიო ფონდების რეგულირების სფეროში დაგროვილი გამოცდილება გაიზიაროს.

ჩანართი 12 საპენსიო რეფორმის მიმოხილვა: საერთაშორისო გამოცდილება

მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე, საპენსიო პოლიტიკამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეიძინა. მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივებასა და შობადობის შემცირებასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა საპენსიო სისტემების რეფორმის საჭიროება, რომლის მთავარი მიზანი ფისკალური წნეხის შემცირება და სათანადო საპენსიო შემოსავლების უზრუნველყოფაა. საპენსიო სისტემის მოწყობის თვალსაზრისით, არ არსებობს ერთი უნივერსალური მოდელი, რამდენადაც მის ჩამოყალიბებას ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ფაქტორები და გამოწვევები

ბი განსაზღვრავს. მიუხედავად აღნიშნული განსხვავებებისა, ქვეყნების საპენსიო სისტემების შედარებისა და შეფასებისთვის მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სამპილარიანი ჩარჩო¹¹⁷ გამოიყენება.

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც სამპილარიან სისტემას ხანგრძლივი და ფართო გამოყენება აქვს, განვითარებად ქვეყნებში საპენსიო რეფორმა 80-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საპენსიო რეფორმის ძირითადი ტალღა 1998-2006 წლებში განხორციელდა (იხ. ცხრილი N 7.5).

საქართველოში რეფორმის განხორციელებამდე, სოციალური ტიპის საპენსიო სისტემა მოქმედებდა და, შესაბამისად, საპენსიო გაცემები მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. კერძო საპენსიო დანაზოგების მოცულობა კი უმნიშვნელო იყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, მნიშვნელოვანი დემოგრაფიული გამოწვევების წინაშე დგას, რაც მოსახლეობის დაბერებასა და სამუშაო ძალის ხვედრითი წილის კლებად ტრენდში გამოიხატება. გაეროს მიერ მომზადებული მოსახლეობის დემოგრაფიული კვლევების მიხედვით, ასაკზე დამოკიდებულების კოეფიციენტი (Old-age dependency ratio) საქართველოში 2020 წელს 24 პროცენტულ პუნქტს შეადგენს, რამაც საშუალო შობადობის ტემპის გათვალისწინებით 2100 წლისათვის შესაძლოა 53 პროცენტულ პუნქტს მიაღწიოს. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ყოველ 100 ადამიანზე, რომელთა ასაკიც 15-64 შუალედში მერყეობს, 53 საპენსიო ასაკის (>=65) მქონე ადამიანი იქნება (ე.ი. ყოველი 3 მოქალაქიდან, 1 პენსიონერი იქნება) (დიაგრამა N7.12).

მსგავს პირობებში, მხოლოდ სოციალური საპენსიო სისტემის (ე.წ. პილარ 1) არსებობა ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ ეფექტიან რეაგირებას და სათანადო

117 სამპილარიანი ჩარჩო - პილარ 1-ში იგულისხმება სახელმწიფო გადანაწილებითი პენსია, ანუ სოციალური პენსია (pay as you go). პილარ 2-ში, როგორც წესი, განიხილება ინდივიდუალური შემნახველი ანგარიშები (მაგ. განსაზღვრული შენატანის მქონე ფონდი), რომელიც როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობით სქემებს მოიცავს. პილარ 3 სხვადასხვა ფორმით შეიძლება ჩამოყალიბდეს (მაგ. ინდივიდუალური საპენსიო დანაზოგის სისტემა, დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული სქემა; განსაზღვრული სარგებელის ან განსაზღვრული შენატანის მქონე სქემა), თუმცა თითოეული მათგანი დანარჩენ ორ პილართან შედარებით არსებითად მოქნილი და დისკრეციული ხასიათისაა.

ცხრილი N 7.5 სავალდებულო საპენსიო სისტემები აღმოსავლეთ ევროპაში


ქვეყანა	იმპლემენტაციის თარიღი	დარიცხული ხელფასიდან სავალდებულო შენატანი საპენსიო ფონდში (პროცენტი)	
		ამოქმედების პერიოდში	2008 წლისათვის
უნგრეთი	იან. 1998	6.0	8.0
პოლონეთი	იან. 1999	7.3	7.3
ლატვია	ივლ. 2001	2.0	8.0
ბულგარეთი	აპრ. 2002	2.0	5.0
ხორვატია	მაი. 2002	5.0	5.0
ესტონეთი	ივლ. 2002	6.0	6.0
ლიეტუვა	იან. 2004	2.5	5.5
სლოვაკეთი	აპრ. 2005	9.0	9.0

წყარო: ნაციონალური საბედადმხედველო ორგანოები

ნადო საპენსიო შემოსავლების დონეს. ამდენად 2019 წელს ამოქმედებული სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. საპენსიო რეფორმაში ჩართვა სავალდებულო გახდა 60 წლამდე (ქალების შემთხვევაში 55 წლამდე) ყველა დასაქმებული-სათვის. რეფორმა ნებაყოფლობითი სახისაა ყველა თვითდასაქმებულისთვის და იმ დასაქ-

დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო თითოეული დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2 პროცენტის ოდენობის შენატანს ახორციელებენ. რაც შეეხება თვითდასაქმებულ პირებს, მათი შენატანები საკუთარი შემოსავლის 4%-ს შეადგენს, რასაც სახელმწიფოს მიერ დასაბეგრი შემოსავლის 2 პროცენტიანი შენატანი ემატება.

დიაგრამა N 7.12 ასაკზე დამოკიდებულების კოეფიციენტის (old-age dependency ratio) მიმდინარე და სამომავლო მაჩვენებლები.




წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია: "მსოფლიო მოსახლეობის მომავალი ტენდენციები 2019"

მებულათვის, რომლებსაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალების შემთხვევაში 55 წელი). ასევე, რეფორმის ამოქმედებიდან 3 თვის შემდეგ იმ დასაქმებულ მოქალაქეებს, რომლებსაც კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდათ 40 წელი, ნებაყოფლობით შეეძლოთ სისტემის დატოვება. სქემის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე

2019 წლის ბოლოსათვის დაგროვებითი საპენსიო ფონდის აქტივების მოცულობამ მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით 1.03 პროცენტი შეადგინა. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების პროგნოზისა და, პირობითად, 7 პროცენტიანი წლიური სარგებლის განაკვეთის გათვალისწინებით, 2029 წლის ბოლოსათვის აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გა-

დიაგრამა N 7.13 საპენსიო ფონდის აქტივების შეფარდება მშპ-სთან (პროცენტი)



წყარო: OECD: "Pension Market in Focus- 2019"; საპენსიო სააგენტო; საქართველოს ეროვნული ბანკი

* 2008 ან პირველი ხელმისაწვდომი წელი; 2018 ან ბოლო ხელმისაწვდომი წელი

იზრდება და 11.5 პროცენტთან ნიშნულს (მშპ-სთან შეფარდებით) მიაღწევს. შესაბამისად, თუკი მომავალი 10 წლის მანძილზე მოვლენები მსგავსი სცენარით განვითარდება, საქართველოს პილარ 2 საპენსიო სიტემა, ზრდის ტემპების მიხედვით სხვა ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს დაუახლოვდება.


საპენსიო და, ზოგადად, გრძელვადიანი დანაზოგების აკუმულირებას მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზეც. გრძელვადიანი და განჭვრეტადი დანაზოგები ხელს უწყობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ზრდას, ასევე კაპიტალის ბაზრების განვითარებას. ამ მხრივ, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში საპენსიო სააგენტო მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს, როგორც ინსტიტუციური მოთამაშე, და ხელს შეუწყობს საქართველოში ფინანსური სექტორის გაღრმავებას (დიაგრამა 7.14 და 7.15):

საპენსიო რეფორმის წარმატებასა და ეფექტიანობას მრავალი ფაქტორის ერთობლიობა განსაზღვრავს, თუმცა, გარკვეული კრიტერიუმები მის შეფასებაში განსაკუთრებულად დიდ როლს თამაშობენ. მათ შორის, აღსანიშნავია საპენსიო სისტემის ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა და მდგრადობა. ადეკვატური სისტემა გულისხმობს საპენსიო განაცემების ისეთ დონე

ნეს, რომელიც საპენსიო ასაკის მოსახლეობის უმრავლესობისთვის სიღარიბის აღმოფხვრასა და ცხოვრების მანძილზე მოხმარების ერთგვაროვან გადანაწილებას უზრუნველყოფს. ამასთან, მნიშვნელოვანია, საპენსიო სისტემის ფართო მასებისთვის ადვილი ხელმისაწვდომობა და დაკავშირებული ფისკალური დანახარჯების მისაღები დონის შენარჩუნება. მდგრადობა საპენსიო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია და გულისხმობს მის გამართულ ფინანსურ შესაძლებლობას გრძელვადიან პერსპექტივაში და გამძლეობას ეკონომიკური, დემოგრაფიული თუ პოლიტიკური შოკების მიმართ. ეფექტიანობის თვალსაზრისით, ბოლო წლებში ქვეყნების საპენსიო სისტემები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა, რაც, ერთი მხრივ, მიმდინარე დემოგრაფიული ძვრებით, მეორე მხრივ, კი მსოფლიო ბაზრებზე არსებული დაბალი საპროცენტო განაკვეთებით არის გამოწვეული.

წმინდა ჩანაცვლების კოეფიციენტი საპენსიო სისტემების ეფექტიანობისა და მდგრადობის შესაფასებლად ფართოდ გამოყენებადი მაჩვენებელია. ეს მაჩვენებელი ასახავს მოსალოდნელი ყოველთვიური პენსიის ფარდობას ყოველთვიური შემოსავლის (გადასახადების გამოკლებით) დონესთან, პირის პენსიაზე გავლის მომენტისათვის. წმინდა ჩანაცვლების კოეფიციენტის შეფასება ისეთ დაშვებებსა და

დიაგრამა N 7.14 საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - საქართველო




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

პროგნოზებს ეფუძნება, როგორც არის მოსალოდნელი ხელფასის დონე, საპენსიო შენატანების მოცულობა, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა, ინფლაცია, საპენსიო აქტივებზე ამონაგების განაკვეთი და საპენსიო ასაკამდე დარჩენილი წლების რაოდენობა.


რამდენადაც აღნიშნული მაჩვენებლის შეფასება გრძელვადიან პერსპექტივაში ხდება, მისი სენსიტიურობა მაღალია ისეთი დაშვებების მიმართ, როგორც არის საპენსიო შენატანების წილი და საპენსიო აქტივებზე ამონაგების განაკვეთი.

დიაგრამა N 7.15 საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - ევროზონა



წყარო: ევროპის ცენტრალური ბანკი

დიაგრამა N 7.16 წმინდა ჩანაცვლების კოეფიციენტები მოცემული ქვეყნებისათვის



წყარო: OECD: "Pension at Glance -2019"; ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N7.16 ასახავს ქვეყნების მიხედვით წმინდა ჩანაცვლების კოეფიციენტს 2058-59 წლებისათვის¹¹⁸, სადაც საქართველოს მაგალითზე სამი სცენარია განხილული. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ შენატანების არსებული დონის გათვალისწინებით, საქართველოს მაჩვენებელი დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილე პირებისთვის საშუალოდ 50 პროცენტიან ჩანაცვლების დონეს უზრუნველყოფს (სხვადასხვა სცენარების გათვალისწინებით), რაც სხვა ქვეყნების მაჩვენებლების საშუალო ტრენდთან ახლოს არის.

საქართველოს წმინდა ჩანაცვლების კოეფიციენტისათვის განხილულია 3 სცენარი. აქედან, სცენარი 1 OECD-ის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულ დაშვებებს ეფუძნება, ხოლო სცენარი 2 და 3-ის შეფასებისას კი გამოყენებულია ისეთი დაშვებები, რომლებიც მეტად მიესადაგება საქართველოს რეალურ ეკონომიკურ გარემოს.

ძირითადი განმასხვავებელი პარამეტრი სცენარი 2 და 3-ათვის არის სარგებლის განაკვეთი საპენსიო აქტივებზე:


118 საქართველოსათვის განხილულია 2059 წელი, სხვა ქვეყნებისათვის 2058 წელი.

სცენარი	სარგებლის განაკვეთი საპენსიო აქტივებზე
სცენარი 2	7%
სცენარი 3	9%

მე-2 და მე-3 სცენარებში გამოყენებული ხელფასის ზრდის ტემპი მოსალოდნელი ინფლაციისა (3 პროცენტი) და ეკონომიკური ზრდის (5 პროცენტი) მაჩვენებლებს ეფუძნება. პენსიაზე გასული ადამიანის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 15 წელს შეადგენს. პირველ სცენარში გამოყენებულია OECD მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული დაშვებები, სადაც ინფლაცია 2 პროცენტს, ეკონომიკური ზრდა 1.25 პროცენტს და საპენსიო აქტივებზე რეალური ამონაგების განაკვეთი 3 პროცენტს შეადგენს. შესაძარისი ქვეყნების მონაცემებიც ანალოგიურ დაშვებებს ეფუძნება.


აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი საპენსიო რეფორმა პილარ 1 სისტემის შენარჩუნებასაც ითვალისწინებს, როგორც დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართული, ასევე სქემის გარეთ მყოფი პირებისთვის. შესაბამისად, საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული ფისკალური ხარჯები ორივე პილარით გამოწვეულ სახელმწიფო დანახარჯებს აერთიანებს. დიაგრამა N7.6 ასახავს საპენსიო სისტემაზე გაწეული

დიაგრამა N 7.17 საპენსიო დანახარტების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში¹¹⁹



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საპენსიო სააგენტო; საქართველოს ეროვნული ბანკი; UN

დიაგრამა N 7.18 საპენსიო უზრუნველყოფაზე გაწეული საჯარო დანახარტების არსებული და მოსალოდნე-ლი დონეები მოცემულ ქვეყნებში 2013, 2040 და 2060 წლებისათვის (მშპ-ის პ.პ.)



წყარო: The 2015 Ageing Report: Economic and budgetary projections for the EU28 Member States (2013-2060)

ფისკალური ხარჯების წილს მთლიან ბიუჯეტის დანახარტებში 2030 წლისთვის. ამ მხრივ, მოსალოდნელი დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილების გათვალისწინებით, საპროგნოზო მანგვნებელი ფისკალური წნეხის ზრდაზე მიუთითებს.

119 ჯამური ფისკალური ხარჯებისა და პილარ 1 საპენსიო განაცემების ზრდის შესაფასებლად წარმოდგენილი პროგნოზი ითვალისწინებს შემდეგ დაშვებებს: პირველი 5 წლის მოსალოდნელი ზრდა ფინანსთა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ 2019 წელს ამოქმედებული საპენსიო რეფორმა სამინისტროს პროგნოზებს ეფუძნება, ხოლო მომავალი წლებისათვის 7 პროცენტიანი საშუალო ნომინალური ზრდის მანგვნებელია გამოყენებული. პენსიონერთა მომავალი წლების რიცხოვნობა ეყრდნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ზრდის ტენდენციების შეფასებებს. პილარ 2 საპენსიო დანახარტების შეფასება ეყრდნობა დასაქმებულთა ხელფასების წლიური 5 პროცენტიანი ზრდის დაშვებას.


მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია სა-შუალო/გრძელვადიან პერიოდში სოციალური დისბალანსისა და ფისკალური წნეხის შემცირების კუთხით. თუმცა, შემდგომი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია სისტემურად შეფასდეს საპენსიო პოლიტიკის ეფექტურობა, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორც არ-

ის დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებები, მოსალოდნელი ფისკალური დანახარჯები და უთანასწორობის გეპი პილარ 1-სა და პილარ 2-ის მონაწილეებს შორის. აღნიშნული ანალიზი ხელს შეუწყობს საპენსიო პოლიტიკის შემდგომ დახვეწასა და დამატებითი მექანიზმების ამოქმედების საჭიროების განსაზღვრას.



8

ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა



8. ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა

2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო ჩარჩო“, რომლის მიზანს ეფექტიანი, რისკზე ორიენტირებული საზედამხედველო პროცესის ორგანიზება, ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიდგომის გამჭვირვალობის გაზრდა და საზედამხედველო ქმედებების მიმართ სწორი მოლოდინების შექმნა წარმოადგენს. საზედამხედველო ჩარჩოს მიხედვით, საზედამხედველო ყურადღების დონეები და რისკის შესაბამისი, ეფექტიანი საზედამხედველო ღონისძიებები განისაზღვრა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საზედამხედველო ყურადღების დონეების განსაზღვრას რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირების და შეფასების უწყვეტი პროცესი უდევს საფუძვლად. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით ზედამხედველობას დაქვემდებარებული თითოეული სუბიექტისგან (ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გარდა) ორჯერ მიიღო და დაამუშავა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგება. რაც შეეხება ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, აღნიშნული სექტორის დისტანციური ზედამხედველობა 2018 წელს დაინერგა და, შესაბამისად, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მათი ანგარიშგებების მიღება და დამუშავება 2019 წელს პირველად განხორციელდა.

2019 წლის განმავლობაში განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებები მოიცავდა როგორც კომპლექსურ, ისე თემატურ, სპეციალურ და საკონტროლო ტიპის ადგილზე შემოწმებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გამოვლენილი დარღვევების გამოსწორებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დისტანციური ტიპის საკონტროლო (ე.წ. follow-up) შემოწმებები დაინერგა და მოცემულმა საზედამხედველო ღონისძიების გამოყენებამ საქართველოს ეროვნულ ბანკის საზედამხედველო რესურსების კიდევ უფრო ეფექტიან გადანაწილებას და ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების ფულის გათეთრების

წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ეტაპობრივ ამაღლებას შეუწყო ხელი.

მიმდინარე წელს, სექტორების მიხედვით იდენტიფიცირებული საფრთხეებისა და სისუსტეების შესაბამისად, ადგილზე შემოწმებებისას, შემდეგი თემების შესწავლაზე გაკეთდა აქცენტი:

კომერციული ბანკების შემთხვევაში:

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესი და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ადეკვატურობა;
- რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის პროცესი;
- საკორესპონდენტო ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესის ეფექტიანობა;
- ელექტრონულ კომერციასთან ასოცირებული რისკების მართვის პროცესის ეფექტიანობა;
- ორგანიზაციის ცოდნა საერთაშორისო ტრანზაქციების (მათ შორის, ოფშორულ და საყურადღებო ზონებთან დაკავშირებული) შესახებ;
- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა).

საგადახდო მომსახურების პროვაიდერების შემთხვევაში:

- კლიენტების (განსაკუთრებით კონტრაქტორები, მაღალშემოსავლიანი პირები) რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- შეთავაზებულ პროდუქტებთან დაკავშირებული რისკები და მათი მიტიგაციის ზომების ეფექტურობა;
- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის,

გაეროს რეზოლუციების იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა).

საბროკერო კომპანიების შემთხვევაში:

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- საბროკერო კომპანიის ცოდნა შუამავლების შესახებ და მათი მეშვეობით განხორციელებული გარიგებების მონიტორინგის პროცესის ადეკვატურობა;
- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში:

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- მოზიდული სახსრების წარმომავლობის დადგენის მიზნით, ორგანიზაციის მიერ გატარებული პრევენციული ზომების ადეკვატურობა;
- საერთაშორისო ტრანზაქციების (მათ შორის, ოფშორულ და საყურადღებო ზონებთან დაკავშირებული) შესახებ ორგანიზაციის ცოდნა;
- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა).

ვალუტის გადამცვლელი პუნქტები:

- იურიდიული და არარეზიდენტი ფიზიკური პირების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის და რისკის შესაბამისი იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურების ადეკვატურობა;
- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა).

ხაზგასასმელია, რომ 2019 წლის განმავლობაში, პრიორიტეტულად განისაზღვრა იმ არასაბანკო დაწესებულებების თემატური ინსპექტირება, რომელთა მფლობელობის და მმართველობის სტრუქტურაში არარეზიდენტი პირები ფიგურირებდნენ.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის, 2019 წლის განმავლობაში შემოწმდა საფინანსო სექტორის 61 წარმომადგენელი, მათ შორის საგადახდო მომსახურების 9 პროვაიდერი, რომლის ინსპექტირება 2018 წელს დაიწყო და დასრულდა 2019 წელს. დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობამ 1 698 800 ლარი შეადგინა.

დიაგრამა N 8.1 ჯარიმების მოცულობა, 2019 წ.

საფინანსო სექტორი	ჯარიმის მოცულობა (ლარი)
კომერციული ბანკი	726 000
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	539 300
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	256 400
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	177 100

2019 წელს ცვლილებები განხორციელდა „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესში“, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა სანქციათა რეჟიმის ეფექტიანობა. ცვლილებების თანახმად, დარღვევები განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიებად დაიყო და თითოეული კატეგორიის დარღვევისათვის დარღვევის სიმძიმის შესაბამისი სანქცია განისაზღვრა, ასევე განისაზღვრა ჯარიმები დარღვევის განმეორების და სისტემურობის შემთხვევებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მოთხოვნის დარღვევის გამო ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისთვის დაკისრებული სანქციების შესახებ ინფორმაცია 2019 წლის 1 ნოემბრიდან ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას ექვემდებარება.

საქართველოს ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციული საზედამხებდველო ზომების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს საზედამხებდველო მოლოდი-

ნების შესახებ საფინანსო სექტორის წარმომადგენლების სისტემატურ ინფორმირებას და მათი შესაბამისობის დონის ამაღლებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სექტორებში შესაბამისობის კულტურის ამაღლების მიზნით, 2019 წლის განმავლობაში შემუშავდა/განახლდა შემდეგი მეთოდური სახელმძღვანელოები:

- **უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების სახელმძღვანელო.** სახელმძღვანელო მიზანია დაეხმაროს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს რისკების ადეკვატურ შეფასებაში და ამ მიზნით, განსაზღვრავს იმ ფაქტორების ჩამონათვალს, რომელიც საფინანსო სექტორის წარმომადგენელმა უნდა გაითვალისწინოს, როგორც საკუთარი ორგანიზაციული და ჯგუფის დონეზე რისკების, ასევე, კლიენტების მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებული ფულის გათვთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისას;
- **პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ სახელმძღვანელო,** რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის/დოკუმენტაციის ტიპს, რომელზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება როგორც კლიენტის მიღების, ისე საქმიანი ურთიერთობის მიმდინარეობისას და, შესაბამისად, რომლის გათვალისწინებითაც საქმიან ურთიერთობასთან ან ერთჯერად ტრანზაქციასთან დაკავშირებული რისკების მართვა უნდა მოხდეს;
- **ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელო.** სახელმძღვანელო საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით არსებული რისკების ანალიზის სათანადო სისტემის შემუშავებაში ეხმარება და ამისათვის იმ ძირითადი კომპონენტებისა და ქვე-ფაქტორების არასრულ ჩამონათვალს განსაზღვრავს, რომელიც საფინანსო სექტორის წარმომადგენელმა რისკის შეფასების სისტემის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოს;
- **ბენეფიციარი მესაკუთრების დადგენის,**

იდენტიფიკაციისა და მათი პიროვნების გადამოწმების სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოს მიზანია, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისათვის კლიენტების ბენეფიციარი მესაკუთრების დადგენის, იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმებისათვის საჭირო ადეკვატური მექანიზმების/პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებაში ხელშეწყობა;

- **საკორესპონდენტო ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკების მართვის სახელმძღვანელო.** დოკუმენტის მიზანია, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს საკორესპონდენტო ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკების კონტროლის და მონიტორინგის ადეკვატური ღონისძიებების გატარებაში შეუწყოს ხელი.

აღსანიშნავია, რომ საფინანსო სექტორის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავების პროცესში, რამაც ზედამხედველს საშუალება მისცა, შესაბამის სექტორებში იდენტიფიცირებულ რისკებთან და პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით საფინანსო სექტორის წარმომადგენლების გამოცდილება გაეთვალისწინებინა.

2019 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყო სასწავლო სემინარების ორგანიზება. სწავლება ჩატარდა ბენეფიციარი მესაკუთრების დადგენის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, სადაც აქცენტი, უმთავრესად, განახლებული სახელმძღვანელოების მიდგომებზე გაკეთდა. ტრენინგებს დაესწრნენ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების წარმომადგენლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციური პორტალის მოხმარებისა და ანგარიშგების შევსების საკითხებთან დაკავშირებით სწავლება დამატებით ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს ჩაუტარდა.

ზემოაღნიშნული ტრენინგების გარდა, წლის განმავლობაში, აქტიურად იმართებოდა შეხვედრები საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან, შესაბამის სექტორში იდენტიფიცირებული საფრთხეებისა და სისუსტეების შესახებ ინფორმაციის გაზიარების და ასევე, საზედამ-

ხედველო მოლოდინების გაცნობის მიზნით. რისკების აღქმის პროცესის გასაუმჯობესებლად ჯგუფური შეხვედრები ყველა სექტორთან გაიმართა, სადაც მოხდა სექტორული და ქვეყნის რისკის შეფასების დოკუმენტის პროექტით იდენტიფიცირებული საფრთხეების და სისუსტეების განხილვა და ინფორმაციის გაზიარება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოში „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების 2019 წლის ანგარიშის“ შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული, სადაც საბანკო და არასაბანკო სექტორებში არსებული რისკების გარდა, ყურადღება ასევე გამახვილდა ინოვაციური მომსახურების და მიწოდების არხებთან დაკავშირებული რისკების


შეფასებასა და ანალიზზე. მომდევნო წლის განმავლობაში შესასწავლი თემატიკებისა და სუბიექტების კატეგორიების განსაზღვრა, უმეტესწილად, სექტორული და ქვეყნის რისკის შეფასების დოკუმენტის შედეგებს დაეფუძნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული ბანკის და, მათ შორის, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, მოცულობითი სამუშაოები შესრულდა ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) საშემფასებლო მისიის ვიზიტის მოსამზადებლად.



9

საბადახდო სისტემები



9. საგადახდო სისტემები

საქართველოში საგადახდო სისტემები დინამურად ვითარდება და უფრო უსაფრთხო და ეფექტიანი ხდება. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ეროვნული საგადახდო სისტემაც უფრო მრავალფეროვანია და იზრდება მასში მონაწილე სუბიექტების რაოდენობაც. საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფასა და საგადახდო ინფრასტრუქტურის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რათა ბაზარმა თანამედროვე ტენდენციებს ფეხი აუწყოს და ინოვაციური პროდუქტების დანერგვას მხარი დაუჭიროს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი საგადახდო მომსახურების შესახებ მეორე დირექტივის (PSD2 - Directive (EU) 2015/2366 on payment services) იმპლემენტაციაზე მუშაობს. 2019 წელს პოლონეთის ცენტრალურ ბანკთან და ფინანსური ზედამხედველობის კომისიასთან (KNF), ასევე ლიეტუვის ცენტრალურ ბანკთან თანამშრომლობით საქართველოს საგადახდო მომსახურების შესახებ კანონმდებლობის აღნიშნულ დირექტივასთან შესაბამისობის ანალიზი მიმდინარეობდა. მომზადდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტი, რომელიც საგადახდო მომსახურების განვითარების პროგნოზების, მომხმარებლებისა და მომსახურებაში ჩართული სხვა მხარეების დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს. აღნიშნული ცვლილებები მომხმარებელთა უფლებების დაცვას შეუწყობს ხელს, გაზრდის გამჭვირვალობას და აამაღლებს საგადახდო მომსახურებისა და საგადახდო სისტემების სანდოობას და საიმედოობას. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოებაზე მუშაობა 2020 წელსაც გაგრძელდება.

2019 წელს ასევე მიმდინარეობდა მუშაობა მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის (strong customer authentication) წესის პროექტზე. მისი მიზანია, გადახდის ოპერაციის ინიცირების და საგადახდო ანგარიშებზე წვდომის დროს მომხმარებლის უსაფრთხო ავთენტიფიკაციის უზრუნველყოფა. მათ შორის, მომხმარებლის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების კონფიდენციალობისა და მთლი-

ანობის დაცვა, ასევე თაღლითობისა და სხვა უკანონო ქმედებების რისკების შემცირება. მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის მომზადებული პროექტი ბაზრის წარმომადგენლებთან აქტიურად იქნა განხილული. ასევე, Twinning-ის პროექტის ფარგლებში ანალოგიური რეგულაციის დანერგვისას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება იქნა გაზიარებული. ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაიგეგმა წესის ეტაპობრივი ამოქმედების განრიგი. უშუალოდ წესის მიღება კი 2020 წელს იგეგმება.

2019 წელს დაიწყო ინტენსიური მუშაობა კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო ღია სტანდარტების შესახებ დებულების დანერგვაზე, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისის (API) საშუალებით უფრო მოქნილი საგადახდო მომსახურება მიიღოს. პროექტის მიზანია ახალი ტიპის საგადახდო მომსახურებების - ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომა (account information service) და გადახდის ინიცირების მომსახურების (payment initiation service) განვითარებას ეფექტური და უსაფრთხო კომუნიკაციის უზრუნველყოფა, ასევე ინოვაციური პროდუქტების განვითარებისა და დანერგვის ხელშეწყობა. მიმდინარე ეტაპზე ბაზრის წარმომადგენლებთან ინტენსიური კომუნიკაცია ხორციელდება და შესაბამისი წესის მიღება 2020 წელს იგეგმება.

2019 წელს გრძელდებოდა ინტენსიური მუშაობა მუშაობა მყისიერი (სწრაფი) გადახდების სისტემის დანერგვაზე. მისი მეშვეობით 24/7/365 რეჟიმში, რამდენიმე წამის განმავლობაში, შესაძლებელი იქნება გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესრულება. აღნიშნული სისტემით სარგებლობა შეეძლება კომერციულ ბანკებს და ასევე სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებსაც.

RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციები


ეროვნული ბანკის რეალურ დროის რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS სისტემა), რომლის ოპერატორი საქართველოს ეროვნული ბანკია, წარმოადგენს ეროვნული ვალუტით ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ძირითად მექანიზმს. შესაბამისად, მისი გამართული მუშაობა ქვეყნის საფინანსო სექტორისა და ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. RTGS სისტემის მონაწილეები არიან საქართველოში ლიცენზირებული 15 კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტ-

ტროს სახაზინო სამსახური. 2019 წელს, წინა წლების მსგავსად, მისი მუშაობის უწყვეტობის მაღალი ხარისხი იქნა უზრუნველყოფილი. კერძოდ, RTGS სისტემის მონაწილეებისათვის ხელმისაწვდომობა 99.9 პროცენტს აღემატებოდა, რაც მნიშვნელოვანია RTGS სისტემის, როგორც სხვა სისტემების ანგარიშსწორების აგენტის, როლის გათვალისწინებით. სისტემას გააჩნია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად შექმნილი ბიზნეს უწყვეტობის

გეგმა, რომლის ტესტირება წინასწარ დამუშავებული სცენარების მიხედვით რეგულარულად ხორციელდება.


2019 წელს RTGS სისტემით 29.2 მილიონი გადახდის ოპერაცია განხორციელდა, თანხობრივად 263 მილიარდი ლარით, რაც წინა წლის მაჩვენებლებს, შესაბამისად, 18.7 და 41.1 პროცენტით აღემატება. ამასთან, თანხობრივი მაჩვენებლების ზრდის ძირითადი ნაწილი (32

დიაგრამა N 9.1 RTGS ოპერაციების დინამიკა (2002-2019 წწ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.2 RTGS ოპერაციები (2019 წ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.3 RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2011-2019 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.4 RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2011-2019 წწ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პროცენტული პუნქტი) მოდის ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის ოპერაციების თანხის ზრდაზე (85 პროცენტია ზრდა 2018 წელთან შედარებით). საყურადღებოა, რომ 14.9 პროცენტით გაიზარდა კომერციულ ბან-

კებს შორის გადახდების თანხაც. რაც შეეხება რაოდენობრივ მაჩვენებლებს, წინა წლების მსგავსად, ზრდა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, კომერციულ ბანკებს შორის გადახდების რაოდენობის მატებით (23 პროცენტული პუნქტით ზრდა

დიაგრამა N 9.5 RTGS ოპერაციების თანხა ანგარიშსწორების მიხედვით (2011-2019 წწ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2018 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით), ხოლო მეორე მხრივ, კომერციულ ბანკებსა და ხაზინას შორის გადახდების ტრანზაქციების რაოდენობის ზრდით (15 პროცენტული პუნქტით ზრდა 2018 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით).

RTGS სისტემით განხორციელებული გადახდების თანხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დინამიკა ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამა N9.1-9.4-ზე იხილეთ.


RTGS სისტემის დინამიკა 2011-2019 წლებში ასევე ცხადყოფს მისი, როგორც სხვა სისტემე-

დიაგრამა N 9.6 საცალო გადახდების რაოდენობა თანხების მიხედვით (2011-2019 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.7 საცალო გადახდების განაწილება თანხების მიხედვით (2011-2019 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბის ანგარიშსწორების აგენტის, მნიშვნელობის ზრდას. კერძოდ, ამ პერიოდში სხვა სისტემების საბოლოო ანგარიშსწორების ოპერაციების თანხა 8.6-ჯერ გაიზარდა და RTGS სისტემის საერთო ბრუნვის 35.3 პროცენტს მიაღწია (იხ. დიაგრამა N 9.5).

RTGS სისტემა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს არა მარტო მაღალი თანხობრივი მოცულობის, არამედ საცალო გადახდების კუთხითაც. 2019 წელს კომერციული ბანკების კლიენტების გადახდების წილმა სულ RTGS გადახდებში თანხობრივად 25 პროცენტი და რაოდენობრივად 77 პროცენტი შეადგინა. საყურადღებოა, რომ საცალო გადახდების რაოდენობის განაწილება თანხობრივი ინტერვალების მიხედვით 2011-2019 წლების პერიოდში შედარებით სტაბილურია და ბოლო წლებში მხოლოდ 10-დან 100 ლარამდე გადახდების წილის მცირე ზრდა შეიმჩნევა (იხ. დიაგრამა N 9.6 და N 9.7).


გადახდის ელექტრონული საშუალებები

გადახდის ელექტრონული საშუალებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი საგადახდო ბარათებს უკავია. მათი მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობის წილი მთლიან უნაღდო გადახდებში განუხრელად იზრდება და 2019 წელს 84 პროცენტს მიაღწია, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5

პროცენტული პუნქტით მეტია. თანხობრივი მაჩვენებლების მხრივ საბარათე გადახდები შედარებით უმნიშვნელო როლს თამაშობს. კერძოდ, მისი წილი მთლიანად გადახდის ელექტრონული საშუალებებით ინიციირებული გადახდების თანხაში 2019 წელს 5 პროცენტს შეადგენდა.

მომხმარებლის მიერ გამოყენებული გადახდის საშუალებების მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია ინტერნეტბანკით და მობილური ბანკით განხორციელებული გადახდები. ამასთან საყურადღებოა, რომ 2017 წლიდან მკვეთრად იზრდება მობილური ბანკის გამოყენება როგორც რაოდენობრივი, ასევე თანხობრივი მაჩვენებლებით. კერძოდ, ბოლო სამი წლის განმავლობაში ინტერნეტბანკით განხორციელებული გადახდების საერთო რაოდენობა უმნიშვნელოდ იცვლებოდა, მაშინ როცა მობილური ბანკით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა და მისმა წილმა ინტერნეტ და მობილური ბანკით განხორციელებულ მთლიან ტრანზაქციებში 37 პროცენტი შეადგინა, ხოლო ინტერნეტბანკის ტრანზაქციების წილი შესაბამისად 63 პროცენტი იყო (2016 წელს იგივე მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: მობილური ბანკი - 5 პროცენტი, ინტერნეტბანკი - 95 პროცენტი). 2019 წლის მონაცემებით, ინტერნეტბანკით განხორციელებული ერთი გადახდის საშუალო თანხა 11-ჯერ აღემატება მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების შესაბამის მაჩვენებელს. აღნიშნუ-

დიაგრამა N 9.8 გადახდის ინიცირების საშუალებების გამოყენება 2012-2019 წლებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შედარებით დიდი თანხობრივი სიდიდის გადახდებისთვის მომხმარებელი (მათ შორის იურიდიული პირები) ინტერნეტბანკს უფრო ხშირად იყენებს.

2019 წლის მონაცემებით, ინტერნეტბანკით გა-

დახდების რაოდენობის წილი მთლიანად უნაღდო გადახდების რაოდენობაში, წინა წელთან შედარებით, 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8 პროცენტი შეადგინა, ხოლო მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების რაოდენობის წილი 1.3 პროცენტული პუნქტით, 5 პროცენტამდე გაიზარდა.

დიაგრამა N 9.9 უნაღდო გადახდების განაწილება საგადახდო დაგალების ინიცირების საშუალებების მიხედვით (2019 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თანხობრივი მონაცემების მიხედვით, ინტერნეტბანკის საშუალებით ინიცირებული საკრედიტო საგადახდო დავალებების წილმა მთლიან უნაღდო გადახდებში 70 პროცენტი შეადგინა, რაც 1 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებზე. რაც შეეხება მობილური ბანკის მეშვეობით განხორციელებულ გადახდებს, მისი წილი უნაღდო გადახდების საერთო თანხაში 3 პროცენტს შეადგენს. საყურადღებოა, რომ კლიენტის მიერ უშუალოდ კომერციული ბანკის სერვის-ცენტრში ინიცირებული საკრედიტო საგადახდო დავალებებით განხორციელებული გადახდების თანხა ელექტრონული საშუალებებით განხორციელებულთან შედარებით 3.3-ჯერ ნაკლებია და მთლიანი უნაღდო გადახდების 21 პროცენტს შეადგენს.

უნაღდო გადახდების ბაზრის თანხობრივი მაჩვენებლების ამგვარ განაწილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ საგადახდო ბარათით, როგორც საცალო საგადახდო ინსტრუმენტით, განხორციელებული ერთი გადახდის საშუალო თანხა 30-36 ლარის ფარგლებში მერყეობს, მაშინ როცა ინტერნეტბანკით და კლიენტის მიერ უშუალოდ კომერციული ბანკის სერვის-ცენტრიდან ინიცირებული საკრედიტო საგადახდო დავალებების საშუალო თანხა 2019 წელს შესაბამისად 4 200 და 3 150 ლარს შეადგენდა. უნაღდო გადახდების სტატისტიკური მონაცემები მათი ინიცირების საშუალებების ქრილში ნაჩვენებია დიაგრამებზე N9.8 და N9.9.

საგადახდო ბარათები

საგადახდო ბარათები საქართველოს მოქალაქეებისა და ბიზნესის ყოველდღიური გადახდის ოპერაციების წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ბოლო წლების განმავლობაში ამ საგადახდო ინსტრუმენტის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, რაც საგადახდო ბარათის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გამოყენების ინტენსივობის გაზრდით გამოიხატება.


საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია ლოკალური და საერთაშორისო საგადახდო ბარათები. 2019 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით კომერციული ბანკების მიერ სულ გამოშვებულია 6.7 მილიონი ბარათი, რომლის 95 პროცენტს საერთაშორისო ბარათები შეადგენს. კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათები საგადახდო სქემების მიხედვით დიაგრამა N 9.10-ზეა გამოსახული.

გამოშვებული ბარათების უმრავლესობა (91 პროცენტი) არის სადებეტო. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში კომერციულმა ბანკებმა უმოქმედო ბარათები მიმოქცვიდან ამოიღეს, რის შედეგადაც გამოშვებული საგადახდო ბარათების საერთო რაოდენობა შემცირდა.

საქართველოში გამოშვებული ბარათებით ქვეყნის შიგნით შესრულებული ოპერაციების წილი, სულ საგადახდო ბარათებით შესრულებულ ოპერაციებში, რაოდენობრივად 94 პროცენტს და თანხობრივად 92 პროცენტს შეადგენს. 2019 წლის განმავლობაში, საქართველოში სულ განხორციელდა 343 მილიონი საბარათე ოპერაცია, თანხობრივად 29 მილიარდი ლარი, რაც წინა 2018 წელს შესრულებულ საბარათე ოპერაციებს რაოდენობრივად 42 პროცენტით და თანხობრივად 25 პროცენტით აღემატება. ქართული ბარათებით ქვეყნის შიგნით და გარეთ შესრულებული ოპერაციების თანხობრივი მაჩვენებლების დინამიკა ნაჩვენებია დიაგრამაზე N 9.11.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში მომხმარებლის მიერ საგადახდო ბარათით გადახდის ოპერაციების შესრულება. 2019 წლის მონაცემებით, მთლიანობაში, ქართული ბარათებით საქონლის/მომსახურების შესაძენად განხორციელებული გადახდების რაოდენობამ საბარათე ოპერაციების ჯამური რაოდენობის 78 პროცენტი და თანხის 34 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის შესაბამის მაჩვენებლებს 5 პროცენტული პუნქტით აღემატება როგორც რაოდენობრივად, ისე თანხობრივად. 2019 წლის განმავლობაში, საშუალოდ თვეში, ერთი ბარათით გადახდამ 1013 ლარი შეადგინა. ბარათების გამოყენების ზრდას ხელი შეუწყო უკონტაქტო გადახდების კარგად განვითარებულმა ინფრასტრუქტურამ, რამაც ასევე დიდი გავლენა იქონია მობილური აპლიკაციით გადახდების ზრდაზე. გასული წლის განმავლობაში მობილური აპლიკაციით 89 მილიონი გადახდა შესრულდა, თანხობრივად 2.8 მილიარდი ლარი, რაც სულ საბარათე გადახდების რაოდენობის 33 პროცენტს და თანხის 28 პროცენტს შეადგენს. მომხმარებელი ასევე სარგებლობს სხვადასხვა საბარათე აქსესუარით (საათი, სამაჯური და სხვა) და ე.წ. სტიკერით. რაც შეეხება ქართული ბარათებით შესრულებული ელექტრონული კომერციის ოპერაციებს, მან სავაჭრო-მომსახურების ობიექტებში განხორციელებული ოპერაციების რაოდენობის 20 პროცენტი და თანხის 35 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 9.10 გამოშვებული ბარათები საგადახდო სისტემების მიხედვით (დეკემბერი, 2019)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ინოვაციური პროდუქტებისა და გადახდების განვითარებამ საბარათე ინსტრუმენტის მოწყობილობების ინფრასტრუქტურის განვითარებას და ახალ გადაწყვეტებთან თავსებადობის უზრუნველყოფას შეუწყო ხელი. 2019 წლის ბოლოსთვის, საქართველოში საბარათე ინფრასტრუქტურა მოიცავდა 51 488 გადახდის პოს-ტერმინალს, რაც 34 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ასევე, 9


პროცენტით გაიზარდა ბანკომატების რაოდენობაც. ბარათის წამკითხველი მოწყობილობებით აღჭურვილია დაახლოებით 3 ათასი თვითმომსახურების კიოსკი, რომელიც მომხმარებელს გადახდების ფართო სპექტრს სთავაზობს. დაინერგა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა (აპლიკაცია), რომლის საშუალებით მობილური ტელეფონი აღიჭურვა პოს-ტერმინალის ფუნქციით, რომლითაც შესაძლე-

დიაგრამა N 9.11 ქართული ბარათებით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ განხორციელებული ოპერაციების თანხობრივი მაჩვენებლები, ათასი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.12 საქართველოში განლაგებული პოს-ტერმინალებისა და ბანკომატების დინამიკა წლების მიხედვით (დეკემბერი), ერთეული



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბელია ბარათით ან მობილური ტელეფონით გადახდის აპლიკაციით უკონტაქტო გადახდების განხორციელება, ხოლო ინტერნეტ გადახდებს დაახლოებით 5 ათასამდე ელექტრონული კომერციის ტერმინალი ემსახურება.

2019 წლის განმავლობაში, საშუალოდ, თვეში ერთი ბანკომატით 2 476 ოპერაცია განხორციელდა, თანხობრივად 645 ათასი ლარი, ხოლო გადახდის პოს-ტერმინალით - 333 ოპერაცია, თანხობრივად 68 ათასი ლარი.

გარდა კომერციული ბანკებისა, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტის - წინასწარი გადახდის ბარათის - ემისიას საქართველოში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერები ახორციელებენ.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერები

პროვაიდერის გადახდები (გარდა ელექტრონული ფულით ოპერაციებისა)

2019 წელს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ 5.3 მილიარდი ლარის მოცულობის 159.7 მილიონი ოპერაცია განხორციელდა. 2018 წელთან შედარებით გადახდების რაოდენობა 3 პროცენტით შემცირდა, ხოლო თანხა 17 პროცენტით გაიზარდა. გადახდის განსახორციელებლად ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო თვითმომსახურების კიოსკები, რომლითაც ნაღდი ფულით ელექტრონული

გადახდის ინიცირება არის შესაძლებელი. კიოსკების მეშვეობით გადახდების რაოდენობის 92.3 პროცენტი და თანხის 93.4 პროცენტი განხორციელდა, რაც 2018 წლის შესაბამის მაჩვენებლებზე შესაბამისად 5.6 და 3.0 პროცენტული პუნქტით მეტია. კიოსკით ინიცირებული გადახდების აბსოლუტური უმრავლესობა ნაღდი ფულის გამოყენებით განხორციელდა, ხოლო საგადახდო ბარათის გამოყენების წილი კიოსკით მიღებულ გადახდებში უმნიშვნელოა და 0.1 პროცენტს არ აღემატება. საყურადღებოა, რომ ამ გადახდების თანხის 7.5 პროცენტს, ხოლო რაოდენობის 5.6 პროცენტს, პროვაიდერების სერვისცენტრებში შესრულებული გადახდები შეადგენს.

გადახდების ინიცირების ხშირად გამოყენებულ საშუალებას ასევე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვებ-გვერდი წარმოადგენს. მისი მეშვეობით ინიცირებული იქნა 83.9 მილიონი ლარის მოცულობის 2.4 მილიონი გადახდა, რაც სულ განხორციელებული გადახდების 1.6 პროცენტს და 1.5 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდით ინიცირებული გადახდებისათვის მიღებული თანხის 78.7 პროცენტი და რაოდენობის 82.7 პროცენტი საგადახდო ბარათის გამოყენებით იყო განხორციელებული.

პროვაიდერების მიერ შესრულებული გადახდების რაოდენობის 48.6 პროცენტი და თანხის 25.8 პროცენტი მათი აგენტების მეშვეობით

განხორციელდა. წინა წელთან შედარებით, აგენტის მეშვეობით განხორციელებული გადახდების თანხობრივი მაჩვენებელი მხოლოდ 1 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა უშუალოდ პროვაიდერის მიერ მიღებული გადახდების თანხა 24 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება რაოდენობრივ მაჩვენებელს, აგენტის მეშვეობით განხორციელებული გადახდები 2.2 პროცენტით, ხოლო პროვაიდერის მიერ უშუალოდ მიღებული გადახდები კი 3.2 პროცენტით შემცირდა.

გადახდები ელექტრონული ფულით


ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების ბაზარზე 2019 წელსაც, წინა წლების მსგავსად, წინასწარი გადახდის სატრანსპორტო ბარათებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მათი გამოყენებით განხორციელებული ერთი გადახდის საშუალო თანხა 0.45 ლარს შეადგენს, რაც რადიკალურად განსხვავდება სხვა ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდებისაგან. საყურადღებოა, რომ სატრანსპორტო ბარათები აქტიურად გამოიყენება საქალაქო საზოგადო-

ის 99.5 პროცენტს, ხოლო თანხის 30 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით, შემდგომში ელექტრონული ფულით გადახდების ბაზრის ანალიზი სატრანსპორტო ბარათების გათვალისწინების გარეშე არის მოცემული.

2019 წელს ელექტრონული ფულის პროვაიდერების მიერ 150.7 მილიონი ლარის მოცულობის 764 ათასი გადახდა განხორციელდა. აღნიშნული გადახდების რაოდენობის 73.3 პროცენტი და თანხის 46.9 პროცენტი ელექტრონული ფულის გამომშვები პროვაიდერის ვებგვერდიდან მოდის. ელექტრონული ფულით გადახდების მნიშვნელოვანი ნაწილი (თანხის 9.2 პროცენტი და რაოდენობის 25.2 პროცენტი) მობილური ტელეფონის/პლანშეტის აპლიკაციის გამოყენებით იქნა ინიცირებული (იხ. დიაგრამა N9.13).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან არსებული ელექტრონული საფულეებიდან აქტიური იყო 106.3 ათასი საფულე, რომლებზეც განთავ-

დიაგრამა N 9.13 ელექტრონული ფულით გადახდები (გარდა სატრანსპორტო ბარათებით გადახდებისა) (2019 წ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადასახდელად, რის გამოც მათი მეშვეობით განხორციელებული გადახდების რაოდენობა სხვა ელექტრონული ფულით განხორციელებულ გადახდების რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება და სულ ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების რაოდენობ-

სებული იყო 2.1 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების შესაბამისი ფულადი სახსრები. 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ელექტრონულ საფულეებში არსებული ელექტრონული ფულის ნომინალური ღირებულების 90 პროცენტი ლარში იყო განთავსებული, რაც 2018 წლის ან-


ალოგიურ მარჯვენებელზე 17 პროცენტული პუნქტით მეტია (იხ. დიაგრამა N9.14).

პროვაიდერებს შორის გადახდები

საგადახდო მომსახურების განხორციელებისას, საქმიანობის უფრო ეფექტიანად წარმართვისთვის პროვაიდერები ხშირად იყენებენ შუამავალ პროვაიდერებს. 2019 წლის

ბების თანხის 36.5 პროცენტი შუამავალი პროვაიდერების გამოყენებით შესრულდა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მარჯვენებელზე ერთი პროცენტული პუნქტით ნაკლებია. რაც შეეხება მიმღებისათვის ჩარიცხულ თანხებს, პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდების 98.5 პროცენტი საქართველოს რეზიდენტ ბანკებში განხორციელდა, რაც 2018 წლის ანალო-

დიაგრამა N 9.14 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ელექტრონულ საფულებში არსებული ფულადი სახსრები ვალუტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონაცემებით, პროვაიდერის შუამავლების მიერ გადამხდელისაგან მიღებული დავალე-

ოგიურ მარჯვენებელს 2 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება.



10

საინფორმაციო
ტექნოლოგიების
განვითარება



10. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

2019 წელს დასრულდა ეროვნული ბანკის სერვერული ინფრასტრუქტურის მოდერნიზების პროცესი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ეროვნული ბანკის ძირითად ორ სერვერულ ცენტრში ერთ-ერთი მოწინავე ტექნოლოგია - ჰიპერკონვერგენტული გადაწყვეტილება - დაინერგა, სადაც ბანკის ყველა ონლაინ სერვისის მიგრაცია წარმატებით განხორციელდა და მან ბანკს IT სერვისების უფრო მაღალი ხარისხით, დაცულად და ეფექტურად მიწოდების საშუალება მისცა. ჰიპერკონვერგენტული სისტემა წარმოადგენს სერვერული, ქსელური და მონაცემთა სანახი სისტემების გაერთიანებას ერთიან პლატფორმაში, რომელსაც ცენტრალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა მართავს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გამოთვლითი რესურსების დამატებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ინფრასტრუქტურის წარმადობა და მდგრადობა.

ჰიპერკონვერგენტული სისტემის დანერგვის პროექტმა, 2019 წელს ჩატარებულ GITI (Georgian IT Innovations) ღონისძიებაზე, ნომინაციაში „საუკეთესო ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილება“, ჯილდო მოიპოვა.

საანგარიშო წელს ეროვნული ბანკის ცენტრალურ მონაცემთა სანახ სისტემაზე არსებული მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია განხორციელდა, რამაც სისტემების წარმადობა და მაღალმდგრადობა გააუმჯობესა.

ეროვნული ბანკი ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და მონაცემთა დასაცავად, რეზერვირების სისტემას იყენებს. მისი საშუალებით, ფორმალიზებული რეზერვირების პოლიტიკის შესაბამისად, ბანკის ყველა ბიზნეს აპლიკაცია და სისტემა კრიტიკულობის ხარისხის მიხედვით კატეგორიებად არის დაყოფილი და ამ კატეგორიების მიხედვით სისტემების და მონაცემების რეზერვირება (სარეზერვო ასლების აღება) და მათი გარკვეული დროის მანძილზე შენახვა ხდება. რეზერვირების სისტემებზე სარეზერვო ასლების წარმოების მიზნით, 2019 წელს სარეზერვო ასლების წარმოების პროგრამული უზრუნველყოფა განახლდა. ეროვნულმა ბანკმა შეისყიდა და შემდგომ წარმატებით დანერგა ახალი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელმაც რეზერვირების პროცესი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

2019 მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის - სებსტატის - პროგრამული უზრუნველყოფის

დახვეწის, გაფართოების და შემდგომი განვითარების მიმართულებით. შემუშავდა და რეალურ გარემოში გაეშვა მონაცემთა რამდენიმე ოჯახი, რისი აუცილებლობაც სისტემის გაფართოებამ და მასში განსხვავებული ტიპის მონაცემთა ოჯახების დამატებამ განაპირობა. აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტებიდან ინფორმაციის მოპოვების, ხარისხის კონტროლისა და დამუშავების სტატისტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის მონაცემებზეც BI¹²⁰-ის ინტერაქტიული ანგარიშები აიწყო. აღნიშნული, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ცხრილების ავტომატურად განახლებადი, ინტერაქტიული და ანალიტიკური ინფორმაციით ეტაპობრივად ჩანაცვლების საშუალებას იძლევა.

2019 წელს ეროვნული ბანკის სათადარიგო სერვერულ ცენტრში ვირტუალიზაციის გარემო განახლდა, რის შედეგადაც ბანკის სათადარიგო სერვერულ ცენტრსა და ორ აქტიურ სერვერულ ცენტრებს შორის თავსებადობა გაიზარდა. განხორციელდა ყველა ბიზნეს კრიტიკული სერვისის რეპლიკაცია სათადარიგო სერვერულ ცენტრში, რაც საშუალებას გვაძლევს, კრიტიკული შემთხვევების დროს, მონაცემები რეალურ გარემოში რამდენიმე საათში აღვადგინოთ. ასევე შეიქმნა საფუძველი, რათა სათადარიგო სერვერული ცენტრის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო დაიხვეწოს, რაც, თავის მხრივ, ბიზნეს უწყვეტობის გვემას გააუმჯობესებს.

2019 წელს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის ქსელური ინფრასტრუქტურა განახლდა. ქსელური კომუტატორების დიდი ნაწილი უფრო მაღალი გამტარობის კომუტატორებით შეიცვალა, ხოლო უსაფრთხოების/ვიდეო მონიტორინგის სისტემების მონაცემთა სანახზე არსებულმა ინფორმაციამ ვირტუალურ ინფრასტრუქტურაში გადაინაცვლა.

წლის განმავლობაში ბანკის უსადენო ქსელის ე.წ. WiFi-ის მოდერნიზაციის პროექტი განხორციელდა. მოძველებული უსადენო მიერთების წერტილები უფრო მძლავრი და მაღალი გამტარობის მოწყობილობებით ჩანაცვლდა, რისი საშუალებითაც უსადენო ქსელის მდგრადობა და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. უსადენო ქსელის სისტემა უფრო მაღალ სიხშირეზე გადავიდა, რის შედეგადაც არხების და დიაპაზონების რაოდენობა გაიზარდა და

120 მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის პლატფორმა.

ინტერფერენციის მოხდენის რისკი შემცირდა.

გასულ წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, მნიშვნელოვანი იყო იმ მინიმალური დროის დადგენა, რომელიც რომელიმე სასერვერო ცენტრის გათიშვის/შეფერხების შემთხვევაში, კრიტიკული სერვისების სრულად აღდგენისთვის იქნებოდა საჭირო. ამ მიზნით, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის მიხედვით ერთ-ერთი დაგეგმილი სცენარით ტესტირება განხორციელდა. აღნიშნული მოვლენის განვითარება შესაძლოა ისეთი სცენარების დადგომისას, როდესაც საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი სასერვერო ცენტრის მუშაობის შეფერხება/წყვეტა ხდება. მაგალითად: ხანძარი, გამაგრებელი სისტემის მწყობრიდან გამოსვლა ან სხვა ნებისმიერი სახის ტექნიკური პრობლემა. ტესტირების მასშტაბი წყვეტის მაქსიმალური მისაღები დონის ფარგლებში (2 საათი) კრიტიკული სისტემებით გასაწევი სერვისების აღდგენას მოიცავდა. ტესტირების შედეგები უაღრესად წარმატებული იყო. სასერვერო ცენტრებს შორის ყველა ბიზნეს კრიტიკული სერვისების გადართვა და მათი აღდგენა დაგეგმილზე ნაკლებ დროში განხორციელდა.

2019 წელს ეროვნულმა ბანკმა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მუშაობა კვალიფიცირებული და გამოცდილი ადამიანური რესურსებით გააძლიერა, რომლებიც თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისა და პროაქტიული ღონისძიებების განხორციელებაში აქტიურად ჩაერთვნენ. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის ახალ თანამშრომლებს კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების ტრენინგი უტარდებათ, რომელიც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, მყარი წარმოდგენა შეიქმნან ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაზე, რათა სამომავლოდ სწორად მოახდინონ პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება და დაცულნი იყვნენ კიბერუსაფრთხეებისგან.

2019 წელს ეროვნული ბანკის IT სისტემებზე შეღწევადობის ტესტირება განხორციელდა, რომლის მიზანიც სამიზნეებისა და სუსტი წერტილების აღმოჩენა და შემდგომ, მათი გამოყენებით, გარე შეტევის სიმულაცია იყო. აღნიშნული ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი სამუშაოები განხორციელდა და ამ მიმართულების გასაძლიერებლად და განსავითარებლად აქტივობები დაიგეგმა.

დაინერგა კრიტიკული აპლიკაციების ლოგინების ავტომატური მართვის მეთოდები, რამაც კრიტიკული აპლიკაციების სისტემების ინციდენტების პროაქტიული ანალიზი და მათი მოგვარება გახადა შესაძლებელი. ჩატარებული სა-

მუშაოების ხარჯზე, კრიტიკული აპლიკაციების ინციდენტების რაოდენობა შემცირდა და სერვისების ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა.

2019 წელს ინციდენტების მართვის პროცესის გაუმჯობესების სამუშაოები გაგრძელდა. განახლდა ინციდენტების, პრობლემებისა და ცვლილებების, კონფიგურაციის მართვის ელემენტების, კონტრაქტებისა და ცოდნის ბაზის ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის - სერვისის დესკის პორტალი, რომლის ფარგლებშიც განახლდა ინციდენტების მართვის პროცესი, დაინერგა კონტრაქტების მართვის პროცესი და შეიქმნა ერთიანი IT ხელშეკრულებების რეესტრი.


ინციდენტების მართვის პროცესი სერვისის დესკის პორტალით ხორციელდება, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების ინციდენტებსა და სერვისულ მოთხოვნებზე რეაგირების ერთიან სისტემას წარმოადგენს. ბანკის ყველა თანამშრომელს ხარვეზებისა და სერვისის მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის ერთ წერტილში გამოგზავნის და მომსახურების მიღების საშუალება აქვს.

2019 წელს ბიზნეს სერვის კატალოგზე მუშაობა დასრულდა. ამჟამად აღრიცხულია ყველა მომსახურება. სერვის კატალოგის განახლება ბანკში განხორციელებული ცვლილებების და ახალი პროდუქტების შექმნის შესაბამისად განხორციელდება.

2019 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის თანამშრომლები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ სხვადასხვა ტრენინგებში, კონფერენციებში და სემინარებში იღებდნენ მონაწილეობას. აღნიშნულ ღონისძიებებში ეროვნული ბანკის მონაწილეობამ სათანადო სარგებელი მოუტანა მთლიანად ეროვნული ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სერვისების განვითარებას და, ასევე, კონკრეტული თანამშრომლების კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლებას შეუწყო ხელი. აღსანიშნავია, რომ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგები უცხოური ვალუტის რეზერვების მართვის სისტემაში, რის შედეგადაც მათ სათანადო ცოდნა მიიღეს და აღნიშნული სისტემის სერტიფიცირებული სპეციალისტები გახდნენ.

ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებაზე, რაც ბანკის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საკანონ-სამედიცინო
სამუშაოების
ტრენინგები




11. საკასტ-საემისიო საშუალების ორგანიზაცია

ქვეყნის ეკონომიკისათვის ნაღდი ფულის შე-
უფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად,
საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვ-

ნული ბანკი ფულის ნიშნების დამზადების, შე-
მოტანის, შენახვისა და ემისიის მიმართულე-
ბით აქტიურად მუშაობდა.


დიაგრამა N 11.1 მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით*



*მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელთა დამზადებაც აღარ ხდება ამავ
ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ.


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 11.2 ნაღდი ფული მიმოქცევაში (2015-2019 წლები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 11.3 მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2015-2019 წლები)*



*მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელთა დამზადებაც აღარ ხდება ამავე ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარეობდა საქმიანობა მიმოქცევაში არსებული ბანკნოტებისა და მონეტების ხარისხის ამაღლების, საემისიო ლარის ბანკნოტების/მონეტებისა და მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნების დადგენილი წესით დამუშავების, ექსპერტიზის საქმიანობის გაუმჯობესების, მიმოქცევისთვის ლარის უვარგისი ბანკნოტების განადგურების მიმართულებით და სამართლებრივი ბაზის დასახვეწად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობა - 4,137 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის ბანკნოტები - 4,009.8 მლნ ლარი, ხოლო მონეტები - 127.2 მლნ ლარი იყო (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალის ხვედრით წილს თანხებისა და რაოდენობის მიხედვით აჩვენებს დიაგრამა N 11.1).


საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა წლის დასაწყისთან შედარებით 571.5 მლნ ლარით, ანუ 16 პროცენტით გაიზარდა (2015-2019 წლებში ეროვნული ვალუტის-ლარის მიმოქცევის დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N11.2).

2019 წლის განმავლობაში, მიმოქცევაში ბანკნოტების თანხობრივი რაოდენობა 554.7 მლნ ლარით გაიზარდა და მიმოქცევაში არსებული

ფულის მთლიან მოცულობაში მისმა ხვედრითმა წილმა 96.9 პროცენტი შეადგინა. ამ პერიოდში მოთხოვნა გაიზარდა როგორც დაბალი ნომინალის - 5, 10 და 20 ლარის ნომინალის ბანკნოტებზე (შესაბამისად 13.2 პროცენტი, 11.6 პროცენტი და 16 პროცენტი), ასევე მაღალი - 50, 100 და 200 ლარის ნომინალის ბანკნოტებზე (შესაბამისად 7 პროცენტი, 19.8 პროცენტი და 9 პროცენტი). თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მიმოქცევის მთლიანი მოცულობის ასეთი ზრდის პირობებში, 20 ლარის და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტების გარდა სხვა ნომინალის ბანკნოტების ხვედრითი წილები მთლიან მოცულობაში წინა 2018 წელთან შედარებით მცირედით შემცირდა. ამ პერიოდში მიმოქცევაში მონეტების მთლიანი ხვედრითი წილი არ შეცვლილა და ეს მაჩვენებელი კვლავ 3.1 პროცენტია (იხ. დიაგრამა N 11.3)

განახლებული 5, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები წარმატებით დამკვიდრდა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, განახლებული 5 ლარის ნომინალის ბანკნოტი მიმოქცევაში ამ ნომინალის ბანკნოტის 85.2 პროცენტს შეადგენდა, 20 ლარიანი - 81.7 პროცენტს, 50 ლარიანი - 81.5 პროცენტს, 100 ლარიანი - 78.3 პროცენტს, ხოლო განახლებული 10 ლარიანი ბანკნოტი, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის პირველ ოქტომბერს გავიდა

დიაგრამა N 11.4 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმოქცევაში, აშ ნომინალის ბანკნოტების 50.8 პროცენტს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში 16.9 პროცენტით გაიზარდა მიმოქცევაში 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტების თანხობრივი ოდენობა და წლის ბოლოს 84.8 მლნ ლარი შეადგინა.

2018 წელთან შედარებით, 11.9 პროცენტით გაიზარდა მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ხურდა ფულის - „თეთრის“ თანხობრივი რაოდენობა.

ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკისთვის შეუფერხებელი მიწოდებისა და ეროვნული ბანკის სარეზერვო მარაგების შევსების მიზნით, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამუშაოები ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების, მათი მიმოქცევაში გაშვებისა და მათ დამზადებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვების პროექტებზე მუშაობას განაგრძობდა. 2019 წელს 5 სახის საკოლექციო მონეტა (ვრცელი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ) დამზადდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საანგარიშო პერი-

ოდში საინვესტიციო დანიშნულების 10 ლარის (1/10 უნცია), 25 ლარის (1/4 უნცია), 100 ლარისა (1 უნცია) და 1000 ლარის (10 უნცია) ნომინალის ოქროს მონეტები დამზადდა.

2019 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს ეროვნულ ბანკში შემოსული ნაღდი ეროვნული ვალუტა გაიზარდა და აღნიშნულმა თანხამ 5.6 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 10.8 პროცენტით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკიდან გასულმა ნაღდი ეროვნული ვალუტის თანხამ 6.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 18.8 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

ფულის ნიშნების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ლარის ბანკნოტების დახარისხების დონის განსაზღვრის წესით დადგენილი პერიოდულობით ხორციელდებოდა ბანკნოტების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების მიერ ფულის ნიშნების დახარისხების გამართულობის შემოწმება.

საანგარიშო პერიოდში საკასო ცენტრში არსებულ ორ „BPS-M7“ და ორ „BPS-1080“ ტიპის ფულის დამამუშავებელ აგრეგატს ყოველწლიური გეგმიური შემოწმება და კაპიტალური შეკეთება ჩატარდა. ასევე, ვარგისი ბანკნოტების დახარისხების დადგენილი დონის შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ფულის დახარისხებულ

აგრეგატებზე კვარტალური შემოწმებები ჩატარდა.

დეფექტური და უხარისხო ფულადი ნიშნების მიმოქცევაში მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით, მიმდინარეობდა საემისიო ფულადი ნიშნების გადათვლა-დახარისხების პროცესი. საანგარიშო პერიოდში გერმანიის ბანკნოტების დამამზადებელ საწარმო „Giesecke + Devrient Currency Technology“-ში დამზადებული ახალი მოდიფიკაციის 10 ლარის ნომინალის ბანკნოტების, საფრანგეთის მონეტების დამამზადებელ ზარაფხანა „MONNAIE DE PARIS“-ში დამზადებული 5 და 20 თეთრის ნომინალის და ესპანეთის ზარაფხანა „Real Casa De La Moneda“-ში დამზადებული 1 ლარის ნომინალის მონეტების გადათვლის პროცესი დასრულდა.

2019 წელს შექმნილი იქნა მონეტების სათვლელი ახალი 10 ცალი “CashMAX CMX20” მანქანა და ბანკნოტების შესაფუთი “MUSASHI PA-30”, “VAMA” და “CMICO-568” მოწყობილობები. მოხდა მათი ადაპტირება და ექსპლოატაციაში გაშვება.

გასული წლის განმავლობაში გრძელდებოდა ფულის ნიშნების ექსპერტიზის სამუშაოები. კერძოდ, ექსპერტიზა ჩატარდა კომერციული ბანკებიდან, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, სამართალდამცავი ორგანოებიდან გამოგზავნილ და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილ 7,116 ცალ საეჭვო ფულის ნიშანზე, რომლის შედეგებიც N 11.1 ცხრილშია ნაჩვენები.


2019 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბან-

ცხრილი N 11.1 2019 წელს შემოტანილი საეჭვო ფულის ნიშნების ექსპერტიზის შედეგები

	საეჭვო	ყალბი	ნამდვილი	არგადახდითი
ლარის ბანკნოტები	4 947	3 580	976	391
ლარის მონეტები	757	636	121	-
აშშ დოლარი	957	695	262	-
ევრო	225	159	66	-
სხვა უცხოური ვალუტა	230	210	20	-
სულ	7 116	5 280	1 445	391

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 11.5 2019 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


კნოტებისა და მონეტების პროცენტული თანაფარდობა მოცემულია დიაგრამა N 11.5-ზე.

2019 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 26.4 პროცენტით, ხოლო ლარის ყალბი მონეტების რაოდენობა - 26.9 პროცენტით შემცირდა. ასევე შემცირებულია ევროს ყალბი ბანკნოტების რაოდენობა - 20.2 პროცენტით, ამასთანავე, აშშ დოლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა გაიზარდა 14.3 პროცენტით, ხოლო სხვა უცხოური ვალუტების ყალბი რაოდენობა 7.1 პროცენტით არის გაზრდილი. (2015 - 2019 წლებში გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რაოდენობას ნომინალების მიხედვით გვიჩვენებს დიაგრამა N 11.6 და დიაგრამა N 11.7).

ტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი წინა, 2018 წელთან შედარებით გაზრდილია 18.9 პროცენტით, ოქროს ზოდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი გაზრდილია ორჯერ, ხოლო ნუმისმატიკური ფასეულობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი შემცირებულია 37 პროცენტით. სულ ამ პერიოდში მითითებული ფასეულობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი გაზრდილია 28.7 პროცენტით (528.5 ათასი ლარით). 2019 წელს რეალიზებულია:

- ყვარლის მუზეუმის მიერ 469 ერთეული, თანხით - 27 ათასი ლარი;
- საკასო ცენტრის ფიზიკური პირების მომსახურების სალაროს მიერ 116.2 ათასი ერთეული, თანხით - 2 მლნ ლარი;

დიაგრამა N 11.6 2015-2019 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2019 წელს ფულის ნიშნების ვარგისიანობის განსაზღვრისა და, ზოგადად, ნაღდ ფულთან მუშაობის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 165 დაინტერესებულ პირს ჩაუტარდა სწავლება.


საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა როგორც საკოლექციო დანიშნულების ფასეულობის, ისე ოქროს ზოდების და ნუმისმატიკური ფასეულობების რეალიზაცია. კერძოდ, 2019 წლის განმავლობაში გაიყიდა სხვადასხვა სახის 121.2 ათასი ერთეული ფასეულობა, თანხით 2.4 მლნ ლარი. მათ შორის, საკოლექციო მონე-

- ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით 4.5 ათასი ერთეული, თანხით - 371.8 ათასი ლარი.

2015-2019 წლებში რეალიზებული ფასეულობის დინამიკას სახეობების მიხედვით გვიჩვენებს დიაგრამა N 11.8.


ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი საზოგადოებას საგანმანათლებლო-შემეცნებით კურსებს აქტიურად სთავაზობდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმს 2,911 ვიზიტორი ესტუმრა.

დიაგრამა N 11.7 2015-2019 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი მონეტების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 11.8 2015-2019 წლებში რეალიზებული ფასეულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2019 წლის განმავლობაში ფულის მუზეუმში 68 საგანმანათლებლო-შემეცნებითი ტური (ექსკურსია) ჩატარდა, რომელიც ქართული ნუმისმატიკის მიმოხილვას და მუზეუმში განთავსებული ექსპონატების დათვალიერებას მოიცავდა. კურსი 818 მოსწავლემ და 103 პედაგოგმა მოისმინა.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში ფულის მუზეუმში ჩატარდა 4 ლექცია თემაზე „ქართული ფულის ისტორია, საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქცია-მოვალეობები“, რომელიც 89 სტუდენტმა მოისმინა.

2019 წლის მარტში, საქართველოს ეროვნული

ბანკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ფულის მუზეუმმა ფულის საერთაშორისო კვირეულის კონკურსის გამარჯვებულ მონაწილეებს უმასპინძლა.

2019 წლის მაისში, ფულის მუზეუმს ქალაქ ყვარლის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი ესტუმრა, რომელთაც ლექცია „ერეკლე მეორის ეკონომიკური რეფორმები“ ჩაუტარდათ.

ლარის ბანკნოტების განახლების დასრულება

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ლარის განახლების პროცესი.

როგორც ცნობილია, განახლებული ლარის კონცეფცია შეიქმნა ერთიანი ოჯახის პრინციპით 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტებისთვის. ეროვნულმა ბანკმა განახლებული ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება დაიწყო 2016 წლის 1 თებერვლიდან 20 და 50 ლარის ნომინალებით, შემდეგ - 2016 წლის 1 ნოემბრიდან 100 ლარის ნომინალით და 2017 წლის 1 სექტემბრიდან - 5 ლარის ნომინალით.



2019 წლის პირველი ოქტომბრიდან კი ლარის განახლებულ სერიას 10 ლარის ნომინალის ბანკნოტი შეემატა და ლარის შემოღების 25 წლისთავს ეროვნული ვალუტა განახლებული ბანკნოტების სრული სერიით ხვდება.

განახლებული 10-ლარიანი ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია აკაკი წერეთლის განსხვავებული პორტრეტი გაუმჯობესებული რელიეფურობის ხარისხითა და მოცულობით, ასევე, ნაწყვეტი აკაკის ლექსიდან „გაზაფხული“ მისი ავტოგრაფით, აყვავებული რტო და მერცხალი.

უკანა მხარეს წარმოდგენილია ქართველი ფერმწერისა და გრაფიკოსის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დავით კაკაბაძის ცნობილი ნაწარმოები „იმერეთი-დედაჩემი“ ბანკნოტის დომინანტ ფერთან შეხამებული მრავალფეროვნებით.

აღსანიშნავია, რომ ლარის თავდაპირველ ბანკნოტებზე ასახული თემატიკის აქტუალობისა და მათზე გამოსახული გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების მიმართ საზოგადოების მხრიდან დადებითი განწყობის გათვალისწინებით, ახალი მოდიფიკაციის ლარის ყველა ნომინალის ბანკნოტზე შენარჩუნდა თავდაპირველი თემატიკა და დიზაინში გამოსახულ იქნა იგივე პიროვნებები, თუმცა ამჯერად გამოყენებულია მათი განსხვავებული პორტრეტები, განახლდა და დაემატა შესაბამისი თემის ამსახველი ცალკეული ელემენტები. ამასთან, აღნიშნული თვალსაზრისით, 5 და 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტების დიზაინში აისახა შესაბამისად, 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტებზე არსებული ძირითადი მოტივები. ყოველივე ეს უფრო მეტი სიზუსტით, მრავალფეროვნებით და თანამედროვე იერსახით წარმოაჩინს საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას.

ლარის განახლებული ბანკნოტების ნომინალებისთვის გამოყენებულ იქნა ძირითადად წინამორბედი ბანკნოტების დომინანტი ფერები, გარდა 100 ლარიანისა. ასევე, შეიცვალა ფერთა სპექტრი და ინტენსივობა, რაც ჰარმონიულად არის შეხამებული მთავარი სიუჟეტების დომინანტურ და კონტრასტულ ფერებთან.

განახლებულ ბანკნოტებზე დატანილია საქართველოს სახელმწიფო გერბი, ლარის სიმბოლო, სერიული ნუმერაცია და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხელმოწერა.

ლარის განახლებული ბანკნოტების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე - www.ganakhlebuhlilari.ge.

საკოლექციო დანიშნულების მონეტები

საქართველოს ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვების მიმართულებით განაგრძობდა მუ-



შაობას. საანგარშო პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა საკოლექციო დანიშნულების 5 სახეობის მონეტა, რასაც საზოგადოებისაგან საკმაოდ დადებითი გამოხმაურება ჰქონდა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) 100 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნად 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა.

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ფერებში შესრულებული ცენტრიდანული სხივებით დალაგებული არათანაბარი რგოლები წარმოადგენს, რაც სიმბოლურად პირველი დემოკრატიული გზით არჩეული პარლამენტარების რიცხვს გამოსახავს. მონეტის ცენტრში გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი ლარის სიმ-

ენობის გრაფიკული გამოსახულება, სადაც დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა ჩატარდა. მონეტაზე დატანილია წარწერები “საქართველო”, “ხუთი ლარი” და “Georgia”.


5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა ქართული საფოსტო მარკის გამოშვებიდან 100 წელს მიეძღვნა, რომლის ავერსის მთავარ კომპოზიციას 1919 წელს გამოცემული „10 კაპეიკის“ ნომინალის პირველი ქართული საფოსტო მარკა და ასევე, ამავე სერიის კიდევ ოთხი ნომინალის (40კ; 50კ; 60კ; 70კ) მარკის ფრაგმენტი წარმოადგენს, რომლებიც ერთმანეთისგან ინკრუსტირებული კიდევებით არის გამოყოფილი.

რევერსის მთავარი კომპოზიცია დალუქული კონვერტია, როგორც გზავნილი საქართველოდან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და ასევე, წერტილებით სტილიზებული მსოფლიო რუკა. კონვერტის ლუქის ბეჭედზე გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი ლარის



მონეტის დიზაინი: ნიტა გონგაძე

ბოლოსთან ერთად “5ლ”, თარიღები “1919-2019” და წარწერა “საქართველოს დამფუძნებელი კრება”. რევერსის მთავარ კომპოზიციად იმ



მონეტის დიზაინი: ნიტა გონგაძე.

სიმბოლოსთან ერთად “5ლ”. მონეტაზე დატანილია, ასევე, წარწერები “საქართველო”, “Georgia”; “1919 - 2019”, “5 ლარი”.

2019 წლის შემოდგომაზე იაპონიაში რაგბის რიგით მე-9 მსოფლიო თასი გაიმართა, სადაც საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები იღებდა მონაწილეობას. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ მოვლენასთან დაკავშირებით 5 ლარის ნომინალის ოქროსა და ვერცხლის საკოლექციო მონეტები გამოუშვა.

აღნიშნული საკოლექციო მონეტები ოვალური და იმეორებს რაგბის ბურთის ფორმას. მონეტები ლიეტუვას ზარაფხანაში მოიჭრა და მათი დიზაინი იდენტურია, იმ განსხვავებით, რომ ვერცხლის მონეტაზე გამოყენებულია ფერი. მონეტების ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს მორაგბე ბურთით ხელში, ბორჯღალი - საქართველოს რაგბის კავშირის ლოგო; რაგბის მსოფლიო თასის აღმნიშვნელი წარწერა ინგლისურ და იაპონურ ენებზე, "2019" და "5 ლარი". რევერსზე კი გამოსახულია უძველესი ქართული ტრადიციული თამაშის - ლელო-ბურთის სანყისი მომენტი - ჰაერში აგდებული ბურთი და მის დასაუფლებლად აღმართული ხელები; წარწერები "ლელო", "LELO", "Georgia", "საქართველო".



მონეტების დიზაინი: მამუკა გონგაძე, ნიტა გონგაძე

2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსებიდან 100 წელი შესრულდა. 1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. „საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“ კანონით დაარსდა საქართველოს სახელმწიფო ბანკი, რომლის სამართალმემკვიდრეს დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი

წარმოადგენს. სწორედ ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 ლ ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა.

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას საქართველოს ეროვნული ბანკის ლოგოსა და შენობის სტილიზებული გამოსახულება წარმოადგენს, რომელშიც დღესდღეობით განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკი. ასევე, დატანილია წარწერები: „საქართველოს ეროვნული ბანკი“ და „5 ლ“. მონეტა გაფორმებულია სვაროვსკის კრისტალით.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს შენობა, რომელშიც 1919 წელს დაფუძნდა და ფუნქციონირებდა საქართველოს პირველი სახელმწიფო ბანკი (დღევანდელი საჯარო ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი). მონეტაზე დატანილია წარწერები: „5 ლარი“, „საქართველო“, „1919 . 2019“ , „Georgia“.



მონეტის დიზაინი: ნიტა გონგაძე

2019 წელს ევროპის საბჭოს დაარსებიდან 70 წელი, ხოლო საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებიდან 20 წელი გავიდა. ერთიანი ევროპის შექმნის იდეა 70 წელზე მეტს ითვლის. თუმცა, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი ქვეყნების გაერთიანება საერთო მიზნის გარშემო - შექმნილიყო ორგანიზაცია, რომელიც თავიდან აიცილებდა ტოტალიტარულ რეჟიმებს და უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებების, ფუნდამენტური თავისუფლების, მშვიდობისა და დემოკრატიის დაცვას.

დღეს ევროპის საბჭო 47 წევრ ქვეყანას აერთიანებს და მიზნად ისახავს ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაციას იმ საერთო პრინციპების საფუძველზე, როგორებიცაა: კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა დაცვა და დემოკრატია.

1999 წელს, ევროპის საბჭოს შექმნიდან 50 წლის შემდეგ, საქართველო გახდა ამ ორგანიზაციის 41-ე წევრი ქვეყანა და თავისი ადგი-

ლი ევროპის პოლიტიკურ რუკაზე დაიბრუნა. საქართველოსთვის ამ, მეტად მნიშვნელოვან, მოვლენას საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა. „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ - ქართველი პოლიტიკოსის მიერ 20 წლის წინ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე წარმოთქმული ეს სიტყვები საქართველოს მიერ ევროპული ოჯახის კარის გაღების მთავარ სიმბოლოდ იქცა. ამ მოვლენიდან 20 წლის შემდეგ ზურაბ ჟვანიას ეს ცნობილი ფრაზა სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სასახლის წინ გახსნილ ვარსკვლავზე იქნა დატანილი, იმ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების ვარსკვლავების გვერდით, რომელთაც ერთიანი, მრავალფეროვანი ევროპის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი.

ამ მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტა მიუძღვნა.

მონეტის ავერსი სიმეტრიულად ორ თანაბარ ნაწილად არის გაყოფილი, რომელთაც წრიულად გამოსახული 47 ხელჩაჭიდებული ადამიანის პიქტოგრამა აერთიანებს, როგორც ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის სიმბოლო. მონეტის მარჯვენა მხარეს ევროპის საბჭოს 70 წლის საიუბილეო თარიღის აღმნიშვნელი ლოგო არის გამოსახული, მონეტის მარცხენა მხარეს განთავსებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერები: „ჩვენი უფლებები, ჩვენი თავისუფლებები, ჩვენი ევროპა“; „Our Rights, Our Freedoms, Our Europe“; „5 ლარი“.

მონეტის რევერსიც, ავერსის მსგავსად, ორ თანაბარ ნაწილად არის გაყოფილი, რომელთაც, ასევე, წრიულად გამოსახული 47 ხელჩაჭიდებული ადამიანის პიქტოგრამა აერთიანებს, მათგან ერთი წითელი ფერითაა აღნიშნული, რომელიც სიმბოლურად საქართველოს აღნიშნავს. მონეტის მარცხენა მხარეს გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა და წარწერები: „საქართველო“; „Georgia“; „20“ (საქართვე-

ლოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების 20 წლის აღსანიშნავად); „1999 2019“, ხოლო მარჯვენა მხარეს დატანილია საქართველოს რუკა და წარწერები ქართულ და ინგლისურ ენებზე: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, „I am Georgian, and therefore I am European“.



მონეტის დიზაინი: ნიტა გონგაძე

2019 წლის მაისში, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელშეწყობითა და თანაორგანიზებით საქართველომ, რეგიონის მასშტაბით პირველად, ორგანიზაცია “Currency Research“-ის მიერ გამართულ სემინარს “The Europe Cash Circle Seminar“ (ICCOS EUROPE) უმასპინძლა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში თბილისს, ორმოცამდე ქვეყნიდან ცენტრალური ბანკების, ფულის ნიშნების დამამზადებელი საწარმოებისა და ნაღდი ფულის მართვის სფეროში, სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესტუმრნენ.


დელეგატებმა განიხილეს როგორც ნაღდი ფულის მართვის ევროპული მოდელები, ასევე გლობალური ტენდენციები აღნიშნული მიმართულებით. გაზიარებულ იქნა საუკეთესო გამოცდილება ნაღდი ფულის მიმოქცევის პროცესში სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების როლის, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში არსებული გამოწვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ღონისძიების ფარგლებში, ასევე გაიმართა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოფენა, სადაც საქართველოს საბანკო და სხვა კომერციული სექტორის წარმომადგენელ კომპანიებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ნაღდი ფულის მართვის ინდუსტრიაში არსებულ უახლეს პროდუქტებსა და მომსახურებებს.



12

შიდა აუდიტი და
რისკების
ცენტრალიზებული
მართვა



12. შიდა აუდიტი და რისკების ცენტრალიზებული მართვა

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის დაგეგმვას, „რისკზე დაფუძნებული შიდა აუდიტის“ (Risk Based Internal Auditing) განახლებული მეთოდოლოგია და აღნიშნული მიდგომით გათვალისწინებული ორგანიზაციის „რისკის მოწიფებულობის“ დონის შეფასების (Assessing the Organisation's Risk Maturity) შედეგები დაედო საფუძვლად. აქედან გამომდინარე, მარწმუნებელი მომსახურების გეგმის შემუშავების პროცესში ორგანიზაციის რისკების კონსოლიდირებული რუკის მონაცემები იქნა გამოყენებული, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა აუდიტ-უნივერსში¹²¹ შემავალი ობიექტების რისკის რეიტინგი. აუდიტის ობიექტების პრიორიტეტიზაციის პროცესში, ასევე, მხედველობაში იქნა მიღებული ბოლო აუდიტის განხორციელების თარიღები, აუდიტის სამსახურის ციკლი და წინა პერიოდში ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით მინიჭებული შეფასებები. აღნიშნულზე დაყრდნობით, შემუშავდა მარწმუნებელი მომსახურების მოკლევადიანი დინამური გეგმა და საშუალოვადიანი საორიენტაციო გეგმა, რომლებიც ეროვნული ბანკის საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტის მიერ დამტკიცდა.

შიდა აუდიტის სამსახურმა 2019 წლის მანძილზე 26 აუდიტი და მიმოხილვა განახორციელა. ასევე, საანგარიშო წელს, ე.წ. „Follow up“ აუდიტი სამჯერ ჩატარდა, რომლის შედეგად, ეროვნული ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის გაწეული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა დეტალურად გადამოწმდა, ამ მიმართულებით პროცესის მესაკუთრეთა მიერ გატარებული აქტივობები გაანალიზდა და შესაბამისი სტატუსები განახლდა. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესი წარმოებდა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით.

გასული წლის განმავლობაში, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებდა საკონსულტაციო მომსახურების ფორმატით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას ეროვნული ბანკის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის.

საანგარიშგებო პერიოდში, აუდიტისა და რისკის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის

განახლების შედეგად, შიდა აუდიტის სამსახურის სამუშაო პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილის ავტომატიზაციის დონე კიდევ უფრო გაიზარდა. აღნიშნულმა შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის პროცედურული დოკუმენტების განახლების აუცილებლობა განაპირობა. შესაბამისად, მომზადდა ისეთი ახალი პროცედურული დოკუმენტები როგორცაა: „აუდიტის გრაფიკის შედგენა“; „აუდიტის შექმნა“; „აუდიტის პროგრამის შექმნა“; „მიზნებისა და მასშტაბის განსაზღვრა“; „აუდიტის პროგრამაში მუშაობა“; „აუდიტის ანგარიშის გენერირება“; „აუდიტის დასრულება“; „რეკომენდაციების შესრულების დინამური მონიტორინგი“; „დროის მართვა“. ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა შიდა აუდიტის შემდგომი განვითარების ახალი მიმართულების - რეალურ დროში აუდიტის (Real Time Audit) კომპონენტების შემუშავების კუთხით.

2019 წელს, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით. დაიწყო შიდა აუდიტის პროფესიული სერტიფიცირების პროცესი (CIA). ასევე, შიდა აუდიტის სამსახური „საქართველოს საჯარო სექტორში შიდა აუდიტორთა ტრენინგებისა და სერტიფიცირების“ პროექტშიც ჩაერთო, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და CEF-თან (Center of Excellence in Finance) თანამშრომლობით დაიწყო.

გასულ წელს, შიდა აუდიტის სამსახურის ორგანიზებით, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ნიდერლანდების ცენტრალურ ბანკს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სემინარი გაიმართა. სემინარი, რომელიც ქართული აუდიტორიისათვის აქტუალურ თემატიკაზე იყო ორიენტირებული და საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა და კომერციული ბანკების შიდა აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას ემსახურებოდა, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის საკითხებს ეხებოდა.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურმა საერთაშორისო კომპანია „Ideagens“-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში („Ideagens Horizons User Conference“) მიიღო მონაწილეობა. შიდა აუდიტის წარმომადგენლებმა, პრეზენტაცია წარადგინეს და კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარეს ეროვნულ

¹²¹ ორგანიზაციაში შესამოწმებელი ობიექტების სრული ნუსხა (audit universe).

ლი ბანკის გამოცდილება აუდიტის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვისა და ეფექტური გამოყენების კუთხით.

არაფინანსური რისკების მართვა

ეროვნული ბანკში დანერგილია და მოქმედებს რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო, რომელიც არაფინანსური რისკების (საოპერაციო და რეპუტაციული) იდენტიფიცირების, შეფასების და მონიტორინგის თვალსაზრისით ერთიან და თანმიმდევრულ მიდგომას უზრუნველყოფს. აღნიშნული ჩარჩო მომავალზე ორიენტირებული სისტემაა (forward looking) და ინციდენტების, არაფინანსური რისკების და ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემებით არის წარმოდგენილი. ამასთან ერთად, ჩარჩო მხარდაჭერილია ბანკის შიდა პროცედურებით, რათა ბანკის პროცესების მაქსიმალური გამჭვირვალობა იქნას მიღწეული.

ეროვნული ბანკის საბჭო ყოველწლიურად განსაზღვრავს და ადგენს არაფინანსური რისკების მისაღებ დონეს (რისკის მადა). მთლიანობაში, ეროვნულ ბანკს არაფინანსური რისკების მიმართ კონსერვატიული მიდგომა აქვს და დადგენილი მისაღები დონე დაბალი რისკის ზონაში არის მოქცეული. მისაღებ დონესთან შესაბამისობის და შენარჩუნების მიზნით, ბანკი ადეკვატური რაოდენობის რესურსების გამოყოფას და ბანკის შიდა კონტროლის გარემოს მუდმივ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

საანგარიშო პერიოდში, რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩოს გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, მოდელის რისკი საოპერაციო რისკის მართვის ერთიან ჩარჩოში იქნა ინტეგრირებული. აღნიშნული ბანკში მოქმედი მოდელის ინვენტარიზაციის, შესწავლის, დოკუმენტირების და მოდელთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების, შეფასების და მონიტორინგის ეტაპებს მოიცავს. ასევე, უკვე არსებულ არაფინანსური რისკების ხარისხობრივ შეფასებას საოპერაციო რისკის რაოდენობრივი შეფასების მეთოდიც დაემატა. შეფასების მეთოდად საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის საოპერაციო რისკის - „სტანდარტიზირებული გაზომვის მიდგომა“ (SMA) იქნა შერჩეული. დაგეგმილია აღნიშნული მეთოდის სატესტო რეჟიმში გამოყენება, რის შემდგომაც მისი სრული დანერგვა მოხდება. საოპერაციო რისკის რაოდენობრივი შეფა-

სების სრულყოფილად დანერგვა საოპერაციო დანაკარგების ანალიზის და საოპერაციო რისკების ფინანსური ზეგავლენის შეფასების პროცესს ერთმნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

საანგარიშო პერიოდში ბანკის პროცესებისა და პროცედურების ცენტრალიზებული სისტემა დაინერგა, რამაც პროცედურების მოპყრობის (შექმნის, გამოყენების, განახლების, შენახვის) წესები მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და მთლიანობაში ბანკის შიდა პროცესების მეტი გამჭვირვალობა უზრუნველყო.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით ბანკი აქტიურად არის ჩართული საოპერაციო რისკების საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის (IORWG) კვლევით საქმიანობაში.

ბიზნესის უწყვეტობის მართვა


საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის წარმომადგენელი ერთ-ერთი ორგანიზაცია, ბანკის მიერ გასაწევი სერვისების უწყვეტობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამასთან მიმართებაში ეროვნული ბანკი მუდმივად გეგმავს, ახორციელებს და მონიტორინგს უწევს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს. აღნიშნული აქტივობების საშუალებით მუდმივად ხდება ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესის დახვეწა და გაუმჯობესება, რაც საბოლოო ჯამში ეროვნული ბანკის, როგორც კრიტიკული ინსტიტუტის სერვისების უწყვეტად მიწოდებასა და, ზოგადად, ბანკის რეზისტენტულობაზე აისახება.

საანგარიშო პერიოდში ადამიანური, ტექნოლოგიური და ლოჯისტიკური რესურსის მზაობის შემოწმების მიზნით ტრენინგების, ტესტირებების და პრაქტიკული სავარჯიშოების დაგეგმვა/განხორციელება სისტემატიურად ხორციელდებოდა, შემუშავდა დამატებითი სცენარები და განახლდა ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზის მეთოდოლოგია. ამასთან, ჯეროვანი ყურადღება დაეთმო კიბერ უსაფრთხოების საკითხებს. მთლიანობაში, სეზონის ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემა შიდა თუ გარე ფაქტორებით გამოწვეული ინციდენტების (მათ შორის პოტენციური ინციდენტები) ზეგავლენის შემცირებისკენ არის მიმართული, რაც რესურსების ეფექტურად დაგეგმვა/კოორდინირების და თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების გზით მიიღწევა.



13

საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა



13. საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

საზოგადოებასთან ურთიერთობა

2019 წელი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის საიუბილეო წელი იყო. მთელი წლის განმავლობაში იმართებოდა ცენტრალური ბანკის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სხვადასხვა აქტივობები - საჯარო ლექციები, კონკურსები, გამოფენები, კონფერენციები, ისტორიული და საგანმანათლებლო შეხვედრები. საქართველოს ეროვნულ ბანკს 100 წლის იუბილე პარტნიორმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიულოცეს. საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა სპეციალურად ამ თარიღისადმი მიძღვნილი ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა. ასევე, ეროვნული ბანკის ინიციატივითა და მხარდაჭერით გამოიცა წიგნი "საქართველოს სახელმწიფო ბანკი 1919-1921", რომლის ავტორი, ეროვნული ბანკის ყვარლის ფულის მუზეუმის თანამშრომელი, როლანდ სპანდერაშვილია. სპეციალურად ამ ისტორიული თარიღისადმი საიუბილეო ლოგო შეიქმნა.



2019 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის საკომუნიკაციო სტრატეგია კიდევ უფრო განვითარდა, განისაზღვრა კომუნიკაციის ახალი არხები და გზები, რომელიც მონეტარული და სახედასახეველო პოლიტიკის მიმართულებით ეფექტიან კომუნიკაციას უზრუნველყოფდა. ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა იმ გარემოებას, რომ საზოგადოებისთვის გასაგები ყოფილიყო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და მოსალოდნელი შედეგები, ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა და მისი გავლენა ეკონომიკაზე. წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაგრძო მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე მუშაობა, რომელიც ძირითადად, საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და ინფლაციური მოლოდინების მართვისკენ იყო მიმართული.

აღსანიშნავია, რომ გასული წლების მსგავსად, 2019 წელს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული

პოლიტიკის ანგარიშის გამოქვეყნებასთან ერთად განაგრძო მოკლე ვიდეორგოლების შექმნა, რომელშიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ძირითად აქცენტებს ანგარიშში გამოქვეყნებული ანალიზის მნიშვნელოვან ნაწილზე აკეთებს. ასევე, ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში თავსდება ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის პრეზენტაციის ჩანაწერი, რომელსაც ანალიტიკოსები, დარგის სპეციალისტები და მედიის წარმომადგენლები ესწრებიან.

ეროვნული ბანკი, საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის დროულად მიწოდების მიზნით, ოპერატიულად ავრცელებდა პრესრელიზებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რეგულარულად მართავდა შესაბამის თემებზე პრესკონფერენციებს, კონფერენციებს, ბრიფინგებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და შეხვედრებს. საზოგადოებასთან ურთიერთობა წარიმართებოდა როგორც მასობრივი ინფორმაციის, ისე კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით. ტარდებოდა პერიოდული შეხვედრები ბექდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებთან. ამ თვალსაზრისით, სხვა წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ აპრობირებული პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობდა ელექტრონული და ბექდვითი გამოცემებისა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების მეშვეობით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაეხადა ინფორმაცია ფულად და სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ, წარმოეჩინა საკუთარი ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით და აეხსნა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მოტივები.



საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველთვიურად გამოსცემდა „თვის მიმოხილვას“, ყოველკვარტალურად გამოსცემდა „მონეტარული პოლიტიკის ანგარიშს“, ანალიტიკურ ანგარიშებს „ფინანსური სექტორის ინდიკატორები“ და „მიმდინარე მაკროეკონომიკური ინდიკატორები“, ოპერატიულად აქვეყნებდა სტატისტიკურ მონაცემებს და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის პრესრელიზებს. ამასთან, ეროვნულმა ბანკმა, 2019 წელს, მოამზადა და სტამბური წესით გამოსცა „საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2018“. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ეროვნულმა ბანკმა განაახლა „ფინანსური სტაბილურობის“ ანგარიშის გამოქვეყნება. ანგარიშში წარმოდგენილია ფინანსურ სისტემაში არსებული მოწყვლადობისა და რისკების შეფასება, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე, ფინანსური სექტორის სტრუქტურულ მახასიათებლებსა და საქართველოს ეკონომიკის იმ ასპექტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობისთვის. ასევე, გამოვიდა სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალის „ეკონომიკა და საბანკო საქმის“ ერთი ნომერი, რომელმაც მკითხველს ყველაზე აქტუალურ თემებზე მნიშვნელოვანი სტატიები შესთავაზა. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემათა ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=308>

საერთაშორისო თანამშრომლობა



2019 წელი მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისითაც. საანგარიშო პერიოდში ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა.

19-21 მაისს, საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მმართველი დირექტორი კრისტინ ლაგარდი ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში სსფ-ის მმართველი დირექტორი

შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ქვეყნის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებს. ასევე, სსფ-ის მმართველმა დირექტორმა შეხვედრა გამართა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან. კრისტინ ლაგარდმა ინკლუზიურ ზრდაზე ისაუბრა და დადებითად შეაფასა ქვეყნის საფინანსო სექტორში განხორციელებული რეფორმები



2018 წლის მსგავსად, მსოფლიოს წამყვანმა ფინანსურმა გამოცემამ, Global Finance-მა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, 2019 წელს მეორედ ცენტრალური ბანკების საუკეთესო მმართველთა შორის დაასახელა. მსოფლიოს წამყვანმა გამოცემამ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თავის შეფასებაში პირველად 2018 წელს ჩართო და 2019 წელს ის A- შეფასებით ცენტრალური ბანკის მმართველების იმ ელიტარულ კლუბში მოხვდა, რომელთაც A და A- შეფასება მიიღეს. საერთაშორისო ავტორიტეტული გამოცემა - Global Finance - ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, ცენტრალური ბანკების მმართველთა შეფასებას ატარებს და წლიურ ანგარიშსაც (Central Banker Report Cards) აქვეყნებს, სადაც საუკეთესო ცენტრალურ ბანკირებს ავლენს. Global Finance-ის მიერ დაჯილდოება ფართოდ არის აღიარებული საერთაშორისო ფინანსურ საზოგადოებაში და დაჯილდოებული პირებისა და ბანკების მაღალ რეპუტაციასა და წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს. 2019 წლის Central Banker Report Cards-ში 98 ცენტრალური ბანკირი შეფასდა და მისი სრული ვერსია ოქტომბერში გამოქვეყნდა.

2019 წლის აპრილში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ სსფ-ის მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში - “მმართველთა საუბრები” მიიღო მონაწილეობა.



მსგავსი დისკუსია სსფ-ს და მსოფლიო ბანკის საგაზაფხულო და წლიური შეხვედრების დროს კონკრეტული ეკონომიკური მიმართულებით წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით მსოფლიოს 5 რეგიონიდან თითო წარმომადგენელთან იმართება და მოდერატორები სსფ-ს რეგიონალური დეპარტამენტების დირექტორები არიან. გასული წლის შეხვედრებზე ასეთივე დისკუსია გაიმართა ჰოლანდიის ფინანსთა მინისტრთან (ევროპული დეპარტამენტი), პარაგვაის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტთან (დასავლეთ ნახევარსფეროს დეპარტამენტი), ინდოეთის სარეზერვო ბანკის პრეზიდენტთან (აზიისა და წყნარი ოკეანის დეპარტამენტი), და ბენინის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრთან (აფრიკის დეპარტამენტი). 2019 წლის “მმართველთა საუბრები” კობა გვენეტაძის გამოსვლით გაიხსნა, რომლის მთავარი თემა იყო “საქართველოს გამოცდილება ინფლაციის თარგეთირების განხორციელებაში”. დისკუსიას მოდერატორობდა სსფ-ს ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის დირექტორი, ჯიჰად აზური, რომელმაც შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა საქართველოს ეროვნული ბანკის წარმატებულ პრაქტიკას და გამოცდილებას მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის განხორციელებაში. ასევე, აღინიშნა შთამბეჭდავი პროგრესი ლარიზაციის ზრდის მიმართულებით, რაც ფინანსურ სექტორში მოწყვლადობის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

2019 წლის ოქტომბერში, ეროვნულმა ბანკმა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა (IFC) და მდგრად საბანკო ქსელთან (SBN) თანამშრომლობით, მდგრადი დაფინანსების კონფერენციას უმასპინძლა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ IFC-ის ექსპერტები, SBN-ის წევრი ქვეყნებისა და რეგიონის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ შესაბამისი სამინისტროებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საფინანსო ორგანიზაციების პრეზი-



დენტები/აღმასრულებელი დირექტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები. აღნიშნული კონფერენცია მეორე ღონისძიებაა მდგრადი დაფინანსების მიმართულებით, რომელსაც ეროვნულმა ბანკმა IFC-თან თანამშრომლობით უმასპინძლა. 2018 წლის სექტემბრის პირველი სამუშაო შეხვედრის შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა საქართველოში მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავების კუთხით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 2019 წლის აპრილში მდგრადი ფინანსების განვითარების გზამკვლევის გამოქვეყნება იყო.

2019 წლის ნოემბერში, საქართველოს ეროვნული ბანკისა და ჰოლანდიის ცენტრალური ბანკის ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო ვორქშოპი თემაზე - “კიბერ-რისკი და კიბერმოქნილობა ფინანსური რეგულატორებისთვის”. შეხვედრაზე განიხილეს ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების “TIBER-EU” ჩარჩო, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური ზედამხედველობის კიბერ-რისკთან დაკავშირებული მიდგომები, კიბერუსაფრთხოება საქართველოში. ვორქშოპის მონაწილეებმა, ასევე, ფინანსურ სექტორში კიბერ-რისკების მართვასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება გააზიარეს. სამუშაო შეხვედრაში ევროპისა და კავკასიის რეგიონის 11 ქვეყნის - ჰოლანდიის, პოლონეთის, ისრაელის, ჩრდი-



ლოეთ მაკედონიის, ბოსნია და ჰერცეგოვინის, ხორვატიის, ბულგარეთის, რუმინეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მონტენეგროს ცენტრალური ბანკებისა და საფინანსო საზღვარგარეთული ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ეროვნულმა ბანკმა ფინანსური განათლების თემაზე, ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის “ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელთან” (OECD/INFE) თანამშრომლობის ფარგლებში, მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა. ღონისძიებები OECD/INFE-ს მიერ ორგანიზებული განათლების ტექნიკური მხარდაჭერის 5-წლიანი (2018-2022) პროექტის ფარგლებში განორციელდა, რომელშიც საქართველოს გარდა აღმოსავლეთ ევროპის 6 სახელმწიფო - ბულგარეთი, ჩრდი-


ლოეთ მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, რუმინეთი, ხორვატია - მონაწილეობდნენ, და რომელიც ფინანსური განათლების ამალგების მიზნით ცენტრალური ბანკებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერას ისახავდა მიზნად. კონფერენცია სახელწოდებით “ფინანსური განათლება და წიგნიერება: ფინანსური განათლების ხელშეწყობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში” ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ გახსნა. კონფერენციის მონაწილეებმა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის დანერგვის პროცესთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ და ინსტიტუციონალურ საკითხებზე იმსჯელეს.

2020 წელს ქართულ ლარს 25 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკი მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებს გეგმავს.



14

ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება



14. ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება

სტატისტიკური ინფორმაცია თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ

2019 წელს ამოქმედებული რიგი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობები და მანდატი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. შესაბამისად, ფუნქციონირებას ეფექტიანად შესრულების უზრუნველსაყოფად დღის წესრიგში დადგა ორგანიზაციის სტრუქტურული ცვლილებები და ახალი ქვედანაყოფების შექმნა.

2019 წლის ბოლოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა 512 თანამშრომელი, რომელთაგან 362 საჯარო მოხელეს წარმოადგენს. თანამშრომელთა საშუალო ასაკი 38 წელია. თანამშრომელთა მთლიანი რაოდენობის 50.4 პროცენტს ქალები შეადგენდნენ, ხოლო 49.6 პროცენტს მამაკაცები.

უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებთან თანამშრომლობა

ეროვნული ბანკი ყოველწლიურად სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ ეროვნული ბანკის სპეციფიკას, გაიარონ სტაჟირება და გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარები, რაც მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში დაეხმარება. ამ მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის“ საფუძველზე აყვანილი იქნა 44 სტაჟიორი, რომელთაგან 7 დღეს ეროვნული ბანკის თანამშრომელია. ანალოგიურ პროგრამებს ვთავაზობთ იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და საქართველოში საბაფხულო სტაჟირების სურვილი და ინტერესი აქვთ. 2019 წელს საბაფხულო სტაჟირება 6-მა სტუდენტმა გაიარა.

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

2019 წელს ეროვნული ბანკი თავის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას აგრძელებდა. თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გერმანიის ბუნდესბანკში, იტალიის ცენტრალური ბანკში, საფრანგეთის ცენტრალურ ბანკში, ნიდერლანდების ბანკში, პოლონეთის ეროვნულ ბანკში, შვეიცარიის ცენტრალურ ბან-

კში, ჩეხეთის ეროვნულ ბანკში, ავსტრიის ეროვნულ ბანკში, სომხეთის ცენტრალურ ბანკში, თურქეთის ცენტრალურ ბანკში, აზიის განვითარების ბანკში, ასევე მსოფლიო ბანკში, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში სწავლება გაიარა ეროვნული ბანკის 235 თანამშრომელმა, ხოლო საქართველოს ბაზარზე არსებულ სასწავლო დაწესებულებებში სწავლება გაიარა ეროვნული ბანკის 59 სპეციალისტმა.

2019 წელს ეროვნულ ბანკში ჩატარდა „მონეტარული პოლიტიკის სასერტიფიკატო კურსი“, რომელსაც ეროვნული ბანკის 20 თანამშრომელი დაესწრო და ტესტირების საფუძველზე გაიცა სერტიფიკატები. მოწვეული ტრენერის მიერ ეროვნულ ბანკში წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: „პრეზენტაციის უნარები“, „დროის მართვა“, „ტრენინგთა ტრენინგი“, „მოლაპარაკებების წარმართვის და ეფექტური კომუნიკაციის უნარი“, „ქოუჩინგი მაღალეფექტიანი საქმიანობისათვის“, „ბიზნეს ანალიზის ტრენინგი“ და „პროექტების მართვა“. აღნიშნულ ტრენინგებს საერთო ჯამში 199 თანამშრომელი დაესწრო.

2019 წელს ეროვნული ბანკის 12-მა მენეჯერმა მართვის აკადემიაში გაიარა ტრენინგი თემაზე „მართვის თანამედროვე მეთოდები.“

გარდა ზემოაღნიშნული ტრენინგებისა, ეროვნულ ბანკში სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გაცნობითი პრეზენტაციები, რაც ორგანიზაციის შიგნით ცოდნის გაზიარებას უწყობს ხელს.


ფინანსური სექტორის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

ეროვნული ბანკი მუდმივად ხელს უწყობს საბანკო სექტორის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადაცემის კვლევითი სააგენტოს ექსპერტების მიერ 2019 წელს 4 სემინარი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნული ბანკის, ასევე კომერციული ბანკების თანამშრომლებმა, ჯამში 94 მონაწილე.



15

ნორმატიულ-
სამართლებრივი
ბაზის განვითარება



15. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება

საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტი 2019 წელს საქმიანობას „საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებით“ განსაზღვრული ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად წარმართავდა. 2019 წელს აქტიურად გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარებისა და სრულყოფა-განახლების პროცესი.

საქართველოს ეროვნული ბანკის ავტორობით, შემუშავდა და ძალაში შევიდა მნიშვნელოვანი კანონების პროექტები. კერძოდ, ცვლილება შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლის თანხმად, საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა სარეზოლუციო მანდატი, შეიქმნა სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივი მექანიზმი, შესაბამისი ინსტრუმენტები და კრიზისული სიტუაციების მართვის ზომები, რაც შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ეროვნულ ბანკს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, კრიზისულ სიტუაციებში უზრუნველყოს ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება, რომლის ფარგლებშიც მას შეეძლება შეინარჩუნოს კომერციული ბანკის კრიტიკული ფუნქციები და უკეთ დაიცვას დეპოზიტართა ინტერესები. გამომდინარე ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც უფრო კონკრეტულად გაიწერა ეროვნული ბანკის საზედამხედველო ზომებისა და მათი გამოყენების საფუძვლები, ფინანსური სირთულეების ადრეული იდენტიფიკაციის შემთხვევები, სარეზოლუციო ინსტრუმენტები, ბანკების მიერ შესამუშავებელი გაჭანსალების გეგმებისა და საზედამხედველო ორგანოს მიერ შესამუშავებელი რეზოლუციის გეგმების მოთხოვნები. თავის მხრივ, ბანკების გაჭანსალებისა და რეზოლუციის ჩარჩოს შემუშავება მიზნად ისახავს რეზოლუციის პროცესის წარმართვას კომერციული ბანკების კრიტიკული ფუნქციების უწყვეტობისა და ფინანსური სისტემის ეფექტური და სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის, საბიუჯეტო და სახელმწიფო სახსრების დაცვის, დაზღვეული დეპოზიტორების დაცვისა და კლიენტთა ფინანსური სახსრებისა და აქტივების დაცვის მიზნით. ამასთან, გამომდინარე ცვლილებები შევიდა სხვა საქართველოს კანონებში, მათ შორის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში, „ლიცენზიებისა და ნებართვების

შესახებ“ საქართველოს კანონში, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში და სხვა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის მონაწილეობით შემუშავდა და ამოქმედდა „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნულმა კანონმა დერივატივების, ურთიერთგაქვითვის შეთანხმებისა და ფინანსური გირავნობის გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიები შექმნა. კანონის მიზანია ხელი შეეწყოს საერთაშორისო ფინანსური ხელშეკრულებების განხორციელებას, რაც თავის მხრივ ფინანსური ბაზრების ჭანსალ და სწორ განვითარებას განაპირობებს. აგრეთვე შეიქმნა მნიშვნელოვანი გარანტიები დერივატივებისა და ფინანსური გირავნობის მხარეების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამავდროს, კანონმა ეროვნული ბანკი აღჭურვა რიგი უფლებამოსილებებით, შესაბამისი საკითხები დაარეგულიროს კანონქვემდებარე ნორმატიული სამართლებრივი აქტებით. გამომდინარე ცვლილებები შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლითაც დაბუსტდა „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ტერმინოლოგიური და რედაქციული საკითხები. აგრეთვე, გამომდინარე ცვლილებები შევიდა „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში და ა.შ.

მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლის თანახმად, კანონის 35-ე მუხლში განისაზღვრა, რომ ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გაფორმებასა და დიზაინს ეროვნული ბანკის საბჭო მის მიერვე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით შეიმუშავებს და ამტკიცებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და გამომდინარე კანონების, მათ შორის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შემუშავების პროცესში. ორგანული კანონი განხორციელებული ცვლილებით შესაბამისობაში მოვიდა „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონთან. აგრეთვე, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

2019 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის 66 ნორმატიული აქტის პროექტი მომზადდა, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა მოქმედ კანონმდებლობასთან ან დარეგულირდა ახალი ურთიერთობები. ასევე უზრუნველყოფილ იქნა აღნიშნული ნორმატიული აქტების ოფიციალური გამოქვეყნება - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ელექტრონული ფორმით განთავსება. მათ შორის: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 5 თებერვლის N18/04 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესი“, რომელიც ადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის პრინციპებს ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის. აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 26 თებერვლის N45/05 ბრძანებით ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის N242/01 ბრძანებაში“, რომლითაც უკან-

ონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, წერილობითი მითითებების, შემოწმების/ზედახედველობის შედეგად განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის ან/და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითებების შეუსრულებლობისათვის ფულადი ჯარიმები წესში ცალკე მუხლად განისაზღვრა. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 22 მარტის N56/04 ბრძანებით „კომერციული ბანკების კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩო“, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 22 აპრილის N71/04 ბრძანებით „წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულება“ დამტკიცდა, რომელიც არეგულირებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს, რომლის მიზანია კომერციული ბანკების აქტივებისა და გარესაბალანსო ოპერაციების შესაბამისი დაფინანსების სტრუქტურის ხელშეწყობა. აგრეთვე, საანგარიშგებო პერიოდში მიღებულ იქნა „კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების იჯარით გაცემის დამატებითი/განსხვავებული კრიტერიუმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 24 აპრილის N75/04 ბრძანება, „კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 21 ნოემბრის N228/04 ბრძანება და „კომერციული ბანკების ფასდადების მოდელის მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 24 აპრილის N74/04 ბრძანება. აღსანიშნავია, რომ ვალუტის გადაცვლის ოპერაციების ელექტრონული აპარატების მეშვეობით განხორციელების დაშვებისა და აღნიშნული საქმიანობის რეგულირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 20 აგვისტოს N153/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებაში.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში საკადრო უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ცვლილების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 30 ივნისის N103/04 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს ეროვნულ ბანკში დასაქმებისთვის კონკურსის


ჩატარების წესისა და პირობების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნულ ბანკში დასაქმებისთვის ღია, დახურული და გამარტივებული საჯარო კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესს, აგრეთვე საქართველოს ეროვნულ

ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 20 ივნისის N102/04 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს ეროვნულ ბანკში დასაქმებულის გადაყვანისა და დაწინაურების წესი“, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ ბანკში დასაქმებულის გადაყვანისა და დაწინაურების პროცედურებსა და სამართლებრივ საფუძვლებს.



16

პრეპროცესის მართვა




16. პროექტების მართვა

ბოლო წლებში ეროვნული ბანკში განსაკუთრებით თვალსაჩინოა ორგანიზაციული ზრდა, განვითარება და სხვადასხვა ფუნქციების გაფართოება, რაც მზარდ რესურსებს და კოორდინირებულ ძალისხმევას მოითხოვს. ამ გამოწვევების საპასუხოდ დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური განხილვების შედეგად, პროექტების

ხორციელებასთან დაკავშირებით ობიექტურ შეფასებაზე დაფუძნებული ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს. პრიორიტეტების დადგენის მოდელის სრულყოფილად მუშაობისთვის განისაზღვრა პროექტების პორტფელთან დაკავშირებული ინვესტიციების კატეგორიები:

დიაგრამა N 16.1 ეროვნულ ბანკში მიმდინარე პროექტები კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


პორტფელის მართვის ჩარჩო შემუშავდა, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და მეთოდოლოგიას (COBIT, PMBOCK, The Stage-Gate® Model) დაეფუძნა. ჩარჩო იყენებს ბიზნეს-ქეისის მიდგომას, რაც საშუალებას იძლევა, რომ ყველა ახალი ინიციატივიდან მისაღები სარგებელი ობიექტურად გაზომვადი ინდიკატორებით წინასწარ იყოს განსაზღვრული, გამოვლინდეს და შეფასდეს როგორც ბიზნეს-ქეისთან დაკავშირებული, ასევე ოპერაციული რისკები და დაისახოს ოპტიმალური სტრატეგიები სარგებლის რეალიზებისა და რისკების მართვისთვის. პროექტების პორტფელის მართვის ჩარჩოში დეტალურად აღიწერა ბიზნეს-ქეისის სრული ციკლის მიმართ მოთხოვნები და პროცესში ჩართული მხარეების უფლებამოსალებები. ასევე შემუშავდა პროექტებისა და ინიციატივების პრიორიტეტების დადგენის მოდელი და კრიტერიუმები, რაც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას პროექტების გან-

- ბიზნესის ფუნქციონირებისთვის (არსებული ოპერაციების შენარჩუნებისთვის) აუცილებელი ინვესტიცია;
- ბიზნეს-პროცესების დამატებითი ავტომატიზაციისთვის საჭირო ინვესტიცია;
- ბიზნეს-პროცესების ტრანსფორმაციისთვის საჭირო ინვესტიცია, რაც გულისხმობს ახალი ბიზნეს-პროცესების დანერგვას, ან არსებულის გაუმჯობესებას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის პროექტების პორტფელში 26 საშუალო და დიდი მასშტაბის პროექტია, რომელთაგანაც 6 ტრანსფორმაციულ პროექტს წარმოადგენს.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ბოლოს პორტფელში შემავალი პროექტების დიდი ნაწილი საწყის, ინიცირების ფაზაში იმყოფებოდა და მათი წარმატებულად განხორციელება

დიაგრამა N 16.2 ეროვნულ ბანკში მიმდინარე პროექტები ფაზების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მათში ჩართული ადამიანური რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული. 2019 წლის ბოლოსთვის ინიცირების ფაზაში არსებული პროექტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა (12-დან 4-მდე), ხოლო დასრულებული პროექტების რაოდენობა 2-დან 7-მდე გაიზარდა.

პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია კოორდინაციისა და ერთობლივი მართვის ეფექტური მექანიზმების არსებობა. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს ადამიანური რესურსების მაქსიმალური ხელმისაწვდომობისა და დატვირთულობის კონტროლის მიზნით პროექტებში ჩართული თანამშრომლების ცენტრალიზებული ბაზის შექმნას, შესრულებული სამუშაოს მონიტორინგსა და შეფასებას, რესურსების დატვირთულობის და ხელმისაწვდომობის ანალიზსა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ამ ინფორმა-

ციის მიწოდებას. ამ ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის ეროვნული ბანკის პროექტების მართვის ოფისი იყენებს MS Project Server-ის და MS Sharepoint Server-ის პროგრამულ პროდუქტებს, რომლებიც ერთ-ერთ საუკეთესო ინსტრუმენტებს წარმოადგენს როგორც პროექტების პორტფელის მართვისთვის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ორგანიზებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს პროექტების და პორტფელის მართვის სფეროში ცოდნის ბაზის შექმნას. ამ მიზნით, 2019 წელს ეროვნული ბანკის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ინტენსიური ტრენინგი პროექტების ზოგად მენეჯმენტში, რომლის მიზანსაც მონაწილეებისთვის პროექტების მენეჯმენტის სფეროში საბაზისო ცოდნისა და ძირითადი უნარ-ჩვევების გამომუშავება წარმოადგენდა.



17

სტატისტიკური საქმიანობა



17. სტატისტიკური საქმიანობა

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური საქმიანობა, გასულ წლებთან შედარებით, საგრძნობლად დაიხვეწა. ამ ეტაპზე რიცხვით ფორმატში წარმოდგენილ ანგარიშებთან ერთად, ეროვნული ბანკი მომხმარებელს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ვიზუალურ ინტერაქტიულ რეპორტებს სთავაზობს. აღნიშნულის მიღწევა მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის თანამედროვე პლატფორმის (Business Intelligence - BI) დანერგვის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ინტერაქტიული რეპორტების გამოყენებით, მომხმარებელი მონაცემთა რაოდენობრივ თუ ფარდობით მნიშვნელობებს არა მარტო ვიზუალურად აკვირდება, არამედ შეუძლია საკუთარი შეხედულებით განახორციელოს მონაცემთა ფილტრაცია და მიიღოს მისთვის სასურველი შედეგი როგორც ვიზუალურ, ასევე ცხრილის ფორმატში. ასეთი მოხერხებული ინსტრუმენტის შეთავაზება მომხმარებლებს სტატისტიკური მონაცემების სხვადასხვა კუთხით ანალიზის საშუალებას აძლევს.

2019 წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის ინტერაქტიული სტატისტიკის რუბრიკას მომხმარებელთა ფართო სპექტრის ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი არაერთი საინტერესო რეპორტი დაემატა. წინა წელს გამოქვეყნებული სესხებისა და დეპოზიტების ინტერაქტიულ რეპორტებთან ერთად, ვებ-გვერდზე უკვე ხელმისაწვდომია ფინანსური ბაზრების, საგარეო სექტორისა და მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის კატეგორიების ინტერაქტიული რეპორტები მრავალფეროვანი ფილტრაციის ინსტრუმენტებით. აღნიშნული რეპორტები ეფუძნება ყოველდღიურ და ყოველთვიურ ფინანსურ და მონეტარულ მონაცემებს, რომლებიც პერიოდულად გროვდება ეროვნული ეკონომიკის ფინანსური და არაფინანსური სექტორიდან. აღსანიშნავია განსაკუთრებული ანალიტიკური დატვირთვის მქონე ინტერაქტიული რეპორტები - სავალუტო ბაზარი, ფულადი გზავნილები, ოფიციალური გაცვლითი კურსები, ლიკვიდობა და დეპოზიტური კორპორაციების ანალიტიკური მიმოხილვები, რომლებიც დროითი მწკრივების საშუალებით ნათლად ასახავენ ფინანსური სექტორის როგორც მიმდინარე, ასევე წარსულ ტენდენციებს. 2019 წლის ბოლოს ეროვნული ბანკის ინტერაქტიული სტატისტიკის რუბრიკას დაემატა რეპორტი საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ, რომელიც იმპორტისა და ექსპორტის მონაცემების მრავალფეროვანი ანალიზის სა-

შუალებას იძლევა. რეპორტი მომხმარებელს სასურველი ფილტრებისა და პირობების არჩევის შემდეგ, საშუალებას აძლევს გაანალიზოს თუ რომელი საქონელი, რომელ ქვეყანაში გადის ექსპორტზე ან ხორციელდება იმპორტი. ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია დროის სასურველი ინტერვალით, თანხობრივი ან წონითი მაჩვენებლებით. აგრეთვე, მომხმარებელს საშუალება აქვს მისთვის საინტერესო იმპორტ/ექსპორტის მონაცემები მსოფლიო რუკაზე გაანალიზოს.

მიმდინარე წელს დაგეგმილია ინტერაქტიული რეპორტების რუბრიკას დაემატოს როგორც ახალი რეპორტები, ასევე გაიზარდოს არსებული რეპორტების ფუნქციონალური დატვირთვა. კერძოდ, ოფიციალური გაცვლითი კურსების ინტერაქტიული რეპორტის განზოგადება განხორციელდება ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსების დამატებით. მიმდინარეობს სისტემატური მუშაობა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების (FSI) ინტერაქტიული რეპორტის შექმნის კუთხით. ასევე, 2020 წელს მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება საგარეო სექტორის აქტივობების ამსახველი და ფინანსური და მონეტარული სტატისტიკის სხვადასხვა დატვირთვის მქონე რეპორტები.

2020 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკმა სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების გაცვლის (SDMX) თანამედროვე ფორმატის დანერგვა დასაბა გეგმად. SDMX ფორმატი ISO სტანდარტის მიხედვით აღწერს სტატისტიკურ მონაცემებსა და მეტამონაცემებს, უზრუნველყოფს სტატისტიკის მწარმოებელ და მსგავს ორგანიზაციებს შორის მონაცემთა ეფექტურ გაცვლას. აგრეთვე, სტატისტიკის წარმოებაში აღნიშნული ფორმატის გამოყენება ხელს უწყობს მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს მეტამონაცემების ჰარმონიზაციასა და სტანდარტიზაციას სტატისტიკურ ორგანიზაციებს შორის, რაც, თავის მხრივ, აჩქარებს ბიზნეს პროცესებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკის თანამშრომლები მე-7 გლობალურ SDMX კონფერენციაში მონაწილეობდნენ, რომელიც 2019 წლის სექტემბერში, ქალაქ ბუდაპეშტში გაიმართა. კონფერენციის ფარგლებში განხილული იყო SDMX ფორმატთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები, საერთაშორისო გამოცდილება და დანერგვასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალები.

საწყის ეტაპზე, 2020 წელს, დაგეგმილია SDMX ფორმატში იმ სტატისტიკური მონაცემების წარმოების მექანიზმის შემუშავება, რომლებსაც საქართველოს ეროვნული ბანკი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს უზიარებს, ხოლო მომდევნო ნაბიჯი კი საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის (სებსტატი) მონაცემების და მეტამონაცემების აღნიშნულ ფორმატში სრული მიგრაცია იქნება.

საანგარიშო წელს კომერციული ბანკებიდან მიღებული ყოველთვიური ფინანსური მაჩვენებლების ვალიდაციის ინტერაქტიული რეპორტები მომზადდა. BI-ის გარემოში, თითოეული კომერციული ბანკისთვის შეიქმნა ინდივიდუალური ვებ-გვერდი, სადაც აღნიშნული რეპორტები განთავსდა და მონაცემთა ვალიდაციის პროცესის წარმართვა დროის რეალურ რეჟიმში გახდა შესაძლებელი, რამაც ბიზნეს პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა. ვალიდაციის მეთოდის დანერგვა წარმოადგენს როგორც მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმს, ასევე კომერციული ბანკის რეპორტირების სამსახურთან, კონკრეტულ ტექნიკურ საკითხთან დაკავშირებით სწრაფი კომუნიკაციის საშუალებას. მეორე მხრივ, ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს დამატებით შესთავაზა ინსტრუმენტი, რომელიც გაცემული სესხების, მო-

ზიდული დეპოზიტებისა და ფულადი გზავნილების დინამიკის დროის სასურველ ინტერვალში და მონაცემთა სხვადასხვა ქრილში გაანალიზების საშუალებას იძლევა.

2019 წელს წარმატებით განხორციელდა კომერციული ბანკებიდან შეგროვებული ყოველთვიური ფინანსური მონაცემების განზოგადება. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში შესრულებულ ტრანზაქციებზე წარმოდგენილი მონაცემების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა, გაიზარდა აგრეგირებული მონაცემების დეტალიზაცია, რამაც მონაცემთა გრანულარული დანაწილების ხარისხი გააუმჯობესა. ზემოაღნიშნულმა ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესება გამოიწვია, რაც ფინანსური სექტორის სექტორული ბალანსის წარმოებაში გამოიხატება. მეორე მხრივ, მონაცემთა განზოგადების თვალსაზრისით შესრულებულმა სამუშაოებმა და ხარისხის გაუმჯობესებამ, ფინანსური სექტორის ფინანსური ანგარიშის (FA) არა მხოლოდ ნაშთებზე, არამედ საანგარიშო პერიოდის ნაკადებზე დაყრდნობით წარმოების მყარი საფუძველი შექმნა. შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები უკვე შესრულებულია და 2020 წელს დაგეგმილია ფინანსური სექტორის სრულფასოვანი ფინანსური ანგარიშის წარმოება სესხების და დეპოზიტების ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

სარჩევნო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	233
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	234-236
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის: მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	237-238
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	239-240
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	241-242
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	243-244
ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები	245-305

საქართველოს ეროვნული ბანკი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საქართველოს ეროვნული ბანკის („ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის საოპერაციო საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის, საიმედო, შესადარის და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ბანკის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით მუშაობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომლებიც წარმოადგენენ და განმარტავენ ბანკის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფენ ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (ფასს) შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაცემად 2020 წლის 14 აპრილს.

ბანკის საბჭოს სახელით:



საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი



შპს KPMG Georgia
 ჯი ემ თი პლაზა
 მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი N4
 თბილისი, საქართველო 0105
 ტელეფონი: +995 322 93 5713
 ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დასკვნა

ჩვენ მოვახდინეთ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისად, ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბანკის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ბანკის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

შპს „KPMG Georgia“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარიულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative („KPMG International“).

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ბანკის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ბანკის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავაძახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ბანკი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.



საქართველოს ეროვნული ბანკი
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 2

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
14 აპრილი, 2020 წელი

საქართველოს ეროვნული ბანკი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2019	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2018
	საპროცენტო შემოსავალი საერთაშორისო რეზერვების მართვის ოპერაციებიდან	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13,333	13,077
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	190,775	127,870
სხვა	5,558	4,840
	209,666	145,787
საპროცენტო შემოსავალი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან		
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	131,090	108,185
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	40,087	20,742
	171,177	128,927
სხვა საპროცენტო შემოსავალი		
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით	17,730	21,006
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	498	11,065
სხვა	6	6
	18,234	32,077
სულ საპროცენტო შემოსავალი	399,077	306,791
საპროცენტო ხარჯი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან		
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(4,440)	(4,626)
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(52,102)	(40,865)
	(56,542)	(45,491)
სხვა საპროცენტო ხარჯები		
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(320)	(598)
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	(14,440)	(10,893)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	(9,181)	-
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე	(161)	-
	(24,102)	(11,491)
სულ საპროცენტო ხარჯი	(80,644)	(56,982)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	318,433	249,809
გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა	29	31
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების შემდეგ	318,464	249,704
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებიდან:		
-საკურსო სხვაობებიდან	339,677	54,186
-სავაჭრო ოპერაციებიდან	2,919	543
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები	4	2,125
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები	4	(1,800)


მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საქართველოს ეროვნული ბანკი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2019	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2018
წმინდა მოგება/(ზარალი) რეალიზებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12,924	(8,538)
წმინდა მოგება/(ზარალი) რეალიზებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	(4,220)	2,590
წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	2,512	(2,667)
სხვა შემოსავლები	5	1,259
არასაპროცენტო შემოსავალი/(ზარალი)	353,515	52,291
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	6	(25,378)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(10,550)
ფულის ბეჭდვის ხარჯი		-
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(5,582)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(1)
სხვა ხარჯები		(1,059)
არასაპროცენტო ხარჯი	(42,570)	(45,956)
წლის მოგება	629,409	256,039
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)		
<i>მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირებულ იქნას მოგებაში ან ზარალში:</i>		
წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში იმ ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	34,958	3,730
წმინდა რეალიზებული მოგება/(ზარალი) ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში	(3,624)	4,962
სულ სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	31,334	8,692
სულ წლის სრული შემოსავალი	660,743	264,731

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-დან 7% გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 14 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:


საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები:			
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
საერთაშორისო რეზერვები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,713,548	1,278,475
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	572,233	537,249
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	5,362	1,523
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	152,395	138,094
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,610,388	6,847,456
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
სხვა აქტივები	17	253	8
		10,054,179	8,802,805
აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	3,142,134	1,901,477
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	809,443	364,653
სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	-	46,272
ინვესტიციები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	13	241,616	281,808
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი იჯარის მიხედვით	14	2,077	-
ძირითადი საშუალებები	15	57,819	54,518
არამატერიალური აქტივები	16	4,980	5,061
სხვა აქტივები	17	4,639	8,521
		4,262,708	2,662,310
სულ აქტივები		14,316,887	11,465,115

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგებისა.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ვალდებულებები და კაპიტალი:			
ვალდებულებები:			
უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	4,231,029	3,642,799
სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	73,437	8,122
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	616,518	414,917
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,282,884	983,435
სხვა ვალდებულებები	17	1,247	2,776
		6,205,115	5,052,049
ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები			
მიმოქცევაში გაშვებული ფული	21	4,137,012	3,565,496
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	79,149	79,310
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	471,453	669,726
სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	838,104	362,445
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	20	267,604	666
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,979	1,872
სხვა ვალდებულებები	17	9,932	7,711
		5,805,233	4,687,226
სულ ვალდებულებები		12,010,348	9,739,275
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	23	15,000	15,000
სარეზერვო ფონდი	23	475,296	288,120
გაუნაწილებელი მოგება	23	100,000	80,000
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	23	1,673,986	1,334,309
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	23	39,745	8,411
სხვა გადაფასების რეზერვი	23	2,512	-
სულ კაპიტალი		2,306,539	1,725,840
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,316,887	11,465,115

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-დან 73 გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 14 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:



საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საქართველოს ეროვნული ბანკი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეკლამირებული სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების მოგება	რეკლამირებული გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ
1 იანვარი 2018	15,000	165,180	1,280,123	1,208	(281)	69,879	1,531,109
სულ სრული შემოსავალი წლის მოგება	-	-	-	-	-	256,039	256,039
სხვა სრული შემოსავალი							
<i>მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლამირდეს მოგებაში ან ზარალში:</i>							
წმინდა არარეალიზებული მოგება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში	-	-	-	-	3,730	-	3,730
წმინდა რეალიზებული მოგება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლამირდეს მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	4,962	-	4,962
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	8,692	-	8,692
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-	8,692	256,039	264,731
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები							
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადარიცხვა (შენიშვნა 23)	-	-	-	-	-	(70,000)	(70,000)
სარეზერვო ფონდში გადატანა (შენიშვნა 23)	-	122,940	-	-	-	(122,940)	-
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა (შენიშვნა 23)	-	-	54,186	-	-	(54,186)	-
სხვა გადაფასების რეზერვში გადატანა (შენიშვნა 23)	-	-	-	(1,208)	-	1,208	-
სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები	-	122,940	54,186	(1,208)	-	(245,918)	(70,000)
31 დეკემბერი 2018	15,000	288,120	1,334,309	-	8,411	80,000	1,725,840
ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენებით გამოწვეული ცვლილებები (იხილეთ შენიშვნა 3)	-	-	-	-	-	(44)	(44)
1 იანვარი 2019	15,000	288,120	1,334,309	-	8,411	79,956	1,725,796

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხვით უნდა იქნეს თანდაართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განყოფილება

საქართველოს ეროვნული ბანკი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
 (ათასი ლარი)

საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეალ. ღირ. შეფ. სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
-	-	-	-	-	629,409	629,409
-	-	-	-	34,958	-	34,958
-	-	-	-	(3,624)	-	(3,624)
-	-	-	-	31,334	-	31,334
-	-	-	-	31,334	629,409	660,743
-	-	-	-	-	(80,000)	(80,000)
-	187,176	-	-	-	(187,176)	-
-	-	339,677	-	-	(339,677)	-
-	-	-	2,512	-	(2,512)	-
-	187,176	339,677	2,512	-	(609,365)	(80,000)
15,000	475,296	1,673,986	2,512	39,745	100,000	2,306,539

სულ სრული შემოსავალი
 წლის მოგება
სხვა სრული შემოსავალი
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:
 წმინდა არარეალიზებული მოგება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში
 წმინდა რეალიზებული მოგება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში
 სულ სხვა სრული შემოსავალი
სულ წლის სრული შემოსავალი
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები
 საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადაარიცხვა (შენიშვნა 23)
 სარეზერვო ფონდში გადატანა (შენიშვნა 23)
 უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა (შენიშვნა 23)
 გადატანა სხვა გადაფასების რეზერვში (შენიშვნა 23)
 სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები
 31 დეკემბერი 2019

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 14 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:


 საბჭოს თავმჯდომარე



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
 დეპარტამენტის უფროსი
 ანდრია მანელაშვილი

კობა გვენეტაძე

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2019	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2018
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
მიღებული პროცენტი	350,834	275,566
გადახდილი პროცენტი	(75,869)	(51,464)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	2,501	2,125
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(4,057)	(1,800)
წმინდა მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულებით		
აღრიცხული ფინანსური აქტივებისა, მოგებაში ან ზარალში	(4,220)	2,590
ასახვით		
წმინდა რეალიზებული მოგება უცხოური		
ვალუტით განხორციელებული სავაჭრო	2,919	543
ოპერაციებიდან		
სხვა მიღებული შემოსავალი	1,487	2,167
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(25,378)	(21,286)
ფულის ბეჭდვაზე გადახდილი ხარჯი	-	(10,931)
სხვა გადახდილი საერთო და ადმინისტრაციული	(11,607)	(9,810)
ხარჯები		
ფულადი სახსრების წმინდა შემოდიდება საოპერაციო		
საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და	236,610	187,700
ვალდებულებების ცვლილებებამდე		
<i>წმინდა (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:</i>		
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების	(1,191,728)	(135,963)
მიმართ		
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	181	4,148
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	(855)	(785)
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით,	(4,363)	(2,259)
მოგებაში ან ზარალში ასახვით		
სხვა აქტივები	(888)	(278)
<i>წმინდა ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:</i>		
მიმოქცევაში გაშვებული ფული	571,516	256,627
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების	137,728	659,955
მიმართ		
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	670,091	(203,288)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	266,939	(705)
სხვა ვალდებულებები	(1,313)	(295)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდიდება საოპერაციო	683,918	764,857
საქმიანობიდან		


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია


საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
 (ათასი ლარი)

შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2019	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2018
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:		
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული თანხები	3,057	3,703
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(6,312)	(4,555)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(1,193)	(3,502)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების შესყიდვა	(10,040,444)	(9,378,175)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების დაფარვით მიღებული შემოსავალი	9,566,336	8,163,045
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(478,556)	(1,219,484)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:		
ფინანსთა სამინისტროსთვის თანხის გადარიცხვა	23 (80,000)	(70,000)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება	255,400	255,400
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	(256,390)	(256,081)
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან თანხების წმინდა მიღება	27 234,773	214,454
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	153,783	143,773
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისთვის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	75,928	(327)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	435,073	(311,181)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	7 1,278,475	1,589,656
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	7 1,713,548	1,278,475

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-დან 7-ჯერ გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 14 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:


 საბჭოს თავმჯდომარე
 კობა გვენეტაძე


 ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
 დეპარტამენტის უფროსი
 ანდრია მანელაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

1. ორგანიზაცია

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და საქართველოს მთავრობის ბანკირსა და ფისკალურ აგენტს. იგი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს (შემდგომში „კანონი“).

ბანკის ძირითადი ამოცანა და პასუხისმგებლობა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, ფინანსური სექტორის სტაბილურობა და ეფექტურობა, ეროვნული ვალუტის ემისია და საერთაშორისო რეზერვების მართვაა. ეს პასუხისმგებლობები განიხილება ქვემოთ აღწერილი ფუნქციების შემადგენელ ნაწილად.

მონეტარული პოლიტიკა

ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ზომიერი და პროგნოზირებადი ინფლაციის განაკვეთის არსებობას, რომელიც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი ახორციელებს ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერას და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, თუ ამ უკანასკნელი მიზნების განხორციელება თანხვედრაშია მთავარ მიზანთან - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა მიზნად ისახავს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

ზედამხედველობა და ფინანსური სტაბილურობა

ბანკის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ამ მიზნების განხორციელებისთვის ეროვნული ბანკს აქვს უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სხვადასხვა წარმომადგენლების - კომერციული ბანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, სესხის გამცემი სუბიექტების და საქართველოს საპენსიო სააგენტოს (საინვესტიციო საქმიანობასთან მიმართებით) - საქმიანობას.

საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი საზედამხედველო ჩარჩოს ფარგლებში ხელს უწყობს მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. ამასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობისა და ფიზიკური პირების კეთილდღეობის ხედვით, სამთავრობო სტრუქტურებიდან, კერძო ფინანსური სექტორიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, ბანკმა განავითარა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური ჩართულობის მიმართულებით გაწეული ძალისხმევის შემავსებელი ნაწილი.

ვალუტა

მხოლოდ ბანკს აქვს მიმოქცევისათვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტების და მონეტების დამზადებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი ემისიის უფლება. ბანკი განსაზღვრავს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, მასალასა და სხვა მახასიათებლებს, ბანკნოტების ბეჭდვა და მონეტების დამზადება ხდება წამყვანი ევროპული დამამზადებელი კომპანიების მიერ.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საერთაშორისო რეზერვების მართვა

სავალუტო პოლიტიკისა და ოპერაციების მიზნებისთვის, ბანკი ფლობს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეზერვების პორტფელს, რაც განკუთვნილია, მაგალითად ფინანსური კრიზისის პერიოდში საგარეო შოკების ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფის, საქართველოს მთავრობისათვის და ასევე ბანკის უცხოური ვალუტით გადახდების შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობისთვის.

საგადახდო სისტემები

ბანკი ახორციელებს ქვეყანაში უდიდესი საგადახდო სისტემის „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა“-ის (RTGS) საქმიანობას, რომელიც ახორციელებს ბანკთაშორის ანგარიშსწორებას და საქართველოს მთავრობის გადახდებს ეროვნულ ვალუტაში.

ხელმძღვანელობა

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საბჭო შედგება შემდეგი წევრებისაგან:

თანამდებობა	სახელი, გვარი (2019)	სახელი, გვარი (2018)
თავმჯდომარე	კობა გვენეტაძე (პრეზიდენტი)	კობა გვენეტაძე (პრეზიდენტი)
წევრი	არჩილ მესტვირიშვილი (ვიცე-პრეზიდენტი)	არჩილ მესტვირიშვილი (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	პაპუნა ლეჟავა (ვიცე-პრეზიდენტი)	პაპუნა ლეჟავა
წევრი	რობერტ ჰ. სინგლეტარი	რობერტ ჰ. სინგლეტარი
წევრი	ნიკოლოზ ყაველაშვილი	ნიკოლოზ გონგლიაშვილი
წევრი	ვაკანტური	ვაჟა ჯანყარაშვილი
წევრი	ვაკანტური	ნიკოლოზ ყაველაშვილი

ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქუჩა №2, 0114, თბილისი, საქართველო. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს სალარო მომსახურების ერთი ცენტრი. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკში დასაქმებული იყო 512 და 467 თანამშრომელი, შესაბამისად.

2. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“).

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეკონომიკური და ბუღალტრული აღრიცხვის ფარგლებში, რომელიც სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ პოზიციას და ამავდროულად ხელს უწყობს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ ანალიზს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები გაყოფილია უცხოურ და ადგილობრივ ვალუტებად (წარმოდგენილია შესაბამისი სათაურების ქვეშ), რაც უკეთ ასახავს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსსა და რისკებს. ბანკის აქტივები უცხოურ ვალუტაში ძირითადად დაკავშირებულია ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვის ფუნქციასთან. ამავდროულად, ბანკის აქტივები და ვალდებულებები ადგილობრივ ვალუტაში აღიარებულია იმ ოპერაციების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია მონეტარული პოლიტიკის

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

გატარებასთან, ფულის მიმოქცევაში გაშვებასთან და კანონით განსაზღვრულ ბანკის სხვა ფუნქციებთან. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკური კონცეფცია დამატებით ნაჩვენებია, საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ქვე-სათაურების ქვეშ, შესაბამისად. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება განცალკევებით წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლებს/ხარჯებს და არასაპროცენტო შემოსავლებს/ხარჯებს ბანკის ოპერაციების მიხედვით. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდის გამოყენებით.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ასევე ინვესტიციებისა შეფასებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რომლებიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით.

სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

ვინაიდან ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს ღია ბაზრის ოპერაციების მნიშვნელოვან როლს მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაში, მისი ძირითადი საქმიანობა, შესაბამისად, არის ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გამოშვება, რომელიც საქართველოს ეროვნული ვალუტაა და რომელიც წარმოადგენს სამუშაო და ფინანსური ანგარიშგების ვალუტას. მაშასადამე, ყველა ნაშთი და ოპერაცია, რომელიც ასახულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში განიხილება როგორც „უცხოური ვალუტა“.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა არის გამოყენებული ამ ანგარიშგებებში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის და ბანკი მას იყენებს თანამიმდევრულად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი მხარის ფინანსურ აქტივს ასევე მეორე მხარის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ბანკის ფინანსურ ინსტრუმენტებში წარმოდგენილია ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში, უცხოური ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (სუპრა-ნაციონალური) და სახელმწიფო სააგენტოების მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდები, საპროცენტო განაკვეთების ფიქსირებული კონტრაქტები და ოფციონები, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) ანგარიშები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ, ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს, სსფ-სა და ადგილობრივი კომერციული ბანკების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს აღრიცხავს ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ შესაბამისად და წარადგენს ამ ინსტრუმენტებს ფასს 7- „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ და ფასს 13 „რეალური ღირებულებით შეფასება“ შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

კლასიფიკაცია

ბანკი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგ კატეგორიებად: შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით (AC), შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). კლასიფიკაცია დამოკიდებულია ბიზნეს მოდელზე, რომლის მიხედვითაც იმართება ფინანსური აქტივები და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. ბანკის ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარების მომენტში.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სავალო ფინანსური ინსტრუმენტი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

იმ სავალო ფინანსური აქტივების შემოსულობა და ზარალი, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გარდა შემდეგისა, რაც აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმავე სახით როგორც აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით:

- საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და მისი ანულირება; და
- სავალუტო კურსების ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი

როდესაც ხდება იმ სავალო ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

თავდაპირველი აღიარების მომენტში, ბანკს შეუძლია იმ ფინანსურ აქტივს, რომელიც სხვა მხრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რათა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საკუთარი ინიციატივით, მიანიჭოს კატეგორია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რაც სხვა მხრივ წარმოიქმნებოდა.

ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი პორტფელის დონეზე აფასებს იმ ბიზნესმოდელის მიზანს, რომლის პირობებშიც ის ფლობს აქტივს, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ იმართება საქმიანობა და თუ როგორ მიეწოდება ინფორმაცია ხელმძღვანელობას. გაითვალისწინება შემდეგი ინფორმაცია:

- პორტფელის ფლობის მიზანი;
- გაყიდვების (როგორც წარსული, ისე მომავალი) სიხშირე, მოცულობა და დრო;
- ის თუ როგორ ხდება ბიზნესმოდელისა და ფინანსური აქტივების შედეგების შეფასება და ანგარიშგება ბანკის ხელმძღვანელობასთან;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესმოდელის შედეგებზე, კერძოდ, თუ როგორ იმართება ეს რისკები (რათა მიზანი მიღწეულ იქნას);
- თუ როგორ ხდება საქმიანობის მმართველების ანაზღაურება, მაგალითად ანაზღაურება დამოკიდებულია მართული აქტივების რეალურ ღირებულებაზე, თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე;
- თუ რამდენად შეადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (მაგალითად საპროცენტო შემოსავალი) პორტფელზე უკუგების მნიშვნელოვან ნაწილს;

შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითანხისა და ძირითანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითანხისა და ძირითანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ძირითანხა განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების (მაგალითად ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითანხისა და ძირითანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ბანკი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. აღნიშნული მოიცავს შეფასებას, თუ რამდენად შეიცავს ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადის ან მოცულობის შეცვლა ისე, რომ აღარ კმაყოფილებდეს ეს მდგომარეობა. შეფასებისას ბანკი ითვალისწინებს:

- პირობითი მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების მოცულობას და ვადას;
- ლევერიჯის მახასიათებლებს;
- წინასწარი გადახდის და ვადის გაგრძელების პირობებს;
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (მაგალითად რეგრესის უფლების არმქონე შეთანხმებები), და
- მახასიათებლებს, რომლებიც ახდენენ ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურების მოდიფიცირებას;

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარება

ბანკი ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივის და ვალდებულებების ჩვეულებრივი ყიდვის ან გაყიდვის აღიარება ხდება განაღდებას დღის მდგომარეობით აღრიცხვის გამოყენებით.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც არ აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შექმნას ან ფინანსური ვალდებულების ემისიას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგებაში ან ზარალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მათი შემდგომი შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა გამჟღავნებულია ქვემოთ, შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ბანკი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ის სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსურ აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, ან თუ ბანკი არ გადასცემს და არ ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ რისკებს და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე. თუ ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და ასევე მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულიად შეწყვეტისას სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა, მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგება ან ზარალის ჯამს შორის, ექვემდებარება აღიარებას მოგება/ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), ბანკი ანაწილებს ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც გრძელდება მონაწილეობის პროპორციულად და იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც უკვე შეწყდა, ამ ნაწილების გადაცემის განხორციელების დღისათვის არსებულ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. მოგებაში ან ზარალში აღიარდება სხვაობა შეწყვეტილ ნაწილზე გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებას, შეწყვეტილ ნაწილზე მიღებული კომპენსაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული შემოსულობის ან ზარალის ჯამს შორის, რომელიც გადანაწილებულია სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ნაწილზე. აკუმულირებული შემოსავალი ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, გადანაწილდება იმ ნაწილებს შორის, რომელთა აღიარებაც გრძელდება და რომელთა აღიარებაც უკვე შეწყდა ამ ნაწილების შესაბამის რეალურ ღირებულებებზე დაყრდნობით.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება, ან ვადა გაუვა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება იმავე მსესხებლისაგან მიღებულ მეორე ვალდებულებას, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია განიხილება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ანულის-რება და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და მიღებულ ან გადახდილ თანხას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

შეფასების პრინციპები

რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის ძირითად ბაზარზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში უფრო საიმედო ბაზარზე, რომელიც ბანკისათვის ხელმისაწვდომია მოცემული დღისათვის. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს მისი გადაუხდელობის რისკს.

ბანკი ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას აფასებს ამ ინსტრუმენტისათვის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასების გამოყენებით იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ბაზარი არის აქტიური, თუ გარიგებები წარმოებს საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს ფასების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღებას.

იმ შემთხვევაში, თუ აქტიურ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასები, ბანკი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ შესაბამისი ბაზრის მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობიან არადაკვირვებად მონაცემებს. შერჩეული შეფასების ტექნიკა ითვალისწინებს ყველა ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ არსებულ პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი არის გარიგების ღირებულება, ანუ მიღებული და გადახდილი თანხების რეალური ღირებულება. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან და რეალური ღირებულების დადგენა ვერ ხერხდება ვერც კოტირებული ფასების საშუალებით აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის ან ვალდებულებისათვის, ვერც შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს, ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და სხვაობა გარიგების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის გადავადდება. შემდგომში ეს სხვაობა აღიარდება მოგება/ზარალში ფინანსური ინსტრუმენტის სიცოცხლის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს მომენტისა, როდესაც შესაძლებელი გახდება შეფასება ან ტრანზაქცია დაიხურება.

რეალური ღირებულების დასადგენად ბანკი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. კოტირებული საბაზრო ფასები საერთაშორისო ფასიანი ქაღალდებისათვის მიიღება ყოველდღიურად ბლუმბერგის სისტემიდან და ეფუძნება მიმდინარე მიწოდების ფასებს. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ეს ფასები საკმარისად ასახავს ფასიანი ქაღალდების ღირებულებას საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე მომენტისათვის არსებულ საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით და სრულად შეესაბამება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკას.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათასი ლარი)

თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი ინვესტიციებისთვის, ბანკი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს წმინდა ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების ანალიზისა და შეფასების სხვა სათანადო მეთოდების საშუალებით. შეფასების ტექნიკა გულისხმობს საფონდო ბირჟაზე გათვითცნობიერებულ და სურვილის მქონე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით დადებული უკანასკნელი გარიგებების გამოყენებას, თუ შესაძლებელია, რომ განისაზღვროს თითქმის მსგავსი სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე რეალური ღირებულება, დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზი, რომელიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობა საწარმოს სპეციფიკურ მონაცემებს.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომელიც მიიღება შემდეგნაირად: ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ღირებულებას თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს/მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვისსდროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და მინუს გაუფასურების ზარალი. პრემია და დისკონტი, საწყისი ხარჯების ჩათვლით, გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და მისი ამორტიზაცია ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში დენომინირებულს უცხოურ ვალუტაში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო ანგარიშებზე, გაცემის დღიდან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის საწყისი ვადის მქონე იმ ვადიან დეპოზიტებსა და იმ მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, რომლებსაც არ გააჩნიათ საკონტრაქტო ვალდებულებები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეფასებულნი არიან ამორტიზებული ღირებულებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წევრობა

„კანონის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, ბანკი მოქმედებს, როგორც საქართველოს მთავრობის შუამავალი, წარმომადგენელი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში (ე.ი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან მიმართებაში, რაც ასევე მოიცავს ამ ორგანიზაციებისათვის საწევრო შენატანების გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკი ფლობს სესხებს, დეპოზიტებს, მიმდინარე ანგარიშებს და სხვა მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ სხვადასხვა პერიოდულობით. ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის პირობებშიც იმართება ეს ფინანსური აქტივები, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ამ კატეგორიაში მოიაზრება მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ბანკის ინვესტიციები აგრეთვე მოიცავს საქართველოს მთავრობის ფასიან ქაღალდებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტის პრემია და დისკონტი, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულების გამოთვლის მეშვეობით. დარიცხული პროცენტი აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესაბამის მუხლებში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ითვალისწინებს თანდაყოლილი განაკვეთის გამოყენებას, რომლის მიხედვითაც ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე, ისე რომ პროცენტი აღიარდეს მუდმივი შემოსავლიანობის მქონე განაკვეთის საფუძველზე.

რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შედგება საერთაშორისო რეზერვების ნაწილისგან, რომელიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ, რაც წარმოადგენს ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში (BISIP_K). ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის მიხედვითაც იმართება ინვესტიცია, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. თუმცა, სახელშეკრულებო პირობები არ წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ისეთ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკი უცხოური ფასიანი ქაღალდების პორტფელის საპროცენტო რისკის მართვისათვის იყენებს საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსულ კონტრაქტებს და ოფციონებს საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსულ კონტრაქტებზე, რომლებითაც ვაჭრობაც მიმდინარეობს საზღვარგარეთის ბირჟებზე. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსული კონტრაქტები არის პროცენტის მატარებელი ინსტრუმენტზე მიბმული ფიუჩერსული კონტრაქტები, რომლებიც ინვესტორს საშუალებას აძლევს პროცენტის მატარებელ ინსტრუმენტზე დააფიქსიროს ფასი მომავალი თარიღისათვის. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსული კონტრაქტების ოფციონი წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მფლობელს მიიღოს სარგებელი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისაგან.

საპროცენტო განაკვეთების ფიუჩერსები და ოფციონები კლასიფიცირდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით“. წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით კონტრაქტის დადების თარიღისათვის და შემდგომ ანგარიშგების ყოველი თარიღისათვის გადაფასდება რეალური ღირებულებით. ანგარიშგების თარიღისათვის რეალური ღირებულება ეფუძნება ბლუმბერგით მიღებულ მიწოდების ფასებს და მიღებული გადაფასების მოგება/ზარალი ასახება ფასიანი ქაღალდებიდან და წარმოებული ინსტრუმენტებიდან მიღებული არარეალიზებული მოგება/ზარალის მუხლით მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წარმოებული ინსტრუმენტები ასახულია აქტივებად თუ მათი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებებად, თუ რეალური ღირებულება უარყოფითია.

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს საქართველოს და უცხო ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური სახელმწიფო სააგენტოების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიანი ქაღალდებს. ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ ბანკის საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ნაწილს ან მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს. აღნიშნული სავალო ფასიანი ქაღალდები იმართება იმ ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანაც მიიღწევა როგორც ფინანსური აქტივების ფლობით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. სავალო

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ბანკის ზარალის რეზერვი შეფასებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, რომლებსთვისაც ზარალის რეზერვი შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობით:

- სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის დაბალი საკრედიტო რისკის მქონეა;
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ბანკი მიიჩნევს რომ სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მათი საკრედიტო რისკის რეიტინგი საერთაშორისოდ მიღებული „საინვესტიციო რანგის მქონე“ განმარტების ეკვივალენტურია. ბანკის მკაცრი საინვესტიციო პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებით მაღალი საკრედიტო რანგის მქონე ინვესტიციების ფლობას, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც ბანკი ფლობს როგორც საერთაშორისო რეზერვებს, განიხილება დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ. გარდა ამისა, ბანკი, საქართველოს მთავრობის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში, განიხილავს როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მქონეს. ასეთი მიდგომა ასახავს ზოგად დაშვებას, რომ სახელმწიფოს ვალი დენომინირებული ადგილობრივ ვალუტაში მიიჩნევა დეფოლტის განსაკუთრებით დაბალი რისკის მატარებლად (ჩვეულებრივ მოიხსენიება როგორც „ურისკო“ ბაზრის მონაწილეთა გადმოსახედიდან), ისევე როგორც იმ ფაქტს, რომ, ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის არსებული განსაკუთრებული კავშირის გამო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბანკში გახსნილი აქვს თავისი ძირითადი მიმდინარე ანგარიში. ბანკი არ იყენებს გამონაკლისს დაბალი საკრედიტო რისკის დაშვების თაობაზე არც ერთი სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამომანგარიშება

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ზარალს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილ სიდიდეს. ის ფასდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღზე: მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (მაგალითად სხვაობა ბანკისთვის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ბანკი მოელის);

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

- ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია საანგარიშგებო თარიღზე: სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის;

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

თითოეულ საანგარიშგებო თარიღზე ბანკი აფასებს, რამდენად არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ფინანსური აქტივი მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად, თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად, დაკვირვებადი მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან მსესხებელი საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელებები;
- სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორცაა, მაგალითად დეფოლტი ან გადახდის ვადაგადაცილება;
- ბანკის მიერ, თავისი მსესხებლის ფინანსურ სიძნელებებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, ამ მსესხებლისათვის ისეთი დათმობების შეთავაზება, რომელთაც სხვა შემთხვევაში არ გაითვალისწინებდა;
- მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი დაიწყებს გაკოტრების პროცედურას, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;
- მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიძნელების გამო;

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც ვადაგადაცილებულია 90 დღით ან მეტით, ითვლება რომ დეფოლტირებულია, გარდა საქართველოს მთავრობის მიმართ არსებული მოთხოვნისა, რომელიც ჩაითვლება დეფოლტირებულად 180 დღეზე მეტი დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. ეს წარმოადგენს ფასს 9-ით გათვალისწინებული ვარაუდის უარყოფას, რომ დეფოლტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული. თუმცა, ეს მიდგომა ასახავს მთავრობის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესის გარემოებებს და ბანკის განსაკუთრებულ ურთიერთობას სახელმწიფოსთან, გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი მოქმედებს როგორც მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები: აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან გამოკლებით;
- სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ზარალის რეზერვი არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის მუხლში რამეთუ ამ აქტივების საბალანსო ღირებულება არის მათი რეალური ღირებულება. თუმცა, ზარალის რეზერვი გამჟღავნებულია და აღიარებულია იმ ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ჩამოწერა

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული აქტივები ჩამოიწერება (ნაწილობრივ ან სრულად) მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი, მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურდება. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს შემთხვევებს, როდესაც ბანკი დაასკვნის, რომ მსესხებელს არ გააჩნია აქტივები ან შემოსავლის წყარო, რომელთაც შეეძლოთ საკმარისი ფულადი ნაკადების გენერირება იმ თანხების დასაფარად, რაც ჩამოწერას ექვემდებარება. შეფასება კეთდება ინდივიდუალური აქტივის დონეზე.

ადრე ჩამოწერილი თანხების ანაზღაურება ჩართულია ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის მუხლში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება, როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო მოთხოვნების გამო ბანკს აქვს ვალდებულება გადასცეს ნაღდი ფული ან სხვა ფინანსური აქტივები ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელს ან გადაცვალოს ნაღდი ფულის ფიქსირებული ოდენობა ან სხვა ფინანსური აქტივები საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებში. ასეთი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს მთავრობის, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების და კლიენტების მიმართ, გამოშვებულ სავალო ფასიან ქალაქებს, ვალდებულებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი თავდაპირველად აისახება მიღებული სახსრების რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. პირველადი ასახვის შემდგომ ეს ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფასიანი ქალაქების გასესხების ხელშეკრულება

ავტომატური ფასიანი ქალაქების საკრედიტო პროგრამის ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო ფასიანი ქალაქების შეთავაზების აღიარება გრძელდება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ფასიანი ქალაქებთან ერთად, რომლებიც არ არის ჩართული ამ ოპერაციებში და ფასდება სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად, რომლებიც ასევე ვრცელდება აქტივებისთვის რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ფასიანი ქალაქების გასესხების ოპერაციების უზრუნველყოფა ხდება ფასიანი ქალაქებით, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების აქტივებისა და ვალდებულებების სახით, რადგან ბანკს არ აქვს შესაძლებლობა დააგირაოს ან გაყიდოს ამგვარი ფასიანი ქალაქები მსესხებლის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ფაქტის დადგომამდე; მხოლოდ ბანკის ანგარიშზე ფულადი სახით განთავსებული უზრუნველყოფების აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში.

ამ ოპერაციებიდან წარმოშობილი შემოსავლის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში საპროცენტო შემოსავლის სახით.

მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული მოიცავს ბანკის მიერ კანონისა და მისი, როგორც ცენტრალური ბანკის ფუნქციის ფარგლებში გამოშვებულ ბანკნოტებსა და მონეტებს. მიმოქცევაში არსებული ბანკნოტები და მონეტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ბანკის სალაროში ნაღდი ფულის ოდენობით.

ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ხარჯები აისახება ხარჯებში მათი გაწევისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

კომერციული ბანკებისგან უკან დაბრუნებული ბანკნოტები ამოიღება მიმოქცევაში არსებული ფულადი სახსრებიდან და მათი მდგომარეობიდან ან სტატუსიდან გამომდინარე, ხდება მათი განადგურება ან ბანკის სარეზერვო ფონდებში შენახვა, რომელიც არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ანარიცხები (წარმოდგენილი სხვა ვალდებულებებში)

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, რომელნიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და, სავარაუდოდ, ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია განხორციელდეს ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

მვირფასი ლითონები (წარმოდგენილი სხვა აქტივებში)

ოქროს საინვესტიციო მონეტები და ოქროს ზოდები აღიარებას და შემდგომ შეფასებას ექვემდებარება ბასს 2 – „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების“ შესაბამისად. ოქროს საინვესტიციო მონეტები და ოქროს ზოდები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით დამზადების, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების გათვალისწინებით. შემდგომში მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. საინვესტიციო მონეტების და ზოდების გაყიდვისას წარმოშობილი მოგება და ზარალი აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სხვა სამახსოვრო მონეტებზე გაწეული ხარჯები აღიარებას გადახდისთანავე ექვემდებარება როგორც მიმდინარე ხარჯები და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება (ასეთი მიზნებისთვის მშენებარე ობიექტების ჩათვლით) არის ქონება, რომელსაც ფლობენ საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით და არ გამოიყენება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში გაყიდვისთვის, საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით გარიგების ხარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთის და აღიარებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

თუ ძირითადი საშუალებების რომელიმე კომპონენტს აქვს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაშინ იგი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ქვემუხლში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება მათი ისტორიული ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი შეძენის დღიდან ან საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის იმ მომენტიდან როდესაც აქტივის შექმნა დასრულებულია და ის მზად არის გამოყენებისთვის. ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

	%
შენობა-ნაგებობები	2
კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	10-20
სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	20

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

რემონტისა და განახლების ხარჯები აისახება მათი გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს, გარდა შემთხვევებისა როდესაც ისინი კაპიტალიზაციას ექვემდებარებიან.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს აღემატება თუ არა მათი საბალანსო ღირებულება მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს: გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და არსებულ გამოყენების ღირებულებას შორის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებად ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის, რომ გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სისტემატურად გადანაწილდეს დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები ინდივიდუალურად აღირიცხება და თვითღირებულებით აისახება თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება როგორც შეზღუდული, ან განუსაზღვრელი ვადის მქონე. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია 5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და მათი შემოწმება გაუფასურებაზე ხდება გაუფასურების ნებისმიერი მაჩვენებლის არსებობისას. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხორციელდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი იჯარის მიხედვით

ბანკმა დროდადრო შესამოწმებ, ისარგებლოს აქტივების იჯარით ადმინისტრაციული მიზნებისთვის. ბანკმა გამოიყენა ფასს 16 და ისარგებლა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. შესაბამისად შესადარის ინფორმაცია რეტროსპექტულად არ გადაანგარიშებულა და მისი ანგარიშგება გრძელდება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

2019 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

საოპერაციო იჯარა არ აღიარდება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გადახდები საოპერაციო იჯარის ფარგლებში აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივად იჯარის ვადის განმავლობაში.

2019 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ბანკი გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს თავდაპირველი საიჯარო ვალდებულების ოდენობას, რომელიც კორექტირებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით, ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებულ ღირებულებას, რაც საჭიროა აქტივის დემონტაჟისთვის და გაუმჯობესებების ამოღებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი შემდგომში ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან იჯარის ვადის დასრულების თარიღამდე პერიოდში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი დამატებით პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების გარკვეული ხელახალი შეფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის გადაუხდელი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რისთვისაც დისკონტირებისას გამოიყენება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, ან თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა მარტივად შეუძლებელია - მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზოგადად, დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ის ხელახლა ფასდება, როდესაც იცვლება მომავალი საიჯარო გადახდები, ან როდესაც იცვლება იმის შეფასება, გამოიყენებს თუ არა ბანკი იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის უფლებას. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანო ღირებულება კორექტირდება შესაბამისად, ან იმ შემთხვევაში, თუ გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანო ღირებულება ნულამდეა შემცირებული, შესაბამისი ოდენობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბანკი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს წარადგენს ცალკე მუხლად, ხოლო საიჯარო ვალდებულებებს - „სხვა ვალდებულებების“ მუხლში.

ბანკმა აირჩია, რომ არ აღიაროს გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარით სარგებლობისას ან მოკლევადიანი იჯარის შემთხვევაში. ბანკი ასეთ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯად წრფივად იჯარის ვადის განმავლობაში.

საგადასახადო დაბეგვრა

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ბანკის აქტივები, ქონება და შემოსავალი, ისევე როგორც მისი საქმიანობა და ოპერაციები არ ექვემდებარება დაბეგვრას და სხვა მოსაკრებლების გადახდას.

პირობითი ვალდებულებები / აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა აისახება შენიშვნებში, ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, მაგრამ აისახება შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ივარაუდება ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როდესაც ბანკი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების (მაგალითად, აქტივის) კონტრაგენტებისთვის გადაცემით. აქტივი გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) კონტრაგენტი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საპროცენტო და მასთან გათანაბრებული შემოსავლები და ხარჯები

ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან უფრო მოკლე ვადაში, შესაბამის ვითარებაში, მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრების დისკონტირებას ფინანსური აქტივისა თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების დროს გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობა (მაგ. წინასწარი გადახდები) და მოცულია ფინანსურ ინსტრუმენტთან პირდაპირ დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არ არის გათვალისწინებული მომავალი საკრედიტო დანაკარგები. მისაღები ან გადასახდელი თანხების გადახედვის შემთხვევაში სწორდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება. გადახედილი საბალანსო ღირებულების თანხა გაანგარიშდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე და საბალანსო ღირებულების ცვლილების თანხა აღიარდება, როგორც საპროცენტო შემოსავლები ან ხარჯები.

საპროცენტო შემოსავლის აღიარების საფუძველი

თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება იმ ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების გარეშე), რომლებისთვისაც:

- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ;
- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მაგრამ რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული;

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება წმინდა საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების შემდეგ).

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

ბანკი გამოიმუშავებს გასამრჯელოებს და საკომისიო შემოსავლებს კონტრაგენტებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის საფუძველზე. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები მოიცავს ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციების და გადარიცხვების საკომისიოს, რომლებიც აღიარდება შემოსავლად მომსახურების გაწევისთანავე. გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები მოიცავს ნაღდი ფულის ოპერაციებს, ანგარიშსწორების საკომისიო ხარჯებს და გარე მენეჯერისათვის გადახდილ საკომისიოს, რომლებიც მომსახურების გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

უცხოური ვალუტის გადაფასება

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აისახება სამუშაო ვალუტაში, გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ანგარიშგების თარიღისათვის დაფიქსირებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაფასება ხორციელდება თავდაპირველი გარიგებისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში რეალური

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაფასება ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლი ანგარიშგებაში აისახება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა მოგებაში/(ზარალში) გადაფასების საკურსო სხვაობებში.

სხვაობა კონტრაქტით გათვალისწინებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებების გაცვლით კურსებსა და ბანკში გარიგების თარიღისათვის არსებულ კურსებს შორის აისახება წმინდა მოგებაში/(ზარალში) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან.

გაცვლითი კურსები

ქვემოთ მოცემულია ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3.0701
ლარი/1 ავსტრალიური დოლარი	2.0057	1.8894
ლარი/1 კანადური დოლარი	2.1939	1.9674
ლარი/1 ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR)	3.9655	3.7226

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვა და ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს. ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღრიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ბანკს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისათვის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა არ მომხდარა.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ბანკი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს.

ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოების წყარო

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი საჭიროებს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გავლენა აქვს ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და მოგება ან ზარალზე პერიოდის ბოლოსათვის წარმოდგენილ თანხებზე. დაშვებები და შეფასებები მუდმივად განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ფაქტური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისგან სხვადასხვა პირობებში და არსებითი დაშვებების შემთხვევაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

შეფასების არასარწმუნოების და კრიტიკული განსჯის მნიშვნელოვანი სფეროები აღწერილია შემდეგ განმარტებით შენიშვნებში:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: ბიზნესმოდელის შეფასება, რომლის პირობებშიც ფლობს ბანკი აქტივებს და იმის შეფასება თუ რამდენად შეიცავს სახელშეკრულებო პირობები ისეთ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას - შენიშვნა 3
- გამონაკლისი დაბალი საკრედიტო რისკის დაშვებასთან დაკავშირებით - შენიშვნა 3
- ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება რეალური ღირებულებით - შენიშვნა 28

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკასა და წარდგენის პრინციპებში

ფასს 16 „იჯარა“ თავდაპირველი გამოყენება

ფასს 16 წარმოადგენს ერთიან, ბალანსზე აღიარებით იჯარის აღრიცხვის მოდელს. მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რომელიც წარმოადგენს მის უფლებას, გამოიყენოს ქვემდებარე აქტივი და იჯარის ვალდებულებას, რომელიც წარმოადგენს მის ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო გადახდები. მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის არსებობს აღიარებასთან დაკავშირებული გამონაკლისები. აღრიცხვა მეიჯარის მხრიდან მიმდინარე სტანდარტის მსგავსია - მაგალითად, მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ და საოპერაციო იჯარად. ამასთან, იჯარასთან დაკავშირებული ხარჯების ბუნება იცვლება, რადგან ფასს 16 ცვლის წრფივ საოპერაციო იჯარის ხარჯს გამოყენების უფლების აქტივის ცვეთის ხარჯითა და საპროცენტო ხარჯით იჯარის ვალდებულებაზე.

ფასს 16 ანაცვლებს იჯარასთან დაკავშირებულ არსებულ სახელმძღვანელო მითითებებს, მათ შორის ბასს 17 - „იჯარა“, ფასიკ 4 - „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 - „საოპერაციო იჯარა-სტიმულირება“ და იმკ 27 - „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენის შეფასება:

ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენებისას ბანკმა დამატებით აღიარა გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები, შეწყვიტა „სხვა აქტივების“ ნაწილის აღიარება, რომელიც მოიცავდა საიჯარო გადახდებს იჯარის ვადის დაწყების თარიღამდე და აღიარა სხვაობა გაუნაწილებელ მოგებაში. ზეგავლენა შეჯამებულია ქვემოთ:

	1 იანვარი 2019
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის აღიარება	2,922
„სხვა აქტივების“ აღიარების შეწყვეტა	(413)
საიჯარო ვალდებულების აღიარება	2,553
ზეგავლენა გაუნაწილებელ მოგებაზე	(44)

თავდაპირველი აღიარების თარიღში ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც შეეხო საიჯარო ვალდებულებას შეადგენს 7.29%-ს.

სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია წარმოდგენილია მე-14 შენიშვნაში.

სხვა ახალი და განახლებული სტანდარტები:

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა:

- შესწორებები ფასს 9-ში („ფინანსური ინსტრუმენტები“) — უარყოფითი კომპენსაციის მქონე წინასწარი გადახდების ელემენტი;

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

- შესწორებები ბასს 28-ში („ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“) — გრძელვადიანი ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში;
- შესწორებები ბასს 19-ში (“დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები“) — გეგმის შესწორება, შეწყვეტა ან ანგარიშსწორება;
- ფასს სტანდარტების 2015-2017 წლების წლიური გაუმჯობესებების ციკლი;
- ფასიკ 23 (“მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვეველობა”)

გამოცემული, მაგრამ ჯერ აუმოქმედებელი სტანდარტები

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევა:

- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების განახლებული ვერსია (კონცეპტუალური საფუძვლები), რომელიც გამოიცა 2018 წლის მარტში (ფასს-ს სტანდარტებში განახლებულ კონცეპტუალურ საფუძვლებზე მინიშნებებთან ერთად);
- საწარმოს განმარტება — შესწორებები ფასს 3-ში („საწარმოთა გაერთიანება“);
- არსებითის განმარტება — შესწორებები ბასს 1-ში („ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“) და ბასს 8-ში („სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“);
- საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა — ცვლილებები ფასს 9-ში („ფინანსური ინსტრუმენტები“), ბასს 39-ში („ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“) და ფასს 7-ში („ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“).

მოსალოდნელია, რომ ზემოხსენებული ცვლილებები, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2019	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2018
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:		
ფულადი სახსრების გადარიცხვა	2,479	2,107
სხვა	22	18
სულ გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:	2,501	2,125

გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:

გარე მენეჯერისთვის გადახდილი გასამრჯელო	(1,167)	(1,032)
ანგარიშსწორების ოპერაციები	(1,942)	(649)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(948)	(119)
სულ გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:	(4,057)	(1,800)

ბანკი ფლობს და მართავს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემას, რომელიც არის ბანკთაშორის გადახდის სისტემა ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისთვის. ფულადი სახსრების გადარიცხვა წარმოადგენს ანგარიშსწორების საკომისიო გადასახადს, რომელიც გადახდილია მონაწილეების მიერ ანგარიშსწორების შესრულების დროს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2019	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2018
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	4,243
სხვა	1,259	1,609
სხვა შემოსავლები	1,259	5,852

6. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2019	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2018
ხელფასები და პრემიები	23,409	19,793
ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი	1,969	1,493
სულ თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	25,378	21,286
საინფორმაციო მომსახურება	2,325	1,877
სოციალური დახმარების ხარჯები	1,840	1,063
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	1,368	976
კომუნალური ხარჯები	1,182	991
თანამშრომელთა გადამზადების ხარჯები	595	491
სამივლინებო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	504	475
უსაფრთხოება	460	371
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	321	663
საწვავის ხარჯები	286	279
იურიდიული მომსახურება და კონსულტაცია	238	197
სხვა	1,431	2,427
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10,550	9,810
ცვეთის ხარჯი (შენიშვნები 15)	4,307	3,331
ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 16)	1,275	557
სულ ცვეთა და ამორტიზაცია	5,582	3,888

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	<u>31 დეკემბერი, 2019</u>	<u>31 დეკემბერი, 2018</u>
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	882,526	76,209
მიმდინარე ანგარიშები	608,795	623,925
90 დღემდე ვადის მქონე დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში	222,227	578,341
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	<u>1,713,548</u>	<u>1,278,475</u>

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, 779,063 და 1,157,893 ათასი ლარი, შესაბამისად, განთავსებული იყო მიმდინარე ანგარიშებზე და ოთხმთვიან ვადის მქონე ვადიან დეპოზიტებზე ხუთ (2018 წელს - ოთხ) საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ კომერციულ ბანკსა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტების ოთხმთვიან ვადის მქონე დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი შეადგენდა 1.25%-2.07% და 2.52%-3.04% (შესაბამისად).

8. მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	<u>31 დეკემბერი, 2019</u>	<u>31 დეკემბერი, 2018</u>
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით		
რეფინანსირების სესხები	2,273,402	1,501,166
ერთდღიანი სესხები	468,126	-
ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტი	400,606	400,311
სულ მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	<u>3,142,134</u>	<u>1,901,477</u>
სხვა მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		
გალარების პროგრამის მიხედვით გაცემული სესხები	-	46,272
სულ სხვა მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	<u>-</u>	<u>46,272</u>

რეფინანსირების სესხები წარმოადგენს ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომლებიც გაიცემა საქართველოს კომერციულ ბანკებზე ლიკვიდობის მიზნებით და გააჩნია 7 დღიანი ვადიანობა. რეფინანსირების სესხის მსგავსად, მონეტარული პოლიტიკის ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტის და ერთდღიანი სესხების მეშვეობით ბანკი აწვდის მოკლევადიან ლიკვიდურობას ქვეყნის საბანკო სისტემას საჭიროების შემთხვევაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

გალარების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხები წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეზიდენტი კომერციული ბანკებისთვის გაცემულ სახსრებს ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საზოგადოების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის მხარდასაჭერად, რაც განაპირობა საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის იანვარში გალარების პროგრამის დამტკიცებამ. გალარების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხები სრულად დაიფარა 2019 წლის განმავლობაში.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გააჩნდა რეფინანსირების სესხები გაცემული სამ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 2,143,205 ათასი ლარის ოდენობით, 9%-9.2%, წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით და სამ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 1,478,148 ათასი ლარის ოდენობით, 7.06%-7.13%, წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით, შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთდღიანი სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 440,118 ათასი ლარის მოთხოვნას ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 9.75%. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონდა გაცემული ერთდღიანი სესხები.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთთვიანი ღია ბაზრის ოპერაციების კონცენტრაცია შეადგენდა 400,606 ათასი ლარის მოთხოვნებს ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ წლიური საპროცენტო განაკვეთით, 9.22% და 350,272 ათასი ლარის მოთხოვნებს ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ წლიური საპროცენტო განაკვეთით 7.09%, შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ ჰქონდა გალარების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გალარების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 42,152 ათასი ლარის მოთხოვნებს ორი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ წლიური საპროცენტო განაკვეთით 7%.

გირაო და სხვა სასესხო უზრუნველყოფა

სესხის უზრუნველყოფის ტიპი და კრიტერიუმები თითოეული უზრუნველყოფის ტიპისთვის განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ. უზრუნველყოფად მიღებული აქტივებია: ა) საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; ბ) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; გ) რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ლარში დენომინირებული 2018 წლის 1 იანვრამდე კერძო შეთავაზებით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, გარდა სავალო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც გამოშვებულია საქართველოში ოპერირებადი კომერციული ბანკების მიერ; დ) კომერციული ბანკების სასესხო აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს; ე) უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები ეროვნულ ბანკში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ეროვნული ბანკის საბჭომ შესაძლოა, განსაზღვროს სხვა ტიპის აქტივი სესხის უზრუნველყოფისთვის; ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პერიოდულად განსაზღვრავს უზრუნველყოფის თითოეული სახეობის დასაკავებელ თანხას (ჰეარქაოს) უფლებამოსილი აქტივების ნომინალურ ღირებულების მიმართ. კანონის თანახმად საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება მოვალის აქტივების ხარჯზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველყოფად მიღებული ფინანსური აქტივების სახეობები და რეალური ღირებულებები შემდეგნაირია:

	<u>31 დეკემბერი, 2019</u>	<u>31 დეკემბერი, 2018</u>
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები)	1,257,885	418,479
კომერციულ ბანკების სასესხო პორტფელი	1,172,794	588,598
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და განვითარების ბანკების მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული ობლიგაციები:		
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	516,804	477,100
შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB)	254,093	229,572
Nederlandse Financierings-Maatschappij voor Ontwikkelingslanden NV	226,446	259,467
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	33,247	90,274
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	30,442	65,198
	3,491,711	2,128,688
კომერციული ბანკების დეპოზიტები და სასესხო პორტფელი, რომლებიც დაგირავებულია გალარების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად	-	57,843
	3,491,711	2,186,531

ბანკი ახორციელებს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას არსებული ხელშეკრულების ფარგლებში და ასევე ახდენს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს სესხის გაუფასურებისთვის რეზერვების ადეკვატურობის შემოწმებისას.

როგორც ეს აღწერილია ზემოთ მოყვანილ ცხრილში, ბანკი იღებს უზრუნველყოფას ფინანსური ინსტრუმენტების სახით რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნებისთვის. მსგავსი შეთანხმებები, იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი განიხილება როგორც გენერალური შეთანხმებები ურთიერთ-ჩათვლის შესახებ, არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის კრიტერიუმებს. ბანკი აღსრულებად ურთიერთგადაფარვის უფლებას იძენს მხოლოდ მეორე მხარის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში. ბანკი და მისი კონტრაქტები არ ვარაუდობენ ანგარიშსწორების განხორციელებას ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

9. SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

ნაშთები საერთაშორისო სავალუტო ფონდის („სსფ“) მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
აქტივები:		
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	572,233	537,249
ვალდებულებები:		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები		
მიმდინარე ანგარიში №1	1,968	1,862
მიმდინარე ანგარიში №2	11	10
	1,979	1,872
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სესხები		
გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში (EFF)	711,254	446,560
ზოგადი SDR-ის სახსრების განაწილება	442,527	415,621
სპეციალური SDR-ის სახსრების განაწილება	129,103	121,254
	1,282,884	983,435
სულ ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	1,284,863	985,307
გარე საბალანსო ნაშთები		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა	787,425	744,831
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფასიანი ქაღალდები	(1,459,028)	(1,291,603)

SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

SDR-ის ანგარიში წარმოადგენს ბანკის მიმდინარე ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელიც გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ანგარიშსწორებისათვის. SDR-ის ანგარიში ძირითადად შეადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ხელშეკრულების თანახმად მიღებულ SDR სახსრების ზოგად და სპეციალურ განაწილებას. SDR-ის ანგარიშზე დარიცხული პროცენტის გაანგარიშება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ყოველკვირეულად დადგენილი განაკვეთით, რომელიც ეფუძნება ძირითად ფულად ბაზრებზე არსებულ მოკლევადიან საბაზრო განაკვეთებს. 2019 და 2018 წლების განმავლობაში საშუალო ნომინალურმა წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 0.740%-1.153% და 0.764%-1.121%, შესაბამისად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები

ბანკს მოეთხოვება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორი ანგარიშის ფლობა: მიმდინარე ანგარიში #1 და მიმდინარე ანგარიში #2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში #1 გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საოპერაციო ანგარიშსწორებისათვის, ხოლო მიმდინარე ანგარიში #2 განკუთვნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ლარში წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები მოიცავს „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ (EFF) ფარგლებში მიღებულ სესხს 711,254 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2018: 446,560 ათასი ლარი). EFF პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში ყოვლისმომცველი პროგრამის განხორციელებას, რაც გულისხმობს მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ზრდის ხელშეწყობის მიზნით სტრუქტურული რეფორმების გატარებას. 36-თვიანი „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ პროგრამა დამტკიცდა 2017 წლის 12 აპრილს 210.4 მილიონი SDR-ის ოდენობით (კვოტის 100 პროცენტი), რომლისგანაც 2019 წლის განმავლობაში ბანკმა აითვისა 60 მილიონი SDR (2018: 60 მილიონი SDR). დაფარვების დაწყება იგეგმება 2021 წლიდან და სესხის სრული დაფარვა დაგეგმილია 2029 წლისთვის. სასესხო განაკვეთი მიბმულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე (ცნობილი როგორც საბაზისო განაკვეთი), რომელიც წარმოადგენს SDR-ის საპროცენტო განაკვეთს, რომელმაც 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 1.740% (2018: 1.103%).

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები დენომინირებულია SDR-ში.

SDR სახსრების განაწილება

SDR სახსრების განაწილება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უზრუნველყოფის გარეშე, საპროცენტო განაკვეთის მქონე SDR სახსრების განაწილებას ზოგადი და სპეციალური სახსრების სახით. სახსრების ზოგადი განაწილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ხელშეკრულების თანახმად ხორციელდება SDR განყოფილების ყველა წევრისათვის კვოტის პროპორციულად. 2009 წლის 10 აგვისტოთი დათარიღებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების მეოთხე ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს SDR სახსრების სპეციალურ, ერთჯერად განაწილებას, უკავშირდება გლობალური ლიკვიდობის ხელშეწყობას. ცვლილების თანახმად სახსრების სპეციალური განაწილება შეეხო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრებს, მათ შორის საქართველოს, 2009 წლის 9 სექტემბერს. წევრები და განსაზღვრული მფლობელები უფლებამოსილი არიან SDR სახსრები გამოიყენონ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ოპერაციების განსახორციელებლად. ბანკი სახსრების განაწილებას მიიჩნევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებად.

საქართველო, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი და სახსრების მიმღები ქვეყანა, ვალდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე იმ თანხით, რომელიც უტოლდება მასზე განაწილებულ წმინდა აკუმულირებულ სახსრებს და ნებისმიერ სხვა თანხას, რომელიც ექვემდებარება გადახდას წევრობის შეწყვეტის, ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის SDR განყოფილების გაუქმების შემთხვევაში.

SDR სახსრების განაწილების საპროცენტო განაკვეთი 2019 და 2018 წლებში შესაბამისად შეადგენდა წლიურ 0.740%-1.153% და 0.764%-1.121%, შესაბამისად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა 210,400 ათასი SDR, წარმოადგენს საქართველოს საწევრო შენატანს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელსაც არ ერიცხება საპროცენტო განაკვეთი და მოქმედია 2016 წლის 26 იანვრიდან, მას შემდეგ რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭომ, ფონდის უმაღლესმა მმართველმა საბჭომ, დაასრულა მე-14 კვოტების გადაფასება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოიზიდავს სახსრებს წევრი ქვეყნებიდან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველ წევრ ქვეყანას მიეკუთვნება კვოტა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის შედარებით მდგომარეობას მსოფლიო ეკონომიკაში. წევრების კვოტა ასახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მათი ფინანსური და ორგანიზაციული ურთიერთობის ძირითად ასპექტებს. გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი წარმოადგენს ქვეყნის ფისკალურ წარმომადგენელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობაში, ინსტრუმენტი არ არის წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფასიანი ქაღალდები

ფასიანი ქაღალდი შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 787,425 ათასი ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 671,603 ათასი ლარისაგან (სულ 1,459,028 ათასი ლარი). ფასიანი ქაღალდი საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ იქნა 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტასთან მიმართებაში. უზრუნველყოფის სახით არსებული ფასიანი ქაღალდი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული სახსრების მთლიან ნომინალურ ღირებულებას. ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება იცვლება ყოველწლიური გადაფასებისას და ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საერთო რესურსების ანგარიშიდან სახსრების მიღებისას. ფასიანი ქაღალდს ბანკი ფლობს შენახვის მიზნით, შედეგად მისი აღრიცხვა ხდება გარე-საბალანსო ანგარიშზე და წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

10. წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები

	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება
	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2018
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსი:				
ფიუჩერსის მარჟა	5,743		4,187	
სავალუტო ფორვარდი				
სავალუტო ფორვარდთან დაკავშირებული აქტივები	456		-	
მისაღები ოდენობა		321,242		-
გადასახდელი ოდენობა		(320,950)		-
ნეტო სავალუტო ფორვარდი	456	292	-	-
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსთან დაკავშირებული აქტივები				
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსთან დაკავშირებული ვალდებულებები	(974)	(1,629,427)	(2,689)	(2,339,348)
წმინდა პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსზე	(974)	(1,629,427)	(2,625)	(2,119,867)
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსის ოფციონი				
„ფუტ“ ოფციონთან დაკავშირებული აქტივები	77	143,385	-	401,490
„ფუტ“ ოფციონთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	-	-	(802,980)
„ქოლ“ ოფციონთან დაკავშირებული აქტივები	60	200,739	-	267,660
„ქოლ“ ოფციონთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	-	(39)	(535,320)
წმინდა პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსის ოფციონზე	137	344,124	(39)	(669,150)
სულ წარმოებულ ფინანსური აქტივები	5,362	(1,285,011)	1,523	(2,789,017)

თავდაპირველად, წარმოებული ინსტრუმენტები ხშირად მოიცავენ მხოლოდ დაპირებების ურთიერთგაცვლას, ანაზღაურების მცირე გადაცემით ან ყოველგვარი გადაცემის გარეშე, თუმცა, აღნიშნული ინსტრუმენტები ხშირად მოიცავენ მაღალი ხარისხის ბერკეტებს და ცვალებადნი არიან. აქტივის ღირებულებაში, განაკვეთში ან ინდექსში შედარებით მცირე მოძრაობას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის მოგებაზე ან ზარალზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ფიუჩერული ხელშეკრულებები წარმოადგენენ სახელშეკრულებო შეთანხმებებს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტის კონკრეტული ფასით და სამომავლო თარიღით ყიდვაზე ან გაყიდვაზე. ფიუჩერული ხელშეკრულებები ხორციელდება სტანდარტიზებული თანხებით რეგულარული გაცვლების საფუძველზე და ექვემდებარება ყოველდღიური ფულადი ზღვარის მოთხოვნებს. ფიუჩერულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი განიხილება, როგორც მინიმალური, ვინაიდან გაცვლის ფულადი ზღვარის მოთხოვნები უზრუნველყოფენ იმას, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები შესრულდება და ანგარიშსწორება განხორციელდება ნეტო საფუძველზე.

ბანკი ვაჭრობს ევროდოლარის ფიუჩერებით 2012 წლის მარტიდან, პორტფელის აქტიური მართვის ფარგლებში. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტი კოტირებულია ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟაზე და ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟაზე. ევროდოლარის ფიუჩერები ფულადი ბაზრის ყველაზე ლიკვიდური და ყველაზე მეტად გაყიდვადი წარმოებული ხელშეკრულებებია. თითოეული ევროდოლარის ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს 3-თვიანი ევროდოლარის ვადიანი ანაბარი, რომლის პირობითი თანხაა 1 მილიონი აშშ დოლარი. ევროდოლარის ფიუჩერებით ვაჭრობისას, ბანკი დგას მხოლოდ “საკლირინგო სახლის” საკრედიტო რისკის წინაშე, სადაც ხდება ევროდოლარის ფიუჩერების ყიდვისა და გაყიდვის ურთიერთგადაფარვა. 2017 წლიდან, ფიუჩერული კონტრაქტების არახელსაყრელი მოძრაობების ჰეჯირების მიზნით, ბანკმა დაიწყო ფიუჩერების კონტრაქტებზე ფუთ ოფციონების შესყიდვა.

ბანკი იყენებს ევროდოლარის ფიუჩერულ კონტრაქტებს ჰეჯირების მიზნებისთვის, რაც, ამ შემთხვევაში, გულისხმობს, რისკების შესაბამისობაში მოსაყვანად (დურაცია და მრუდი), აშშ-ს სამთავრობო ან საკრედიტო რისკის მქონე (სააგენტოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას და შესაბამისი მოცულობის საპირისპირო პოზიციის ევროდოლარის ფიუჩერულ კონტრაქტებში გახსნას. ამგვარი სტრატეგიების მთავარ მიზანს წარმოადგენს პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკების შემცირება და საკრედიტო რისკებზე (სპრედებზე) მოლოდინების გამოხატვა.

ბანკის პორტფელში არსებული ევროდოლარის ფიუჩერები არ არის განკუთვნილი სავაჭრო მიზნებისთვის, ე.ი. ბანკი არ აპირებს მოგების მიღებას მათი ფასების ხელსაყრელი მოძრაობიდან.

11. ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ. აღნიშნული წარმოადგენს ბანკის მიერ განთავსებულ ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში („Pool“-ში) (BISIP K), რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვების ინვესტიციების სამართავად არსებულ ფონდს და რომლის მთავარი მიზანია ბანკისთვის გამოცდილების გაზიარება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ფონდში კვოტის მფლობელებმა შესაძლოა მოითხოვონ საკუთარი ინვესტიციის გამოტანა ნაწილობრივ ან სრულად ნებისმიერ დროს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისთვის სამართავად გადაცემულმა სახსრებმა შეადგინა 152,395 ათასი ლარი (2018: 138,094 ათასი ლარი).

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

12. ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები		
US Department of the Treasury, Washington	4,648,290	4,152,313
Australian Government, Canberra	539,163	489,679
Canada, Ottawa	172,355	204,765
Republic of Finland, Helsinki	-	26,671
	5,359,808	4,873,428
სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები		
Bank for International Settlements, Basle	86,020	53,312
African Development Bank, Abidjan	74,171	41,018
European Investment Bank, Luxembourg	65,143	76,309
Inter-American Development Bank, Washington D.C.	44,854	81,149
EUROFIMA, Basel	43,142	99,980
International Finance Corporation, Washington D.C.	31,567	29,489
Asian Development Bank, Manila	6,697	6,205
International Bank for Reconstruction & Development, Washington	2,027	-
European Stability Mechanism, Luxembourg	-	5,413
	353,621	392,875
სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები		
Bank Nederlandse Gemeenten, Den Haag	242,556	169,267
Svensk Exportkredit AB, Stockholm	144,585	176,926
Kommunalbanken AS, Oslo	144,148	192,997
NRW Bank, Duesseldorf	100,635	206,407
Agence Francaise de Developpement, Paris	91,581	17,131
Landeskreditbank Baden-Wuerttemberg Foerderbank	86,736	97,129
Province of Ontario Canada, Toronto	86,683	84,640
Kreditanstalt fuer Wiederaufbau, Frankfurt	84,072	22,563
Erste Abwicklungsanstalt, Dusseldorf	83,952	53,059
Kommuninvest I Sverige AB, Orebro	83,147	158,408
Japan Bank for International Cooperation, Otemachi	79,389	-
Province of Quebec Canada, Quebec	74,562	53,663
Municipality Finance PLC, Helsinki	66,967	50,741
Royal Bank of Canada	64,777	-
SNCF Reseau EPIC	59,937	7,683
სხვა	403,232	290,539
	1,896,959	1,581,153
სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით უცხოურ ვალუტაში.	7,610,388	6,847,456
სავაჭრო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში		
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	809,443	364,653
სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	809,443	364,653

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთების და დაფარვის ვადების ანალიზი იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2019		31 დეკემბერი, 2018	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:				
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	0.5%-5.75%	2020-2022	0.125%-5.75%	2019-2022
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები	1.375%-3%	2020-2024	2.375%-6.25%	2019-2023
სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები	1%-4.5%	2020-2024	1%-6.25%	2019-2023
დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:				
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	7.25%-14.375%	2020-2024	7.3%-14.375%	2019-2022

ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება RAMP პროგრამის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეზერვების ნაწილის მსოფლიო ბანკის ხაზინისთვის (გარე მენეჯერი) სამართავად გადაცემას, რომელიც სპეციალიზებულია პორტფელის მართვაზე. გარე მენეჯერისათვის სამართავად სახსრების გადაცემის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბანკისთვის ნოუ-ჰაუს გადაცემა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. მენეჯერი კონტრაქტის საფუძველზე იღებს მართვის გასამრჯელოს, რომელიც გამოითვლება გადაცემული სახსრების ნეტო აქტივების ღირებულების საფუძველზე. გარე მენეჯერის პორტფელში არსებული აქტივები ბანკის სახელზეა, გლობალური მეურვის („ქასთოდინის“) პასუხისმგებლობის ქვეშ, შერჩეული სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ინვესტირებისა და რეინვესტირების მიზნით. ბანკს შეუძლია, დროდადრო, შეატყობინოს გარე მენეჯერს, საინვესტიციო თანხის დამატების ან შემცირების შესახებ. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, RAMP პროგრამის ფარგლებში სამართავად გადაცემული სახსრების ჯამური ოდენობა შეადგენს 613,698 ათას ლარს (2018: 558,125 ათას ლარს).

არცერთი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ არის არსებითად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

13. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები

	31 დეკემბერი, 2019		31 დეკემბერი, 2018	
	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები				
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	241,616	240,846	281,808	280,846
სულ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები				
დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	241,616	240,846	281,808	280,846

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთები და დაფარვის ვადები იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2019		31 დეკემბერი, 2018	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	7.100%	2020-2025	7.259%	2019-2025

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

საქართველოს მთავრობის სავალო ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ბანკს შორის 2006 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სამთავრობო სესხის სავალო ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შედეგად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიან ქაღალდებს. სამთავრობო სავალო ფასიანი ქაღალდების გადახდა ხდება ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების გზით 40,000 ათასი ლარის ოდენობით ყოველწლიურად, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. საპროცენტო განაკვეთი ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას არსებული საბაზრო განაკვეთების გათვალისწინებით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

14. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი იჯარის მიხედვით

ბანკი სარგებლობს შენობის იჯარით პერონალის ნაწილისთვის ადმინისტრაციული მიზნებისთვის და აღიარებს შესაბამის გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას:

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,922
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(845)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,077

საიჯარო ვალდებულების ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,553
საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში	161
გადახდები წლის განმავლობაში	(837)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,877

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

15. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულებით:					
1 იანვარი, 2018	51,907	9,447	18,278	-	79,632
შესყიდვა	81	2,934	1,297	245	4,557
გასვლა	-	(1,578)	(34)	-	(1,612)
31 დეკემბერი, 2018	51,988	10,803	19,541	245	82,577
შესყიდვა	668	6,138	991	494	8,291
გასვლა	(4)	(403)	(162)	(676)	(1,245)
31 დეკემბერი, 2019	52,652	16,538	20,370	63	89,623
დაგროვილი ცვეთა:					
1 იანვარი, 2018	(5,212)	(6,118)	(15,011)	-	(26,341)
ცვეთის დარიცხვა	(1,036)	(1,291)	(997)	-	(3,324)
გასვლა	-	1,573	33	-	1,606
31 დეკემბერი, 2018	(6,248)	(5,836)	(15,975)	-	(28,059)
ცვეთის დარიცხვა	(1,039)	(2,264)	(1,004)	-	(4,307)
გასვლა	-	400	162	-	562
31 დეკემბერი, 2019	(7,287)	(7,700)	(16,817)	-	(31,804)
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
31 დეკემბერი, 2018	45,740	4,967	3,566	245	54,518
31 დეკემბერი, 2019	45,365	8,838	3,553	63	57,819

16. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	სულ
თვითღირებულებით:			
1 იანვარი, 2018	8,041	1,345	9,386
შესყიდვა	1,531	1,971	3,502
გასვლა	(45)	-	(45)
31 დეკემბერი, 2018	9,527	3,316	12,843
შესყიდვა	753	441	1,194
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	10,280	3,757	14,037
დაგროვილი ამორტიზაცია:			
1 იანვარი, 2018	(6,991)	(279)	(7,270)
წლის დარიცხვა	(284)	(273)	(557)
გასვლა	45	-	45
31 დეკემბერი, 2018	(7,230)	(552)	(7,782)
წლის დარიცხვა	(566)	(709)	(1,275)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	(7,796)	(1,261)	(9,057)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2018	2,297	2,764	5,061
31 დეკემბერი, 2019	2,484	2,496	4,980

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

17. სხვა აქტივები და ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:		
წინასწარი გადახდები	123	-
სხვა მოთხოვნები	130	8
სულ სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	253	8
სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:		
სამახსოვრო ოქროს მონეტები და ოქროს ზოდები	3,762	2,961
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	166	206
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	579	429
წინასწარი გადახდები	186	2,481
სხვა მოთხოვნები	107	2,676
	4,800	8,753
სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი	(161)	(232)
სულ სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	4,639	8,521

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსური აქტივები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, შეადგენს 365 და 2,658 ათას ლარს, შესაბამისად.

სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოადგენს თანამშრომლებზე გაცემული სესხების და სხვა დებიტორების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია 29-ე განმარტებით შენიშვნაში.

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	1,247	2,776
მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	1,247	2,776
სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	6,002	5,749
საიჯარო ვალდებულება	1,877	-
ვალდებულება რეალიზებულ ბანკნოტებსა და მონეტებზე	1,742	1,669
საპენსიო სქემასთან დაკავშირებული ვალდებულებები	30	36
სხვა ვალდებულებები	281	257
მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	9,932	7,711
სულ სხვა ვალდებულებები	11,179	10,487

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსური ვალდებულებები შესაბამისად შეადგენს 11,179 და 10,485 ათას ლარს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

18. ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით		
საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	463,053	395,565
ერთდღიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	8,400	274,161
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	471,453	669,726
ბანკების სავალდებულო რეზერვები უცხოურ ვალუტაში	4,231,029	3,642,799
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	4,702,482	4,312,525
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა		
საკორესპონდენტო ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	73,437	7,135
გალარების სესხების უზრუნველსაყოფად ჩადებული სპეციალური დეპოზიტები	-	987
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა	73,437	8,122
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	4,775,919	4,320,647

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებებში შედის 3,653,198 ათასი ლარის და 3,209,325 ათასი ლარის (შესაბამისად) ოდენობის სამი უმსხვილესი რეზიდენტი კომერციული ბანკის ნაშთები, რომლებიც შეადგენს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მთლიანი ვალდებულების 76.49 და 74.28 პროცენტს (შესაბამისად).

რეზიდენტ კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში განათავსონ მინიმალური სარეზერვო ნაშთები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო რეზერვები წარმოადგენს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 5 პროცენტს (2018: 5%), და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 25 პროცენტს (2018: 25%). უცხოური ვალუტის ვალდებულებების შემთხვევაში დარჩენილი ხანდაზმულობით 1-2 წელი მინიმალური სარეზერვო ნაშთები შეადგენს 15 პროცენტს (2018: 10%). სავალდებულო რეზერვებზე 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე შესაბამისად შეადგენს 9 და 7 პროცენტს, ხოლო აშშ დოლარში/ევროში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე 1.25%/-0.7% და 0.5%/-0.6%, შესაბამისად. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრები რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრები, რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება 2 წელს, არიან განთავსებული სავალდებულო რეზერვის მოთხოვნისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

19. ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ:		
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	616,518	414,917
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	838,104	362,445
სულ ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	1,454,622	777,362

20. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:		
ვალდებულებები საპენსიო სააგენტოს მიმართ	266,644	-
ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ	960	666
სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:	267,604	666

21. მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ გამოშვებულ საქართველოს ეროვნულ ვალუტას. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მოძრაობა წლის განმავლობაში არის შემდეგი:

	2019	2018
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	3,565,495	3,308,869
მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები	6,156,260	5,134,500
მიმოქცევაში გაშვებული მონეტები	100,185	82,113
მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტები	(5,601,513)	(4,889,018)
მიმოქცევიდან ამოღებული მონეტები	(83,415)	(70,968)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,137,012	3,565,496

22. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სადეპოზიტო სერთიფიკატები				
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7.60%-9.09%	3 იანვარი - 26 მარტი 2020	80,000	79,149
სადეპოზიტო სერთიფიკატები				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7.10%-7.15%	3 იანვარი - 28 მარტი 2019	80,000	79,310

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

23. კაპიტალი

კანონის შესაბამისად, ბანკის კაპიტალი მოიცავს ბანკის გაცხადებულ და მთლიანად გადახდილ კაპიტალსა და სარეზერვო ფონდს.

საწესდებო კაპიტალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საწესდებო კაპიტალი სრულად არის შეტანილი და შეადგენს 15,000 ათას ლარს.

კაპიტალის მართვა

ბანკი განსაზღვრავს კაპიტალს როგორც საკუთარ კაპიტალს ფასს-ის თანახმად. 2009 წლის 1 დეკემბრით (№2186) დათარიღებული კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, ყოველი საფინანსო წლისათვის ბანკის წმინდა მოგება გამოიანგარიშება, როგორც წმინდა საოპერაციო მოგების ან ზარალის და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგების ან ზარალის ჯამი. წმინდა საოპერაციო მოგება ან ზარალი მიიღება საანგარიშგებო წლის შემოსავლის თანხიდან ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების გამოქვითვით. გაუნაწილებელი მოგება კანონის მოთხოვნებისა და საბჭოს მიერ დამტკიცების შესაბამისად, გადადის სხვადასხვა რეზერვებში. წლიური ანგარიშის ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ საფინანსო წლის დარჩენილი წმინდა მოგება უნდა გადაირიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე ბანკის საფინანსო წლის დასრულებიდან 6 თვის ვადაში.

სარეზერვო ფონდი

კანონში შეტანილი ცვლილებების (მუხლი 25) თანახმად, ბანკის საერთო სარეზერვო ფონდმა უნდა შეადგინოს სარეზერვო ფულის (ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში და კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში) 15 პროცენტი. ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი იქმნება წლის რეალიზებული მოგებიდან, რომელიც წარმოადგენს წლის წმინდა მოგებას სავალუტო და სხვა გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგების გამოკლებით. ბანკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების დარჩენილი თანხით საერთო სარეზერვო ფონდის მოცულობის შესაბამისი ფინანსური წლის ბოლოს არსებული სარეზერვო ფულის ოდენობის 15 პროცენტზე ნაკლები ოდენობით შევსების შესახებ.

სარეზერვო ფონდი გამოიყენება მხოლოდ ბანკის ზარალის საკომპენსაციოდ. ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეზერვო ფონდში არსებული თანხების განაწილების შესახებ. სარეზერვო ფონდში თანხების გადატანის შემდეგ, ბანკის რეალიზებული მოგების ნარჩენი ნაშთი უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2019 და 2018 წლებში ბანკმა სარეზერვო ფონდში გადარიცხა 187,176 ათასი და 122,940 ათასი ლარი, შესაბამისად.

კანონის 25-ე მუხლის გ პუნქტის საფუძველზე, 2019 წელს, სარეზერვო ფონდში გადატანის შემდგომ, ბანკმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაურიცხა 80,000 ათასი ლარი გაუნაწილებელი მოგებიდან (2018: 70,000 ლარი). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების ნაშთის, 100,000 ათასი ლარის, გადარიცხვა ფინანსთა სამინისტროსთვის, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია საანგარიშგებო თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

უცხოური ვალუტის და სხვა გადაფასების რეზერვი

კანონის 25(ა)-ე მუხლის თანახმად, უცხოური ვალუტის გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგება მიემართება უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში და რეალური ღირებულებით აღრიცხული მოგებაში ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივების საბაზრო ფასების ცვლილებების წმინდა არარეალიზებული მოგება მიემართება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ გადაფასების რეზერვში.

2019 წელს უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული წმინდა არარეალიზებული მოგება 339,677 ათასი ლარის ოდენობით სრულად მიიმართა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში (2018 წელს: მოგება 54,186 ათასი ლარი). 2019 წელს ბანკმა გაუნაწილებელი მოგებიდან 2,512 ათასი ლარი გადაიტანა ამ მიზნით შექმნილ სხვა გადაფასების რეზერვში, ხოლო 2018 წელს სხვა გადაფასების რეზერვის სრული მოცულობა, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,208 ათას ლარს, გადაიტანა გაუნაწილებელ მოგებაში.

რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი

აღნიშნული რეზერვი წარმოადგენს იმ ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებას, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

24. ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში არის მხარე ფინანსური ინსტრუმენტებისა რომელიც დაკავშირებულია გარესაბალანსო ვალდებულებებთან. ბანკი გარესაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში ხელმძღვანელობს რისკების მართვის იმავე პოლიტიკით, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია არსებითი ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

საოპერაციო გარემო

როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც, როგორც წესი, ახასიათებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკას. ამიტომ, განსაკუთრებით მკვეთრმა ცვლილებებმა საოპერაციო გარემოში (გლობალური გარემოს ჩათვლით) შეიძლება იქონიოს ისეთი გავლენა ბანკის შედეგზე და ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც ამჟამად ვერ განისაზღვრება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ და ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმები საბანკო, იურიდიულ, საგადასახადო, მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით და ასევე სხვადასხვა ღონისძიებები, ეკონომიკის ლიკვიდურობისთვის საჭირო მოთხოვნების შესრულებისა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციისთვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რეალური ზრდის მაღალ ტემპებს და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. არსებული ტენდენცია იძლევა საფუძველს, რომ ეკონომიკის ზრდა მთლიანობაში კვლავაც გაგრძელდება.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკის სამომავლო განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზემოთხსენებულ რეფორმებზე და საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული ფინანსური თუ მონეტარული ზომების ეფექტურობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა საჭირო ღონისძიება განხორციელდა მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით ბანკის როლის ხელშეწყობის მიზნით.

სასამართლო დავები

ბანკის მიმდინარე სასამართლო პროცესებთან და საჩივრებთან მიმართებაში ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამგვარი სასამართლო პროცესებიდან წარმოშობილი ვალდებულება, თუ ასეთს ადგილი ექნება, არ იქონიებს არსებით გავლენას ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს რაიმე არსებითი დაურეგულირებელი ფაქტორი, რომელიც შესაძლოა მომავალში მოხდეს და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული დანაკარგების ანარიცხები.

საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია რაიმე არსებითი საკრედიტო და პირობითი ვალდებულება.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული დაზღვევის მრავალი სახეობა, ზოგადად, ჯერ არ არის ხელმისაწვდომი საქართველოსათვის. ბანკს არ გააჩნია საკუთარი ოპერაციების წყვეტის ან მესამე მხარის მიმართ ვალდებულების სრული დაზღვევა, გარემოზე მიყენებული ზიანისთვის, რომელიც წარმოიშობება ბანკის ოპერაციებისას დაშვებული შეცდომებით. სანამ ბანკი მოიპოვებს ადეკვატურ დაზღვევას, არსებობს იმის რისკი, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან განადგურება გამოიწვევს უარყოფით ეფექტს ბანკის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

25. ფასიანი ქაღალდების გასესხების პროგრამა

ზოგადად, ბანკი ჩართულია ავტომატურ ფასიანი ქაღალდების გასესხების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ბანკის მიერ ფლობილი ფასიანი ქაღალდები გაიცემა სესხად სხვა ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის სანაცვლოდ. ბანკს ჰყავს პროგრამის მმართველი აგენტი, რომელიც ადმინისტრირებასა და მონიტორინგს უწევს გასესხებული ფასიანი ქაღალდებისა და სანაცვლოდ მიღებული უზრუნველყოფის შესაბამისობას ბანკთან შეთანხმებული მოთხოვნების შესაბამისად.

ფასიანი ქაღალდების გასესხების ტრანზაქციებიდან ბანკს აქვს დამატებითი შემოსავალი ინვესტიციების ლიკვიდურობაზე დამატებითი ზეგავლენის გარეშე, იქიდან გამომდინარე რომ გასესხებული ფასიანი ქაღალდი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბანკისთვის.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონდა ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში გასესხებული ფასიანი ქაღალდები, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გასესხებული ფასიანი ქაღალდების ღირებულება შეადგენდა 1,207,490 ათას ლარს.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროგრამის ფარგლებში მიღებული უზრუნველყოფის რეალური ღირებულება იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
უცხოური მთავრობების სავალო ფასიანი ქაღალდები	-	1,111,884
უცხოური ფინანსურ ინსტიტუტების სავალო ფასიანი ქაღალდები	-	157,506
უცხოური არაფინანსური კორპორაციების სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-
	-	1,269,390

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

26. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბანკი, როგორც სახელმწიფო ორგანო, დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის ორგანოებთან. თავისი პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, ბანკი ინარჩუნებს სტრუქტურულ და ფუნქციურ დამოუკიდებლობას საქართველოს მთავრობისგან, იქიდან გამომდინარე რომ ბანკს შეუძლია თავისი ხელმძღვანელობით და მართვით თავად დააფინანსოს ბანკის ოპერაციები გარე დახმარების გარეშე.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმებიან ის პიროვნებები, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება და აკისრიათ პასუხისმგებლობა დაგეგმონ, განკარგონ და აკონტროლონ ბანკის საქმიანობა, პირდაპირ თუ არა პირდაპირ. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას შეადგენენ: საბჭოს წევრები, აღმასრულებელი დირექტორი და დეპარტამენტების უფროსები.

ბანკი, ჩვეულებრივი საქმიანობის წარმართვის პროცესში შედის გარიგებებში დაკავშირებულ მხარეებთან და არსებითი ოპერაციები და ნაშთები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ურთიერთდამოკიდებულების შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე დაყრდნობით.

ბანკის გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	
	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ მოგებასა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება: - თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებელი	(3,847)	(25,378)	(3,361)	(21,286)

	31 დეკემბერი, 2019		31 დეკემბერი, 2018	
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლის მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლის მიხედვით
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
აქტივები:				
ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ინვესტიციები რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით- საქართველოს მთავრობა	12	809,443	364,653	364,653
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები ეროვნულ ვალუტაში- საქართველოს მთავრობა	13	241,616	281,808	281,808
თანამშრომლებზე გაცემული სესხები-უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	17	-	13	206
ვალდებულებები:				
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	1,454,622	777,362	777,362
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება				
საპროცენტო შემოსავალი		57,818	41,749	306,791
- საქართველოს მთავრობა		57,817	41,748	
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა		1	1	

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარით)

27. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

ვალდებულებების ცვლილებების რეკონსილაცია საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან:

	შენიშვნა	ნაღდი			უნაღლო			31 დეკემბერი 2019
		1 იანვარი 2019	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები		
						სხვა		
ფინანსური აქტივობებით გამოწვეული ვალდებულებები: გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	79,310	(3,611)	(990)	4,440	-	-	79,149
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	985,307	(15,783)	234,773	14,440	66,027	99	1,284,863

	შენიშვნა	ნაღდი			უნაღლო			31 დეკემბერი 2018
		1 იანვარი 2018	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები		
						სხვა		
ფინანსური აქტივობებით გამოწვეული ვალდებულებები: გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	79,284	(3,919)	(681)	4,626	-	-	79,310
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	754,816	(9,648)	214,454	10,771	15,334	(420)	985,307

28. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს-ის თანახმად რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან იქნება გადახდილი ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკის ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულებით აღრიცხვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. მომდევნო ცხრილი იძლევა ინფორმაციას თუ როგორ განისაზღვრება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება (კერძოდ შეფასების ტექნიკები და გამოყენებული მონაცემები).

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

წარდგენის მიზნით, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები დაყოფილია რეალური ღირებულების იერარქიის სამი დონის მიხედვით, რაც დაფუძნებულია რეალური ღირებულების დასადგენად გათვალისწინებული შემავალი მონაცემების დაკვირვებადობის ხარისხზე:

- აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (**დონე 1**) – შეფასება დაფუძნებულია აქტიურ ბაზრებზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებზე, ბანკის წვდომის შესაძლებლობის შესაბამისად. ამ სახის ფინანსურ ინსტრუმენტებზე შეფასების კორექტირებები არ ვრცელდება, რადგან შეფასება დაფუძნებულია კოტირებულ ფასებზე, რომლებიც მზა სახით და საკმარისი სიხშირით გვხვდება აქტიურ ბაზარზე, ამ პროდუქტების შეფასება არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი შეფასების საგანს. ეს დონე მოიცავს საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ინსტრუმენტები ფასდება ყოველდღიურად, ბლუმბერგის დღის საბოლოო ე.წ. „შეთავაზებული ფასების“ მიხედვით.
- შეფასების ტექნიკა, რომელიც იყენებს დაკვირვებად მონაცემებს. (**დონე 2**) - შეფასება რომელიც ემყარება მონაცემებს, გარდა კოტირებული ფასებისა რომელიც გამოიყენებოდა 1-ელ დონეში, რომლებიც დაკვირვებადია აქტივისა და ვალდებულებებისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ. მე-2 დონე მოიცავს შემდეგს:

- ა) კოტირებული ფასები მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის აქტიურ ბაზრებზე;
- ბ) კოტირებული ფასები იდენტური ან მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის არა აქტიურ ბაზრებზე;
- გ) აქტივებსა და ვალდებულებებზე არა კოტირებული ფასების მქონე მონაცემი, რომლის დაკვირვებაც შესაძლებელია, მაგალითად:

- საპროცენტო განაკვეთები და სარგებლის მრუდები, რომლებიც დაკვირვებადია კოტირებული ინტერვალებისთვის.
- ნაგულისხმები მერყეობა. და
- საკრედიტო „სპრედი“.

დ) ბაზრით გამყარებული მონაცემები

საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, კლასიფიცირებული როგორც ინვესტიციები შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მიეკუთვნება მე-2 დონეს და ითვლება დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, უფრო კონკრეტულად კი საბაზრო სარგებლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული მსგავსი ფასიანი ქაღალდებისთვის. რეალური ღირებულების შესაფასებლად, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი გამოიყენება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის სარგებლის მრუდზე დაყრდნობით, რომელიც შეესაბამება დარჩენილ ვადიანობას.

- შეფასების ტექნიკა, რომლის შემავალი მონაცემები არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს (**დონე 3**) – შეფასება დაფუძნებულია ყველა იმ მონაცემზე, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეალურ ღირებულებაზე და არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. ბანკს არ გააჩნია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს.

ბანკს მიაჩნია, რომ სააღრიცხვო შეფასება რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასთან როდესაც არ არის ხელმისაწვდომი კოტირებული საბაზრო ფასები ან სხვა დაკვირვებადი მონაცემები არის მნიშვნელოვანი წყარო გაურკვევლობებისა შეფასებებში რადგან: (i) ის არის

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათასი ლარი)

მიდრეკილი პერიოდული ცვლილებებისკენ, საჭიროებს მენეჯმენტისგან დაშვებებს საპროცენტო განაკვეთებზე, ცვალბადობაზე, გაცვლით კურსებზე, კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგზე, შეფასების კორექტირებებზე და ტრანზაქციების სპეციფიურ ფუნქციებზე და (ii) შეფასების ცვლილებამ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და მოგებასა ან ზარალში აღრიცხულ აქტივებზე.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, შეფასების დონეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თანხები მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ღირებულებებით:

ფინანსური აქტივები	შენიშვნები	რეალური ღირებულება		რეალური ღირებულების იერარქიის დონეები	შეფასების ტექნიკები და მირითადი მონაცემები	არა-დაკვირვებადი მნიშვნელოვანი მონაცემები
		2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
საერთაშორისო რეზერვები						
წარმოებული ფინანსური აქტივები	10	5,362	1,523	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	152,395	138,094	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,610,388	6,847,456	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები						
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	809,443	364,653	დონე 2	საბაზრო საპროცენტო განაკვეთი მსგავსი ინსტრუმენტების-თვის	არ მიესადაგება

2019 წლის 31 დეკემბრით და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ადგილი არ ჰქონია გადატანას პირველ, მეორე და მესამე დონეებს შორის.

სხვა სრულ შემოსავალში შესული მოგება და ზარალი უკავშირდება ინვესტიციებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და მისი ანგარიშგება ხდება როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვის ცვლილება.

მოგებაში ან ზარალში გაერთიანებული წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფასიანი ქაღალდებისა და წარმოებული ინსტრუმენტებიდან უკავშირდება წარმოებული ფინანსური აქტივებისა და სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ცვლილებებს რეალურ ღირებულებაში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარით)

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით განმეორებით საფუძველზე (ამასთან აუცილებელია რეალური ღირებულების ასახვა)

ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას, იმ შემთხვევაში თუ მათ გააჩნიათ ხანმოკლე დაფარვის ვადა. ეს დაშვება ასევე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და ანგარიშებს დაფარვის ვადის გარეშე.

მიჩნეულია, რომ ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივებისა (საქართველოს სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირებული როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები) და ვალდებულებების (სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან) შემთხვევაში საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას. დამატებით ბანკის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მისი სპეციფიკური თვისებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ცალკე სესხების სეგმენტს, რომლებიც გაიცემა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელშეწყობის მიზნით. შედეგად, ეს სესხები განიხილება როგორც “გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით” მიღებული.

29. რისკების მართვა

შესავალი

ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის რისკებთან. ეს რისკები მოიცავს ფინანსურ რისკებს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკების სახით. აგრეთვე ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია არაფინანსური რისკების ფართო სპექტრთან. ბანკის უნიკალური როლიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ბანკის მიერ რისკების მართვა და კონტროლი დაფუძნებულია არა მარტო ორგანიზაციული რისკისა და მოგების შესახებ მოსაზრებებზე, არამედ, ის მხედველობაში იღებს ეროვნულ ინტერესს, შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პასუხისმგებლობების მიხედვით. ბანკის ხედვით რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს მმართველობის პროცესის განუყოფელ ნაწილს და ძლიერი კორპორაციული მმართველობის არსებით კომპონენტს. ბანკის საბჭო, საბოლოო ჯამში, პასუხისმგებელია რისკების მართვის ჩარჩოს და მნიშვნელოვანი რისკების მართვის პროცესის ზედამხედველობაზე და ასევე რისკების მართვის პოლიტიკების და პროცედურების გადახედვაზე. ეფექტური და ეფექტიანი რისკის მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად ბანკში შემუშავებულია დაცვის სამსახურიანი მოდელი. ეს მოდელი სტრუქტურული ერთეულებისთვის, რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტისა და შიდააუდიტორული სამსახურისთვის გამოყოფს მკაფიო როლებსა და პასუხისმგებლობებს.

დაცვის პირველი ხაზი (კონტროლის პირველი დონე): მართვა სტრუქტურული ერთეულის დონეზე

დაცვის პირველი ხაზი (ბანკის დეპარტამენტები) პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებაზე, შეფასებასა და რისკების მართვაზე სტრუქტურული ერთეულის დონეზე ადეკვატური და ეფექტური კონტროლის მექანიზმების შემუშავების, დანერგვისა და შენარჩუნების გზით.

დაცვის მეორე ხაზი (კონტროლის მეორე დონე): რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი

დაცვის მეორე ხაზი (რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი) პასუხისმგებელია ეფექტური არაფინანსური რისკების მართვის ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაზე, რომელიც შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტებთან და მიდგომებთან. რისკების

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკების, მექანიზმების და რისკის მართვის პროცესების დამოუკიდებელ და პროაქტიულ შეფასებას და ბიზნეს უწყვეტობის მხარდაჭერას. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ბანკის პრეზიდენტთან.

დაცვის მესამე ხაზი (კონტროლის მესამე დონე): შიდააუდიტორული სამსახური

შიდააუდიტორული სამსახური წარმოადგენს დაცვის მესამე ხაზს, რომელიც უზრუნველყოფს რისკების მართვისა და შიდა კონტროლების სისტემების ეფექტურობას და ადეკვატურობას. შიდა აუდიტი რეგულარულად ამოწმებს, როგორც შიდა კონტროლების ადეკვატურობას, ასევე ბანკის პროცესების შესაბამისობას პროცედურებთან და შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს წარუდგენს საბჭოს თავმჯდომარეს.

რისკის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურა

რისკის ტიპი	მართვის დონე	სახელმძღვანელო	ზედამხედველობა
		მითითებების პოლიტიკის ავტორი	
ფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტი	საბჭო
არაფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	ცენტრალიზებული რისკის მართვის დეპარტამენტი	შიდა აუდიტი, აუდიტის კომიტეტი

ფინანსური რისკები

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს მონეტარული პოლიტიკის მიზნების მიღწევისა და ასევე, საერთაშორისო რეზერვების მართვის მიზნით. ამ ორ პორტფელს განსხვავებული რისკის პოლიტიკა და მახასიათებლები აქვს და ორივე მათგანი იმართება ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ. ქვემოთ მოცემულ ფინანსური რისკების დახასიათებაში წარმოდგენილია ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც დგას ამ ორ პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები და ამ რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლისთვისაც არ ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები:

აქტივები უცხოურ ვალუტაში	შენიშვნა	მაქსიმალური რისკი	მაქსიმალური რისკი
		31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
საერთაშორისო რეზერვები			
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	5,362	1,523
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	152,395	138,094
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი		157,757	139,617

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საერთაშორისო რეზერვების პორტფელი

კანონის მიხედვით, ბანკი უფლებამოსილია იქონიოს და მართოს საერთაშორისო რეზერვების პორტფელი. ბანკი პორტფელს იყენებს მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის წარმოებისა და შიდა და უცხოური გადახდების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. რეზერვები ასევე გამოიყენება ქვეყნის გარე რისკებისგან დასაცავად, რაც გულისხმობს საკმარისი ლიკვიდობის შენარჩუნებას ფინანსური კრიზისის დროს შოკის დასაძლევად. შესაბამისად, საერთაშორისო რეზერვების ფლობის სხვადასხვა მიზნებია უსაფრთხოების, ლიკვიდობისა და მომგებიანობის უზრუნველყოფა. ამასთან, საერთაშორისო სარეზერვო პორტფელში შემავალი აქტივები ინვესტირდება კონსერვატიულ საფუძვლებზე, ლიკვიდობასა და კაპიტალის შენარჩუნებაზე აქცენტირებით. მაგალითად, ბანკის საინვესტიციო სახელმძღვანელოში პრიორიტეტი ენიჭება კაპიტალის შენარჩუნებას და რეზერვების მაღალ ლიკვიდობას. როდესაც ეს წინაპირობები სრულდება, უნდა მოხდეს მოგების მაქსიმიზაცია.

პორტფელის მართვა ხდება საინვესტიციო სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ბანკის საბჭოს მიერ. ბანკის რეზერვების მართვის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) პასუხისმგებელია აქტივების სტრატეგიული გადანაწილების მიხედვით რისკის შემცირებისთვის საჭირო ზომების დანერგვასა და მონიტორინგზე. ასევე კომიტეტმა უნდა მიიღოს რწმუნება იმისა, რომ ბანკის საქმიანობა ხდება რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. კომიტეტის ჩვეულებრივი საქმიანობა მოიცავს ყოველთვიური ანგარიშების მიმოხილვას, კონტრაგენტების სიის დამოწმებას, სტრატეგიული ცვლილებების დამოწმებას საბჭოში წარდგენამდე და პერიოდულად, აქტივების გადანაწილებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ბანკის რისკის მართვისა და კონტროლის განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) პასუხისმგებელია საერთო რისკების ყოველდღიურ მართვასა და დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობაზე, რაც უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და ანგარიშგებისათვის საჭირო საერთო პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებას.

შიდა რეზერვების პორტფელი დაყოფილია 3 ძირითად ტრანშად მათი მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- **საოპერაციო ტრანში** - რათა მოხდეს მოკლე ვადაში საჭირო ნაღდი ფულის უზრუნველყოფა გადახდების, მოკლევადიანი სავალო ფასიანი ქაღალდების და შესაძლო უცხოური ვალუტის ინტერვენციებისთვის;
- **ლიკვიდურობის ტრანში** - რათა მოხდეს ჩარევა საჭიროების შემთხვევაში ლიკვიდობის მნიშვნელოვნად გასაზრდელად - გარე შოკის ან საოპერაციო ტრანშის ამოწურვისას.
- **საინვესტიციო ტრანში** - რათა მოხდეს მოგების მაქსიმიზაცია ხანგრძლივი საინვესტიციო პერიოდისთვის, საბაზრო რისკის დონის შეზღუდვით.

მონეტარული პოლიტიკის პორტფელი

მონეტარული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი საშუალებებია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, სესხები გაცემული კომერციულ ბანკებზე, სადეპოზიტო სერტიფიკატები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პასუხისმგებელია დანერგოს და მონიტორინგი გაუწიოს რისკის შემცირების საშუალებებს, მაგალითად, როგორცაა უზრუნველყოფის მოთხოვნები რეფინანსირების სესხებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო რეზერვების ოპერაციებში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის გაკონტროლებისთვის, „სტრატეგიული აქტივების გადანაწილება“ ზღუდავს საკრედიტო რისკს ქვეყნების, კონტრაგენტების და ემიტენტების მიხედვით, საკონცენტრაციო ლიმიტებისა და მინიმალური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგების დაწესებით (Standard & Poor's, Moody's და Fitch-სააგენტოების მიხედვით). მაგალითად, საინვესტიციო სახელმძღვანელო ნათლად განსაზღვრავს საკრედიტო რეიტინგის მინიმალურ დონედ A- რეიტინგს სავალო ინსტრუმენტებში (ობლიგაციები, თამასუქები), ისევე როგორც ბანკთაშორის დეპოზიტებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებისას. ამასთან, ნოსტრო ანგარიშების კონტრაგენტებისთვის მინიმალური საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს BBB.

გარდა ამისა, საინვესტიციო სახელმძღვანელო ასევე ზღუდავს ინსტრუმენტების ინვესტირებას არასაბაზისო ფინანსურ ინსტრუმენტებში. პორტფელი დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, ფიქსირებულ და ცვალებად-განაკვეთიან ფასიან ქაღალდებში (სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები, „სააგენტოს“, მათ შორის რეგიონალური მთავრობებისა და სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები) და სხვა ძლიერ ლიკვიდურ და უსაფრთხო ინსტრუმენტებში

კონტრაგენტების შერჩევასა ბანკი ითვალისწინებს მათ საკრედიტო რეიტინგს, ქვეყანას, აქტივებისა და კაპიტალის მოცულობას, საერთაშორისო ბაზრებზე და კორპორატიულ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილებას და ასევე მათთვის შეთავაზებული მომსახურებისა და ინსტრუმენტების დიაპაზონს. ზემოთ ხსენებული სარეიტინგო სააგენტოების მიერ ბანკის კონტრაგენტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის კლების შემთხვევაში, კონტრაგენტი ამოღებული იქნება დაშვებული კონტრაგენტების სიიდან.

როდესაც სხვადასხვა საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები (Standard & Poor's, Moody's და Fitch) აქტივებისთვის განსაზღვრავენ განსხვავებულ საკრედიტო რეიტინგებს, საკრედიტო რისკის შესაფასებლად გამოიყენება მეორე საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

საკრედიტო ხარისხის ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული იმ ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
მოსალოდნელი არსებობის მანძილზე - არა	-	-	-	-
საკრედიტო ზარალი	535,971	252,128	548,411	112,757
გაუფასურებული	-	-	-	-
გაუფასურებული	-	-	-	-
სულ	535,971	252,128	548,411	112,757
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	-	-	-	-
AAA	-	-	-	-
AA	-	-	-	-
AA-	-	-	-	-
A+	-	-	-	-
A	42,639	-	1,294	-
A-	-	-	-	-
BBB+	-	-	44	-
BBB	284	-	-	-
BBB-	-	284	-	-
მთლიანი საბალანსო ღირებულება	831,022	-	1,202,266	-
ზარალის რეზერვი	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	831,022	-	1,202,266	-
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	-	-	-	-
AAA	572,233	-	537,249	-
მთლიანი საბალანსო ღირებულება	572,233	-	537,249	-
ზარალის რეზერვი	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	572,233	-	537,249	-
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასხვით	-	-	-	-
AAA	6,573,776	-	5,911,004	-
AA+	-	-	581,212	-
AA	957,223	-	206,203	-
AA-	-	-	149,037	-
A	79,389	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება - რეალური ღირებულება	7,610,388	-	6,847,456	-
ზარალის რეზერვი (ალარებული სხვა სრულ შემოსავალში)	(301)	-	(261)	-
სულ	7,610,388	-	6,847,456	-
სულ	(301)	-	(261)	-

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ღია ბაზრის ოპერაციებთან და ინსტრუმენტებთან, რომელთა მეშვეობითაც ფინანსურ სისტემაში ხდება ლიკვიდობის მიწოდება. ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელი შედგება ექსკლუზიურად საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ფასიანი ქაღალდებისაგან, რომლებიც მიჩნეულია დაბალი საკრედიტო რისკის მქონე აქტივებად. საბანკო ინსტიტუტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად, ბანკი ითხოვს უზრუნველყოფას, რომელსაც მისთვის მისაღები საკრედიტო ხარისხი ექნება. უზრუნველყოფის შეფასება ხდება მათი მიღებისას არსებული საბაზრო ფასით და შეფასებაზე შეიძლება გავრცელდეს დისკონტი ან „ჰეარკატი“ ინსტრუმენტის სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

ბანკი მისი ფინანსური აქტივების (გარდა საერთაშორისო რეზერვებისა) კლასიფიცირებას შემდეგი სახით ახდენს:

რეიტინგი AAA - ძალიან კარგი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი AA – სტაბილური ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი A - დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი B - სესხები გაცემული დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებზე, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი ვადაგადაცილებულია.

ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ბანკი ახდენს რისკის ზუსტ და თანმიმდევრულ კლასიფიცირებას მის საკრედიტო პორტფელში. დაკავშირებული რისკების შეფასება და განახლება რეგულარულად ხდება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის და სხვა ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, ბანკის შიდა სარეიტინგო სისტემის საფუძველზე:

საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარით)**

	2019		2018	
	12-თვიანი მოსალოდნელი	მოსალოდნელი	12-თვიანი მოსალოდნელი	მოსალოდნელი
	საკრედიტო ზარალი	საკრედიტო ზარალი	საკრედიტო ზარალი	საკრედიტო ზარალი
	არსებობის მანილაზე - ზარალი	არსებობის მანილაზე - ზარალი	არსებობის მანილაზე - ზარალი	არსებობის მანილაზე - ზარალი
	არა გაუფასურებული	გაუფასურებული	არა გაუფასურებული	გაუფასურებული
	სულ	სულ	სულ	სულ
აქტივები უცხოურ ვალუტაში	7	-	7	-
სხვა ფინანსური აქტივები				
B რეიტინგი	-	-	-	-
მილიანი საბალანსო ღირებულება	7	-	7	-
ზარალის რეზერვი	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	7	-	7	-
აქტივები ეროვნულ ვალუტაში				
მინეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები				
მითხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ				
AAA რეიტინგი	3,142,134	-	3,142,134	-
მილიანი საბალანსო ღირებულება	3,142,134	-	3,142,134	-
ზარალის რეზერვი	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	3,142,134	-	3,142,134	-
ინვესტიციები შეფასებული რეალური				
ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით				
AAA რეიტინგი	809,443	-	809,443	-
საბალანსო ღირებულება - რეალური ღირებულება	809,443	-	809,443	-
სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში				
მითხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ				
AAA რეიტინგი	-	-	-	-
მილიანი საბალანსო ღირებულება	-	-	-	-
ზარალის რეზერვი	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით				
AAA რეიტინგი	241,616	-	241,616	-
მილიანი საბალანსო ღირებულება	241,616	-	241,616	-
ზარალის რეზერვი	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	241,616	-	241,616	-
სხვა ფინანსური აქტივები				
A რეიტინგი	109	-	109	-
B რეიტინგი	-	164	-	191
მილიანი საბალანსო ღირებულება	109	164	273	191
ზარალის რეზერვი	-	(161)	(161)	(191)
წმინდა საბალანსო ღირებულება	109	3	112	(232)
სულ				
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	3,991,290	241,616	3,991,290	241,616
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	3,991,477	281,808	3,991,477	281,808

საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს ზარალის რეზერვის შემავალი და საბოლოო ნაშთების რეკონსილაციას იმ ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მიხედვით, რომლებიც მიმართავენ აღიარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

	2019		2018	
	12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობს მანძილზე არსებობს მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობს მანძილზე არსებობს მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
აქტივები უცხოურ ვალუტაში				
საერთაშორისო რეზერვები				
ინვესტიციები აღრიცხვითი რეალური დონეების მიხედვით სხვა სრულ შემოსავალში	261	-	121	-
სხვა	199	-	230	-
ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	(80)	-	(44)	-
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება ზარალის რეზერვის გადაფასება	7	-	1	-
უცხოური სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობები	(86)	-	(47)	-
ფინანსური აქტივები რომელთა აღიარება შეწყდა	301	-	261	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	261	-	261
აქტივები ეროვნულ ვალუტაში				
სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში				
სხვა აქტივები	41	-	-	-
ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	-	191	41	282
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება ზარალის რეზერვის გადაფასება	-	-	-	-
ფინანსური აქტივები რომლის აღიარება შეწყდა	(41)	(31)	-	(75)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	161	41	191
სულ ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	302	191	121	282
სულ ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	301	161	302	191

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ჭარბი რისკის კონცენტრაცია

რისკის კონცენტრაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონტრაგენტები ჩართულნი არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობაში, საქმიანობას ეწევიან ერთსადაიმევე გეოგრაფიულ რეგიონში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური და სხვა ცვლილებები თანაბრად უარყოფით გავლენას ახდენს საბელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე. კონცენტრაცია მიუთითებს იმაზე, რომ ბანკი შედარებით მგრძობიარე იქნება კონკრეტულ სფეროსა თუ გეოგრაფიულ ნაწილში მიმდინარე ცვლილებების მიმართ.

ჭარბი რისკის კონცენტრაციის მინიმიზაციის მიზნით, ბანკის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს დივერსიფიკირებულ პორტფელის შექმნისა და შენარჩუნების სპეციალურ ინსტრუქციებს. რისკის კონცენტრაცია აქტივების ხარისხისა და კონტრაგენტების მიხედვით წარმოდგენილია შესაბამის შენიშვნებში.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გარდა საერთაშორისო რეზერვების პორტფელისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ვალდებულებისა, კონცენტრირებულია საქართველოში. ქვემოთ მოცემულია საქართველოს გარეთ კონცენტრირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	აშშ	ევროკავშირი*	აგსტალია	კანადა	საერთაშორისო	სხვა	სულ
აქტივები:								
საერთაშორისო რეზერვები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	97,089	618,299	105	57,463	-	58,066	831,022
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	-	-	-	-	572,233	-	572,233
წარმოებულ იმსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	-	-	-	-	-	5,362	5,362
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში სახვით	11	-	-	-	-	152,395	-	152,395
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში სახვით.	12	4,648,290	1,448,222	585,569	581,317	267,600	79,390	7,610,388
		4,745,379	2,066,521	585,674	638,780	992,228	142,818	9,171,400
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	-	-	-	-	1,284,863	-	1,284,863
		4,745,379	2,066,521	585,674	638,780	(292,635)	142,818	7,886,537

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარით)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	აშშ	ევროკვირტი*	ავსტრალია	კანადა	საერთაშორისო	სხვა	სულ
აქტივები:								
საერთაშორისო რეზერვები		41,561	620,757	216	384,395	-	155,337	1,202,266
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	-	-	-	-	537,249	-	537,249
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	-	-	-	-	-	1,523	1,523
წარმოებულ იმსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	-	-	-	-	-	-	-
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში ასხვით	11	-	-	-	-	138,094	-	138,094
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასხვით.	12	4,152,313	1,384,584	501,783	415,903	392,873	-	6,847,456
		4,193,874	2,005,341	501,999	800,298	1,068,216	156,860	8,726,588
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	-	-	-	-	985,307	-	985,307
		4,193,874	2,005,341	501,999	800,298	82,909	156,860	7,741,281

*ევროკვირტი-ნორვეგიის სავალუტო ფასიანი ქაღალდების ჩათვლით

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება ბანკისთვის, როდესაც მას აქვს სირთულეები იმ ფინანსური ვალდებულებების დაფარვისა, რომლებიც დაკავშირებულია ფულის და ფულის ეკვივალენტების გადინებასთან.

ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ლიკვიდობის რისკის მართვის ამოცანაა დარწმუნდეს, რომ ბანკი ასრულებს ყველა ადებულ ფინანსურ ვალდებულებას. შესაბამისად, არსებობს ვადიანობის დივერსიფიკაციის პოლიტიკა და დაწესებული ლიმიტები, რომელთა მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ შესყიდული ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე ვაჭრობა შესაძლებელი იყოს აქტივების ფასების მკვეთრი ცვლილებების გამოწვევის გარეშე. ამ სახელმძღვანელო მითითებების გამო, გრძელვადიან ფასიან ქაღალდებსაც გააჩნიათ მყისიერი ლიკვიდობა.

ბანკის მონეტარული პოლიტიკისა და საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტები განსაზღვრავენ იმ ვადადამდგარი სახსრების მინიმალური პროპორციის ზღვრებს, რომლებიც გამოიყენება ფულადი სახსრების გადინების დასაფარად. ბანკის ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ძირითად ვალუტებში ფულადი ნაკადების პროგნოზირებას, ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროს არსებობას;
- სესხების კონცენტრაციისა და პარამეტრების მართვას;
- პორტფელის მაღალ ლიკვიდურ აქტივებში განთავსებას, რომლებიც ადვილად იქნებიან ლიკვიდირებულნი, როგორც დაცვის მექანიზმი ნებისმიერი ფულადი ნაკადის შეწყვეტისას;
- ლიკვიდობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმის არსებობას.

ფინანსური ბაზრების დეპარტამენტი ბიზნეს ერთეულებიდან იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ჭრილში და სხვა დეტალებს პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შესახებ დაგეგმილი მომავალი ოპერაციებიდან. ბანკის ლიკვიდობის რისკი დაკავშირებულია ფულად ნაკადებთან უცხოურ ვალუტაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულად ნაკადებზე დაფუძნებით. ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილია „3 თვეზე ნაკლებ“ კატეგორიაში, იმის საფუძველზე რომ ბანკს შეუძლია მათი რეალიზება არა უმეტეს 3 თვის ვადის განმავლობაში ლიკვიდურობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად:

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
საერთაშორისო რეზერვები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნადი ფულის გამოკლებით)	7	831,022	-	-	-	831,022
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	572,233	-	-	-	572,233
წარმოებული ფინანსური აქტივები ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში ასახვით	10	5,362	-	-	-	5,362
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	11	152,395	-	-	-	152,395
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,610,388	-	-	-	7,610,388
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები	17	130	-	123	-	253
სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		9,171,530	-	123	-	9,171,653
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	4,304,466	-	-	-	4,304,466
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	616,518	-	-	-	616,518
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	574,579	9,314	312,980	464,469	1,361,342
სხვა ვალდებულებები	17	1,247	-	-	-	1,247
სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		5,496,810	9,314	312,980	464,469	6,283,573
წმინდა პოზიცია		3,674,720	(9,314)	(312,857)	(464,469)	2,888,080

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარით)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
საერთაშორისო რეზერვები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	1,202,266	-	-	-	1,202,266
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	537,249	-	-	-	537,249
წარმოებული ფინანსური აქტივები ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში ასახვით	10	1,523	-	-	-	1,523
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	11	138,094	-	-	-	138,094
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	6,847,456	-	-	-	6,847,456
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები	17	7	-	-	-	7
სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		8,726,595	-	-	-	8,726,595
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	3,650,921	-	-	-	3,650,921
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	414,917	-	-	-	414,917
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	538,907	7,043	166,180	333,356	1,045,486
სხვა ვალდებულებები	17	2,776	-	-	-	2,776
სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		4,607,521	7,043	166,180	333,356	5,114,100
წმინდა პოზიცია		4,119,074	(7,043)	(166,180)	(333,356)	3,612,495

ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

მონეტარული ორგანოს მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ფინანსური სისტემის ლიკვიდობის კონტროლს, ბანკზე არ ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეუსაბამობის შეზღუდვები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია ისეთი საბაზრო ფაქტორების ცვალებადობით, როგორცაა საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო კურსი. საბაზრო რისკები მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთებისა და სხვა ფასების ცვლილების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო და კაპიტალის ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციიდან, რომლებიც არ არის დაცული ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო რყევებისა და საბაზრო ფასების ცვლილებებისგან.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

საბაზრო რისკი გულისხმობს ინვესტიციების ფასების ცვლილების შედეგად შესაძლო დანაკარგებს.

სტრატეგიული აქტივების გადანაწილების პროცესი ბანკის მიერ რისკის ტოლერანტობის/ამტანობის საფუძველზე ზღუდავს საბაზრო რისკს. მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, მას შემდეგ რაც მოხდება სცენარების შეფასება სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების მიხედვით, საბაზრო რისკის ლიმიტის ფარგლებში ისაზღვრება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელი ცალკეული პორტფელებისთვის. ვალუტის რისკები განისაზღვრება უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულების ანალიზის საფუძველზე. საერთო სავალუტო რისკის შესამცირებლად ასევე განიხილება დივერსიფიკაციის ეფექტი (იხილეთ შენიშვნა - სავალუტო რისკი)

სამუშაო კაპიტალისა და 2015 წლის 15 დეკემბრიდან, ევროში დენომინირებული საინვესტიციო პორტფელის გარდა, ყველა პორტფელი აქტიურად იმართება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში. აქტიური საბაზრო რისკი შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში განისაზღვრება რისკის ბიუჯეტირების პროცესში და თითოეული პორტფელისთვის განისაზღვრება აქტიური საბაზრო რისკის ლიმიტები წინასწარ შეფასებული სავარაუდო თვალის მიდევნების შეცდომისა („ტრეინგ ერორი“) და გადახრის ხანგრძლივობის შეზღუდვით. აქტიური პორტფელების ბაზრის მოკვებთან დამოკიდებულების შესაფასებლად ხორციელდება რეგულარული „სტრეს-ტესტი“.

ქვემოთ მოცემულია სტრატეგიული შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა და აქტიური ბაზრების რისკის ლიმიტები საერთაშორისო რეზერვების პორტფელისთვის:

	2019		2018	
	შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)	წინასწარ ნავარაუდები „თვალის მიდევნების შეცდომა“	შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)	წინასწარ ნავარაუდები „თვალის მიდევნების შეცდომა“
ტრანშები				
ლიკვიდობის პორტფელი - აშშ დოლარი*	1 წელი (+/-3 თვე)	10 საბაზო პუნქტი	6 თვე (+/-3 თვე)	10 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - აშშ დოლარი*	1,5 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი	1 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - ევრო**	1 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი*	1 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი*
საინვესტიციო პორტფელი - ავსტრალიური დოლარი	1,5 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი	1,5 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - კანადური დოლარი	1,5 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი	1,5 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი

* სტრატეგიული აქტივების გადანაწილების გადაწყვეტილების გამო შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა ლიკვიდობის პორტფელისთვის აშშ დოლარში და საინვესტიციო პორტფელისთვის აშშ დოლარში გაიზარდა 2019 წლის თებერვლიდან.

** 2015 წლის 15 დეკემბრიდან შეწყდა ევროში დენომინირებული საინვესტიციო პორტფელის მართვა შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში.

საბაზრო რისკის მონიტორინგი ხდება ვალუტების ვადიანობის და შემადგენლობის ყოველდღიური შეფასებით და თვალის მიდევნების შეცდომის გაკონტროლებით. საერთაშორისო რეზერვების მართვის ყოველდღიური ანგარიში, რომელიც ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ არის მომზადებული, მოიცავს შედეგებისა და რისკის, როგორც ცალკეულ, ასევე „ბენჩმარკთან“ მიმართებაში შეფასებას და წარმოადგენს განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის შეფასებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ბანკის დამოკიდებულება რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკზე ძირითადად წარმოიშობება მისი ინვესტიციებით საერთაშორისო რეზერვების პორტფელში, რომლებიც ხასიათდებიან მერყეობით ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო. უცხოური ვალუტის რეზერვების საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვალებადობის რისკს, რაც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

უცხოური ვალუტის რეზერვების პორტფელი, რომელსაც მართავს ეროვნული ბანკი, იყოფა ტრანშებად და ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთის რისკს მის ტრანშებზე, ყველა ვალუტისთვის, საპროცენტო განაკვეთებში 1-პროცენტთან ცვლილებებზე დაყრდნობით, რაც მიუთითებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური საბაზრო ღირებულების ცვლილებას საშემოსავლო განაკვეთის 1 პროცენტთან ცვლილების შედეგად. ბანკის მიერ ფლობილი ტრანშების რეალური საბაზრო ღირებულება ექვემდებარება რყევებს, თუმცა ეს რყევები არ უშლის ბანკს ხელს მისი ვალდებულებების შესრულებაში.

ბანკის საერთაშორისო რეზერვების საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობა ტრანშების მიხედვით

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტთან ცვლილების გავლენას აქტივებზე (მაჩვენებლები წარმოდგენილია ათას აშშ დოლარში).

ვალუტა	2019		2018	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	აქტივების მგრძობელობა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	აქტივების მგრძობელობა
	საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში*	1%	(28,294)	1%
საინვესტიციო ტრანში ევროში	1%	-	1%	-
საინვესტიციო ტრანში ავსტრალიურ დოლარში	1%	(3,694)	1%	(3,630)
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში	1%	(1,385)	1%	(1,275)
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	(5,102)	1%	(3,097)
საოპერაციო ტრანში აშშ დოლარში	1%	(81)	1%	(6)

ვალუტა	2019		2018	
	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	აქტივების მგრძობელობა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	აქტივების მგრძობელობა
	საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში*	1%	29,136	1%
საინვესტიციო ტრანში ევროში	1%	-	1%	-
საინვესტიციო ტრანში ავსტრალიურ დოლარში	1%	3,823	1%	3,748
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში	1%	1,429	1%	1,314
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	5,223	1%	3,156
საოპერაციო ტრანში აშშ დოლარში	1%	82	1%	6

* აშშ დოლარში დენომინირებული საინვესტიციო ტრანში არ მოიცავს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ მართული აქტივების (BISIP_K) საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობას.

ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ღია ბაზრის ოპერაციებისთვის, რისკი ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო ობლიგაციების საბაზრო ღირებულების და ლიკვიდობის მიწოდების ტრანზაქციებისას მიღებული უზრუნველყოფის ღირებულების ცვლილებასთან. უზრუნველყოფებთან მიმართებაში გაუფასურების რისკი მცირდება მარჟებისა და „haircut“-ების გამოყენებით, რომლებიც ამცირებენ მათ ღირებულებას და საშუალებას იძლევიან, რომ გასესხებული თანხის ეფექტური ნაწილი უზრუნველყოფის ღირებულებაზე ნაკლები იყოს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშვება იმ ალბათობით, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას მოახდენს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტიანი ცვლილების გავლენას ბანკის მოგება ან ზარალზე, წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტის გათვალისწინებით, სხვა ცვლადების უცვლელობის პირობებში.

ვალუტა	2019		2018	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა
	აშშ დოლარი	1%	34,562	1%
SDR	1%	(7,107)	1%	(4,462)
ევრო	1%	(191)	1%	(171)
ავსტრალიური დოლარი	1%	5,981	1%	5,487
კანადური დოლარი	1%	2,579	1%	2,271
ლარი	1%	33,721	1%	18,433
სხვა	1%	16	1%	21

ვალუტა	2019		2018	
	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა
	აშშ დოლარი	1%	(34,562)	1%
SDR	1%	7,107	1%	4,462
ევრო	1%	191	1%	171
ავსტრალიური დოლარი	1%	(5,981)	1%	(5,487)
კანადური დოლარი	1%	(2,579)	1%	(2,271)
ლარი	1%	(33,721)	1%	(18,433)
სხვა	1%	(16)	1%	(21)

კაპიტალის მგრძობელობა გამოითვლება იმ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინვესტიციების გადაფასებით მიღებული საპროცენტო განაკვეთის 1 პროცენტიანი ცვლილების გათვალისწინებით 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:

ვალუტა	2019		2018	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	კაპიტალის მგრძობელობა	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	კაპიტალის მგრძობელობა
	აშშ დოლარი	1%	67,812	1%
ევრო	1%	-	1%	-
ავსტრალიური დოლარი	1%	5,970	1%	5,485
კანადური დოლარი	1%	2,322	1%	2,270
ლარი	1%	8,094	1%	3,647

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარით)

	2019		2018	
	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	კაპიტალის მგრძობელობა	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	კაპიტალის მგრძობელობა
ვალუტა				
აშშ დოლარი	1%	(67,812)	1%	(60,719)
ევრო	1%	-	1%	-
ავსტრალიური დოლარი	1%	(5,970)	1%	(5,485)
კანადური დოლარი	1%	(2,322)	1%	(2,270)
ლარი	1%	(8,094)	1%	(3,647)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსების ცვლილებებით. აქტივების სავალუტო სტრუქტურადან გამომდინარე, ბანკის აქტივების ღირებულებისთვის დამახასიათებელია ძირითადი ვალუტების კურსების ცვლილების რისკი. სავალუტო კურსის რისკის შემცირება გარკვეულ დონეზე შესაძლებელია აქტივების ფლობით ვალუტების დივერსიფიცირებულ პორტფელში. წლის განმავლობაში, 2015 წლის 14 დეკემბრიდან, სამიზნე ვალუტების შემადგენლობა არის: აშშ დოლარი (80%), ევრო (10%) და სხვა ვალუტები 10%-მდე (კანადური დოლარი, ავსტრალიური დოლარი და სხვა ვალუტები 10%-მდე). სტრატეგიული აქტივების გადანაწილების მიხედვით, დასაშვები გადახრა სამიზნე ვალუტის კომპოზიციიდან კანადური და ავსტრალიური დოლარისთვის +/-5%-ია, ხოლო აშშ დოლარისა და ევროსთვის - +/-10%.

მგრძობელობა უცხოური ვალუტის მიმართ

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კონცენტრაციას ძირითად ვალუტებში და სავალუტო კურსების ლართან მიმართებაში 1%, 5% და 10% ცვლილებების გავლენის ანალიზს სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, სხვა ცვლადების უცვლელად შენარჩუნების პირობებში. ცხრილში მოცემული უარყოფითი თანხები ასახავს სავარაუდო წმინდა კლებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი თანხები - სავარაუდო წმინდა მატებას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ			ავსტრალიური		კანადური		სულ
	დოლარი	ევრო	SDR	დოლარი	დოლარი	სხვა		
აქტივები								
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში ვალდებულებები	7,172,396	1,451,831	572,356	598,092	257,863	1,641	10,054,179	
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში წმინდა პოზიცია	(3,888,656)	(1,029,881)	(1,282,884)	-	-	(3,694)	(6,205,115)	
	3,283,740	421,950	(710,528)	598,092	257,863	(2,053)	3,849,064	

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ			ავსტრალიური		კანადური		სულ
	დოლარი	ევრო	SDR	დოლარი	დოლარი	სხვა		
აქტივები								
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში ვალდებულებები	6,923,121	564,498	537,249	548,725	227,110	2,101	8,802,804	
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში წმინდა პოზიცია	(3,299,000)	(768,948)	(983,435)	-	-	(669)	(5,052,052)	
	3,624,121	(204,450)	(446,186)	548,725	227,110	1,432	3,750,752	

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე						
	31 დეკემბერი, 2019						
	აშშ დოლარი	ევრო	SDR	ავსტრალიური დოლარი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	32,837	4,219	(7,105)	5,981	2,579	(21)	38,490
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	164,187	21,097	(35,526)	29,905	12,893	(103)	192,453
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	328,374	42,195	(71,053)	59,809	25,786	(205)	384,906
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(32,837)	(4,219)	7,105	(5,981)	(2,579)	21	(38,490)
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(164,187)	(21,097)	35,526	(29,905)	(12,893)	103	(192,453)
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(328,374)	(42,195)	71,053	(59,809)	(25,786)	205	(384,906)

	გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე						
	31 დეკემბერი, 2018						
	აშშ დოლარი	ევრო	SDR	ავსტრალიური დოლარი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	36,241	(2,044)	(4,462)	5,487	2,271	14	37,508
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	181,206	(10,223)	(22,309)	27,436	11,356	72	187,538
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	362,412	(20,445)	(44,619)	54,873	22,711	143	375,075
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(36,241)	2,044	4,462	(5,487)	(2,271)	(14)	(37,508)
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(181,206)	10,223	22,309	(27,436)	(11,356)	(72)	(187,538)
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(362,412)	20,445	44,619	(54,873)	(22,711)	(143)	(375,075)

სხვა რისკები

ანგარიშსწორების რისკი

ანგარიშსწორების რისკის (ე.ი. რისკი იმისა, რომ კონტრაგენტმა შესაძლოა ვერ დაასრულოს ტრანზაქცია) შემცირების რამდენიმე გზა არსებობს. ბანკი მხოლოდ მას შემდეგ გადარიცხავს თანხებს, რაც დარწმუნდება, რომ ტრანზაქციისთვის საკმარისი უზრუნველყოფა არსებობს. ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ტრანზაქციებისას ანგარიშსწორების რისკი იფარება ისეთი სისტემების გამოყენებით, რომლებიც ემყარება გადახდისთანავე მიწოდების პრინციპს, რაც გულისხმობს ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების თანადროულ/ერთდროულ გაცვლას. გარდა ამისა, ანგარიშსწორება ხორციელდება ბანკის მიერ ფლობილი, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს თითოეული მონაწილის პოზიციას რეალურ დროში ინდივიდუალური გადახდების საფუძველზე. ამის შედეგად, ავტომატურად ხდება ოვერდრაფტების თავიდან აცილება და იქიდან გამომდინარე, რომ სისტემა ამავედროულად იყენებს ბანკში განთავსებულ აქტივებს ანგარიშსწორების წყაროდ, ის საკრედიტო რისკს ამცირებს.

არაფინანსური რისკი

არაფინანსური რისკები, რომლის მიმართაც ეროვნულ ბანკს მოწყვლადობა გააჩნია, მოიცავს საოპერაციო და რეპუტაციულ რისკებს. საოპერაციო რისკს, თავის მხრივ განაპირობებს არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესები, ადამიანური ფაქტორები, სისტემები და გარე მოვლენები. საოპერაციო რისკები თავის მხრივ აერთიანებს შემდეგ კატეგორიებს: სამართლებრივი რისკი, ტექნოლოგიური რისკი, ადამიანური რესურსების რისკი, უსაფრთხოების რისკი (ფიზიკური და ინფორმაციული), პროექტის რისკი, მესამე მხარის რისკი და ბიზნესის უწყვეტობის რისკი. არაფინანსური რისკის რეალიზებამ შესაძლოა წარმოშვას ფინანსური ზარალი, შელახოს ბანკის რეპუტაცია ან ხელი შეუშალოს ბანკს მისი მიზნების შესრულებაში. ამისათვის, ბანკში შექმნილია

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

რისკების ცენტრალიზებული მართვის სისტემა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არაფინანსური რისკებით გამოწვეული ფინანსური ზეგავლენა და ბანკი უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური შიდა კონტროლის სისტემებით.

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო მოიცავს არაფინანსური რისკების მართვის, ინციდენტების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემებს, რომელთაც თავის მხრივ აძლიერებს შიდა კონტროლის პროცედურების სისტემა. არაფინანსური რისკების შეფასება ხდება ხარისხობრივ მეთოდზე (5 დონიანი) დაყრდნობით და აერთიანებს ბანკის ყველა პროცესს, რომელთა არასრულყოფილად ან ხარვეზებით წარმართვამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ეროვნული ბანკის მიზნების მიღწევაზე. ინციდენტების მართვის სისტემა ემსახურება ინციდენტების გამოვლენასა და მათ ანალიზს, რათა თავიდან იქნას არიდებული მათი ხელახალი განმეორება. ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემა ახდენს ბანკის კრიტიკული პროცესების მდგრადობის მუდმივ გაუმჯობესებას, რისთვისაც ადგენს საჭირო პროცედურებს, ახორციელებს მუდმივ ტესტირებასა და ახალი სცენარების შემუშავებას. საოპერაციო რისკების შეფასების გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით ბანკმა შეარჩია და მიიღო რაოდენობრივი შეფასების მეთოდი - სტანდარტიზებული გაზომვის მიდგომა (Standardized Measurement Approach). დანერგვის პროცესის დასრულების მიზნით, ბანკი გააგრძელებს მუშაობას ფინანსური დანაკარგების მაჩვენებლებზე, თანმიმდევრული პროცესებისა და პროცედურების განვითარებაზე.

ბანკმა განსაზღვრა არაფინანსური რისკის მისაღები დონე (რისკის მადა), რომელსაც ეროვნული ბანკი მიიჩნევს მისაღებად თავისი მანდატისა და ამოცანების განხორციელების პროცესში. მთლიანობაში, ეროვნულ ბანკს კონსერვატიული მიდგომა აქვს საოპერაციო და რეპუტაციული რისკების მიმართ და ოპერირებს დაბალი რისკის მადისა და ტოლერანტულობის დონის პირობებში. აქედან გამომდინარე, ბანკი უზრუნველყოფს ადეკვატური რაოდენობის რესურსების გამოყოფას და ეფექტური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას, რათა არაფინანსური რისკის დონე შენარჩუნებული იქნას დაბალი რისკის ზონაში. რისკის მადის მაჩვენებელი გადაიხედება და მტკიცდება ყოველწლიურად ბანკის საბჭოს მიერ.

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა. საქართველოში პირველი შემთხვევა ოფიციალურად 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ საქართველოს მთავრობამ დააწესა რიგი შეზღუდვები სხვადასხვა აქტივობებზე ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნული შეზღუდვები მოიცავს საზღვრის გადაკვეთის აკრძალვას, გარკვეულ საათებში ქვეყნის შიგნით გადაადგილების შეზღუდვას, ყველა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებას და ყველა კომერციული აქტივობის შეწყვეტას გარდა იმ აქტივობებისა, რომელთა განხორციელებაც დისტანციურად სახლიდან არის შესაძლებელი, ასევე გარდა კონკრეტული საქმიანობებისა (სასურსათო მაღაზიები, აფთიაქები, კომერციული ბანკები, ბენზინგასამართი სადგურები, ფოსტა და ა.შ.).

საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები არ ეხება ბანკის არც ერთ ოპერაციას. ქვეყნის შიგნით ეკონომიკური აქტივობის შემცირებას, ასევე გლობალური ფინანსური ბაზრების დაღმასვლას, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.


არსებული კრიზისის საპასუხოდ ბანკმა განახორციელა გარკვეული ქმედებები. ვალუტის კურსის უეცარი ზრდის დასტაბილურების მიზნით (GEL/USD გაცვლითი კურსის პიკური მაჩვენებელი - 3.4842 - დაფიქსირდა 2020 წლის 27 მარტს), ბანკმა მარტის განმავლობაში ადგილობრივ ბაზარზე 100 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა. ბანკმა შეარბილა საზედამხედველო მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ და კოორდინაცია გაუწია მათს ინიციატივას, რომელიც გულისხმობს ქვეყნის

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

მასშტაბით კომერციული ბანკების საცალო და მცირე ბიზნეს მსესხებლების უმეტესობისთვის 3 თვიანი ნებაყოფლობითი საშეღავათო პერიოდის შეთავაზებას. საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის ანაბრების მომატებული გადინების პარალელურად, ამ ინიციატივამ ფინანსურ სექტორში ლარის ლიკვიდობის დამატებითი სტრესი გამოიწვია. საპასუხოდ, ბანკმა დაიწყო კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის უცხოური ვალუტის სვოპების შეთავაზება, თითოეული სექტორისთვის 200 მილიონ აშშ დოლარამდე მოცულობით.

მოსალოდნელია, რომ საბაზრო პირობების გაუარესება არსებით გავლენას არ იქონიებს ბანკის საერთაშორისო რეზერვებზე, რომელიც მაღალი რეიტინგის მქონე ფასიანი ქაღალდებისა და მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებისგან შედგება. ძირითად სარეზერვო ვალუტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების გამო, მოსალოდნელია, რომ ბანკის პორტფელში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულება გაიზრდება. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მოიპოვოს დონორების გაერთიანებული მხარდაჭერა, რაც საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურ დონეზე შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. ქვეყნის შიდა საკრედიტო ოპერაციები გაგრძელდება სათანადო უზრუნველყოფის სანაცვლოდ. როდესაც შიდა ფასიანი ქაღალდები საკმარისი არ იქნება, ბანკი აპირებს გამოიყენოს უცხოური ვალუტის უზრუნველყოფა. შესაბამისად, საშინაო აქტივების საკრედიტო ხარისხის შემცირება არ არის მოსალოდნელი.



საქართველო, თბილისი 0114, სანაპიროს 2

ტელ.: (995 32) 2 406 488

ცხელი ხაზი: (995 32) 2 406 406

ელ-ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge